

2020

ემზარ ფაჟავა

ევროპული იდეა


და

საქართველოს ევროინტეგრაცია



თბილისი

2020



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტუ

ცოდნა ძალაა.

ემზარ ფაჟავა
EMZAR PAZHAVA

ევროპული იდეა და
საქართველოს ევროინტეგრაცია

“EUROPEAN IDEA AND EURO
INTEGRATION OF GEORGIA

სახელმძღვანელო

Text Book

თბილისი

TBILISI

2020

დამხმარე სახელმძღვანელო „ევროპული იდეა და საქართველოს ევროინტეგრაცია“ მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა ევროპული იდეისა და ევროპული ღირებულებების შესახებ; საქართველოს და ევროკავშირის შორის არსებულ მრავალმხრივ ურთიერთობებზე; ევროინტეგრაციის წინაპირობებსა და ევროინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობის დინამიკაზე საქართველოში; გააცნობიერონ ევროპული ღირებულებების მნიშვნელობა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღირებულებების გავრცელებასა და დამკვიდრების საქმეში.

ნაშრომში განხილულია ევროპული იდენტობის გენეზისი; ერთიანი ევროპის იდეის ჩამოყალიბების ისტორია; ევროპული ღირებულებების არსი; ქართული და ევროპული ფასეულობები-მსგავსება და განსხვავება; ევროკავშირის როლი ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხებში; ევროკავშირის სამეზობლო და აღმოსავლეთით პარტნიორობის პროგრამები და პროექტები; ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობა საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივისთვის;

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული კურსი დიდ დახმარებას გაუწევს ევროინტეგრაციული საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს.

იმავედროულად, აღნიშნული კურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. წარმოდგენილ სალექციო კურსს, თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება ქვეყნის შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც.

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის „ევროპული იდეა და საქართველოს ევროინტეგრაცია“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ევროკავშირის Erasmus + პროგრამისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

This project co-funded by the Erasmus + Programme of the European Union.

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

სარჩევი

თავი I. ევროპული იდეის სათავეებთან. კონცეპტი ევროპა და ევროპული იდენტობა.....	5
თავი II. შუა საუკუნეების ერთიანი ევროპის იდეები	12
თავი III. საქართველო და ევროპა (ანტიკური პერიოდი, შუა საუკუნეები).....	24
თავი IV. ევროპული იდეები XX-XXI საუკუნეებში.....	39
თავი V. საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება.....	50
თავი VI. საქართველოსა და ევროკავშირის ტრანსსახელმწიფოებრივი პროექტები.....	69
თავი VII. ევროპეიზაციის არსი და ქართულ რეალობა.....	81
თავი VIII. საქართველო ევროკავშირის სამეზობლო და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.....	93
თავი IX. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური..... სტრატეგია და საქართველო.....	104
თავი X. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროინტეგრაცია	116
თავი XI. ევროინტეგრაციის მნიშვნელობა საქართველოსთვის	124
თავი XII. ქართული და ევროპული ფასეულობები: მსგავსება-განსხვავება.....	144
თავი XIII. ვიშეგრადის ქვეყნები და საქართველო	153
თავი XIV. საქართველო და ევროკავშირი – უსაფრთხოების პოლიტიკა.....	168
თავი XV მითები და რეალობა საქართველო– ევროკავშირის ურთიერთობებში.....	196
ტერმინთა განმარტებები.....	216
მნიშვნელოვანი თარიღები ევროკავშირის ისტორიაში.....	2017
მნიშვნელოვანი თარიღები ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში.....	222
ევროკავშირის წევრი ქვეყნები.....	229
ბიბლიოგრაფია.....	230

თავი 1. ევროპული იდეის სათავეებთან (At the origins of the European idea)

კონცეპტი ევროპა და ევროპული იდენტობა (The concept Europe and European Identity)

ერთიანი ევროპული იდეის შესახებ წარმოდგენები უძველესი დროიდან ყალიბდებოდა. ევროპული იდეის ისტორია არის ევროპული თეორიებისა და შეხედულებების ჩამოყალიბების ისტორია, რომელიც იმავდროულად ამ თეორიების პრაქტიკაში გამოყენების მცდელობის ისტორიაც არის. ევროპული იდეის კვლევა მსოფლიო ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში იყო მუდამ.

ათასწლეულების განმავლობაში "ევროპული იდეა" თუ "კონცეპტი ევროპა" მოიცავდა სხვადასხვა კონცეფციას - გეოგრაფიულს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, ისტორიულს და უკავშირდებოდა თავისუფლების იდეას ანტიკურ პერიოდიდან მთელი ისტორიის მანძილზე.



იმავდროულად, ეს იყო და არის ურთიერთობა ევროპასთან, როგორც გარკვეულ საზოგადოებრივ ერთობასთან, რომელიც საკუთარი შიდა ერთიანობის თვალსაზრისით განსხვავდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილისაგან.

რაც შეეხება სიტყვის "ევროპა" ეტიმოლოგიას, ზოგიერთი ავტორის აზრით, (ბერძნული "ეურუსი" (εὐρώς) ნიშნავს "ფართოს"; ზოგიერთის აზრით კი ის წარმოდგება აქადური სიტყვისგან „ერბ“/„ერებუ“, რაც ნიშნავს ჩასვლას ანუ ქვეყანა სადაც მზე ჩადის (დასავლეთი), განსხვავებით აზიისგან-„ასუ“/„აკუ“ ნიშნავს ამოსვლას ანუ ამომავალი მზის ქვეყანას.[1] ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ევროპას სახელი აზიის საწინააღმდეგოდ დაერქვა.

ისე, ზოგადად, ევროპა ბერძნული Eurōpē სიტყვისგან მომდინარეობს და დასავლეთს ნიშნავს.

ზოგიერთი ავტორის აზრით ეს ტერმინი დაკავშირებულია ქალაქთან, რომლის სახელიც არის ევროპა და რომელიც მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

სახელი ევროპა პირველად ნახსენებია **ჰომეროსის ილიადაში**, რომლის მიხედვით,, ფინიკიელი მეფის ფენიქსის ასული ევროპა მოიტაცა ზევსმა, მიიღო რა ხარის ფორმა და წაიყვანა კრეტაში. [2-56]



ამავეს იმეორებს **ჰეროდოტეს (484-425)** და ამბობს ევროპე იყო ფინიკიელი მეფის ასული, რომელიც ბერძნებმა მოიტაცეს და კუნძულ კრეტაზე მიიყვანეს. [3-12] როგორც ჩანს ამ ისტორიას სფუძვლად უდევს სხვადასხვა მითი. ერთ-ერთი ვერსიით ეს არის ძველბეთური თქმულება აქაველების მიერ მცირე აზიის ქალღვთაების მოტაცების შესახებ, რომელიც ჩვ.წ. XII საუკუნეს ეკუთვნის. ხოლო მეორე ვერსია ბერძნულია, რომელსაც ჰომეროსი იყენებს. ჰეროდოტეს ვარაუდით კი, შესაძლებელია, აგენორას ქალიშვილმა დაარქვა ევროპას ეს სახელი. [4-198]



როგორც ვხედვთ, სიტყვის „ევროპა“ ეტიმოლოგია არაერთგვაროვანია და ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არსებობს. თუმცა, სავარაუდოა, რომ სიტყვა ევროპა მაინც საკუთარი სახელიდან მომდინარეობს.

ევროპა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი პირველად იხსენიება ჰესიოდესთან ჩვ. წ-ალ-მდე VIII საუკუნეში. პოემაში „აპოლონ პითიელი“ ჰესიოდე ახსენებს ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ პელოპონესსა და ევროპაში, რომელსაც ის კონტინენტური საბერძნეთის პატარა ნაწილად განიხილავს.

ძველმა ბერძენმა გეოგრაფმა ჰეკატე მილეთელმა, თავის ნაშრომში „დედამიწის ირგვლივ“, პირველმა დაყო დედამიწა ორ ნაწილად-აზია და ევროპა.

როგორც ჩანს, ძველ წყაროებში საკმაო ინფორმაცია მოიპოვება ევროპის შესახებ. იონელები (ძვ.ბერძნული Ἰωνες, Ἴωνες— ერთ-ერთი ძველბერძნული ტომი) ამტკიცებენ, რომ მსოფლიო სამი ნაწილისგან შედგება - ევროპა, აზია და ლიბია.. [3-12] წერდა ჰეროდოტე და არ ეთანხმებოდა ამ ვერსიას და ამბობდა, რომ მას უნდა დაემატოს ეგვიპტე.

ჰეროდოტე თავის "ისტორიაში" ხშირად ახსენებს ევროპის გეოგრაფიულ საზღვრებს: ერთგან ის ამბობს მდინარე ისტრი (ბერძ. Ἰστρος), (დუნაი) იწყება კელტების ქვეყანაში... და კვეთს ევროპას. [4-90]

საინტერესოა ასევე ჰეროდოტეს ცნობა ევროპესა და მისი შვილების შესახებ „როდესაც კრეტაზე ევროპეს შვილები სარპედონი და მინოსი ძალაუფლებისთვის წაიჩხუბნენ, გაიმარჯვა მინოსმა და სარპედონი განდევნა თავის მომხრეებთან ერთად“. [4-65]

აკრავს თუ არა ევროპას ზღვა აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ზუსტად არავინ იცის...წერს ჰეროდოტე. მისთვის არც ისაა ცნობილი რატომ ეწოდება ამ ნაწილს ქალის სახელი. ასევე გაუგებარია მისთვის ნილოსი და ფაზისი კოლხეთში რატომ არის ევროპის საზღვარი. [4-298]

როგორც ჩანს, ჰეროდოტესთვის ევროპის საზღვრები ბოლომდე დაუდგენელი და გაურკვეველია, თუმცა აშკარაა, რომ ამ დროისთვის უკვე არსებობს გარკვეული წარმოდგენა ამ გეოგრაფიული ერთეულის მიმართ და მისი ტერიტორიული კონტურებიც მეტნაკლებად გამოკვეთილია.

კიდევ ერთი ძველი ბერძენი ისტორიკოსი, თუკიდიდე აღწერს ოდრისების სამეფოს და აღნიშნავს, რომ "მართლაც ევროპის სახელმწიფოებს შორის იონიისა და პონტოს ექსინოსის (ბერძ. Πόντος Ἐξένοσ) ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხს სიმდიდრით ვერავინ შეედრება,, რაც შეეხება სამხედრო ძალას და ჯარების ძლიერებას ევროპელები და აზიელები სკვითების სამეფოს ძალიან ჩამორჩებიან... [5-198]

ევროპა მოხსენიებულია, ასევე არისტოტელეს ტრაქტატში „პოლიტიკა“, სადაც ის წერს, რომ ელინები დასახლებულია ჩრდილოეთ ევროპასა და აზიას შორის; გარდა ამისა ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობა ვაჟკაცობით ჯობია აზიელებს, მაგრამ ჩამორჩებიან ინტელექტით. [6-314]

ისოკრატე თავის ნაშრომში „პანეგირიკი“ მოუწოდებდა ბერძნებს გაერთიანებისკენ., რათა არ შემოუშვან ბარბაროსები ევროპაში.

ცნობილი ისტორიკოსი პოლიბიოსი თავის ნაშრომში „საყოველთაო ისტორია“ ევროპისა და აზიის საზღვრად უთითებს მდინარე ტანაისს (მდინარე რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში, მდინარე დონის მარჯვენა შენაკადი). აღნიშნული ისტორიკოსი მოხსენებული ჰყავს სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“, სადაც ის წერს: „როდესაც პოლიბიუსი გვაუწყებს, რომ ევროპა სიდიდით ნაკლებია ლივიასა და აზიაზე ერთად აღებულზე, აკეთებს არასწორ დასკვნას...“ [7-20]

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ბევრჯერ მოიხსენიება ევროპა, ერთგან ის წერს „აკი ალექსანდრემ გახსნა ჩვენთვის, როგორც გეოგრაფებისთვის, აზიის დიდი ნაწილი და ევროპის ჩრდილოეთი მდინარე ისტრამდე, ხოლო რომაელებმა ევროპის მთელი დასავლეთი ნაწილი მდინარე ალბისამდე (რომელიც გერმანიას ორ ნაწილად ყოფს) და ისტრის ოლქი მდინარე ტირასამდე. [7-109]

სტრაბონი ახსენებს ეფორის ტრაქტატს „ევროპის შესახებ“, [7-41] მართალია ამ შემთხვევაში უშუალოდ ევროპის შესახებ რაიმე ცნობა არა რის წარმოდგენილი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ნაშრომი მრავალ ცნობას შეიცავდა ევროპის შესახებ. (აღნიშნული ტრაქტატი ეფორის „საბერძნეთის საყოველთაო ისტორიის“ ბერძ. Ἱστοριᾶν κοινῶν πράξεων) 30 წიგნის IV წიგნს შეადგენდა. ნაწარმოები მეოთხე საუკუნეს ეკუთვნის. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა.

სტრაბონი ასევე იშველიებს ცნობილ ბერძენ მეცნიერს, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ერატოსტენეს (276 -194 ძვ. წ.), რომელიც ასევე


განიხილავს ევროპის საკითხს. [7-70] სტრაბონი ერთგან არ ეთანხმება მას, იმის შესახებ, რომ თითქოს ევროპა სამი კონცხისგან შედგება, რადგან მიაჩნდა, რომ მას მრავალი განშტოება ჰქონდა. [7-90]

„ევროპა გამოიყოფა მრავალი კონცხით, რომელიც ქმნის ნახევარკუნძულს და მისი აღწერა პოლიბიოსს ერატოსტენზე უკეთესი აქვს, თუმცა ის მაინც არასაკმარისია“. [7-110] ამბობს სტრაბონი.

სტრაბონი ერთგან მდინარე ევროპასაც ახსენებს, და წერს, რომ მდინარე ევროპის სათავეები იწყება ტიტარინის მთებში, რომელიც აკრავს ოლიმპს. [7-309]


სტრაბონს დედამიწა დაყოფილი ჰქონდა სამ ნაწილად-ევროპა, აზია და ლივია. საზღვარი კი იყო მდინარეები ტანაისი და ნილოსი. სტრაბონის ეს დედამიწისეული დაყოფა აბსოლუტურად ემთხვევა ჰეროდოტეს აღწერილობას. ხოლო ევროპა, სტრაბონის მიხედვით, მოიცავდა აზოვის ზღვასა და მდინარე დონს, ტერიტორიებს პირინეის ნახევარკუნძულსა და რეინს შორის, ბრეტანს, იბერიასა და კელტიას. [7-20] სკანდინავია და ბალტიისპირეთი, როგორც ჩანს უცნობი იყო, როგორც სტრაბონისთვის, ისე მისი წინამორბედებისთვისაც, რადგან, როგორც ავლნიშნეთ, სტრაბონი უფრო ადრინდელ ავტორთა, გნსაკუთრებით, ჰეროდოტესეულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ამდენად, სტრაბონი მრავალ ავტორს უთითებს თავის გეოგრაფიაში. როგორც ჩანს, მანამდე ევროპას არა ერთი ავტორი იცნობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიულ ჭრილში ამ დროისთვის ეს ტერმინი უკვე საკმაო ხნის დამკვიდრებულია.



(წყარო-[ATLANTIS found in West Africa. The ...](#)
[pinterest.com](#)


როგორც დასახელებული წყაროებიდან ჩანს ანტიკურ პერიოდში და მანამდეც ევროპა ერთიანი ორგანიზმი არაა, მას ძირითადად გეოგრაფიული დატვირთვა აქვს. თუმცა თუ ევროპეს მოტაცებასა და აქედან გამომდინარე ფინიკიელებსა და ბერძნებს შორის არსებულ დაპირისპირებას გავითვალისწინებთ, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასში კულტურულ-პოლიტიკური ასპექტებიც შეინიშნება და ევროპის აღქმის გარკვეულ ტრადიციებსაც ეყრება საფუძველი.



მერაბ მამარდაშვილის აზრით „ევროპული იდენტობა ორი ელემენტის: ბერძნულ-რომაული სამყაროს, სამოქალაქო და ქრისტიანობის, კერძოდ, სახარების იდეის სინთეზს წარმოადგენს“, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს რომაული კონცეფცია მნიშვნელოვანი ფაქტორია. რომის სამოქალაქო სამართალი პიროვნების ფორმირებაში განუზომლად დიდ როლს თამაშობს, რომელიც თავისუფლების

იდეის განვითარების მთავარი ღერძია. რომის სამართლებრივი სახელმწიფო ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სოციალური ანუ სამოქალაქო იდეა განხორციელდეს რეალურად, კონკრეტულ საზოგადოებაში.

ევროპული იდენტობის მეორე - სახარებისეული ელემენტის ანალიზით მამარდაშვილი ხაზს უსვამს ევროპული კულტურის თავისებურებას, რომელიც რწმენაში გამოიხატება და ადამიანის ძალისხმევისა და ბრძოლას განსაზღვრავს.



პოლ ვალერი 1871-1945 (Paul Valéry) კი ევროპული იდენტობის განუყოფელ კომპონენტებად რომაულ კანონმდებლობას, ქრისტიანულ რწმენასა და ბერძნების კრიტიკულ სულს მოიაზრებდა.



კრისტიან მეიერის აზრით კი, ძველმა ბერძნებმა ევროპას თავისუფლება უანდერძეს, რაც ევროპული იდენტობის მთავარ კულტურულ მახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ბერძნების პოლიტიკური კულტურა ძველი სამყაროს სხვა პოლიტიკური ტრადიციებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ ის პიროვნების თავისუფლებას ეფუძნებოდა. მეცნიერი აიგივებს რა ბერძნებს

ევროპასთან, სპარსეთს – აღმოსავლეთთან, განსაკუთრებულ ყურადღებას ევროპის აღმოსავლეთთან დაპირისპირებას უთმობს. ავტორი ბოლოს ასკვნის, რომ ევროპის როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, საკმაოდ შორეულ წარსულს - ანტიკურ პერიოდს უკავშირდება.




ანტონი პაგდენი (Anthony Robin Dermer Pagden)

ევროპის იდენტობის მთავარ კომპონენტებს – კანონის უზენაესობას, შეჯიბრებითობას, ქალაქის ფაქტორს (ანუ კავშირს ცხოვრების ურბანულ წესსა და ცივილიზირებულობას შორის), სწრაფვას ერთიანი კანონმდებლობისკენ, საკუთრების ფლობას, მეცნიერებას, ცოდნას – ანტიკურობაში მოიაზრებს.



ევროპის იდეის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი – იტალიელი მეცნიერი **ფრედერიკო კაბოდი (Federico Chabod 1901-1960 წ)** ევროპული იდენტობის საფუძველს ანტიკურ პერიოდში ხედავს, კერძოდ, ბერძენთა თავისუფლებისა და აზიური დესპოტიზმის ისოკრატესეულ დაპირისპირებაში.



ფრანგ ფილოსოფოსი დენი დე რუემონი (Denys Louis de Rougemont 1906-1985) ევროპის იდეის/იდენტურობის

აღმოცენებაში ანტიკურობას დიდ როლს ანიჭებდა. მისი აზრით, ბერძნული ცივილიზაცია რეფლექსირებულია ევროპელთა ცნობიერებაში. ამასთან, მეცნიერი ევროპის იდეის შექმნაში გადამწყვეტ როლს ფრანკების იმპერიას (VII-VIII სს.), კერძოდ, კი **კარლოს დიდს** მიაკუთვნებდა.



ფრან გ ისტორიკოსს ჟაკ ლე გოფს (Jacques Le Goff 1924-2014) მიაჩნდა, რომ ევროპა როგორც რეალობა XI-XIII საუკუნეებში გაჩნდა, როდესაც ევროპას ქრისტიანობის ფართო ტალღამ გადაუარა. ის ანტიკურობასაც უთმობს ყურადღებას და თვლის, რომ საკუთარი იდენტობის გარკვეული ნაწილი ევროპამ ამ ცივილიზაციიდანაც მიიღო.

ამდენად, მეცნიერთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული იდენტობის საფუძვლები ანტიკური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა. ხოლო ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ქვაკუთხედად ტრადიციულად მოაზრებული იყო: გონება, სამართლიანობა და მოწყალება.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთიანი ევროპის იდეა, ხშირ შემთხვევაში, რიგ ქვეყნებში იწვევდა გარკვეულ შიშებს, რომ შეიქმნებოდა დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოების გაერთიანება შეზღუდული უფლებებით. ასეთი შიშები ბუნებრივად არსებობდა ევროპული ქვეყნებისა და ხალხების გაერთიანების იდეების წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ეტაპზე. მსგავსი შემფოთება არსებობს ევროპის მრავალ სახელმწიფოში მათი განვითარების მიმდინარე ეტაპზეც.

რაც შეეხება, უშუალოდ, ევროპულ ღირებულებებს, მსგავსად სხვა ღირებულებებისა, ის საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალ სფეროს მოიცავს. ღირებულებითი ორიენტირები, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული სოციუმისთვის, ქმნის ერთიან სისტემას და აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა, რომლის პრიორიტეტებიც იცვლება ეპოქალურად, სხვადასხვა იმპერატივებთან შეჯახებისას. დროთა განმავლობაში ხდება ამ ღირებულებების ევოლუცია და დღის წესრიგში დგება ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილების განსაზღვრა. შესაბამისად,

ევროპული იდენტობაც, რომელიც სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილი ღირებულებათა ერთობლიობაა, იცვალეობდა დროისა და სივრცის მიხედვით.

დასკვნა

ამდენად, როგორც ვხედავთ, ევროპის იდენტურობის ათვლის წერტილი, თანახმად მეცნიერთა ნაწილისა, ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპის როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, უფრო შორეულ წარსულს უკავშირდება და შესაძლებელია, ეს ანტიკურობასაც სცილდება.

აქედან გამომდინარე, ურიგო არ იქნებოდა ანტიკური ეპოქის კულტურული იდენტობის კვლევისთვის იმის გარკვევა, თუ რომელი კულტურული კომპონენტები ედო საფუძვლად მას ისტორიის ადრინდელ ეტაპზე. აქ კი ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ ხალხს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, რომლებთანაც ბერძნებს ჰქონდათ შეხება და, რომლებიც ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე ბინადრობდნენ ამ ტერიტორიაზე. ნიშანდობლივია, რომ სხვებთან ერთად აქ იყვნენ ქართველური ტომებიც. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამის, შესახებ არაერთი საინტერესო დოკუმენტი მოიპოვება.

კითხვები:

1. როდის იწყება ერთიანი ევროპული იდეის შესახებ წარმოდგენები?
2. რას მოიცავს კონცეფცია "ევროპული იდეა"?
3. რისი სინთეზია „ევროპული იდენტობა“?
4. როდის წარმოიშვა ევროპული იდენტობის საფუძვლები?
5. რაც ნიშნავს და საიდან მომდინარეობს სიტყვა ევროპა?

თავი 2. შუა საუკუნეების ერთიანი ევროპის იდეები (The ideas of unified Medieval Europe)

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ერთიანი ევროპის იდეის პირველი ნიშნები დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, **IX-X საუკუნეებში ჩნდება**. ამ დროით თარიღდება საერთო ევროპული პოლიტიკის შექმნა კარლოს დიდისა და მისი პირდაპირი მემკვიდრეების იმპერიის სახით.



კარლოს დიდის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო ფრანკების იმპერია, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში შევიდა გერმანიის ერის საღვთო რომის იმპერიის სახელით და მთელ ევროპას წარმოადგენდა, როგორც ერთიან პოლიტიკურ მთლიანობას.


რომაული კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელობა, როგორც შუასაუკუნეების ევროპის ერთ-ერთი მთავარი გამაერთიანებელი ძალისა, ეფუძნება პირველ რიგში რეგიონში ქრისტიანული სარწმუნოების სრულ გაბატონებას. დასავლეთ ევროპული საზოგადოების რელიგიურ ჰომოგენურობას, რომელიც მოიცავს მისთვის კონფესიურად უცხო გარემოს, აძლიერებს ქრისტიანული რელიგიის როლს, როგორც საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენას ყველა ევროპელისათვის. იმ პირობებში, როდესაც ეროვნული იდენტურობა მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა, რელიგიური კუთვნილება ხდება ევროპული სამყაროს ინდივიდის კუთვნილების მთავარი ნიშანი. შემთხვევითი არ არის, რომ ჯვაროსნული ლაშქრობები საერთო ევროპული საქმედ იქცა, რომლთა დროშის ქვეშ ძირითადად გაერთიანებულნი იყვნენ ევროპელი ხალხები.

ამ ფაქტორებმა გაძლიერა რომის პაპის ტახტის საერო ძალაუფლებაზე გავლენა. ლეგენდის თანახმად იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომის ეპარქიას გადასცა იტალიასა და დასავლეთ ევროპის რომის იმპერიის პროვინციებზე სრული ძალაუფლება. ამგვარად, რომის ეკლესია საკუთარ თავს აყენებდა ნებისმიერი საერო ძალაუფლებაზე მაღლა მთელს ფეოდალურ ევროპაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ პირველი ევროპული პროექტები გახდა ევროპული იდეის ამ ვერსიის პროდუქტი და ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს.

ქრისტიანული ევროპის პროექტებს შორის მნიშვნელოვანია:

ერთიანი ევროპული პროექტების საწყისად შეიძლება ჩაითვალოს ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც პირველ დაპირისპირებას წარმოადგენს ევროპასა და გარე სამყაროს შორის. ლაშქრობები იწყება XI- ის საუკუნის დასასრულს, მისი მიზანი წმიდა მიწის დაბრუნება და უფლის საფლავის ქრისტიანების ხელში ჩაგდება იყო. მართალია, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა წარუმატებლობა განიცადა, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია.

ისტორიულად პირველი ევროპული იდეის პროექტი ეკუთვნის საფრანგეთის სამეფოს სამართალმცოდნესა და პუბლიცისტს პიერ დუბუას Pierre Dubois (scholastic) (1250-1312). „წმინდა მიწის დაბრუნების“ “On the Recovery of the Holy Land” ტრაქტატში ის ევროპული მონარქების ერთგვარ ფედერაციაზე, "ქრისტიანული რესპუბლიკის" შექმნაზე საუბრობს საფრანგეთის მეფის ხელმძღვანელობით. მას სჯეროდა, რომ ევროპაში მშვიდობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთგვარი საარბიტრაჟო საბჭოს შექმნით.



მშვიდობის იდეა, როგორც ევროპული საზოგადოების უმაღლესი ღირებულება, ასევე კარგად იქნა გამოხატული დიდი იტალიელი პოეტის, დანტე ალიგიერის (1265 -1321) მიერ. სხვადასხვა წერილებსა და ტრაქტატებში დანტე მხარს უჭერდა ძლიერ იმპერიას, რომელიც ევროპაში მშვიდობის გარანტი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ავტორი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის მონარქსა და გერმანელ იმპერატორზე. დანტესთვის, ევროპული სამყარო იყო ქრისტიანული სამყარო და ეს იყო ქრისტიანული სათნოება, რომელიც უნდა გამხდარიყო შიდა-ევროპული შერიგების საფუძველი.

1453 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ევროპელი მონარქები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ძალებით უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.



1458 წელს პაპმა პიუს II მიმართა ქრისტიან მონარქებს შეკრებილიყვნენ და განეხილათ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა. პაპს მიაჩნდა, რომ ერთიან ევროპას შეუძლია მოიგერიოს გარეშე რელიგიური მტრები. სწორედ პიუს II იყო პირველი, რომელმაც თავის მხრივ გააცნო საზოგადოებას ევროპის, როგორც "საერთო სახლის", „საერთო კერის“ იდეა.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაბიჯი ასევე შეიძლება ჩაითვალოს პაპის რელიგიური ტოლერანტობის მტკიცებულებად აღმოსავლეთის განხეთქილებასთან მიმართებაში, და როგორც გაგრძელება წმიდა საყდრის ტრადიციული პოლიტიკისა "დიდი" ევროპის გაერთიანების მისაღწევად, ქრისტიანობის კათოლიკური ვერსიის საფუძველზე, ანუ კავშირის მეშვეობით. ამ ტიპის პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1274 წელს მოხდა, როდესაც რომის დედა-ეკლესია მოუწოდებდა წმინდა რომის იმპერიას, პაპსა და ბიზანტიას შერიგებისკენ.

პიუს II -ის ინიციატივა არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა: ქრისტიანული ევროპის მონარქების უმრავლესობამ არ უპასუხეს მის მიმართვას. ამ ინიციატივის წარუმატებლობის მიზეზად ასახელებდნენ, როგორც პაპის პროექტის გადაჭარბებულ იდეალიზმს, ასევე რელიგიურ შეხედულებებში ევროპული საზოგადოების სეკულარიზაციას.



ერთიანი ძალებით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა ასახული ჩეხეთის მეფის ირჟი პოდებრადელის Jiří z Poděbrad (1420–1471) პროექტშიც. მისი "ხელშეკრულება საფრანგეთს, ჩეხეთსა და ვენეციას შორის კავშირსა და კონფედერაციაზე, თურქეთის წინააღმდეგ" (1463) ასახავდა საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონალური სისტემის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას მე-15 საუკუნეში. ამ პერიოდისთვის ბიზანტიის იმპერია, რომელიც იყო ევროპის განუყოფელი, მაგრამ სპეციფიკური ნაწილი, ისტორიის არენიდან გაქრა თურქების დაპყრობის შედეგად. ბიზანტიის იმპერიის ადგილზე აღმოცენებული ოსმალეთის იმპერია მრავალი საუკუნის მანძილზე აღმოჩნდა ევროპის ცივილიზაციის სასაზღვრო ზონაში. ასეთადვე რჩება თურქეთი დღესაც.

ოსმალეთის წინააღმდეგ ირჟი პოდებრადი გამოდიოდა პან-ევროპული კონფედერაციის შექმნის იდეით, მკაფიოდ რეგლამენტირებული ინსტიტუტებითა და ნორმებით. კერძოდ, ის სთავაზობდა ევროპელებს საერთო კავშირის შექმნას, რომელიც წარმოადგენდა ამ ტერმინის შუა საუკუნეობრივი გაგებით ოთხ "ერს": ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს და იტალიურს. რომლის აღმასრულებელი ორგანო უნდა ყოფილიყო კავშირის საბჭო, რომელიც უნდა შემდგარიყო ქრისტიანული ქვეყნების ხელმძღვანელებისაგან და საბჭოს პრეზიდენტისაგან. ინგლისი, ისევე როგორც კათოლიკური პოლონეთი და ლიტვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლმადიდებელ მოსკოვზე, არ შედიოდნენ დაგეგმილ კავშირში.

ირჟი პოდებრადელის "ხელშეკრულება" მიზნად ისახავდა ანტი-თურქული კოალიციის შექმნას და გარე საფრთხეების თავიდან აცილებას.

დოქტრინაში ნათლად გამოიკვეთა ერთმორწმუნე ქრისტიანული ევროპული სამყაროს სტაბილურობის აღდგენის შესაძლებლობა. ალიანსის მონაწილეებს უნდა დაედოთ ფიცი, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ იარაღს და კავშირის წევრებსა და სხვა ქრისტიან მონარქებს შორის დავების მოგვარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ირჟი სთავაზობდა საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნას.

სამწუხაროდ, ჩეხეთის მეფემ თავისი იდეის განხორციელება ვერ შესძლო კათოლიკურ ეკლესიასთან დაპირისპირების გამო.

ევროპის ყველა ქრისტიან სახელმწიფოს ერთმანეთს შორის დაპირისპირების შეწყვეტისა და ევროპულ ალიანსში გაერთიანებისკენ მოუწოდებდა ესპანელი ჰუმანიისტი ხუან ლუის ვივესი 1492-1540 წწ. (Juan Luis Vives).

საერთო ევროპული პროექტები XVI–XVII საუკუნეებში. ევროპული საზოგადოების სეკულარიზაციის ტენდენციები, დიდი ხნის განმავლობაში იკრეფდა ძალებს და საბოლოო სახე XVI საუკუნის ბოლოს მიიღო. ევროპა, როგორც ქრისტიანული სამყაროს იდეა თანდათან კარგავდა პოპულარობას. მას ასუსტებდა 2 ფაქტორი: დასავლური ქრისტიანული სამყაროს დაყოფა კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად და და პირველი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

ახალ ევროპულ რეალობაში, ქრისტიანული ევროპის დოქტრინამ დაკარგა თავის თეოკრატიული კომპონენტი.

ევროპელი ჰუმანისტები, რომლებმაც დანტეს პაციფიზმის ესტაფეტა მიიღეს, ასევე მოუწოდებდნენ ყველა ევროპელს მშობისკენ და გაერთიანებისკენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა XV საუკუნის დიდი ნიდერლანდელი ჰუმანისტი



ერაზმ როტერდამელი Erasmus Roterodamus (1466- 1536) იყო.

როტერდამელმა საკუთარ ანტისაომარ განწყობას რელიგიური ასპექტებს დაუკავშირა, ეს ის პერიოდია, როცა ევროპაში რეფორმაციის მოძრაობა იწყება. ჩრდილოეთის მნიშვნელოვანმა ნაწილმა და წმიდა რომის იმპერიის ცენტრალური ევროპის პროვინციებმა უარი თქვეს ვატიკანის ძალაუფლების აღიარებაზე და შექმნეს საეკლესიო ორგანიზაციის ახალი მოდელი. ამგვარად დაიბადა ქრისტიანული დოგმის პროტესტანტული ვერსია. აქედან გამომდინარე, ერაზმი საზოგადოებას რელიგიურ ერთიანობისთან ერთად პაციფიზმსაც ქადაგებდა: ერაზმმა მოუწოდა ევროპელებს უარი ეთქვათ დავების სისხლიანი გზით მოგვარებაზე, რადგან ისინი ყველა ღვთის შვილები იყვნენ.

სამწუხაროდ, რელიგიური დაპირისპირება დიდხანს გაგრძელდა და XVI საუკუნის ოცდაათწლიანი რელიგიური ომში გადაიზარდა (1618–1648). საშინელება ომმა პაციფის ახალმა ტალღა გამოიწვია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ჩეხეთის მოაზროვნე-თეოლოგი და უნივერსიტეტის პროფესორი იან ამოს კომენსკი და პარიზელი ბერი და მასწავლებელი ემერიკ კრუსე.



იან ამოს კომენსკის Jan Amos Komenský (1592-1670 წ.წ.) ყველაზე

დიდი წარმატება მოუტანა მისმა ნაშრომებმა პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაზე. თუმცა, კომენსკის იდეოლოგიური მემკვიდრეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მისი მოსაზრებები ევროპაზე და ევროპული ერთიანობის მიღწევის გზებზე. თავის ნაშრომში "პანგლოტია" კომენსკი ხაზს უსვამს პან-ევროპული შერიგების კულტურულ (კომუნიკაციის) ფაქტორს. მისი აზრით, ევროპელი ხალხები, ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ, თუ ისინი ერთ ენაზე ისაუბრებენ. ასე რომ, იდეოლოგიურ ჭრილში გამოჩნდება საყოველთაო საერთაშორისო ენის იდეა.

ემერიკ კრუსემ Émeric Crucé (1590-1648) პირველმა დააყენა საკითხი ევროპული ერთიანობის ეკონომიკური საფუძვლის შესახებ. თავის ტრაქტატში

"ახალი კინეი", მან არა მხოლოდ მოუწოდა ქრისტიან მონარქებს, მოსკოვის მონარქის ჩათვლით, შეექმნათ სახელმწიფოთაშორისო ასამბლეა და მიეცათ არაქრისტიანული სახელმწიფოებისათვის მონაწილეობის საშუალება, არამედ ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება პან-ევროპული სამყაროსათვის, დაპირებისამებრ. ევროპაში მშვიდობისათვის აუცილებელ საფუძვლად, კრუსე ასევე განიხილავდა ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას.

XVII საუკუნის ევროპული პროექტების პოლიტიკური პრაგმატიზმი ეფუძნებოდა, პირველ რიგში, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მორალური კატეგორიის გამოყენებაზე უარის თქმას. კონცეპტუალურ გამართლებას ასეთი უზენოესობისათვის წარმოადგენდა ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის (1588–1689) იდეები, რომლის მიხედვით საზოგადოებასთან ურთიერთობა არის "ომი ყველა ყველას წინააღმდეგ" , ასევე ნიკოლო მაკივეელის პოლიტიკური ტრაქტატები (1469–1527), რომელშიც სახელმწიფო ინტერესების თეორია შემუშავებული იყო იტალიური ქვეყნების მაგალითზე. მეორეც, "ძალაუფლების ბალანსის" კონცეფცია ეფუძნებოდა ევროპის ქვეყნების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების და დაუცველობის აღიარებას, რომელიც დამაჯერებლად დაადასტურა ოცდაათწლიანმა ომმა.

XVII საუკუნის ევროპული თანასწორობის ერთ-ერთი პირველი ცნობილი პროექტი ჰერცოგ დე სულას (1560-1641 წ.წ.) "დიდი პროექტია". ამ პროექტის (1638) მიხედვით ევროპა 15 დაახლოებით თანაბარი ზომისა და პოტენციალის მონარქიის კონფედერაცია უნდა გამხდარიყო. ეს პირობა, რომელიც ოფიციალურად შეესაბამება "ძალთა ბალანსის" პრინციპებს, პრაქტიკაში ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნებს შორის ტერიტორიების გადანაწილებას. კერძოდ, ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები კარგავდნენ თავიანთ გერმანულ და იტალიურ ქონებას, რაც საკმაოდ ბუნებრივი მოვლენა იყო ფრანგი პოლიტიკოსისთვის. კონფედერაციის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო გენერალური საბჭო, რომელიც შემადგენლობაში შევიდოდა ყველა ქვეყნის 40 წარმომადგენელი. საბჭო ყოველ სამ წელიწადში შეიცვლიდა წევრებს და დაექვემდებარებოდა ექვს რეგიონალურ საბჭოს. გენერალური საბჭოს ძირითადი ამოცანა და უფლება იქნებოდა საარბიტრაჟო დავების განხილვა ევროპის ქვეყნებსა და მათ სუბიექტებს შორის. საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო და საბოლოო უნდა ყოფილიყო. ძირითადად საბჭოს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის კონფედერაციის ფარგლებს გარეთ, დე სულამ დატოვა თურქები, მოსკოველები და თათრები. ამგვარად, "დიდი პროექტის" მიხედვით ევროპის კონფიგურაცია აშკარად ატარებდა ცივილიზაციურ ხასიათს. საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი დინამიკის დაკვირვებით მან ამ ქმედებით შეინარჩუნა მრავალი მიმდევარი ევროპაში.

ევროპული პროექტები განმანათლებლობის ეპოქაში. განმანათლებლობის ფილოსოფია, რომელიც ევროპაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და XVIII საუკუნეში ევროპული საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი გახდა, ღრმა კვალი დატოვა ევროპული იდეისა და ევროპული პოლიტიკური მოდელის განვითარებაზე. ასე რომ, ევროპაში მომავალი მშვიდობიანი მოწყობის ქვაკუთხედს, ინგლისელი უილიამ პენი (1644-1718) სამართლიანობასა და "ხალხის გონივრულ სამშვიდობო ხელშეკრულება"-ში ხედავდა. თავის ნაშრომში „დღევანდელი და სამომავლო სამყაროს მონახაზი ევროპაში“ (1693), ვ. პენი სთავაზობს ევროპის ლიგის და კონფედერაციის ჩამოყალიბებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ყველა ევროპულ ქვეყანას, ისევე როგორც "თურქებსა და მოსკოველებს". როგორც ჩანს, რუსეთი კვლავაც ევროპის ბარიერის მიღმაა, თუმცა, ამჯერად მას უკვე იზიდავს ევროპული სისტემები, როგორც გარე მონაწილეს. ლიგის უმაღლესი ორგანო უნდა ყოფილიყო კონგრესი (პარლამენტი), რომელთა ფუნქცია იქნებოდა არბიტრაჟი და საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტში მყოფი ქვეყნების მშვიდობისკენ იძულებით შემობრუნება. პენის ეს პროექტი ძალიან ჰგავდა დე სულას "დიდი პროექტს". კონგრესის შტატების ხმები წლიური შემოსავლის პროპორციულად და მათი ცალკეული ტერიტორიების ღირებულებების პროპორციულად გადანაწილდებოდა. თავის პროექტში, ვ. პენი შეეხო ევროპის ლიგაში გადაწყვეტილების მიღების მრავალდონიანი სისტემის შემოღებას. მან გამოყო სამი დონე: ზენაციონალური, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. პენის მიერ შემოთავაზებული ეს სტრუქტურა თავის დროზე იყო ნოვატორული. იდეა გადარჩა და დღემდე წარმატებით ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურებში.

ერთ-ერთი ყველაზე სისტემური და კონცეპტუალური ევროპული პროექტი ეკუთვნის ფრანგ აბატს შარლ დე სან-პიერს (1658-1743 წ.წ.). თავის ნაშრომში- "მარადიული მშვიდობის პროექტი" (1712-1729), ის ყურადღებას უთმობს ერთიანი

ევროპული გაერთიანების წინაპირობების ჩამოყალიბებასა და მისი მექანიზმების შექმნას.

სან-პიერი გამოყოფს შემდეგ ძირითად წინაპირობებს, რომელიც მისი აზრით ხელს შეუწყობდა ევროპული ხალხების დაახლოებას და ევროპაში "მარადიული მშვიდობის" დამკვიდრებას:

სენ-პიერისთვის "საუკუნო მშვიდობის" საფუძველი იყო სტატუს კვოზე დაფუძნებული "ევროპული ბალანსი". სენ-პიერი ხაზგასმით აღნიშნავდა დიპლომატიური მოლაპარაკებების როლს და მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი გარანტირებულად ხელსაყრელია ყველა შეთანხმებისთვის. თუმცა, XVIII საუკუნის ევროპული პოლიტიკის რეალობა არ იძლეოდა მშვიდობიანი ევროპის იმედს, სტატუს კვოს საფუძველზე, რასაც სან-პიერის პროექტის მრავალი კრიტიკოსი აღნიშნავდა. ამავდროულად, ავტორის უდავო დამსახურება იყო ევროპული საზოგადოების ინტეგრაციის გრძელვადიანი სისტემა.

სან-პიერის პროექტის მსავსია დიდი გერმანელი ფილოსოფოსის **იმანუელ კანტის** (1724-1804 წ.წ.) ცნობილი ტრაქტატი "მარადიული მშვიდობისკენ". პროექტის მიზანი, რომელიც კანტმა შექმნა დიდი საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში, ატარებს ძალზედ იდეალისტურ ხასიათს-საუკუნო მშვიდობისთვის, რომელიც დაფუძნებულია სტატუს კვოზე. ამ მიზნის მისაღწევად, ავტორი სთავაზობს შესაბამისი ხელშეკრულების დადებას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ დენონსირების უფლების გარეშე. სინამდვილეში, ეს იყო ევროპული ქვეყნების კონფედერაციის შექმნის საკითხი. უპირობო კონცეპტუალური ღირებულება აქვს კანტის იდეას ურთიერთდამოკიდებულებაზე, „სახელმწიფო მოქალაქეობის უფლებებზე“, საერთაშორისო უფლებებზე და ე.წ. მსოფლიო მოქალაქეობის უფლებებზე.

კანტმა სახელმწიფოს შიდა ორგანიზაციის მორალური საფუძვლები დაუკავშირა მის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას. ფილოსოფოსის აზრით, ამორალური რეჟიმი, რომელიც ახდენს საკუთარი მოქალაქეების შევიწროებას, არ შეუძლია გაატაროს მორალური, სამართლიანი საგარეო პოლიტიკა. ამდენად, 18-ე საუკუნის ბოლოს და 19-ე საუკუნის დასაწყისში, კანტმა კარგად ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის ძირითადი დილემა, რომელიც აწესებს კონკრეტული სახელმწიფოს ლეგიტიმურობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პირდაპირ დამოკიდებულებას ქვეყანაში ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით.

ევროპული იდეის კრისტალიზაციის პროცესში განმანათლებლობის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ევროპის ერთიანობის ახალი პროექტების წარმოქმნით. ევროპული კონცეპტუალური მემკვიდრეობის გამდიდრება მიმდინარეობდა ევროპის იდეის ჩამოყალიბების პარალელურად. ამ პროცესს ორი ჰიპოსტასი ჰქონდა. ერთის მხრივ, კოლონიზაციის იმპულსმა გამოიწვია ევროცენტრიზმის გაჩენა. სწორედ, მე-19 საუკუნის ევროცენტრიზმის მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა რასობრივი თეორიის საფუძველზე, ემსახურებოდა მე-20 საუკუნეში ნაცისტურ-ევროპული პროექტის „ახალი ევროპა“ განხორციელებას. მეორეს მხრივ, ევროპელებსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კონტაქტების გააქტიურება, რომელიც ეფუძნებოდა ჰუმანურ და საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხელი შეუწყო ევროპული იდეოლოგიური მემკვიდრეობის ლიბერალური, კოსმოპოლიტური კომპონენტის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ევროპული კულტურა-მხოლოდ ერთია მრავალ კულტურას შორის, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი ღირებულება და თანაბარი უფლებები სხვებთან მიმართებაში. უნივერსალიზმი, გაგებული, როგორც ტოლერანტობა სხვა საზოგადოებების ნორმებსა და ღირებულებებთან მიმართებაში, დღეს, ევროპის საზოგადოების ეთიკური კოდექსის ერთ-ერთი დომინანტია.

XIX საუკუნის ევროპული პროექტები: განხორციელების მცდელობები და ახალი პერსპექტივები. XIX საუკუნის დასაწყისი აღინიშნა ევროპული გაერთიანების გრანდიოზული და სისხლიანი ეპოპეით, საფრანგეთის იმპერიის ეგიდით, ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით. ნაპოლეონის პროექტების განხორციელებისას ჩატარდა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური სივრცის გადამწყვეტი რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. გერმანიის ქვეყნები გაფართოვდნენ, გაუქმდა წმინდა რომის იმპერია (1806), დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური რეჟიმების გაერთიანება საფრანგეთის მოდელთან. კერძოდ, რიგ ქვეყნებში, კანონმდებლობაში ჩართული იყო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 1804 წელს (ნაპოლეონის კოდექსი).

ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა ევროპის პერიფერიაზე - რუსეთში, ესპანეთში და ბრიტანეთის იმპერიაში. 1814 წელს ნაპოლეონის მიერ ევროპის ძალისმიერი მეთოდით გაერთიანების გეგმამ საბოლოო კრაზი განიცადა. ამის შედეგად, აქტუალური გახდა ევროპული

პოლიტიკური სივრცის ორგანიზაციის პროექტი, წმიდა ალიანსის ეგიდით, რუსეთისა და ავსტრიის მიერ შემოთავაზებული.

1815 წელს, ვენის კონგრესზე ხელმოწერილი წმიდა ალიანსის აქტით გამოცხადდა ევროპული პოლიტიკის დაბრუნება ქრისტიანულ მორალურ ნორმებზე. ამას გარდა, ევროპული სისტემის ქვაკუთხედი გახდა ლეგიტიმაციის პრინციპიტრადიციული მონარქების უფლებების პატივისცემა.

XIX საუკუნის მიწურულს, ევროპა წარმოადგენდა საპირისპირო ბლოკების წარმოქმნის არენას: ცენტრალური ევროპული ძალების გაოთხმაგებული კავშირი ჩაება კონტინენტზე ჰეგემონიისთვის ბრძოლაში ძველ კოლონიურ იმპერიებთან და რუსეთთან ერთად. აქედან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ევროპული იდეა წარმოადგენდა გაურკვევლობას დიდ პოლიტიკაში.

ამავდროულად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული მშენებლობის ინიციატივა მთავრობებიდან საზოგადოებას გადაეცა. ევროპული იდეის ახალი აღმავლობა ხდება სოციალური ბრძოლის გამწვავებისა და ევროპული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობის ზრდის კონტექსტში. ევროპული იდეის ახალი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ვერსიას წარმოადგენდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ლიბერალები და ნაციონალისტები. მათ შორის - ჯუზეპე მაზზინი, მოძრაობა "ახალგაზრდა ევროპის" დამფუძნებელი (1834), ლუი ბლანი, ლაიომ კოშუტი და სხვები. ადრე განხილული ევროპული პროექტების ავტორებისგან განსხვავებით, "ახალგაზრდა ევროპის" ლიბერალური ნაციონალისტები და მათი ანალოგიები მოითხოვდნენ არა ევროპული ქვეყნების, არამედ ევროპული საზოგადოების კონსოლიდაციას.

1842 წელს, ლონდონში მშვიდობის კონგრესი ჩატარდა, სადაც ევროპული ერთიანობის ლიბერალური მხარდამჭერები შეიკრიბნენ. სწორედ ანალოგიურ ფორუმზე-მსოფლიოს მესამე III კონგრესზე, რომელიც გაიმართა 1849 წელს პარიზში, ვიქტორ ჰიუგომ წარმოსთქვა ცნობილი ფრაზა ევროპის შეერთებულ შტატებზე. ამიერიდან, ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგი ევროპულ მოძრაობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი იქნება. მათ თავისი საწყისი ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს.

ამდენად, ერთიანი ევროპის იდეა, რომლის პირველი ნიშნებიც IX-X საუკუნეებში იღებს სათავეს, ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს. ის ევროპასა და გარე მტერებს შორის დაპირისპირებით, ჯვაროსნულ ლაშქრობებით დაიწყო.

ევროპამ, როგორც ქრისტიანული სამყაროს იდეამ, თანდათან დაკარგა პოპულარობა, რაც თავიდან განპირობებული იყო დასავლური ქრისტიანული სამყაროს დაყოფით კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად და პირველი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით.

მოგვიანებით, ოცდაათწლიანმა რელიგიური ომებმა, რომელიც სისხლიან უბედურებად გადაიქცა (1618–1648) პაციფის ახალმა ტალღა წარმოშვა. XVII საუკუნის ევროპული პროექტები პოლიტიკური პრაგმატიზმი ეფუძნებოდა და აშკარად ცივილიზაციურ ხასიათს ატარებდა.

რაც შეეხება განმანათლებლობის ფილოსოფიას, რომელიც ევროპაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და XVIII საუკუნეში ევროპული საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი გახდა, მან ღრმა კვალი დატოვა ევროპული იდეისა და ევროპული პოლიტიკური მოდელის განვითარებაზე.

ევროპული იდეის ჩამოყალიბების პარალელურად ასევე მიმდინარეობდა კოლონიზაციის პროცესები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ევროცენტრიზმის გაჩენა, რომელიც ჩამოყალიბდა რასობრივი თეორიის საფუძველზე და მიზნად ისახავდა ნაცისტურ-ევროპული პროექტის „ახალი ევროპა“ განხორციელებას.

თავის მხრივ, ევროპელებსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის აქტიურმა ურთიერთობებმა, რომელიც ეფუძნებოდა ჰუმანურ და საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხელი შეუწყო ევროპული იდეოლოგიური მემკვიდრეობის ლიბერალური კომპონენტის ჩამოყალიბებას.

და ბოლოს, XIX საუკუნეში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სისხლიანი დაპირისპირებები ევროპის სახელმწიფოებს შორის XX საუკუნეშიც გაგრძელდა და მას ორი მსოფლიო ომი მოჰყვა, რამაც მასობრივი პაციფისტური და ევროპული მოძრაობების შესუსტება და ჩახშობა გამოიწვია. მისი შემდგომი აღდგენა უკვე ომების შემდეგ იწყება.

კითხვები:

1. როდის ჩნდება ერთიანი ევროპის იდეის პირველი ნიშნები?
2. როდის იწყება დაპირისპირება ევროპასა და გარე სამყაროს შორის ?
3. ვის ეკუთვნის ისტორიულად პირველი ევროპული იდეის პროექტი?
4. რატომ კარგავდა პოპულარობას ევროპა, როგორც ქრისტიანული სამყაროს იდეა?
5. როდის მიიღო საბოლოო სახე ევროპული საზოგადოების სეკულარიზაციის ტენდენციებმა?
6. პირველად ვინ დააყენა საკითხი ევროპული ერთიანობის ეკონომიკური საფუძვლის შესახებ.?

თავი 3. საქართველო და ევროპა (ანტიკური პერიოდი და შუა საუკუნეები)

Georgia and Europe (Ancient and Medieval times)

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა არ დაწყებულა დღეს, ის გაცილებით ადრე დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ისტორიის მთელ მანძილზე და აქტიურად გრძელდება ახლაც. „საერთო ევროპული მემკვიდრეობისაკენ ლტოლვას ჩვენს ქვეყანაში, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ასაზრდოვებდა. ის უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში. როგორც ირკვევა, ქართველურ ტომებს, შესაძლოა, გენეტიკური ურთიერთობები ჰქონდათ წინაბერძნული ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან (პელასგებთან, ლელეგებთან, მინოსელებთან და ა.შ.), ასევე იტალიის უძველეს მოსახლეობასთან, ეტრუსკებთან. მიკენური ეპოქიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია [1,8]. სწორედ ამ მუდმივმა მრავალმხრივმა ურთიერთობებმა განსაზღვრა ევროპული ღირებულებებისადმი საქართველოს დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დღევანდელ ევროპულ ორიენტაციაზე [2, 97].

მიუხედავად მეცნიერთა დიდი ნაწილის მტკიცებისა, რომ ევროპული იდენტობის საფუძვლები ანტიკური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ევროპის, როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება და შესაძლებელია, ეს ანტიკურობასაც სცილდება. ამიტომაც ურიგო არ იქნებოდა ანტიკური ეპოქის კულტურული იდენტობის კვლევისთვის იმის გარკვევა თუ რომელი კულტურული კომპონენტები ედო საფუძვლად მას ისტორიის ადრინდელ ეტაპზე. აქ კი ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ ხალხს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, რომლებთანაც ბერძნებს ჰქონდათ შეხება და რომლებიც ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე ბინადრობდნენ ამ ტერიტორიაზე. ნიშანდობლივია, რომ სხვებთან ერთად აქ იყვნენ ქართველური ტომებიც. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამის, შესახებ არაერთი საინტერესო დოკუმენტი მოიპოვება [2, 103].

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები უკვე შავი ზღვის აუზში ანტიკური პერიოდიდან გაგრძელდა. ამ დროიდან ეს ურთიერთობები უფრო ინტენსიური

ხდება, განსაკუთრებით ე. წ. დიდი ბერძნული ახალშენების დაარსებიდან (ძვ. წ. VIII-VI ს.ს.).

ბერძნული ახალშენების დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო გაიზარდა.

კოლხეთის სანაპიროს კოლონიზაციის ერთერთი მიზეზი არის ბერძნების მიერ ამ ტერიტორიის ევროპად გააზრებაა. ბერძნული კოლონიზაცია კი გულისხმობდა ევროპად გააზრებული ტერიტორიების ბერძნულ ეკონომიკურ სისტემაში ჩართვას. ჰეროდოტესთან ევროპის საზღვრებია ფაზისი, კოლხიდის მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მეოტისის მდინარეს, ტანაისსა და კიმერიულ გადასასვლელს)~. (ჰეროდ. IV. 45). შესაბამისად, ეს ტერიტორიები ბერძნული სამყაროს შესაძლებელ ნაწილად აღიქმებოდა. ბერძნების მოსვლის ერთერთი მიზეზიც ეს არის – დასავლეთ საქართველოს ურწყავი ზონა მათი პერცეფციით შესაძლებელი იყო ჩართულიყო ბერძნულ ეკონომიკურ სისტემაში.

მოგვიანებით, ძვ. წ. I ს. შუახანებიდან, რომის მიერ წინა აზიაში ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების შემდეგ, ე.ი. დასავლეთის ვექტორის გაძლიერების შემდეგ, მთელი მცირე აზია გახდა ევროანტიკური ცივილიზაციის ნაწილი, ქართულ პოლიტიკურ სამყაროს სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტობრივად მოეხსნა. [3]

დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს ევროპული ორიენტაციის ჭრილში, ძალიან მნიშვნელოვანია VI საუკუნეში (აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირების პერიოდში, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა), ეგრისის ორიენტაციის საკითხი, როდესაც მათ, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა.

555 წელს ეგრისის სახალხო კრებაზე, სადაც ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი წყდებოდა. ეგრისის დიდებულთა ერთი ნაწილი, რომელსაც აიეტი მეთაურობდა, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე — ფარტაზის მომხრეები, ირანთან კავშირის

მოწინააღმდეგე იყო და საჭიროდ თვლიდა იმპერატორ იუსტინიანე I-ისათვის მოეთხოვათ გუბაზის მკვლელთა სასტიკი დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის, წათეს, დამტკიცება.

ცხარე კამათის შემდეგ ფარტაზის მომხრეებმა გაიმარჯვა და კრებამ აირჩია დიდებულთა დეპუტაცია კონსტანტინეპოლში გასაგზავნად. იუსტინიანე I იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეგრისელთა მოთხოვნა.

ბიზანტიელმა ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა (ლათ. Agathias Scholasticus, ბერძ. Ἀγαθίας Σχολαστικός; 536 – 582 წ.წ.) —შემოგვინახა ეგრისის საერთო კრებაზე აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტი.

სადაც აიეტი ამტკიცებდა, რომ გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისია და „რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახულიო, სპარსელები კი უფრო სანდობნი არიან“.

„გაქრა კოლხების ძველი ღირსება, - დღეიდან ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები უკვე აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო გაგვაბახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თმა უნდა რომაელები იმათ უფრო თავხედურად ექცევიან ვინც ემორჩილება და ჩვეულებრივად ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება ... მე მინდა რომ კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი დიდება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის ასევე მშვიდობის დროს ის თავის ძალებს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ან ორივე მიზეზის წყალობით ისე დავუძღვრდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელქვეითი ვიყოთ უფრო კეთილისმსურველის, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან.“

ფარტაზი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულისთვის დაევიწყათ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა აეირჩიათ.

„გუბაზ მეფის მკვლელობა სტრატეგების საქმეა და აქ კეისრი არაფერ შუაშია. რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს. სასოწარკვეთილებას და გრძნობების დელვას კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების სურვილით, ვაჟკაცურად უნდა

გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არავითარი უღირსი და მამაკაპური წესების შემბღალავი. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნა, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე.“

ეს გამოსვლები ქართული ორატორული ხელოვნების უძველეს ნიმუშადაა მიჩნეული.

ამდენად, საქართველოსთვის, ანტიკურ სამყაროსთან მრავალმხრივი ურთიერთობების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის მიღებასაც, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო „ცივილიზაციური გამიჯვნა“ მოჰყვა. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მან საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტურობა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მიუხედავად გარეშე მტრების მიერ საქართველოს მრავალგზის დაპყრობისა, ევროპასთან ურთიერთობების წყვეტილობისა, ქვეყანამ საკუთარი თვითმყოფადობა და სახელმწიფოებრიობა დღემდე შეინარჩუნა და დიდად განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტურობა [2, 109].

რაც შეეხება ქართული იდენტობის საკითხს, საინტერესოა რომელი მარკერია ცივილიზაციურად ევროპულ იდენტურობასთან ყველაზე ახლოს ან მსგავსი.

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპი“, განსაზღვრულია გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხით (Kecmanovic, 1996). თეორეტიკოსები (De Cillia 1999; Hobsbawm 2005; Staub 1997) მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება და ამ პროცესს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. ეროვნული იდენტობის კვლევისას ლეგიტიმურად ჩნდება ასეთი კითხვები: რა ქმნის **ნაციონალურ** იდენტობას? რა ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ჩვენს თავს ქართველებად აღვიქვამთ? ჰაიდერისა და შმიდტის აზრით, ეს არის ემოციები ეროვნული იდენტობის გარკვეული ასპექტების მიმართ, რომლებიც მთელ ერს, როგორც მთლიანობას აერთიანებს. ამგვარ ასპექტებად ჰაიდერი და შმიდტი გამოყოფენ: ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და ერთობასთან სიახლოვის განცდას (Heyder; Schmidt, 2001) [4, 75].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული იდენტობის კულტურული მარკერები, სხვა ცივილიზაციებთან შედარებით, ევროპულთან უფრო მეტ მსგავსებას ავლენს და ეს შეუიარაღებელი თვალთაც ჩანს. ამიტომაც ქართული იდენტობა, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებელი და ინდივიდუალურია, იმავდროულად, ყველაზე მეტად (თუ არ ჩავთვლით ზოგად კავკასიურს, რომელიც ცალკე განხილვის თემაა) ცივილიზაციურად ევროპულთან ახლოს დგას და მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ევროპული. ყოველივე ეს კი, როგორც ისტორიული რეტროსპექტივიდან ჩანს, ჩამოყალიბდა იმ კულტურასთან თანაარსებობითა და ურთიერთობებით, რომელიც მიჩნეულია ევროპულის საწყისად. ხოლო დანარჩენი, რომელიც შეიძლება განსხვავდება ევროპულისაგან, შეძენილია, ევროპის, როგორც ცნების არსებობამდე დიდი ხნით ადრე და ევროპული სამყაროსგან წყვეტილობის პერიოდში, რომელიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე მიმდინარეობდა.

საუკუნეთა მანძილზე ქართულ იდენტობას მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან. გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქ-სელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირის და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითმა ომებმა თუ ოკუპაციამ, რამაც საბოლოო ჯამში ქართული იდენტობა გარკვეულწილად შეაფერხა, მაგრამ მაინც ვერ შეცვალა.

მიუხედავად ამისა, ქართველობას არ შეუწყვეტია სწრაფვა ევროპისაკენ და ევროპული იდეალებისაკენ. ამის უნიკალური მაგალითია ჯერ კიდევ XII საუკუნეში საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის იდეა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელმაც მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა ახალი ორგანოს, „კარავის“ სახით, რომელიც დემოკრატიული მმართველობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა [5, 31].

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში საქართველო ბიზანტიის შემდგომ იყო მეორე ქვეყანა, სადაც არათუ სიკვდილით დასჯა გაუქმდა, არამედ აიკრძალა ადამიანის დამასახიჩრებელი და ღირსების შემლახავი სასჯელებიც. ასეთი სიახლე იმ დროის მსოფლიო სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ აზროვნებაში, საქართველოს დიდ კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ქვეყნად წარმოაჩენდა.

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი მაგალითია ასევე ქართველების ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თურქ სელჩუკებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული, მასში ევროპელებთან ერთად დავით აღმაშენებლის ლაშქრიც იღებდა მონაწილეობას, [6, 295].

ქართველი რაინდები განსაკუთრებული სიმამაცით იბრძვიან ჯვაროსნულ ომებში, ნათქვამია "ჯვაროსანთა ისტორიაში".

თამარ მეფეც ჯვაროსნულ ლაშქრობაში ექომაგებოდა პაპს და დახმარებასაც აღუთქვამდა მას, ლაშა გიორგიც აპირებდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მონღოლთა შემოსევისა და თვით მისი გარდაცვალების გამო მას ეს არ დასცალდა.

დედოფალი რუსუდანი რომის პაპს იოანე მესამეს 1224 წელს სწერდა მისი ძმის ლაშა-გიორგის სურვილის შესახებ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ, რომელიც მას არ დასცალდა [7,176].

ხოლო მას შემდეგ, რაც მონღოლები შემოესივნენ საქართველოს რუსუდან დედოფალი პაპს გრიგოლ IX დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ პირობას იძლეოდა, რომ ქართული ეკლესია, რომის ეკლესიას შეუერთდებოდა., რუსუდან დედოფლის ამ განზრახვას პაპმა „ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობის ნიშნში უწოდა“ [7, 190]. სამწუხაროდ პაპი საქართველოს ვერ დაეხმარა და ქვეყანა მონღოლთა ბოტონობის ქვეშ მოექცა.

როგორც ვხედავთ, ჯვაროსნული ლაშქრობების ფარგლებში რომსა და საქართველოს შორის დაწყებული პოლიტიკური ურთიერთობები მოგვიანებით კულტურულ ურთიერთობებში გადაიზარდა, რასაც საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა მოჰყვა.

მართალია, პაპობაზე დამყარებული იმედები ვერ გამართლდა, მაგრამ ქართველი მეფეები არ წყვეტდნენ კავშირს რომთან, პირიქით, საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ასეთი წარმატებული საქმიანობა, თავისთავად მიუთითებს თუ რა დიდ პატივს სცემდნენ ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები რომის პაპებსა და მათ წარმომადგენლებს. [8, 100]

გარდა ამისა, მეტად ნიშანდობლივია ის საკითხიც, რომ ეკლესიათა ერთიანობის მცდელობის საკითხს პოლემიკა ან რაიმე სერიოზული განსჯა არ მოჰყოლია, შეიძლება ამას რაიმე სხვა განმარტებაც აქვს, თუმცა XIII-XV საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები ქართული მართმადიდებლური ეკლესიის

რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების კონკრეტულ გადაწყვეტას., მჭიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რომის პაპების რეალურ სამხედრო დახმარებას. [8, 100].

ამდენად, საქართველო ვატიკანის ურთიერთობა იყო ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება XIII-XVIII საუკუნეებში, რომელიც დაიწყო რომში სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაშლით. [8, 8].

თურქ-სელჩუკებთან და მონღოლებთან თავგანწირული ბრძოლებით საქართველომ შეანელა ევროპის ქვეყნებზე ამ დამპყრობლების შეტევითი ტალღები, თუმცა თავად გახდა შემდგომ მსხვერპლი ოსმალთა და სპარსელთა მუდმივი თავდასხმებისა.

1453 წელს ოსმალთა მიერ ბიზანტიის და კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა საგრძნობლად შეაფერხა და თუ აქამდე ევროპელები ქართველ მეფეებს თხოვდნენ დახმარებას, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ქართველი მეფეები თვითონ ითხოვენ ევროპისაგან დახმარებას.

ამ მხრივ საინტერესოა ქართლის მეფის ლუარსაბ I (1527—1556 წ.წ.) თხოვნა რომის პაპისა და ევროპელი მეფეებისადმი დახმარების თაობაზე.

თეიმურაზ პირველის (კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632) მიერ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახი) ელჩად დანიშვნა ევროპაში.

ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰ-ნავაზის (1658-1675 წ.წ) კავშირი ევროპულ სახელმწიფოებთან, ამჯერად ის უფრო ეკონომიკური სახის დახმარებას ითხოვდა.

ასევე აღსანიშნავია, ვახტანგ VI მცდელობა დახმარების მიღების თაობაზე, ამ მიზნით, მან სულხან-საბა ორბელიანი მიავლინა საფრანგეთში.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლემაც (კახეთის მეფე 1744-1762 წ. წ. ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წ.წ) სცადა ევროპასთან დაახლოება, მან თხოვნით მიმართა ავსტრიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფესა და ევროპის ქვეყნების მმართველებს დახმარების მიღების მიზნით.

ასევე აქტიური ურთიერთობები ჰქონდა იევროპასთან სამეგრელოს სამთავროს. ლევან მეორე დადიანმა (ოდიშის მთავარი 1611-1657 წ.წ.) ჩამოიყვანა

კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში და დაიწყო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ევროპასთან. მოგვიანებით კი დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილმა სალომე დადიანმა საფრანგეთის სამეფო კარზე ჯვარი დაიწერა ფრანგ პრინც აშილ მიურატზე.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეფეებსა და მთავრებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპასთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა, „საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მეფეები ევროპასთან კავშირისთვის იღწვოდნენ, იმიტომ, რომ საქართველო არ იყო აზია, არც ხორციელად, არც სულიერად, არც ბუნებითა, არც ხასიათით, არც ცხოვრების წესით, არც ზნეობით. საქართველოსა და აზიას შორის ანუ ევროპეიზმსა და ორიენტალიზმს შორის ისეთივე სხვაობა იყო და არის, როგორც თვით აზიასა და ევროპას შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გეოგრაფიულად აზიასთან უფრო ახლოს არის, ის მაინც ვერ ეგუებოდა მას, ვინაიდან თავისი სულიერი გამოვლინებით ევროპელი იყო“. აღნიშნავდა ქართველი ემიგრანტი მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე [9].

1783 წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ “ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია ძალიან სერიოზული იყო... [10, 62] ქვეყანა მაინც იძულებული გახდა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატზე მოეწერა ხელი, რომლითაც რუსეთს ირან-ოსმალეთის ექსპანსია უნდა შეეჩერებინა. მოგვიანებით, რუსეთმა თანდათან ტრაქტატის დარღვევა დაიწყო და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და თავისუფლება.

ქვეყანა კი, დღემდე რუსული ექსპანსიის მსხვერპლია და განიცდის ორსაუკუნოვანი დეფორმირებული ცნობიერების პრობლემას. ამ პრობლემის მიხედვით, ინტელიგენციის, გარკვეულ ნაწილს, ... მიაჩნია, რომ რუსული სივრციდან გამოსვლა ან უბრალოდ, არ შეგვიძლია, ან არ იქნება მომგებიანი. ასეთი მიდგომა, საბჭოური აზროვნების პროდუქტია. იგი ეწინააღმდეგება ეროვნულ იდენტობას... იგი ეწინააღმდეგება ასევე ჰუმანიზმსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. [11, 52]

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს მაინც არ შეუწყვეტია გზების ძიება ევროპისაკენ და ახერხებდა ამას სხვადასხვა ფორმით.

XIX საუკუნიდან ქართველი განმანათლებლები აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ივანე მაჩაბელი და სხვ. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ევროპელობას თავისუფლების, ჰუმანურობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ევროპული ფასეულობებითა და ღირებულებებით, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეებით.

ამ ღირებულებების სამშობლო კი ისტორიულად საქართველო იყო, ისევე, როგორც პირველი ევროპელისა. საქართველო მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით უნიკალური ქვეყანაა. ამიტომაც შეძლო საქართველომ ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთში, ყოფილიყო მიმღები განსხვავებული კულტურებისა და სწორედ ამან შეუწყო ხელი ქართული იდენტობის შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ გაუჭირდა მისი მოსპობა ყველა დამპყრობელს და ებრძოდა ყველა დამპყრობელი ქართულ იდენტობას, როგორც გარანტს კავკასიელი ხალხების გადარჩენისა. ყველაზე დაუნდობელი, ორგანიზებული ბრძოლა კი „რუსულმა ცივილიზაციამ“ გამოუცხადა „კავკასიურ ცივილიზაციას“. [11,52]

ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ქართულ რეალობაში მათი დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ასევე XIX-XX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებს ნიკო ნიკოლაძესა და არჩილ ჯორჯაძეს. მათი შეხედულებები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ დღესაც აქტუალურია.

„ჩვენ გვსურს დასავლეთ ევროპასთან გავმართოთ საუბარი, – წერდა არ. ჯორჯაძე, – ევროპასაც უნდა გავაცნოთ საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედი. ...ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გავამხნევებდით და წავახალისებდით უსასო, დაჩაგრულ პატარა ერს“ [12].

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებები პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ განსხვავებული იყო (კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში), ზოგადად, ორივე თანხმდებოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგანაც «სინათლე და მოძრაობა» დასავლეთიდან მოდის და, შესაბამისად, ამ ღირებულებების - კანონის უზენაესობის, თავისუფლების, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის და სხვათა შესახებ, საქართველოს აღორძინების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1918 წელს რუსეთის რევოლუციით ისარგებლეს იმპერიაში შემავალმა ყოფილმა სახელმწიფოებმა და აღადგინეს დამოუკიდებლობა. მათ შორის საქართველომაც. დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა აქტიურად ცდილობდა ევროპულ სივრცესა და ორგანიზაციებში ინტეგრაციას, თუმცა 1921 წელს ესეც ჩაიშალა, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის შედეგად, რომელიც 1991 წლამდე გაგრძელდა.

ოკუპაციის შემდეგ მრავალი ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ემიგრაციაში ყოფნისას მათ იმედი არ დაუკარგავთ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ ევროპაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა. მათ მრავალი ნაშრომები შექმნეს ემიგრაციაში (აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომები დღემდე ბოლომდე შეუსწავლეელია, ამიტომაც კვლავ დიდი შრომაა ჩასატარებელი ემიგრანტული მემკვიდრეობის შესასწავლად), რომელთა ნაწილი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეებს მიეძღვნა.

ერთიანი ევროპის იდეის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა – მიხეილ მუსხელიშვილმა (1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძემ (1901-1981).

მიხეილ მუსხელიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა და დაასაბუთა ევროპის გაერთიანების, ევროპის ფედერაციის შექმნის იდეა. მისი აზრით, ევროპული ფედერალიზმი - ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია - წერდა იგი ნაშრომში “ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა” [13, 50].

რუსეთის ხელისუფლებას დასავლეთის მხოლოდ ტექნიკური მიღწევები აინტერესებს, მიაჩნდა მუსხელიშვილს, შემდეგ კი იგი მზადაა ზურგი შეაქციოს ევროპას. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთის ანექსიამდე მას მუდამ დასავლეთისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. ქართველი ერი მხოლოდ ერთიანი ევროპის პირობებში მოიაზრებდა საკუთარი ფიზიკური არსებობის, კულტურული განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

სტატიამი „საქართველო და ევროპა“ მუსხელიშვილი წერდა, რომ საჭიროა ფიქრი იმაზე თუ რა ადგილს დაიმკვიდრებს თავისუფალი საქართველო ხვალინდელ მსოფლიოში..., როგორ შეუძლია მას თავი დააღწიოს რუსულ აგრესიას. ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე: ან იძულებით დარჩეს რუსეთის შემადგენლობაში ან მოკავშირე ემეზოს. სიმართლე, რომ ითქვას მას არჩევანი არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო უფრო ახლოსაა (იგულისხმება მენტალურად ავტ.) ევროპასთან და უცხოა რუსეთისთვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს დათანხმდება რუსეთთან შეერთებას.

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის ხალხთა კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი, “ფედერალური ევროპის მოძრაობის” კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცეპრეზიდენტი... იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში “ერთიანი ევროპის” წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალის “ევროპის ფორმირება” რედაქციის კომიტეტის წევრი [14, 139].

1953 წლის 10 აგვისტოს დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა” (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხეილ წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი ასევე მ. მუსხელიშვილი იყო [15].

1954 წლიდან მან „ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია“ დაარსა და მისი გენერალური მდივანი გახდა. სტრასბურგში მუსხელმა შექმნა „მუსხელის სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხებს იკვლევდა. ამ ცენტრში მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვ. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის ორი დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა [16].

გერმანიაში მოღვაწეობდა, ასევე, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ნიკურაძე. ის კონტინენტური ევროპის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო მიუნჰენში, მასთან ერთად ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი. ალექსანდრე ნიკურაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა რამოდენიმე წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია: “აღმოსავლეთ ევროპა”, “კავკასია”, “ოცნებითგან ვიდრე საქმემდე,” რომლებშიც განხილულია ევროპული ინტეგრაციის საკითხები,

ასევე საქართველოს ისტორიისთვის. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება “ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან”.

1952 წელს საფრანგეთში, ქ. კომპიენტან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით “ლა ბრევიერის” სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის წინადადება მცნება-ტერმინის “ევროპოლოგიის” შემოღების შესახებ, რაც გაზიარებულ იქნა ევროპელ მეცნიერთა მიერ [14, 142].

ამდენად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები მხარს უჭერდნენ ევროპის გაერთიანების იდეას და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გახდებოდა ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს და ევროკავშირის დაახლოების პერიოდის სწორედ აქედან იწყება.

პირველი პროექტი, რომელიც ევროკავშირმა საქართველოს მიმართ წამოიწყო ტექნიკური დახმარების პროგრამა იყო, რომელიც TACIS (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States) ფარგლებში განხორციელდა.

TACIS-ის პროგრამა საქართველოს ეხმარებოდა დამოუკიდებლობის, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებაში.

1996 წელს ლუქსემბურგში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა საქართველო-ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, მოაწერეს ხელი, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს სრულფასოვანი წევრი გახდა. ეს იყო საქართველოს ევროპულ ოჯახთან დაახლოების მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

2006 წლის ნოემბერში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) მიღებამ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი თვისობრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანა.

2007 წლიდან, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის ოკუპაციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდევ ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა. ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

მართალია აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, მაგრამ ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების თაობაზე 2010 წლის 15 ივლისიდან დაიწყო და დასრულდა 2013 წლის ივლისში.

2014 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის პირველ ივლისს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ

მოგზაურობა. ამერიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე.

2017 წლის 20 ნოემბერს, საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის დაამტკიცეს.

დასკვნა

ამდენად, საქართველოს ევროპული ორიენტაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა, XXI საუკუნეში მისი არსებობის მანძილზე უდიდეს ევოლუციას განიცდის. ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო გააღრმავებს.

კითხვები:

1. როდის წარმოიშვა ევროპული იდენტობის საფუძვლები?
2. რამ განაპირობა აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო „ცივილიზაციური გამიჯვნა“?
3. ქართული კულტურული იდენტობის მარკერი რომელ ცივილიზაციასთან ავლენს უფრო მეტ მსგავსებას?
4. რით დამთავრდა ჯვაროსნული ლაშქრობების ფარგლებში რომსა და საქართველოს შორის დაწყებული პოლიტიკური ურთიერთობები?
5. რომელმა სამოქმედო გეგმამ ჩანაცვლდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა?

თავი 4. ევროპული იდეები XX-XXI საუკუნეებში

ევროპული პროექტები მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ევროპული იდეის განვითარებას ახალი ბიძგი მისცა. დაიშალა კონტინენტური ევროპის ოთხი ყველაზე დიდი - გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერია. გაიყო ევროპული პოლიტიკური სივრცე, რომლის ჩამოყალიბებაც ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში. 1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთი დააშორა ევროპულ პოლიტიკურ სივრცეს.



შექმნილი ვითარების ფონზე, დაიწყო პირველი პანევროპული მოძრაობები. 1923 წელს გრაფმა **რიჰარდ კუდენჰოვე-კალერგი** გამოაქვეყნა მანიფესტი „პან-ევროპა“, რომელშიც იგი საუბრობდა ევროპული ეკონომიკის კრახზე, ევროპის სახელმწიფოების კატასტროფულ დასუსტებაზე და სთავაზობდა არსებული კრიზისიდან გამოსავალს. მისი აზრით, ევროპის სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ, რათა არსებულ მოწინააღმდეგეს ეფექტიანად შეწინააღმდეგებოდნენ. გარე მტრის კატეგორიაში ავტორი მოიაზრებდა არა მხოლოდ საბჭოთა რუსეთს, არამედ ანგლოსაქსურ ქვეყნებსაც - დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. აღნიშნულ ქვეყნებთან ეფექტური კონკურენციისთვის იგი სთავაზობდა საერთო ბაზრისა და ზენაციონალური ინსტიტუტების, კერძოდ, საერთაშორისო არბიტრაჟსა და საბაჟო კავშირის შექმნას.

პოლიტიკური კუთხით, კალერგი გამოდიოდა საერთო სამხედრო კავშირის შექმნის ინიციატივით, რომ დაეცვათ ევროპის აღმოსავლეთ საზღვრები, რუსეთის აგრესიისგან. პან-ევროპის ავტორი არ განიხილავდა თუ რა კავშირი ექნებოდა ზენაციონალურ ინსტიტუტებს პან-ევროპის წევრი, სუვერენული სახელმწიფოების ნაციონალურ ინსტიტუტებთან. ამიტომაც, საბოლოოდ პროექტი უფრო მეტად ლოზუნგი აღმოჩნდა, ვიდრე რეალური მოქმედებების პროგრამა. თუმცა, მისი მნიშვნელობა უდავოა: მან გააღვიძა ახალი, ევროპული იდეის მხარდამჭერი, ომის შემდგომი თაობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კალერგის ბევრი წინადადება მოთხოვნადი აღმოჩნდა რეალური ინტეგრაციის მშენებლობის სტადიაზე.

1933 წელს გერმანიის სათავეში მოსულმა ნაცისტებმა გერმანიაში პან-ევროპული კავშირის მოღვაწეობა აკრძალეს, ხოლო კუდენჰოვე-კალერგის ყველა წიგნი დაწვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ "ევროპის გაერთიანება რასების დაუშვებელ

შერევას მოიტანდა". ადოლფ ჰიტლერმა პან-ევროპას "რასობრივი გარეწრების იდეალი და ებრაელების მიერ ევროპის დაპყრობის ინსტრუმენტი" უწოდა. აქედან გამომდინარე, პან-ევროპეიზმის მთავარ მტრებად იმხანად გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები იქცნენ.

შექმნილი ვითარების ფონზე ევროინტეგრაციის იდეები პოპულარობა სულ უფრო შესუსტდა. სახელმწიფოთა ნაციონალისტურმა განწყობილებამ იმძლავრ. შეიმჩნეოდა ეკონომიკური ავტარკიის (თვითკმარობა) მიდრეკილებებიც. ბევრ პოლიტიკოსს არც ევროპის გაერთიანების და არც რუსული საფრთხეების სჯეროდა

30-იანი წლებში პან-ევროპული მოძრაობა ნაცისტების წინააღმდეგ ბრძოლისა და პაციფიზმის გზას დაადგა. პან-ევროპულ მოძრაობას მრავალი გამოჩენილი ადამიანი შეუერთდა: ალბერტ აინშტაინი, ჰაინრიხ და თომას მანები, პოლ ვალერი, ბერნარდ შოუ, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, შტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, მიგელ დე უნამუნო, ზიგმუნდ ფროიდი, ფრანც ვერფელი, სალვადორ დე მადარიაგა; ასევე პოლიტიკოსები: ოტო ფონ ჰაბსბურგი, კონრად ადენაუერი, შარლ დე გოლი, ფრანც იოზეფ შტრაუსი, ბრუნო კრაისკი, ჟორჟ პომპიდუ და სხვ.

1938 წელს პან-ევროპული კავშირის ბიურო ლიკვიდირებული იქნა. მეორე მსოფლიო ომის წლებში კუდენჰოვე-კალერგიმ ევროპის ტერიტორიაზე მოღვაწეობა შეწყვიტა და ბოლოს იძულებილი გახდა ამერიკაში წასულიყო ემიგრაციაში.

1942-45 წლებში კუდენჰოვე ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ისტორიას ასწავლიდა და ამერიკაში პან-ევროპული იდეების განვითარებასაც ახდენდა.

1943 წელს, პან-ევროპული კავშირის მეხუთე კონგრესი ნიუ-იორკში ჩატარდა. 1945 წელს გრაფი ევროპაში დაბრუნდა.

1946 წლის 19 სექტემბერს ჩერჩილის ციურიხის უნივერსიტეტში წარმოთქმული "ევროპის შეერთებული შტატების" შექმნის იდეის ავტორი სწორედ კალერგი იყო.

1947 წელს, კუდენჰოვე-კალერგიმ ევროპული საპარლამენტო კავშირი დააფუძნა და მისი გენერალური მდივანი გახდა. თავდაპირველად, ევროპის საპარლამენტო კავშირი ყველა სხვა ორგანიზაციასთან გაერთიანების წინააღმდეგი

იყო. მხოლოდ 1952 წელს, ევროპული მოძრაობის წევრი გახდა და კუდენჰოვე-კალერგი ამ მოძრაობის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

კალერგის რატომღაც მიაჩნდა, რომ "ევროპას შეუძლია, ომით გამოწვეული ეკონომიკური კატასტროფის შედეგები დაძლიოს მხოლოდ რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობითა და რეკონსტრუქციაში მისი მონაწილეობით. რუსეთსა და ევროპას ერთმანეთი სჭირდებათ, რათა ერთობლივი ძალებით აღდგნენ"...

შეიძლება ითქვას, რომ პან-ევროპული პოზიცია რუსეთთან მიმართებაში ამ პროექტის წინააღმდეგობრიობის მაგალითს წარმოადგენს: ერთი მხრივ, კუდენჰოვე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ რუსეთი ნებისმიერი მმართველობის პირობებში სახიფათოა და ამიტომაც, ერთადერთ გამოსავლად ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ესახებოდა, მასთან თანაარსებობის სამშვიდობო საშუალებათა მუდმივ ძიებაში იყო; მეორე მხრივ, პარადოქსული დიპლომატიურობით აზუსტებდა: "მომავალი პლანეტური ადამიანის წინაპრად თანამედროვე ევროპაში, რუსი ადამიანი გვევლინება, რომელიც საკუთარ თავში სლავურ-თათრულ-ფინურ ნაზავს აერთიანებს და მთელ ევროპელ ხალხთა შორის, ყველაზე ნაკლებად გამოირჩევა გამოკვეთილი რასობრიობით. ამდენად რუსი - ტიპური სულის ადამიანია"...

1950 წლის 18 მაისს გრაფი რიჰარდ კუდენჰოვე-კალერგი კარლოს დიდის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. ეს იყო მისი ღვაწლის დაფასება ევროპის გაერთიანებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის; მოღვაწეობის, რომელიც მთელი მისი ცხოვრების აზრად იქცა.

გარკვეული ხნის შემდეგ, მან ევროპის საბჭოს გაერთიანებული ევროპის დროშის პროექტი შესთავაზა. დროშაზე ქრისტიანული ჯვრის არსებობის გამო, პროექტი დაიწუნეს.

1955 წელს გრაფმა ახალი ევროპის ჰიმნი - ბეთჰოვენის "სიხარულის ოდა" წარადგინა, რომელიც დღეს ევროკავშირის ოფიციალურ ჰიმნადაა აღიარებული.



1930 წელს ევროპულმა პროექტებმა პირველად შეიძინა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი: ერთა ლიგაში დარეგისტრირდა **არისტიდ ბრიანდის** (წარსულში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის) მემორანდუმი ევროპული ფედერალური კავშირის ორგანიზების შესახებ. მიუხედავად ამისა, შემდეგ ათწლეულში არ შექმნილა ხელსაყრელი პირობები ერთიანი ევროპის იდეის განვითარებისთვის. რეგიონში ხდებოდა აგრესიული სახელმწიფოების კავშირების ფორმირება და ამ პირობებში შესუსტდა, პაციფისტური და ლიბერალური ვერსიის ევროპული მოძრაობის პოზიციები.

ევროპული პროექტები 1930-1940-იანი წლების ბოლოს. ნაპოლეონის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი და ომამდელი წლები „მკვლეი მსოფლიოს“ იძულებითი ინტეგრაციის რიგით მეორე მცდელობა იყო. მისი იდეურ საფუძველს რასობრივი თეორია წარმოადგენდა, რომელიც ევროპის ხალხებს განიხილავდა, როგორც იდალურ არიულ რასასთან დაახლოებულს. ევროპული იდეის რასობრივი ვერსიის განხორციელება საკუთარ თავზე აიღო გერმანულმა ნაციონალ-სოციალიზმმა, რომელმაც 1933 წლიდან დაიწყო გერმანიის ეთნიკური წმენდა „რასობრივად უცხო ელემენტებისგან“. რასობრივად სუფთა ევროპის იდეის რეალიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაცისტების პოლიტიკური პროექტთან, თუმცა ძალიან სცდებოდა გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ჩარჩოებს. უკვე 1930-იანი წლების ბოლოდან გერმანული ერის მესამე რაიხის იდეამ წარმოშვა და გზა გაუხსნა „ახალი ევროპის“ ლოზუნგს, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ყველა ძირძველი ევროპული ერი, „ჭეშმარიტად არიული“ რასა. ბიოლოგიურ-რასობრივი კრიტერიუმის მიხედვით შეცვლილი ევროპული იდენტობა, როგორც უმაღლესი ცივილიზაციური სუბსტრატი, მოითხოვდა კონსოლიდაციას ნაციზმის ეგიდით, ევროპის გაწმენდას რასობრივად „უცხო“ მოსახლეობისგან და ევროპული საზოგადოების საბაზისო, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ფასეულობებზე უარის თქმას.

1940 წლის ზაფხულში რაიხსბანკმა შეიმუშავა გეგმა, რათა რაიხსმარკა გამხდარიყო მესამე რაიხის კონტროლირებადი ევროპის საერთო ვალუტა. 1942 წელს

ბერლინის მრეწველთა კავშირმა გამართა კონფერენცია „ევროპული ეკონომიკური საზოგადოების“ შექმნის საკითხებზე, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ნაცისტების ეკონომიკის მინისტრი ვალტერ ფუნკი. „ახალი ევროპის“ ლოზუნგების ქვეშ საბჭოთა კავშირის ჯარში იბრძოდა ათიათასობით მოხალისე ნაცისტების მიერ ოკუპირებული ევროპიდან. ჰიტლერისეული ევროპის პროექტის რეალიზებას ხელი შეუშალა ომში დამარცხებამ. თუმცა, ნაციზმის საბოლოო დამარცხებამდე დემოკრატიაზე დაფუძნებული ერთიანი ევროპის იდეები ყალიბდებოდა „მიწისქვეშეთში“. გასაგები მიზეზების გამო, ისინი უარყოფდნენ ნაციონალური „ჩაკეტილი“ სახელმწიფოს ნებისმიერ ფორმას. „ანტიფაშისტური მიწისქვეშეთიდან“ მომავალი ევროპა წარმოადგენდა დემოკრატიული სახელმწიფოების ფედერაციას. 1941 წელს, ფაშისტური რეჟიმის მიერ კუნძულ ვენტოტენზე გადასახლებულმა ალტიერო სპინელიმ და ერნესტო როსიმ დაწერეს თავიანთი ცნობილი „ვენტოტენის მანიფესტი“. ამავე პერიოდში შეიქმნა ევროპული ფედერალისტების მოძრაობა.

ნაციზმით გამოწვეული კატასტროფის მასშტაბებმა ბიძგი მისცა ომის შემდგომ პერიოდში ევროპული მოძრაობების ზრდას. რაც გამოიხატებოდა მრავალი ორგანიზაციის შექმნაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასა და ახალი, კონკურენტუნარიანი პროექტების შექმნას, რომლებიც მოსახლეობის მიერ ფართოდ მხარდაჭერილი იქნებოდა. ხარისხობრივი ზრდა გამოიხატებოდა „ძველი მსოფლიოს“ პოლიტიკოსების მიერ პროევროპული პოზიციების აქტიურ მხარდაჭერაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა უინსტონ ჩერჩილი. თავის ცნობილ ციურიხის გამოსვლაში, ჩერჩილმა ისაუბრა აშშ-ს მსგავსი ევროპული ფედერაციის შექმნაზე და აღნიშნა, რომ ევროპის გაერთიანებისთვის პირველი ნაბიჯი ფრანკო-გერმანული შერიგება უნდა გამხდარიყო.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სულ მალე წარმოიშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის - მსოფლიო ომის საშიშროება. საბჭოთა კავშირი დასავლეთის დემოკრატიისთვის საფრთხის წყარო გახდა. კრემლის ლიდერების მხრიდან მუქარის სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო დამაბულობისა და საყოველთაო შიშის გავრცელებას, რაც „ცივი ომის“ სახელით არის ცნობილი.

ომისშემდგომი წლების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერთიანი ევროპის მხარდამჭერთა ჰააგის კონგრესი (1948 წ). 700-ზე მეტი დელეგატი 16 ქვეყნიდან

შეიკრიბა რათა განეხილათ ინტეგრაციის პრინციპები და გზები. კონგრესსა და შემდგომ დისკუსიებში ყველა პოზიციაზე შეთანხმება ვერ იქნეა მიღწეული, თუმცა ყველა მხარე შეთანხმდა მთავარზე: ევროპას უნდა დაეწყო რეალური გაერთიანების პროცესი.

ფედერალური ევროპული ოჯახის შექმნის იდეის განხორციელებას ბევრი ოპონენტი ჰყავდა, თუმცა მხარს უჭერდა იმავე ეპოქის არაერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის, ჟან მონე (Jean Monnet), რობერტ შუმანი (Robert Schuman), კონრად ადენაუერი (Konrad Adenauer), ალჩიდე დე გასპერი (Alcide de Gasperi), რომლებიც დღეს „ევროკავშირის მამებად“ იწოდებიან. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფონზე ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკის აღდგენით დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიც (აშშ). შესაბამისად, 1947 წელს, ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, აშშ-მ „მარშალის გეგმის“ (The Marshall Plan) სახელით ცნობილი 4-წლიანი (1947-1951 წწ.) “ევროპის აღდგენის პროგრამის“ (the European Recovery Program, ERP) ფარგლებში 13 მილიარდი დოლარი გამოყო.

ამგვარად, ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ევროპის შექმნის იდეის მხარდამჭერების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ამ პროექტის განსახორციელებლად.

პირველი ასეთი ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციის გზაზე ითვლება 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა დასავლეთ ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოების გაერთიანების შესახებ. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, რომელშიც ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები შევიდა. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი ზეეროვნული ორგანო, ე.წ. “უმაღლესი ხელისუფლება”, რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა ჯერ რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი, ხოლო შემდეგ ფოლადის საერთო ბაზარიც.

1957 წელს გაფორმდა და 1958 წელს ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულება. ჟან მონეს და მის მიმდევრებს ასევე სჯეროდათ, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია საწინდარი იყო მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციისა, რისი მიღწევის შემთხვევაშიც გამოირიცხებოდა ევროპის კონტინენტზე მომავალი სისხლისღვრა და ომები.

შუმანის გეგმის უმთავრესი მიზანიც სწორედ ევროპაში ომების თავიდან აცილება იყო. ნახშირის და ფოლადის ჩაბარება ემსახურებოდა ერთ მიზანს — უზრუნველყოფილი გერმანიის და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაღრმავებულიყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება.

ამგვარი იდეალური დამოკიდებულება 50-იანი წლების დასაწყისში არ იქნა გაზიარებული დიდ ბრიტანეთში. გაერთიანებულ სამეფოში 50-იანი წლების ბოლომდე სჯეროდათ, რომ ევროპის გაერთიანება უტოპიური იდეა იყო, ამიტომ ექვსი ქვეყნის ინიციატივას დიდი ბრიტანეთი არ შეუერთდა. სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის მხრიდან თავის შეკავება საკმაოდ დიდ უარყოფით მუხტს აძლევდა ევროპის გაერთიანების იდეას.

მიუხედავად იდეალური მიზნებისა, შუმანის გეგმაში გათვალისწინებული იყო ინტეგრაციის პროცესებზე და ექვსი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე კონტროლის შენარჩუნების მექანიზმი — ე.წ. მინისტრთა საბჭოს სახით. მინისტრთა საბჭო შეიქმნა იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფოების ინტერესთა შელახვა კონფლიქტური საკითხის წამოჭრის შემთხვევაში. შედეგად უნდა მომხდარიყო ნახშირის, კოქსის და ფოლადის წარმოება მინიმალურ ფასებში და მათი მიტანა მაღალი მოხმარების ობიექტებში ყოველგვარი სავაჭრო ბარიერების გარეშე. ექვსი სახელმწიფოს მთავრობებს უნდა უზრუნველყოთ ამ პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა და ეროვნული კანონმდებლობების შეცვლა ისე, რომ დისკრიმინაციული ხასიათის სავაჭრო ბარიერებს ხელი არ შეეშალათ ინტეგრაციული პროცესებისათვის. სახელმწიფოებს ასევე აევრძალათ ინტეგრაციის სფეროში მოქმედი სახელმწიფო, თუ სხვა საწარმოებისათვის სუბსიდიების მიცემა. ყველა შემთხვევაში მარეგულირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ ორგანოდ ითვლებოდა უმაღლესი ხელისუფლება.

მასვე ჰქონდა უფლება გამოეძია იმ კერძო კომპანიების საქმიანობა, რომლებიც მოქმედებდნენ ბაზარზე და ხელს უშლიდნენ ინტეგრაციის პროცესს.

იმავედროულად, 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნაც, თუმცა ეს ინიციატივა მალე დავიწყებას მიეცა.

1959 წელს დიდი ბრიტანეთის თაოსნობით, პრემიერ-მინისტრ მაკმილანის ინიციატივით, შეიქმნა შვიდი სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც ბრიტანეთის გარდა შევიდნენ ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია. ამ გაერთიანების ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო ექვსი ურჩის (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წევრი ქვეყნების) შთანთქმა. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის სიმპათიები ასეთი ორგანიზაციის მხარეს უფრო იყო, რადგან თავისუფალი ვაჭრობის სფერო, სხვა არაფერი იყო თუ არა ეკონომიკური კავშირი, რომელიც არავითარ საფრთხეს არ უქადდა ბრიტანეთის სუვერენიტეტს და პოლიტიკურ ინტერესებს.

1960-74 წლებში დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. რამაც დიდი ბრიტანეთიც დააინტერესა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებებს. პირველი განაცხადი გაერთიანებებში შესვლაზე პრემიერ მინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს გააკეთა. მიუხედავად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ პომპიდუს დადებითი დამოკიდებულებისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებებში. ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო 1963 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთისათვის პოლარისის ტიპის წყვალქვეშა რაკეტის მიყიდვით.

დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთის მიმართ შეიცვალა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის და გერმანიის სათავეში 1969 წელს მოვიდნენ ჟორჟ პომპიდუ და ვილი ბრანდტი.

ამის შემდეგ ბრიტანეთის ევროპის გაერთიანებებში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდა. ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთთან, დანიასთან, ირლანდიასა და ნორვეგიასთან ხელი მოეწერა 1972 წელს და ეს ქვეყნები 1973 წლიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმზე არ დაუჭირა მხარი გაერთიანებებში შესვლას იყო ნორვეგია. ნორვეგია დღესაც არ არის ევროკავშირის წევრი, ის დღემდე ევროკავშირის

წინააღმდეგია, რისი დასტურიც გახდა 1994 წელს კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარება.

1970-იანი წლები ევროპის ეკონომიკური გაერთიანებებისათვის კრიზისების ხანად არის ცნობილი. ამ პერიოდში აღმოცენდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა “ევროსკლეროზი” და “ევროპესიმიზმი”. რაც შეეხება ევროპესიმიზმს, ეს ტერმინი აღნიშნავს ევროპული იდეის მიმართ სკეპტიკურ განწყობას და რწმენას იმისა, რომ ინტეგრაცია არც ისეთი გარდაუვალი და კეთილდღეობის მომტანია, როგორც ეს ზოგადად აღიქმება. აღსანიშნავია, რომ ევროსკეპტიკოსები საკმაოდ აქტიურები არიან ევროპულ არენაზე, მათ შორის არიან ევროპარლამენტშიც. აქვე აღსანიშნავია, რომ ჟაკ შირაკი, რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე პროევროპულ პოლიტიკოსად ითვლება, 1979 წელს გამოუსწორებელ ევროსკეპტიკოსად მიიჩნეოდა. ამაზე მეტყველებს 1979 წელს მის მიერ გამოქვეყნებული პამფლეტი — “კომუნის მოწოდება”, სადაც შირაკმა ხმამაღლა განაცხადა უარი ერთიან ევროპაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და საფრანგეთის საერთაშორისო იმიჯის შელახვაზე, ჟისკარ დ'ესტენის მთავრობას კი უცხოელების მთავრობა უწოდა.

1975 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები კრიზისის წინაშე დადგა, მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა მოითხოვა მოლაპარაკებების თავიდან დაწყება და გაწევრიანების ხელშეკრულების გადახედვა. 1975 წლის ივნისში დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი, გაეგრძლებინა თუ არა დიდ ბრიტანეთს თავისი წევრობა გაერთიანებებში, სადაც 67.2 პროცენტმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის დარჩენას ევროგაერთიანებაში.

1977 წელს ევროპული კომისიის პრეზიდენტი გახდა როი ჯენკინსი, რომელმაც შემოიტანა ევროპის სავალუტო სისტემის იდეა. მსგავსი პროექტი 1972 წელს დამუშავებულიქნა პომპიდუს მიერ, მაგრამ მისი იმპლემენტაცია ვერ მოხერხდა 70-იანი წლების შუაში დაწყებული ნავთობკრიზისის გამო. ევროპის სავალუტო კავშირის მარდასაჭერად როი ჯენკინსმა გადმოიბირა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენი და ჰელმუტ შმიდტი, თუმცა ვერ მოახერხა ბრიტანეთის პრემიერის ჯეიმს კალაჰანის გადმოიბირება.

მიუხედავად ამისა, ევროპის სავალუტო კავშირი ძალაში შევიდა 1979 წლიდან და მისი განვითარება დაიგეგმა საფეხურების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის მესამე საფეხური, რაც ერთიან ვალუტაზე გადასვლას ისახავდა მიზნად

ძალაში შევიდა 1999 წელს, როდესაც ევროზონის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტები ევროთი შეიცვალა. ამავე პერიოდში მოხდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების გაფართოება ახალ წევრ სახელმწიფოებზე. საბერძნეთმა, რომელთანაც 1969-74 წლებში ევროპას ურთიერთობები გაყინული ჰქონდა, მოახერხა დემოკრატიის აღდგენა ქვეყანაში და პირველი ოფიციალური განაცხადიც მალევე შეიტანა ევროკავშირის წევრობაზე.

ევროკომისიამ თავდაპირველად უარი განაცხადა საბერძნეთის მიღებაზე, რადგან საბერძნეთი ვერანაირ ეკონომიკურ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, მინისტრთა საბჭო და ევროპული საბჭო მხარს უჭერდნენ საბერძნეთის გაერთიანებებში მიღებას პოლიტიკური მოსაზრებების გამო, რათა არ მომხდარიყო აღორძინებული დემოკრატიის დაკარგვა და ქვეყანაში კომუნიზმის გავრცელება. ამასთან, საბერძნეთის შესვლა გაერთიანებებში დაემთხვა ესპანეთის და პორტუგალიის მისწრაფებებსაც მოეხდინათ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ევროპულ გაერთიანებასთან. ესპანეთიც და პორტუგალიაც, საბერძნეთის მსგავსად სამხედრო დიქტატურისაგან ახლად გათავისუფლებული ქვეყნები იყვნენ, ამიტომ ევროპული სახელმწიფოები არ ჩქარობდნენ მათთვის უარის თქმას. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთმა უმაღლესი მოახდინა თავისი მისწრაფებების შორს დაჭერა ესპანეთის და პორტუგალიის ინტერესებისაგან, რადგან საფრანგეთი ეჭვის თვალთ უყურებდა ესპანეთის გაწევრიანების პერსპექტივას, იმის გამო, რომ საფრთხე ექმნებოდა საფრანგეთის აგრარულ პროდუქციას ბაზარზე ახალი მწარმოებლის გამოჩენის შედეგად.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც 70-იანი წლების ბოლო აღინიშნა, იყო ევროპარლამენტის არჩევითობის შემოღება. მიუხედავად იმისა, რომ რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ასამბლეის წევრების არჩევითობას, წევრი სახელმწიფოები ამჯობინებდნენ თავად წარეგზავნათ პარლამენტარები ევროპულ ფორუმში. თუმცა, 1974 წელს პარიზის დადგენილების შემდეგ, რომელმაც ევროპული საბჭოს ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ დაეშვათ პარლამენტარების არჩევითობა, რათა არ დაკარგულიყო ბალანსი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებს შიგნით. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პარლამენტარების წარგზავნის მომხრე იყვნენ, ხოლო ეეგ-ის მცირე წევრი-სახელმწიფოების უმრავლესობა, მათ შორის

იტალიაც, მხარს უჭერდა ევროპარლამენტარების არჩევითობას. ამავე პოზიციას იზიარებდა ევროკომისიაც, რომელსაც სურდა პარლამენტის სახით ახალი პარტიორი შეეძინა მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლაში. საბოლოოდ პირველი არჩევნები 1979 წელს ჩატარდა და საფუძველი დაედო ახალი პარლამენტარიზმის აღმოცენებას ევროპულ გაერთიანებებში. აღსანიშნავია, რომ არჩევითობის პირველი შედეგები უმაღლეს თვალნათელი არ გამხდარა, თუმცა პარლამენტის გაზრდილი როლი აშკარა გახდა ერთიანი ევროპული აქტის და ევროკავშირის დამფუძნებელი მასტრიხტის ხელშეკრულების მიღების შემდეგ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც 70-ანი და 80-იანი წლების მიჯნაზე წარმოიშვა დაკავშირებული იყო დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ბიუჯეტში გადახდილ უზარმაზარ თანხებთან. მარგარეტ ტეთჩერი პრემიერ-მინისტრად გახდომის პირველივე დღიდან ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის მიერ თანხების ამგვარ ფლანგვას, რადგან ფაქტი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი გერმანიასთან ერთად ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტის ყველაზე დიდი შემავსებელი იყო, უკან კი თანხების მხოლოდ მცირე ნაწილს იღებდა. ტეთჩერის მოთხოვნა მიეღწიათ ახალი საბიუჯეტო შეთანხმებისათვის ყველასათვის გასაგები იყო, თუმცა ტეთჩერის მოთხოვნის მანერა და დიპლომატიის წარმოების თავისებური ხერხები ანელეზდა კომპრომისის მიღწევას.

საბოლოოდ, 1980 წელს ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას, თუმცა მისი ამოწურვის შემდეგ 1983 წელს პრობლემამ ხელახალი სიძლიერით იჩინა თავი. 80-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე სამიტის ჩაშლამ დაარწმუნა ევროპის მთავრობები, რომ ბრიტანეთის ინტერესები უნდა დაეკმაყოფილებინათ. 1984 წელს ფონტენბლუში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლიც მიხედვითაც დიდი ბრიტანეთის ფინანსური კონტრიბუცია ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტში საგრძნობლად შემცირდა (დიდმა ბრიტანეთმა დაზოგა 10 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტი 1984-1990 წლებში). ამასთან, ბრიტანეთის საბიუჯეტო ინტერესების დაკმაყოფილებამ გზა გაუხსნა ახალ ინიციატივებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს - ერთიანი ბაზრის შექმნას.

1979 წელს ევროპარლამენტის არჩევნების ჩატარებამ წარმოშვა შესაძლებლობა ევროპული გაერთიანებების მომავალი რეფორმირებისათვის. ევროპარლამენტის ფუნქციების გაფართოება მჭიდროდ უკავშირდება ალტიერო სპინელის სახელს.

სპინელი, რომელიც 1970 წელს იტალიის მიერ კომისიაში იქნა მივლენილი უეცრად გადადგა 1976 წელს და ევროპულ პარლამენტში არჩია მოღვაწეობის გაგრძელება. სპინელიმ 1980 წელს ჩამოაყალიბა ე.წ. ნიანგის კლუბი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის გაერთიანებების გაძლიერებას და პარლამენტის როლის გაფართოებას. კლუბს სახელი ეწოდა სტრასბურგში არსებული ნიანგის რესტორანის გამო, სადაც სპინელი და მისი თანამოაზრეები ხვდებოდნენ 1980 წელს. სპინელიმ მიაღწია, რომ ევროპარლამენტში შექმნილიყო ინსტიტუციონალური საკითხების კომიტეტი, სადაც დაიწყო ევროპის გაერთიანებებისათვის აქტუალური საკითხების წამოჭრა. 1983 წელს ამ კომიტეტმა შეიმუშავა ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც უნდა შეეცვალა ყველა სხვა დამფუძნებელი ხელშეკრულება. 1984 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა მიიღო ეს ხელშეკრულება 237 ხმით 31 ის წინააღმდეგ, თავშეკავებით. მიუხედავად იმისა, რომ ცხადი იყო, რომ წევრი ქვეყნების მთავრობები არავითარ შემთხვევაში არ დაამტკიცებდნენ ამ პროექტს, ევროპარლამენტმა აჩვენა თავისი ძალა და დაუმტკიცა სკეპტიკოსებს, რომ იგი ევროპული ინტეგრაციის მომხრე და ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპის თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო ევროპული ეკონომიკური გაერთიანებების რაოდენობრივ ზრდასთან, ანუ მასში ესპანეთის და პორტუგალიის შესვლასთან.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ერთიანი ბაზრის განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული კომისიის პრეზიდენტ ჟაკ დელორთან. დელორის კომისიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ევროგაერთიანების განვითარებაში და მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში.

ამავდროულად მომწიფდა ინსტიტუციური რეფორმების გატარების აუცილებლობაც. პარლამენტის მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტმა, ისევე როგორც სპეციალურად შექმნილი დუჯის კომისიის მოხსენებამ დაძრა მოლაპარაკებები ახალი ინსტიტუციური რეფორმების და ევროგაერთიანებების შიგნით ძალთა ბალანსის ახალი გადანაწილების შესახებ. სამთავრობათაშორისო კონფერენცია გაიხსნა ლუქსემბურგში 1985 წლის სექტემბრის დასაწყისში და გაგრძელდა 1986 წლის იანვრამდე. საბოლოოდ 1986 წლის თებერვალში შეიქმნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელსაც ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. აღსანიშნავია,

რომ საერთო ევროპული აქტით დელორმა მოახერხა ეკონომიკური და მონეტარული ინტეგრაციისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან ხელშეკრულებაში მისი ინიციატივით ჩაემატა თავი, სადაც ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კონვერგენცია გაერთიანების მომავალი განვითარების უმთავრეს საწინდარად იყო გამოცხადებული.

ერთიანი ევროპული აქტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანა. ევროპის გაერთიანებების რამდენიმე ქვეყანამ და, განსაკუთრებით, საფრანგეთმა პრიორიტეტად დაისახეს ერთიანი ბაზრისათვის საბოლოო სახის მიცემა.

1989 წლიდან იწყება ევროპული სავალუტო კავშირის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობდა ერთიან სავალუტო კურსზე მიერთებას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი შეუერთდა ამ სისტემას, ორ წელიწადში ფუნტი-სტერლინგი გამოეყო ევროპულ სავალუტო კავშირს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სხვა სახელმწიფოებისათვის მიეღოთ გადაწყვეტილება 2000 წლისათვის გადასულიყვნენ ერთიან სავალუტო სისტემაზე.

1991 წელი და მასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი გახდა. რომელის მიხედვით ევროკავშირი ეფუძნება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, მართლმსაჯულებას და საშინაო საქმეებს და (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, გადაწყდა, რომ მათი ადმინისტრირება ეროვნულ დონეებზე მომხდარიყო, კომისიის და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩარევის გარეშე. მასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებლად. მასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე იყო საუბრები ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი საბოლოოდ ამოღებულ იქნა, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე როგორც საგარეო პოლიტიკა და დაბეგვრის პოლიტიკა წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის შინაგან საქმეებად მიიჩნიეს.

1995 წელს ევროკავშირში მორიგი გაფართოება მოხდა. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის არეალის სამი ქვეყანა — შვედეთი, ავსტრია და ფინეთი ევროკავშირის მეცამეტე, მეოთხმეტე და მეთხუთმეტე წევრები გახდნენ. ეს გაფართოება, ერთერთი ყველაზე უმტკივნეულო იყო ევროკავშირისათვის, რადგან მისი ახალი

წევრები მაღალგანვითარებული ქვეყნები იყვნენ, რომლებსაც შესწევდათ ძალა უფრო მეტი თანხები გაეღოთ ევროპული ბიუჯეტისათვის, ვიდრე მიეღოთ.

1995 წლის გაფართოება სხვადასხვაგვარად აისახა ახალ წევრ ქვეყნებზე. შვედეთის მოსახლეობას მალე გაუცრუვდა იმედი ევროკავშირით და შვედეთის მთავრობამ მალევე მიიღო გადაწყვეტილება არ მიეღო მონაწილეობა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის III ეტაპში. რაც შეეხება ნორვეგიას, რომელიც თავიდან განიხილებოდა წევრობის კანდიდატად, მან მეორედ თქვა უარი კავშირში გაწევრიანებაზე, მას შემდეგ რაც 1994 წელს მოსახლეობის 53-მა პროცენტმა უარი განაცხადა ევროკავშირში შესვლაზე. ფინეთი და ავსტრია კი, თავის მხრივ, ძალზედ კმაყოფილნი დარჩნენ გაფართოებით, რადგან, პირველ რიგში, განამტკიცეს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები და მეორე რიგში, უზრუნველყვეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი. აქვე აღსანიშნავია, რომ ნორვეგია, კავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმის მიუხედავად, მაინც რჩება ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ევროპის კონტინენტზე.

ინტეგრაციის პროცესი 90-იან წლებში არ შეჩერებულა. უფრო მეტიც, მასტრიხტის ხელშეკრულებაში ჩადებული იყო ახალი სამთავრობათაშორისო კონფერენციის მოწვევა 1996-1997 წლებში. ამ დროისათვის აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე უკვე სურვილი ჰქონდათ გამოთქმული 10 აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანას, თურქეთს, მალტას და კვიპროსს.

2004 წელს კი ევროკავშირს შეუერთდა 10 ქვეყანა: ლიტვა, ლატვია ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსი. ევროკავშირის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 25-მდე. გაფართოების მიზანი იყო საბჭოთა მმართველო ბისგან გათავისუფლებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარება და დასავლეთევროპული ცხოვრების დონისთვის მიღწევა ევროკავშირში მიღების საშუალებით. ამ მიზნით, ამ დროისთვის ევროკავშირში კუნძულ კვიპროსის მხოლოდ ბერძნული ნაწილია შესული, რადგან რეფერენდუმზე კვიპროსის ბერძნულმა მოსახლეობამ უარი თქვა კვიპროსის თურქულ ნაწილთან შეერთებაზე. მეექვსე და მეშვიდე გაფართოებები 2008 წლისთვის კიდევ ორი ქვეყანა რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა ევროკავშირს, 2013 წელს, დღეისათვის ბოლო გაფართოების შედეგად კი ხორვატია.

2016 წელს ევროკავშირის ისტორიაში პირველად საკუთარი ნებით ტოვებს მისი წევრი სახელმწიფო, ბრიტანეთში გამართული რეფერენდუმის შედეგად გადაწყდა, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება. მონაწილეთა უმრავლესობამ, 52 პროცენტმა, დაუჭირა მხარი ევროკავშირიდან გასვლას. 48 %-ს შეადგენდა ევროკავშირში დამრჩენთა, ანუ „რიმაინერთა“ რაოდენობა.

თავდაპირველად „ბრექსიტისათვის“ განისაზღვრა 2019 წლის 31 მარტი, მაგრამ ეს თარიღი რამდენჯერმე გადავადდა ბრიტანელი პარლამენტარების წინააღმდეგობის გამო, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეისა და ევროკავშირის შორის მიღწეულ წინასწარ შეთანხმებას.

2020 წლის პირველი თებერვლიდან, ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის უნდა დაიწყოს ახალი მოლაპარაკება პოსტბრექსიტული თანამშრომლობის შესახებ, რაც მოიცავს როგორც უსაფრთხოების, ისე ვაჭრობის საკითხებს.

ევროკავშირის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ფაქტის მიუხედავად, კავშირის ლიდერები ინარჩუნებენ ოპტიმიზმი და აცხადებენ, რომ 27-წევრიან ბლოკს შეუძლია ბრიტანეთის გარეშეც იოლად გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

დასკვნა

ამდენად, მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწყებული პანევროპული მოძრაობები საბოლოოდ ევროკავშირის შექმნით დასრულდა, რომელიც დღეს 27 სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან შედგება. მათი ძირითადი მიზანი საერთო კეთილდღეობა და ეკონომიკური წინსვლაა.

კითხვები:

1. ვის ეკუთვნის მანიფესტი „პან-ევროპა“?
2. რაზეა საუბარი მანიფესტში „პან-ევროპა“?
3. რას უკავშირდება რასობრივად სუფთა ევროპის იდეის რეალიზაცია?
4. როდის იწყება ევროპული ინტეგრაცია?
5. რომელი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები უჭერდნენ მხარს ევროპული გაერთიანების შექმნას?
6. როდის შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და რამდენი სახელმწიფო მონაწილეობდა მასში?

7. ვინ წამოაყენა იდეა დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოების გაერთიანების შესახებ?
8. რა იყო შუმანის გეგმის უმთავრესი მიზანი?

თავი V. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება

ასოცირების ხელშეკრულება

ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს განვითარების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ის ევროპული ინტეგრაციისკენ მიმავალი ყველაზე ეფექტური გზაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება.

მართალია, ეს ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ევროკავშირის წევრობაზე, როგორც ეს თავის დროზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის იყო, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ შეთანხმება, რომელსაც „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს სთავაზობენ, მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე, მაგალითად, ტუნისისა და მაროკოსთვის შეთავაზებული დოკუმენტები, რომლებიც გამორიცხავდა, საბოლოო გაწევრიანების პერპექტივას. მაგალითად, ხორვატიას ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 12 წელი დასჭირდა გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. თურქეთმა ასოცირების ხელშეკრულება 1962 წელს გააფორმა, ევროკავშირის წევრობისკენ გზის გახსნას კი კვლავაც ელოდება.

ასე, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის დამოკიდებულია საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და ევროსტანდარტების შესაბამისი რეფორმების გატარებაზე. ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე წელი გავიდა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორც სასჯელაღსრულების სისტემაში, ისე ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა უამრავ სფეროში. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია იმ უამრავ შესასრულებელ ვალდებულებასთან შედარებით, რომლებიც ქვეყანას აკისრია. უდავოა, რომ სახელმწიფოს მიერ სწორი ნაბიჯების გადადგმა უდიდეს სარგებელს მოუტანს თითოეულ მოქალაქეს, მაგრამ თითოეულ რეფორმს სჭირდება კონტროლი. ამ საკითხში მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორისა და მედიის როლი.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას" (DCFTA)) 2010 წლის 15 ივლისს დაიწყო და 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი.

2014 წლის 18 ივლისს კი, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2015 წლის დეკემბერს დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად ამოქმედდა.

ასოცირების ხელშეკრულების დადებითი მხარეები

ასოცირების შეთანხმების მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიის განვითარებას, გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ეფექტიანი მართვლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას, კერძო საკუთრების უფლებების დაცვას, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ბაზარი, მაღალი შემოსავლების მქონე 500 მილიონიანი მოსახლეობით ყველაზე დიდია მსყიდველობითი უნარის თვალსაზრისით, რაც საქართველოს უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყნად აქცევს.

სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართული პროდუქტს აქვს შანსი ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე. ამჟამად, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ აგრარულ პროდუქციაში წამყვან ადგილს იკავებს ღვინო, მინერალური წყლები, ახალი და ხმელი თხილი, ნატურალური ყურძნის წვენი.

ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობა თანდათან იზრდება და დღეს ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, ასევე, მნიშვნელოვნია უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებისთვის. საქართველო თანდათან ხდება ევროკავშირის ეკონომიკის ნაწილი, რაც ქვეყნის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის კუთხით, საქართველოს მთავრობა ეფექტიანად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს შორის, რომელმაც არასამთავრობო სექტორი აქტიურად ჩართო შეთანხმების სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მისი განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

მნიშვნელოვანი პროგრესია ისეთ სფეროებში, როგორცაა, სასაჯელაღსრულება და პრობაცია, პერსონალური მონაცემების დაცვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფრის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება, უსაფრთხოების სფეროს რეფორმა, საჯარო სექტორის რეფორმა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით გატარებული რეფორმები ევროპული მხარის მიერ დადებითადაა შეფასებული.

ასოცირების შესახებ შეთანხმების წარმატებით განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ევროპული იდენტურობის, ევროინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობისთვის. ევროპული პარტნიორების მხრიდან საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, მათ შორის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2016 წლის 1 ივლისს ამოქმედებული მუხლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული მუხლები, რომელშიც მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების მიმართ. სრულად ამოქმედდა მუხლები, რომლებიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას; თანამშრომლობას მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში; ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას, საჯარო ფინანსების მართვასა და

ფინანსურ კონტროლს; ტრანსპორტს, გარემოს დაცვას, კორპორაციულ სამართალს, ბუღალტრულ აღრიცხვას და აუდიტსა, კორპორაციულ მმართველობას, განათლებას, ჯანდაცვას და ასე შემდეგ.

2016 წლის 1 ივლისიდან ასევე ძალაში შევიდა შეთანხმების 2 დარჩენილი დანართი, რომლებიც განათლებისა და ახალგაზრდობის, ასევე, აუდიოვიზუალური და მედიის სფეროებში თანამშრომლობას ეხება. ასოცირების შეთანხმების სექტორული კომპონენტი, დანართებითურთ, შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია და ძირითადად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას ისახავს მიზნად.

ვიზალიბერალიზაცია

2017 წლის 2 თებერვალს ევროპის პარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას დაუჭირა მხარი. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას გულისხმობს.

უვიზო რეჟიმის ამოქმედება ნიშნავს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე 90 დღის მანძილზე 180 დღის განმავლობაში ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა).

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების სშუალებას აძლევს და საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას უწყობს ხელს.

საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის შედეგად ექნება პოტენციური ეკონომიკური სარგებელი. გარდა ამისა, მეწარმეებს ექნებათ საკუთარი ბიზნეს საქმიანობის განვითარების მიზნით ჩავიდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაეცნონ ადგილობრივ ბაზარს, გაიზიარონ გამოცდილება და შეხვდნენ პოტენციურ ბიზნესპარტნიორებს. ქართველ ბიზნესმენებს ექნებათ შესაძლებლობა, უფრო ფართოდ გაეცნონ ევროკავშირის რეგულაციებსა და სასოფლო სამეურნეო პოლიტიკას. საერთო სასოფლო მეურნეობის პოლიტიკით (CAP) გათვალისწინებული სტანდარტების დაკმაყოფილება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გასაღებია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. სახელმწიფო პროგრამების, სუბსიდიებისა და

ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების გზით ქართველ ფერმერებს დამატებითი შესაძლებლობა ექნებათ, ქართული ღვინის, თხილის, ციტრუსისა და სხვა პროდუქტის გატანისა.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის ქართული პასპორტების შევთავაზება, რითაც ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა მიეცემათ.

მოდოვაში 2015 წლის ბოლომდე ბიომეტრიული პასპორტი დნესტრისპირეთის მოსახლეობის მესამედმა ანუ 200 000-მდე ადამიანმა აიღო. უვიზო მიმოსვლამ დნესტრისპირეთის მცხოვრებთათვის მოლდოვა უფრო მიმზიდველი გახდა.

აღსანიშნავია, რომ დნესტრისპირელებს უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე საბჭოთა პასპორტები ჰქონდათ, დღეს კი მათთვის ევროკავშირისკენ გზა გახსნილია. თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის ამ მიმართულებით არსებობებს რიგი დაბრკოლება. კერძოდ ის, რომ 1990-იანი წლების შემდეგ დაბადებულ თაობას, არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების გარდა, სხვა დოკუმენტი არ გააჩნია. ამიტომ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად, საჭიროა რიგი ბიუროკრატიული ბარიერების გავლა, რაც სირთულეებს ქმნის და დროში იწელება. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით – ზოგ შემთხვევაში საჭიროა სასამართლოსთვის მიმართვა და წარმომავლობის დასამტკიცებლად მოწმეების წარდგენა. ამდენად, ადამიანს, რომელსაც არა აქვს საქართველოს პასპორტი, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება რთულია. გარდა ამისა, აფხაზებსა და ოსებზე გაიცემა რუსული პასპორტები, რაც დამატებით პრობლემას უქმნით მათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოა უკრაინის მაგალითი - ოფიციალური კიევი უკანონოდ განიხილავს რუსეთის მიერ მოქალაქეობის ავტომატურ ან იძულებით მინიჭებას და ამის საფუძველზე არ განიხილავს უკრაინის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველად. უკრაინის პრაქტიკის მსგავსად, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ქართული სახელმწიფო არ განიხილავს რუსეთის პასპორტების მქონე აფხაზებსა და ოსებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებად და არ გახდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის დაბრკოლება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოსცა დადგენილება კვიპროსის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ

ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა განხილულიყო შიდასახელმწიფოებრივი უფლების დაცვის მექანიზმად. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დასაცავად ადგილობრივი სასამართლოების გამოყენება არ ახდენდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ლეგიტიმაციას და ეს მიდგომა უზრუნველყოფდა ამ ტერიტორიაზე უფლებათა დაცვის ვაკუუმის თავიდან აცილებას. ამრიგად, ამ პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები არ იქნება განხილული, როგორც მათ ლეგიტიმაცია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შემოღება, ევროსკეპტიკოსებისა და პრორუსულად განწყობილი ჯგუფებისთვის ერთგვარი პასუხი იქნება იმის შესახებ, რომ ქვეყნის პროევროპულ პოლიტიკას ხელშესახები შედეგები აქვს და ევროკავშირი საქართველოს აღიქვამს მტკიცე პარტნიორად.

თავიდან არაერთი ევროპარლამენტარი საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შემოღების თაობაზე სკეპტიკურად განწყობილი იყო, რაც ევროკავშირში არსებული მიგრაციული კრიზისითა და კრიმინალური ვითარებით იყო გამოწვეული.

მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის თავდაპირველი გადადება გამოწვეული იყო საქართველოს მოქალაქეების კრიმინალური მოქმედებებით იყო ცრუ, ვინაიდან **სტატისტიკის მიხედვით, ქართველები კრიმინოგენურობის მხრივ მსოფლიოს 28 ქვეყანას შორის 27-ე ადგილზე არიან.**

დღეის მდგომარეობით, ვიზალიბერალიზაციამ ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა ევროპის ერთიან ოჯახს. ჩვენი მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის გადაწყვეტილებით, ევროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების მხრიდან მოხდა საქართველოს, როგორც სანდო და ღირსეული პარტნიორის აღიარება და დადასტურდა ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისადმი.

უკვე 2021 წლისთვის ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა და მილიონზე მეტი ვიზიტი განხორციელდა.

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) (აქამდე)

ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA (Deep and Comprehensive Free Trade Area).

ასოცირების ხელშეკრულების შესავალ ნაწილში ვკითხულობთ, რომ: „ვალდებულებას იღებენ რა, მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA), როგორც წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლითა და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად“

DCFTA-ს უპირატესობები GSP+ და GSP-სთან მიმართებაში

წლების წინ ევროკავშირთან საქართველოს ჰქონდა შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი-GSP, რომლის მეშვეობითაც საბაჟო ტარიფის გარეშე 3200 დასახელების პროდუქტის შეტანა შეეძლო. ამის შემდეგ საქართველოს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა-GSP+ მიეცა და ტარიფებისგან გათავისუფლებული პროდუქციის ჩამონათვალი 7200-მდე გაიზარდა.

ევროკავშირთან საქართველოს დღეს აქვს ბევრად გაუმჯობესებული სავაჭრო რეჟიმი-DCFTA, რომელიც ნულოვანი საბაჟო ტარიფით 9600 დასახელების პროდუქციის ექსპორტის უფლებას იძლევა. DCFTA-ის მოლაპარაკებებისათვის მომზადების პროცესი 2009 წელს დაიწყო. ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ რეკომენდაციები (EU Commission's Recommendations Regarding Georgia's Preparedness for the DCFTA Negotiations) წარუდგინა. საბოლოოდ DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ოფიციალურად ამოქმედდა.

რეკომენდაციების მიხედვით მოლაპარაკებების დაწყებისათვის ევროკომისიის მიერ პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი 4 სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ვაჭრობის შესახებ დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოებას ითვალისწინებს.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე შესაძლებლობა ანუ იგივე “თავისუფლება”, გულისხმობს ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, რასაც ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

- საქონლით ვაჭრობა;
- დაცვითი ზომები ვაჭრობაში;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;
- სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- საბაჟო საქმიანობისა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
- საჯარო შესყიდვები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- კონკურენცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- გამჭვირვალობა;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
- დავების მოგვარება;
- დაახლოების ზოგადი დებულებები.

ამ ხელშეკრულების ამოქმედებით საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი ეხსნება, რომელიც ამ ეტაპზე 27 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას უწყობს ხელს.

ამ სავაჭრო შეთანხმებით საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, გახდეს მიმზიდველი ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამის გარდა, DCFTA-ს ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას.

შეთანხმების უნიკალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ ჩნდება სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად განვითარების შესაძლებლობა. **სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვების ლიბერალიზაციის გარდა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოს ინსტიტუციური განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობას აძლევს. სწორედ ამიტომ არის ეს შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი.** აღნიშნული, საბოლოოდ ყოველივე ეს პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (კვოტის ფარგლებში მხოლოდ ნიორი) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა.

მნიშვნელოვნად გამარტივდება ევროკავშირში საქართველოდან მომსახურების ექსპორტი, მომსახურების სფეროს ქართულ კომპანიებს მიეცემათ საშუალება:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და მისცენ თავიანთ თანამშრომლებს შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული ტრენინგები;
- მიავლინონ თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირის

ქვეყნებში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;

➤ მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ეძლევათ შესაძლებლობა ევროკავშირში გასწიონ მომსახურება. შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. საქართველოში გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომები, სერტიფიკატები და ა.შ.) აღიარებული იქნება ევროკავშირის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტებს ევროკავშირში გაცემული ანალოგიური დოკუმენტების შესამაბისი ძალა ექნება. ამის შემდეგ, ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაადვილდება.

ამის გარდა, ქართული საქონელი და მომსახურება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში დაშვებას ეტაპობრივად მიიღებს.

ევროკავშირის ბაზარი, რომელიც 27 ქვეყნის 500 მილიონამდე მომხმარებელს აერთიანებს, თავის მხრივ ნიშნავს: სტაბილურ და კონკურენტუნარიან ბაზარს, სადაც რეგულაციები ხდება სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით.

DCFTA-ს შესაძლებლობების გათვალისწინებით სასურსათო პროდუქციის წარმოების და მიწოდების მიმართულებით საქართველოს საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს.

ევროპული დახმარებები

სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობისთვის რამდენიმე ევროპული დახმარების პროგრამა მოქმედებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა

ეს პროგრამა ხორციელდება ევროკომისიის, ევროპული საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით. პროგრამით გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ აუცილებელი ინვესტიციების მოძიება DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად წარმოების აწყობაში. მცირე და საშუალო ბიზნესს

საშუალება ეძლევა, მაქსიმალურად გამოიყენოს DCFTA-ს ფარგლებში გათვალისწინებული სავაჭრო შესაძლებლობები ევროკავშირთან.

DCFTA Facility მეწარმეებს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნების ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას მისცემს, ასევე ახალ სტანდარტებზე გადასვლაში დაეხმარება. DCFTA Facility-ის კომპონენტებია:

- ტექნიკური დახმარება, რომელიც მეწარმეებს ბანკებისთვის მისაღები საპროექტო წინადადებების მომზადებასა და საბაზრო შესაძლებლობების გამოყენებაში დაეხმარება;
- რისკების გაზიარების მექანიზმი, რომელიც ბანკებს მეწარმეებზე სესხების გაცემის რისკებს შეუმცირებს;
- ვალუტის დაცვა ცვალებადი გაცვლითი კურსისგან-ეს კომპონენტი ადგილობრივ ბანკებს სესხების ეროვნულ ვალუტაში გაცემის შესაძლებლობებს მისცემს;
- წახალისება-ამ კომპონენტის ფარგლებში გაუმჯობესებული პირობებით კრედიტის აღება იმ მეწარმეებს შეეძლება, რომლებიც საწარმოებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისობაში მოიყვანენ.

ENPARD (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის)

ENPARD-ის პროექტის განხორციელება 2013 წელს დაიწყო. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 52 მილიონი ევროა.

ENPARD-ის მიზნებია:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სექტორის ინსტიტუტების შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა;
- ფერმერთა ინიციატივებისა და შესაძლებლობების განვითარება;
- ფერმერებისა და ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება წარმოების გასაზრდელად;
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ENPARD-ის 52 მილიონი ევროდან ნაწილი საბიუჯეტო დახმარებაა, რომელიც გარკვეული ვალდებულებების შესრულებისა და რეფორმების სანაცვლოდ ბიუჯეტში

ირიცხება, ნაწილი კი სექტორების მიხედვით არის განაწილებული.

ევროკავშირის დახმარებითა და ევროპელი ექსპერტების ჩართულობით პირველად შემუშავდა საქარველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, სადაც დარგის პრიორიტეტები განისაზღვრა და შესრულების ვადები გაიწერა.

ENPARD 1-ის დასრულების შემდეგ კიდევ იგეგმება ENPARD ორის და სამის დაწყება, რომელთა ბიუჯეტი ას მილიონ ევროზე მეტი იქნება. მომდევნო ეტაპებზე სოფლის მეურნეობის განვითარების კომპონენტები შედარებით მცირე მასშტაბებით იქნება, თუმცა პროექტი უფრო მეტად საქართველოში სოფლის განვითარებისა და სოფლად სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას მოემსახურება.

CIB (Comprehensive Institutional Building- ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება)

პირველი ფაზაში ბიუჯეტი 3.4 მილიონი ევრო იყო, საიდანაც 80 პროცენტი ევროკავშირის, ხოლო 20 პროცენტი სურსათის ეროვნული სააგენტოს კონტრიბუცია იყო.

პირველ ეტაპზე CIB პროგრამის მიზანი სურსათის ეროვნული სააგენტოს აღჭურვა, შესაძლებლობების ზრდა და ტრენინგების გზით სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება იყო.

მეორე ეტაპზე პროექტში უკვე სოფლის მეურნეობის ლაბორატორია და ასევე შემოსავლების სამსახური ჩაერთო, რადგან ქვეყანაში შემოსული პროდუქციის ფიტოსანიტარიულ და სხვა სახის კონტროლს საზღვარზე შემოსავლების სამსახური ახორციელებს. CIB-ის მეორე ეტაპის ბიუჯეტი 4,5 მილიონი ევრომდე გაიზარდა, გარდა ამისა, თანადამფინანსებლები არიან სოფლის მეურნეობის ლაბორატორია, სურსათის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური.

CIB პროექტის მხარდაჭერით რამდენიმე სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აღიჭურვა DCFTA-ის ვალდებულებების შესრულებისა და ეფექტური კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დანადრავებით.

პროექტის მეორე ეტაპი 2016 წლის ბოლოს დასრულდა და 30 თვეზე იყო გათვლილი. მესამე ეტაპზე ბიუჯეტი 4.5 მილიონი ევროა, რაც კვლავ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციურ გაძლიერებას მოხმარდება.

CIB პროექტის მთავარი მიზანია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტომ DCFTA-სთან მიმართებაში აღებული ვალდებულების შესაბამისად ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისი კონტროლის განხორციელება შეძლოს.

ევროკავშირის ბაზრზე არსებული ნიშებიდან გამომდინარე, სასურსათო პროდუქციის ექსპორტის პოტენციალი საქართველოს აქვს, თუმცა ამისთვის გარკვეული ვალდებულებების შესრულებაა აუცილებელი. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სისტემა დამაკმაყოფილებელი არ იყო DCFTA-ს მოლაპარაკების პროცესის დასაწყისში. სურსათის ეროვნული სააგენტო დღესაც ევროკავშირში არსებულის შესაბამის კონტროლს ვერ ახორციელებს ქვეყანაში. დახმარების პროგრამები DCFTA-ს ვალდებულებათა შესრულებისკენაა მიმართული. ევროკავშირის მხრიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების აღიარების გარეშე მაღალი რისკის, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებაზე ფიქრი შეუძლებელია.

„სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ინსტიტუციური განვითარების სამი ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი არის ევროპულ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონების დაახლოება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ინფრასტრუქტურის განვითარება. ევროპელი ექსპერტების სიტემატური მონაწილეობით, ქართველი თანამშრომლების ევროპაში გადამზადებით, ეროვნული სააგენტოს საქმიანობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. არსებობს რამდენიმე თანამედროვე ოფისი და აღჭურვილობა. ევროპელი სპეციალისტების ძალისხმევით დაიხვეწა ნორმატიული აქტების ნაწილი. საკანონმდებლო დაახლოებამ შედეგი აღმოჩნდა. ყველა ნაბიჯი, რომელიც სააგენტოს მხრიდან არის გადადგმული, საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის არსებობას უზრუნველყოფს. სააგენტო ახლა ბევრად ფართო და კვალიფიციურ კონტროლს ახორციელებს“.

ნულოვანი ტარიფებით ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მსურველ ქართველ მეწარმეებს საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებაც მოეთხოვებათ. სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ახალი კოდექსი ცხოველთა/ფრინველთა სასაკლაობისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP (Hazard Analysis Critical Control Point) სისტემის დანერგვას მოითხოვს.

HACCP-ი მეცნიერულად დასაბუთებული მართვის ორგანიზებული სისტემაა, რომელიც ითვალისწინებს საფრთხეების დადგენას და მათი კონტროლის შედეგად უვნებელი სურსათის წარმოებას. აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული ადმინისტრაცია NASA-ს თხოვნით სურსათის მწარმოებელმა კომპანიამ-Pillsbury შეიმუშავა პროდუქტის უვნებლობის უნიკალური მეთოდი, რომელსაც HACCP-ი უწოდა. ყოველი კონკრეტული საწარმოო ხაზის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ხდება მასში ისეთი სტადიების („წერტილების“) გამოვლენა, რომელზეც რაიმე შეცდომამ, გაუფრთხილებლობამ, შემთხვევითობამ ან სხვა გარემოებამ შეიძლება საბოლოო პროდუქტის დეფექტი (დაბინძურება, გაფუჭება) გამოიწვიოს. ყველა ასეთი ეტაპი (საბოლოო პროდუქტის უვნებლობისთვის) „კრიტიკული წერტილია“, რომელზეც მუდმივი კონტროლი უნდა დაწესდეს. 1997 წლიდან HACCP-ი სურსათის ჰიგიენის საერთაშორისო მოთხოვნების შემადგენელი ნაწილი გახდა.

სურსათის ხარისხი (გემო, სუნი, ფერი, კონსისტენცია, შეფუთვა, წონა, დიზაინი, მიწოდების ვადა) უვნებლობაზე დამატებული ატრიბუტია და არ კონტროლდება HACCP-ის სისტემის ფარგლებში. HACCP -ის სერტიფიცირება საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო არ არის.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითხოვს, თუმცა, ევროკავშირში პოპულარული და მოთხოვნადი სტანდარტია GLOBAL GAP-ი. ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტი. GLOBAL GAP-ის მოქმედების სფეროა: სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მეცხოველეობა, აკვაკულტურები და სხვ. გარდა სურსათის უვნებლობისა, ასევე ეხება გარემოს დაცვას, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

სტანდარტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების სრულ ციკლს ადგილის შერჩევიდან და ნიადაგის დამუშავებიდან პროდუქტის დამზადების, დაფასოების, შეფუთვის ეტაპებამდე. GLOBAL GAP ველურ კულტურებზე არ ვრცელდება, მაგრამ მისი გამოყენება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებისთვისაც შეიძლება. სტანდარტი 234 მოთხოვნისგან შედგება.

ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების პროცესში საქართველოს ნორმატიული აქტების ბაზა წინასწარ გაწერილი გრაფიკის ფარგლებში ევროპულს

უნდა დაუახლოვდეს. საქართველოს ხელისუფლების მიერ გარკვეული რეფორმების განხორციელების შემდეგ სტატისტიკა აჩვენებს, რომ DCFTA-ს ამოქმედებიდან 16 თვის თავზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბუმი არ დაწყებულა და ექსპორტიც მცირედ გაიზარდა.

მთლიანი შიდა პროდუქტი

2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებამ საბაზისო ფასებში 22,5 მილიარდი ლარი შეადგინა, 2013 წელს 23 მილიარდი, ხოლო 2014 წელს 25 მილიარდამდე გაიზარდა.

2013 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9,4 % იყო, ხოლო 2014 წელს 9,3%-მდე შემცირდა. 2015 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით ამ დარგის წილი მცირედით ისევ გაიზარდა და 2013 წლის მონაცემს გაუთანაბრდა.

მთლიანი ექსპორტი საქართველოდან

2013 წელს საქართველოდან 2 909 515 600 დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა, 2014 წელს კი ეს მონაცემი 1,6%-ით შემცირდა. 2015 წლის იანვარ-ნოემბრის წინასწარი მონაცემებით 2 019 153 500 დოლარი იყო.

ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში

2014 წლის 1 სექტემბრიდან DCFTA (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება) ოფიციალურად ამოქმედდა. სამ თვეში ევროკავშირში 158 718 500 დოლარის ღირებულების პროდუქტი გავიდა. 2015 წლის იმავე პერიოდს თუ შევადარებთ ექსპორტი 15 %-ით გაიზარდა.

2014 წელს იმპორტის მოცულობა სექტემბერ-ნოემბერში ევროკავშირიდან შეადგენდა 608 202 600 დოლარს, 2015 წლის იმავე პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 1,6%-ით.

იმავე პერიოდში იმპორტ-ექსპორტის უარყოფითი სალდო შემცირა. 2014 წელს შემოტანილ იქნა 449 484 100 დოლარით მეტი ღირებულების პროდუქცია, ხოლო 2015 წელს 4%-ით ნაკლები, კერძოდ, 431 193 700 დოლარის ღირებულების პროდუქტი შემოვიდა.

საექსპორტო პროდუქტების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარდა ექსპორტზე გავიდა ლუდი, მინერალური წყლები, თიხა, ქვიშა შეღებილი და შეუღებავი, გრანიტი, კირი, ცემენტი, ნავთობი და

ნავთობპროდუქტები, მინერალური ნივთიერებები, მანგანუმის ოქსიდები, ქიმიური რადიოაქტიური ელემენტები, რადიოაქტიური იზოტოპები და მათი ნაერთები, ორგანოთერაპიისთვის განკუთვნილი ჯირკვლები და სხვა ორგანოები, ადამიანისა და ცხოველთა სისხლი, დაუფასოებელი სამკურნალო საშუალებები, ფარმაცევტული პროდუქცია, მინერალური, ქიმიური და აზოტოვანი სასუქები, საღებავები და ლაქები, სუნამოები, კოსმეტიკური საშუალებები, საქონლის ტრანსპორტირებისთვის საჭირო შესაფუთი საშუალება, ჭურჭელი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავი, ტანსაცმელი, ხე-ტყის მასალა, სამშენებლო ნაწარმი, ქაღალდის ტარა, წიგნები, გაზეთები, ფეროშენადნობები, ბიჟუტერია, ნარჩენები და შავი ლითონების ჯართი, საიუვილერეო ნაკეთობები, ელექტრო მოწყობილობები, სათვალეები და ანალოგიური ოპტიკური მოწყობილობები, სურათები და ნახატები, მეორეული მოხმარების ნივთები და ა.შ.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ამოქმედებიდან 16 თვეში ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტი) მთლიანმა მოცულობამ თითქმის ოთხ მილიარდ დოლარს მიაღწია.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება

2013 წელს საქართველოში 4 124 067 600 ლარის სამრეწველო პროდუქტი აწარმოეს, 2014 წელს კი-4 867 374 800 ლარი. 2015 წლის მონაცემებით კი სამრეწველო პროდუქციის მთლიანი ღირებულება 3 431 669 100 ლარის ოდენობით განისაზღვრა. მასში არ შედის ნახშირის, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი და თხევადი აირის, ელექტროენერჯის და სასმელი წყლის ღირებულება. ამ პროდუქტების შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ ფლობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2012 წელს 911 564 300 დოლარის ინვესტიცია დაფიქსირდა, შემდეგ წელს-941 902 600 დოლარია, 2014 წელს კი 46,4 %-ით მეტი ინვესტიცია შემოვიდა. 2015 წლის მონაცემებითაც მისმა მოცულობამ მილიარდს გადააჭარბა.

2014 წელს ევროკავშირიდან სულ 820 016 800 დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. ეს ინვესტიციების მთლიანი მოცულობის ნახევარია. 2015 წლის სამი კვარტლის მონაცემებით კი ევროკავშირიდან 390 064 000 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

DCFTA ინსტიტუტების გაძლიერებას და ასევე იმ ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებასაც გულისხმობს, რომლებიც საკანონმდებლო მიახლოებაზე მუშაობენ. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ არ მოხდეს იმაზე მეტი ან ნაკლები ვალდებულების აღება, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის რეგულაციებით“.

„ევროპის ბაზარზე გასასვლელად საჭიროა ერთდოულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობა, ესენია:

1. ევროკავშირის ბაზრის შესწავლა და იმ დარგებისა თუ ქვედარგების განსაზღვრა, რაშიც საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობა, რომ ამ ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს;

2. ფერმერებთან და მეწარმეებთან მუშაობა, რომ მოხდეს იმ პროდუქციის დამზადება, რაზეც ევროკავშირშია მოთხოვნა;

3. ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოების წახალისება;

4. ექსპორტის ლოგისტიკის განვითარება. 5. ქართული პროდუქციის უფრო „აგრესიული“ პოპულარიზაცია ევროპის ბაზარზე და ქართული ეროვნული ბრენდის შექმნა, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქცია, ნატურალური პროდუქტი.

6. აგროტურიზმის კიდევ უფრო განვითარება, რაც ერთის მხრივ საქართველოსა და ქართული პროდუქციის ცნობადობას გაზრდის და მეორეს მხრივ დამატებით შემოსავლებს მოუტანს ფერმერებსა თუ ამ სფეროში ჩართულ ყველა რგოლს“.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დასახელების პროდუქტის ექსპორტი ევროკავშირში შორეული პერსპექტივაა, სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე DCFTA ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება გარკვეულწილად პოზიტიურად აისახა. გასულ წელს რძისა და რძის პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტი შემუშავდა. ამ საკანონმდებლო ნორმამ ნატურალური რძისა და მცენარეულ ცხიმზე დამზადებული პროდუქტების გამიჯვნა შესაძლებელი გახდა და, მომხმარებელს, თავისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცა.

კიდევ ერთი ტექნიკური რეგლამენტი პოტენციურად საექსპორტო პროდუქტისთვის, კერძოდ თაფლისთვის შემუშავდა. თაფლის მწამობელებს ამ რეგლამენტის მიხედვით პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებისა და ახლო პერსპექტივაში ექსპორტირების შანსი გაუჩნდათ.

ამჟამად განხილვის ფაზაშია ჩაის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ კანონპროექტი. საქართველო ახლო წარსულში მსოფლიო მასშტაბით ჩაის მწარმოებელთა შორის მეოთხე ადგილს იკავებდა. ძალიან მალე, მთავრობა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის დაწყებას გეგმავს. რეგლამენტი კი დარგის განვითარების და რეგულირების ერთ-ერთ წინაპირობას ქმნის.

DCFTA-ს დამსახურებაა ცხოველთა რეგისტრაციის წესების შემოღებაც.

რაც შეეხება ინდუსტრიულ პროდუქტების ექსპორტს, აქ საქმე უფრო მარტივადაა-მეწარმეებს გაცილებით მარტივი რეგულაციების დაკმაყოფილება მოეთხოვებათ.

ფაქტია, რომ DCFTA-ს ამოქმედებიდან ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა ქართული პროდუქციის ექსპორტირების თუ ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მიმართულებით. პარალელურად ადგილობრივ ბაზარზე სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ტენდენცია მცირე ტემპებით მაინც შეიმჩნევა. ამ ეტაპზე უფრო მეტი მეწარმე ნერგავს ევროპულ სტანდარტებს, ვიდრე თუნდაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე.

მეწარმეებს პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის გაუმჯობესების გარდა, მიწოდების უწყვეტობის, როდენობის უზრუნველყოფის, ლოჯისტიკისა და დისტრიბუციის პრობლემების გადაჭრაზე ფიქრიც მოუწევთ.

დასკვნა

ამდენად, თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს მომდევნო 10 წლის განმავლობაში.

ჰარმონიზაციის პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობის უცვლელად გადმოტანას არ გულისხმობს, არამედ იძლევა სივრცეს ამ უკანასკნელის მოსარგებად ადგილობრივ რეალობასთან, რაც ქვეყნას ზოგად კეთილდღეობასა და სარგებელს მოუტნს.

და ბოლოს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების

ნაწილი, ევროპაში ინტეგრაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯია. ეს პროცესი უკვე წარმატებულად განხორციელდა რამდენიმე ქვეყანაში.

შეთანხმება ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის, ინვესტორთათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში), მათ შორის საექსპორტო სავაჭრო მაჩვენებლების გაზრდის თვალსაზრისით.

კითხვები:

1. როდის დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას") და როდის მოეწერა ხელი?

2. როდის დაუჭირა მხარი საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას?

3. როდის ამოქმედდა სრულად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება?

4. როდის მოხდა სავიჟო რეჟიმის გაუქმება საქართველოს მოქალაქეებისთვის?

5. რომელი ევროპული დახმარების პროგრამები მოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობისთვის?

ტრასეკას (TRACECA) პროექტები;

ტრასეკა - ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ანუ „ახალი აბრეშუმის გზა“, არის სახელმწიფოთაშორისი პროგრამა, რომელსაც 1998 წელს ქ. ბაქოში 12 სახელმწიფოს მეთაურმა მოეწერა ხელი.

პროგრამის მიზანია შავი ზღვის რეგიონის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა საერთაშორისო ტრანსპორტის, პორტების, რკინიგზის და ავტომაგისტრალების გაუმჯობესების გზით. პროგრამა ითვალისწინებს იმ უძველესი მარშრუტის აღდგენას, რომლითაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში აზია უკავშირდებოდა ევროპას. ეს იყო უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზა, რომელიც აღმოსავლეთ აზიას აკავშირებდა ევროპასთან.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნი“ „ბაქო-სუფსის ნავთობსადენის“ პროექტის განხორციელებით დაიწყო. სწორედ „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის“ პროექტის განხორციელება გახდა დასავლეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის საფუძველი, რამაც საფუძველი ჩაუყარა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ პროექტების რეალიზებას საქართველოში.

TRACECA-ს პროექტს საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს, „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის კონცეფციის ფარგლებში, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს გამხდარიყო რეგიონში, როგორც მძლავრი სატრანზიტო ქვეყნა.

TRACECA-ს პროგრამა ითვალისწინებდა ევროპიდან აზიისკენ შავი ზღვის გავლით, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ ძლიერი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას. პროექტი ევროკავშირის ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

ეს არის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოიცავს რკინიგზას, სავტომობილო, საჰაერო, საზღვაო, მილსადენ გზებს, საზღვაო ნავსადგურებს, სამგაზავრო და სატვირთო ტერმინალებს. TRACECA არის ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილი. ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები დღეს უკვე

მოიცავენ მსოფლიო სივრცის უზარმაზარ ნაწილს ამერიკიდან იაპონიამდე.

1993 წელს ბრიუსელში შედგა შეხვედრა ევროგაერთიანების, სამხრეთ კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და ცენტრალური აზიის ქვეყნებს (ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი) შორის. მოგვიანებით, 1996 წელს მას შეუერთდა მონღოლეთი და უკრაინა, 1998 წელს მოლდოვა, ხოლო 2000 წელს თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი.

2001 წლის 29 სექტემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულებას“ (შემდგომში – „სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება“), რომელიც 2001 წლის 19 დეკემბერს ერთხმად იქნა რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამით დაიწყო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის“ სრულმასშტაბიანი რეალიზაციის პროცესი.

2002 წლის 18 სექტემბერს ე. ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა გამოაცხადეს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის“ მშენებლობის დაწყება.

მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ანტიტერორისტული ალიანსის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს. აშშ-ისა და ევროპის ქვეყნები ცდილობენ დაამკვიდრონ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ახალი, უსაფრთხო და დამოუკიდებელი მარშრუტები. შესაბამისად, „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი)“ პროექტის მხარდაჭერა და მისი დაჩქარებული განვითარება ამ ქვეყნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ნათქვამია ხელშეკრულებაში.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის“ პროექტების განხორციელება, რომელთა საშუალებითაც მოხდება კასპის ზღვის აუზის ქვეყნებში მოპოვებული ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მოცულობის საქართველოს

ტერიტორიის გავლით თურქეთის, ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე ტრანსპორტირება ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს:

- საქართველოსადმი, ისევე, როგორც შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნებისადმი, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების ინტერესის ზრდას და განაპირობებს რეგიონის ქვეყნებისადმი მათ მზარდ მხარდაჭერას;
- რეგიონის ქვეყნების უსაფრთხო, მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას;
- მათ ინტეგრირებას სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებაში;
- რეგიონის ქვეყნებში უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბებას;
- აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო დერეფნების სწრაფ განვითარებას;
- რეგიონული თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტას.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებას აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოების მეთაურებმა 2007 წლის თებერვალში მოაწერეს ხელი.

პროექტის განხორციელება 2008 წელს დაიწყო. რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრია. რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა 2015 წლის იანვარში გაიარა, 2017 წლის ივლისში კი პირველი მატარებელი ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე მივიდა. სატვირთო ტრანზიტისთვის სარკინიგზო მარშრუტი აქტიურია 2018 წლიდან.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში ჩინეთიდან საქართველოს გავლით გადაზიდულმა კონტეინერების რაოდენობა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35.1%-ით მეტია.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ჩინეთ-ევროპას შორის უმოკლესი გზაა, რაც აიაფებს ტვირთს და საქართველოს კონკურენტუნარიანობას ზრდის ამ დერეფანში.

პირველი თურქულ-ჩინური საექსპორტო ტვირთი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით სტამბოლიდან 2020 წლის დეკემბერში გამოვიდა და სიანის პროვინციაში ჩავიდა. მატარებელს ჯამში 8 693 კმ-ის გავლა მოუწია და 12 დღეში დაფარა.

ამდენად, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი არის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. ის საქართველოს პირდაპირ აკავშირებს თურქეთთან, რითიც იხსნება გასასვლელი ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისაკენ უფრო იაფი და მოკლე სატრანსპორტო დერეფნის მეშვეობით. ახალი სარკინიგზო ხაზი რა თქმა უნდა გაზრდის საქართველოს რკინიგზის, როგორც ევროპასა და აზიას შორის ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რკინიგზების შეერთებას ევროპასთან თურქეთის რკინიგზის გავლით. თურქეთის რკინიგზის განვითარების პროექტით, სტამბულში, ბოსფორის სრუტის ქვეშ დამთავრდა სარკინიგზო გვირაბის „მარმარაი“ მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს ევროპის რკინიგზების საერთო ქსელთან დაკავშირებას.

ამ პროექტით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გახდება ევროპა-კავკასია-აზიის უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო დერეფანი, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთბრუნვას არა მარტო საქართველოსა და თურქეთს შორის, არამედ კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოების ქვეყნების ტვირთების, პირველ რიგში - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას ხმელთაშუა ზღვის, ჯეიჰანის პორტამდე. ჯეიჰანიდან ეს ტვირთები მოხვდება მსოფლიო ბაზარზე და ბოსფორის სრუტის გავლით ევროპაში. ამასთანავე, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები საქართველოსა და აზერბეიჯანის გავლით რკინიგზით დაუკავშირდებიან ჩრდილოეთის, შუა და შორეული აზიის ქვეყნებს.

აღნიშნული პროექტი თავისთავად ითვალისწინებს სამგზავრო მატარებლების მოძრაობას და მგზავრთა გადაყვანასაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაზრდისთვის.

რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მსგავსი მამტაბის პროექტის განხორციელება კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ მაგისტრალს.

თავის მხრივ, ევროპისა და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ინტერესების ფონზე, არსებული ენერგორესურსების მიმართ აღნიშნული მაგისტრალის მნიშვნელობა იმატებს. სწორედ ამიტომ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი აბრეშუმის გზის აღდგენის მცდელობაა.

გარდა ამისა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი სამი ქვეყნის ურთიერთობას ძალიან დინამიურს გახდის და მომავლში ახალი ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი გახდება.


იმავედროულად, ეს დერეფანი რუსეთთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმი იქნება.

ეს მაგისტრალი ბევრ ქვეყანას მისცემს შსაძლებლობას დაიკამაყოფილოს საკუთარი ბიზნეს-ინტერესები. პირველ რიგში, ცენტრალური აზიის ქვეყნებს-საკუთარი ენერგორესურსების დასავლეთისკენ ტრანზიტის ალტერნატიული გზის სახით.

და ბოლოს, მაგისტრალის მშენებლობას სხვა მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტების განხორციელებაც შეიძლება მოჰყვეს, რაც იმავედროულად სამ ქვეყნას შორის "ხანგრძლივ და პროგნოზირებად" თანამშრომლობასა და მშვიდობას უზრუნველყოფს.

ინოგეიტის (INOGATE) პროექტები

ინოგეიტი („ევროკავშირის, შავი და კასპიის ზღვის სახელმწიფოებსა და მათ მეზობელ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი პროგრამა“) ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამას 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი. მასში ჩართულნი არიან ევროკავშირის (EU) წევრი ქვეყნები, თურქეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციისა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხდება ევროკავშირის EuropeAid პროგრამის მხარდაჭერით.



პროგრამის მიზანი იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების ევროპაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

თავიდან აღნიშნული პროგრამა ორიენტირებული იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენების მშენებლობაზე. თუმცა, 2004 წელს ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) და ქ. ასტანაში (ყაზახეთი) გამართულ კონფერენციებზე გადაწყდა, რომ მოცემული პროგრამის ფარგლები გაფართოვდებოდა და მოიცავდა შემდეგ ოთხ ძირითად მიმართულებას:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას;
- წვერი ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული საბაზრო პრინციპების შესაბამისად;
- მდგრადი ენერგეტიკული განვითარების მხარდაჭერას;
- რეგიონული მნიშვნელობის ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფას.

2007 წლიდან პროგრამა ინოვაციური ფინანსდება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის მეშვეობით.

თურქეთი როგორც INOGATE-ის პარტნიორ ქვეყანა რეგულარულად ესწრება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებს, მაგრამ არ არის ბენეფიციარი ქვეყანა.

2009 წლის თებერვლიდან აღნიშნული პროექტი ასევე მოიცავს ახალ ინიციატივებს, რომლებიც ეხება ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ცენტრალური აზიის ქვეყნებში კოორდინირებული ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებასა და პარტნიორ ქვეყნებში ენერგეტიკული ბაზრებისა და ენერგეტიკული პროექტის განვითარებას.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) არის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენი მსოფლიოში. მისი მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა.

BTC მილსადენის სრული ექსპლუატაცია 2006 წელს დაიწყო. მილსადენში გატარებული ნავთობის ნაკადი სტაბილურად იზრდება და სრული წარმადობით ამუშავების შემდეგ წელიწადში 21-24 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს გაატარებს.

მილსადენი ახალი ათასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინჟინრო პროექტია. ის 1768 კმ სიგრძისაა. მილსადენის 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, 249 კილომეტრი საქართველოს, 1076 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე.

BTC მილსადენის დამხმარე საშუალებები მოიცავს რვა ნავთობსაქაჩ სადგურს (ორს აზერბაიჯანში, ორს საქართველოში, ოთხს თურქეთში).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმძლავრე 1.2 მლნ ბარელია დღე-ღამეში. საიდანაც 4-5% სწორედ თურქმენულ ნავთობზე მოდის და, შესაძლოა, მისი წილი გაიზარდოს კიდევ. ნავთობნაკადის მატებამ ოდნავ მაინც უნდა შეავსოს ის დანაკლისი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან ყაზახური ნავთობის გამორიცხვამ გამოიწვია (2010 წლიდან ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება შეჩერებულია), თუმცა როგორც აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, ტრანსპორტირება ყაზახეთის სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს განახლდება. კომპანია თენგიშევროილმა, რომელიც ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებს, 2010 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ყაზახური ნავთობით ტრანსპორტირებაზე უარი განაცხადა.

ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება „თენგიშ ევრო ოილისთვის“ ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდა.

გადაწყვეტილების მიზეზი ნავთობის გადაქაჩვის ის მაღალი ტარიფი გახდა, რომელიც მილსადენის ოპერატორმა იმ კომპანიებისთვის დააწესა, რომლებიც მისი აქციონერები არ არიან. ამიტომ ტარიფი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კონსორციუმის აქციონერებისა და მესამე მხარისთვის განსხვავებულია, განსხვავება კი ნავთობსადენში არსებულ თავისუფალ სიმძლავრეზეა დამოკიდებული.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იმ ობიექტების ნუსხაშია, რომელსაც აშშ თავისი სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საციცოცხლო მნიშვნელობის მქონედ განიხილავს და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გადის სამ ქვეყანაზე კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენი

"ბაქო-თბილისი-ერზრუმის" სამხრეთკავკასიური გაზსადენის სიგრძე აზერბაიჯანსა და საქართველოს მონაკვეთზე 691 კმ-ია. (საქართველოში მისი სიგრძე 249 კმ-ია). ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის გაყვანილი. ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენით (პროექტის ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარი) საქართველოს, თურქეთისა და შემდგომში ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე შაჰ-დენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზი.

შაჰ-დენიზი აზერბაიჯანის უდიდეს გაზის საბადოდ ითვლება. გაზსადენის პროექტის ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია, რომ საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა.

როგორც ტრანზიტული სახელმწიფო, საქართველო ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს იტოვებს ტარიფის სახით, ასევე შეუძლია 0,5 მილიარდი კუბური მეტრი შეიძინოს ყოველწლიურად ფასდაკლებით. გრძელვადიან პერსპექტივაში სამხრეთ კავკასიის გაზსადენი გაზს ევროპასაც მიაწვდის მასთან თურქეთი-საბერძნეთისა და საბერძნეთი-იტალიის გაზსადენების შეერთებით. პროექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში საქართველო პროექტის ინვესტორებისაგან

ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს (წელიწადში ნახევარ მილიარდ კუბურიმეტრს) სპეციალური ხელშეკრულების თანახმად მიიღებს.

ჯეიჰანის მილსადენის კომპანია დააფუძნებულა საერთაშორისო ენერგოკომპანიების კონსორციუმის მიერ, მას უშუალოდ ხელმძღვანელობს მილსადენის ოპერატორი “British Petroleum”-ი, რომელიც ფლობს 30,1%-იან წილს. ამ კონსორციუმში, შემდეგ ყველაზე მაღალი წილი - 25% აქვს აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიას AZBTC-ს. დანარჩენი მეწილეები არიან: Chevron (8.90%); Statoil (8.71%); TPAO (6.53%); ENI (5.00%); Total (5.00%), Itochu (3.40%); INPEX (2.50%), ConocoPhillips (2.50%) და Hess (2.36%). [125].

ტრანსნატოლიური გაზსადენი (TANAP)

ტრანსნატოლიური გაზსადენი (TANAP) სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაგრძელება იქნება თურქეთის აღმოსავლეთ საზღვართან, სადაც ტრანსადრიატიკულ გაზსადენს შეუერთდება, გადაკვეთს საბერძნეთს და იტალიის გაზის ტრანსპორტაციის ქსელში ჩაერთვება. ამ მილსადენს შეიძლება ეწოდოს ევროკავშირისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ენერგეტიკული პროექტი, რადგან მას არა მხოლოდ ენერგომიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიცირება შეუძლია, არამედ რუსეთის ენერგიო რესურსების ექსპორტის მონოპოლიის შეწყვეტაც ევროპაში. მისი მნიშვნელობა ორმაგად გაიზარდა რუსეთსა და თურქეთს შორის მომხდარი დაპირისპირების შემდეგ.

ზოგადად, პროექტის მიზანია სამხრეთკავკასიური გაზსადენის (ბაქო - თბილისი -ერზრუმი) გაფართოება, ტრანსნატოლიური გაზსადენის მშენებლობა თურქეთში და მისი გაგრძელება ევროპის ტერიტორიაზე ტრანსადრიატიკული მილსადენის (TAP-ის) მეშვეობით.

TANAP-ი სამხრეთ დერეფნის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანული საბადოდან ბუნებრივი აირი საქართველოს და თურქეთის გავლით საბერძნეთის საზღვრებამდე მივა. ამ გაზსადენის მეშვეობით ევროპელები 20 მლრდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს შეტანენ თავიანთ ქვეყნებში, თურქეთი მიიღებს 6 მლრდ კუბურ მეტრ „ცისფერ საწვავს“. მომავალში იგეგმება გაზსადენის სიმძლავრის გაზრდა 31 მილიარდ კუბურ მეტრამდე. რაც შეეხება

მშენებლობას, ის უკვე მიმდინარეობს, 2015 წლის 17 მარტს კი ქ. ყარსში შედგა თურქული მონაკვეთის მილის ჩადების სიმბოლური ცერემონია.

TANAP-ის მთავარი პრობლემა, არის მილსადენის სრულად დატვირთვა, რადგან აზერბაიჯანს არ შეუძლია წლიურად 20 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდება. საქმე ისაა, რომ ამჟამად ბაქო მოიპოვებს მხოლოდ 16 მლრდ კუბურ მეტრ „ცისფერ“ საწვავს წელიწადში, საჭირო ხდება დანაკლისის შევსება სხვა ქვეყნების საბადოებიდან. ამ მხრივ ბუნებრივი აირის პირველი პოტენციური მომწოდებლად ირანია, რომლის მარაგები 17-ჯერ აღემატება აზერბაიჯანისას! თავისი ბუნებრივი რესურსების ექსპორტი და საჭიროების შემთხვევაში მოპოვების მოცულობის გაზრდა თეირანისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს! თუმცა პირველ დაბრკოლება ირანელების ამ პროექტში მონაწილეობისთვის იყო (და ჯერ კიდევ არის) სანქციები. საუბარია ირანის ატომური პროგრამაზე, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები ეწინააღმდეგებიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის ნოემბერში სანქციების ნაწილის მოხსნის სანაცვლოდ ამერიკულმა მხარემ თეირანს TANAP-ის პროექტში ჩართვის მეშვეობით, აზერბაიჯანთან ერთად, ევროპაში მიმავალი საერთო ენერგოდერეფნის შექმნა შესთავაზა, თუმცა, პროექტში ირანის მონაწილეობა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ირანთან ერთად „ტრანსანატოლიურ გაზსადენში“ ბუნებრივი აირის დანაკლისის შევსება სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, თურქმენეთს, რომლის გაზის მარაგი 13-დან 21 ტრილიონამდე კუბური მეტრია, რაც მსოფლიოში მეოთხეა სიდიდით. ანაკარა და ბაქო უკვე აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. მაგალითად, 2015 წლის თებერვლის დასაწყისში აშხაბადში შედგა თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთა შორის შეხვედრა. ამ მოლაპარაკებების შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოლლუმ განაცხადა, რომ „თურქეთი და აზერბაიჯანი მოუწოდებენ თურქმენეთს შეუერთდეს TANAP-ის პროექტს“.

პროექტში თურქმენეთის ჩართვის მთავარი დაბრკოლება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი - კასპიის ზონაა. საქმე ისაა, რომ თურქმენული გაზის ევროპისთვის მიწოდების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, პოტენციურად შესაძლებელი 300 კილომეტრიანი ტრასკასპიური გაზსადენია. თუმცა ამისთვის

საჭიროა, რომ ხუთმა კასპისპირა სახელმწიფომ განსაზღვროს კასპის ზღვის სტატუსი. მათ შორისაა რუსეთი და ირანი. ასევე ნათელია, რომ ახალი მარშრუტი, რომელიც გვერდს აუვლის ამ ორ ქვეყანას, რაც მათთვის მიუღებელია. ცხადია საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ალტერნატიული მილსადენის მშენებლობაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო ძვირი სიამოვნება იქნება.

დასკვნა

ამრიგად, ენერგეტიკული პროექტების ამოქმედება დიდწილად განსაზღვრავს:

1. ქართულ-თურქულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას;
2. საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის როლის გაზრდას საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის;
3. რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას;
4. თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის აქტიურ მონაწილეობას ახალი ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში;
5. პერსპექტიული ინიციატივების წარმოჩენას, როგორც ქართულ-თურქულ ურთიერთობებში, ისე რეგიონულ და ფართო საერთაშორისო დონეზე.

ამდენად, კავკასიის რეგიონში არსებული სატრანზიტო პროექტები, რომლებიც აზიასა და ევროპას აკავშირებს, მასში მონაწილე ქვეყნებს აძლევს შანსს, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და გახდნენ უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილი. რაც თავის მხრივ საქართველოს შესძენს სატრანზიტო ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ფუნქციას, მათი განხორციელება კი უზრუნველყოფს საქართველოს სრულ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და დააჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას.

გარდა ამისა, აღნიშნული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსთვის, ისე ამ პროექტში მონაწილე ქვეყნისთვის, რომლის გეოპოლიტიკური როლი მკვეთრად გაიზრდება, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ სარგებელზე.

და ბოლოს, ხსენებული სატრანზიტო პროექტების განხორციელება შეამცირებს რუსეთის გავლენას ევროპის ნავთობის პოლიტიკაზე.

კითხვები:

1. როდის მოეწერა ხელი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანის (ტრასეკა) ანუ „ახალი აბრეშუმის გზა“, -პროგრამას?
2. რას ითვალისწინებს TRACECA-ს პროგრამა?
3. როდის ჩაეყარა საფუძველი ინოგეიტის (INOGATE) პროგრამას?
4. როდის დაიწყო BTC მილსადენის სრული ექსპლუატაცია?
5. როდის ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენი?

თავი VII. ევროპეიზაციის არსი და ქართულ რეალობა.

ევროპეიზაციის შესახებ დისკურსი დაიწყო 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, როცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების წინაშე ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხი დადგა.

ევროპეიზაციას, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირთან ინსტიტუციური ადაპტაციის პროცესს უწოდებენ.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ „ევროპეიზაცია არ არის ევროინტეგრაციის ექვივალენტური კატეგორია. ის მართვის სოციალურ-პოლიტიკური პრინციპებისა და მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტაციას გულისხმობს და მოიცავს, როგორც მის წევრ, ასევე არაწევრ ქვეყნებსაც“.

თავდაპირველად, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიტები ევროინტეგრაციას სწავლობდნენ **ნეოფუნქციონალიზმისა¹** და **რეალიზმის²** პოზიციიდან, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი განიხილებოდა, როგორც “ევროპული მმართველობის” მოდელი მისთვის სპეციფიკური მახასიათებლებით: რეგიონალიზმით, სუპრანაციონალური ინტეგრაციით, მულტილატერალიზმით,

1. **ნეოფუნქციონალიზმი**-ინტეგრაციის სამეცნიერო თეორია, რომელიც ინტეგრაციის განვითარების ყველაზე ეფექტურ გზად ქვეყნების საერთო ინტერესების სექტორებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას მიიჩნევს. ფუნქციონალიზმისაგან განსხვავებით, ნ. აქცენტს რეგიონულ და არა გლობალურ ინტეგრაციაზე აკეთებს. გარდა ამისა, ნეოფუნქციონალისტები თავიანთ წინამორბედებზე მეტ ყურადღებას აქცევენ ინტეგრაციის ინსტიტუციურ მხარეს, განსაკუთრებით მის პოლიტიკურ ასპექტებს. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ნ-ის სკოლა პლურალიზმის პარადიგმას მიეკუთვნება, რადგან ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოთა გარდა ინტერესთა ჯგუფების გავლენასაც დიდ ყურადღებას უთმობს.

2. **რეალიზმი**-საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა-სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი - ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი -ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი. პ.რ-ის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა მაკიაველიმ 1513 წელს დაწერილ ნაწარმოებში „მთავარი“, თუმცა ამ თეორიის ცალკეული იდეები ჯერ კიდევ თუკიდიდეს „პელოპონესის ომების ისტორიაში“ გვხვდება (ძვ. წ. V ს.). აღნიშნულმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა თომას ჰობსის „ლევიათანში“ (1651), მაგრამ პ. რ., როგორც მეცნიერული თეორია XX ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ე. ქარის „ოცწლიანი კრიზისი“ (1946) და განსაკუთრებით ჰ. მორგენტაუს „პოლიტიკა სახელმწიფოებს შორის“ (1948). პ. რ-ის წარმომადგენლები არიან საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერების ცნობილი მკვლევარები ჯ. ბერცი, მ. უაიტი, ნ. სპაიკმენი, ჯ. კენანი, რ. არონი, ჰ. კისინჯერი, რ. როზენკრაცი, კ. ტომსონი და სხვ. კლსიკური პ. რ-ის მიხედვით, ადამიანი ბუნებით აგრესიული და კონფლიქტური არსებაა, რომლის მიზანია სხვაზე უპირატესობის მოპოვება და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. ამიტომ ომები და დამაბულობა ჩვეულებრივი, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ტრანსნაციონალური ვაჭრობითა (ნეოლიბერალური ეკონომიკით) და დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმით.

თუმცა, შემდგომ, ევროინტეგრაციის კვლევებში ორიენტაცია პოლიტიკური სისტემებისა და ყოველდღიური პრაქტიკის ევროპეიზაციაზე გადაიტანეს. ამდენად, ევროინტეგრაცია ხდება დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე, დისკურსსა და იდენტობებზე (რადაელლი, 2003), ხოლო ტერმინი “ევროპეიზაცია” გამოიყენება ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციის აღსანიშნავად ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში.

თავის მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესის გაგებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადაპტაციის, არამედ ევროინტეგრაციის „გამოყენების“ შესწავლაც.

„გამოყენებაში“ იგულისხმება როგორც სახელმწიფო აქტორების ევროპულ ინსტიტუტებთან სტრატეგიული ინტერაქცია, ისე ამ გამოყენების, როგორც ყოველდღიური პრაქტიკის, გავლენა აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე.

ევროპეიზაციის სოციოლოგიური შეხედულებების საფუძველზე, აქტორები ევროინტეგრაციის “გამოყენების” ტიპოლოგიზაციას გვთავაზობენ და გამოყოფენ ძირითად კატეგორიას: სტრატეგიული გამოყენებას “რესურსების გარდაქმნას პოლიტიკურ პრაქტიკად”, გარკვეული მიზნების მისაღწევად, იქნება ეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენა, პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომის გაზრდა, საკუთარი ქმედითობის გაზრდა თუ სხვ. ეს ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა, როგორც ეროვნულ, ისე სუპრანაციონალურ დონეზე, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორების მხრიდან. კოგნიტიური³ გამოყენება გულისხმობს გარკვეული პოლიტიკური საკითხის გაგებასა და ინტერპრეტაციას, რისთვისაც პოლიტიკურ აქტორებს კონკრეტულ ანალიტიკურ ჩარჩოს სთავაზობს ანუ ეს უკანასკნელი დარწმუნების მექანიზმად გამოიყენება და მთელი რიგი აქტორების მონაწილეობას გულისხმობს ეროვნულ და სუპრანაციონალურ დონეზე. ლეგიტიმურობის მიმცემი გამოყენება პირველი ორის სინთეზის შედეგია და გულისხმობს “ევროპაზე აპელირებას, როგორც ეროვნული საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმაციის გზას.“ მას ძირითადად მიმართავენ სამთავრობო აქტორები,

³კოგნიტიური (Cognitive) - შემეცნების პროცესის განვითარება, რომელიც მოიცავს წარმოსახვას, აღქმას, აზროვნებასა და ამოცანის გადაწყვეტას. კვლევის ძირითადი მიმართულებებია ინფორმაციის გადამუშავება, ინტელექტი, მსჯელობა, მეტყველების განვითარება და მეხსიერება.

რომლებიც ე.წ. “ევროპულ რიტორიკას“ იყენებენ, იქნება ეს “ევროპული ინტერესები” თუ “ევროპული დირექტივები.” მიუხედავად იმისა, რომ ეს ლეგიტიმაცია დისკურსს ეფუძნება, მისი ეფექტი საკმაოდ ძლიერია, რადგან დისკურსი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ევროპეიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე.

რადაელის კლასიფიკაციის მიხედვით, გამოყოფილია სამი სფერო, რომელთა ევროპეიზაციაც ხორციელდება:

- ა) სახელმწიფო სტრუქტურები;
- ბ) საჯარო პოლიტიკა;
- გ) კოგნიტური და ნორმატიული სტრუქტურები.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან კულტურული ღირებულებებისა და სოციალური ნორმების სისტემას, დისკურსებისა და ეროვნული იდენტობის კვლავწარმოებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს მოიაზრებს. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპეიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურების ფუნქციონირებაზე, არამედ ზემოქმედებს და გარკვეულწილად ცვლის წევრ თუ წევრობის მსურველ ქვეყნებში დომინანტურ ღირებულებებს, ნორმებსა და დისკურსებს. თავის მხრივ, ამ ქვეყნებში მოქმედი დისკურსები გავლენას ახდენს მათი ევროპეიზაციის ხარისხზე.

ევროკავშირთან და ევროპეიზაციასთან მიმართებაში შეიძლება საუბარი შემდეგ დისკურსებზე: ევროკავშირის ოფიციალური დისკურსზე, სოციალურ მეცნიერთა დისკურსზე, აზრთა ლიდერებისა და ინტელექტუალთა დისკურსსა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების არაფორმალურ დისკურსზე.

რადგან ევროპეიზაციის პროცესში ჩართულია ორი მხარე - ევროკავშირი და ევროპეიზაციის პროცესში მყოფი ქვეყანა, ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბრიუსელიდან წამოსული სიგნალებისა და მათზე რეაქციის, არამედ იმ პოლიტიკური პარადიგმებისა და ნორმების გათვალისწინებაც, რომელთაც სახელმწიფოები ევროკავშირთან ადაპტაციის პროცესში შეიმუშავებენ და საკუთარი თამაშის წესებად აქცევენ. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი მათთვის პარადიგმების წყაროა და არა უბრალოდ ზეწოლის მექანიზმი. მართალია, ზოგჯერ ევროპეიზაციის პროცესს განიხილავენ, როგორც ევროცენტრულსა და ზემოდან ქვემოთ მიმართულს, მაგრამ მიიჩნევა, რომ ევროპეიზაცია, იმავდროულად, ქვემოდან ზემოთ მიმართული პროცესიცაა. კომპლექსური მოლაპარაკებების პროცესში მყოფი ქვეყნები ბრიუსელს

“აუტვირთავენ“ საკუთარ საჭიროებებს და “ჩამოტვირთავენ“ მათ “ევროკავშირის პოლიტიკის მრავალფეროვანი მენიუდან”. აღსანიშნავია, რომ ძველ კანდიდატებს ამ პროცესზე გავლენის მოხდენის ბევრად მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ, ვიდრე ახალ კანდიდატსა და წევრობის მსურველ ქვეყნებს, რადგან დროთა განმავლობაში, ევროკავშირმა გაართულა წევრად მიღების ფორმალური პირობები და შეზღუდა შეღავათებზე აპლიკანტთა მოლაპარაკების შესაძლებლობები.

ევროპეიზაცია ქართულ რეალობაში

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ევროპეიზაცია ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების, ნორმების ეროვნულ დონეზე დანერგვას გულისხმობს, რაც არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, არამედ შინაური დისკურსისა და იდენტობების სფეროებსაც ეხება. ამდენად, ტერმინი “ევროპეიზაცია“ ქვეყნის ევროპულ მოდელთან ადაპტაციის კონტექსტში განიხილება.

ევროპეიზაციის მკვლევარები, უმეტესად საუბრობენ **აბსორბაციაზე**, რაც, ფაქტობრივად, ადაპტაციას ნიშნავს და გულისხმობს ევროკავშირის მოთხოვნების ინტეგრირებას ეროვნულ პოლიტიკურ სისტემებში არსებითი ცვლილებების გარეშე; და **ტრანსფორმაციაზე**, როდესაც ადგილობრივი სისტემა ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. უდავოა, რომ ევროპეიზაციის შედეგების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა პოლიტიკის მეცნიერებისგან განსხვავებით, სოციოლოგები არა მხოლოდ ადაპტაციაზე, არამედ ევროინტეგრაციის პროცესის “გამოყენებაზეც“ საუბრობენ, რაც განმსაზღვრელად მიაჩნიათ ტრანსფორმაციის პროცესის ასახსნელად, “გამოყენება“ ქვეშ გულისხმობს, როგორც აქტორების სტრატეგიულ ინტერაქციას ევროპულ ინსტიტუტებთან, ისე ამ “გამოყენების“, როგორც ყოველდღიური პრაქტიკის, გავლენას აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე, რაც რადაელის ზემოხსენებულ დეფინიციაშიც არის ხაზგასმული.

გავრცელებული აზრით ევროპეიზაცია ორ ფაზას მოიცავს: გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ, რაც განვითარების ორი ეტაპს - სტანდარტების გადმოტანასა და დანერგვას გულისხმობს.

ევროპული სტანდარტების გადმოტანისა და დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოების ისე ინსტიტუციების სოციალიზაცია⁴, იმისათვის, რომ დარწმუნდნენ ევროკავშირის ნორმების სარგებლიანობაში, ეს ნორმები ლეგიტიმურად მიაჩნიათ და თუ საკუთარი თავის ევროკავშირთან იდენტიფიცირებას ახდენენ. მიჩნეულია, რომ სოციალიზაციის პროცესს კანდიდატი და წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი აღიარებისა და წევრობის ლეგიტიმაციის მიზნით. ქვეყნების სოციალიზაციის პროცესში ორი მნიშვნელოვანი კომპონენტია:

ა) გაწევრიანებამდე ქვეყანა ისე უნდა მოემზადოს, რომ შეძლოს დაკისრებული მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესრულება;

ბ) ქვეყანამ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა დაუმტკიცოს, რომ ის ღირსეული პოტენციური წევრი-სახელმწიფოა. შსაბამისად, ქვეყანაში უნდა განახორციელოს არა ფასადური, არამედ რეალური ცვლილებები.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი პრობლემების მოგვარება ევროკავშირის გარკვეული რეგულაციების გადმოღებით ხდება, ეს პროცესი ცნობილია სახელწოდებით- “ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე”. თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, მსგავსი მოვლენა უფრო გამონაკლისია და ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნების ქმედებებს, როგორც აღმოსავლეთ გაფართოების, ისე სამეზობლო პოლიტიკის შემთხვევაში, უმეტესად, პირობითობის მექანიზმი წარმართავს.

მკვლევართა აზრით, პირობითობის ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერია გაწევრიანებამდე, რაც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს ჰარმონიზაციის პროცესი კონტროლს. აღმოჩნდა, რომ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის აქტიურად მუშაობს თვითპირობითობის მექანიზმიც, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირის წევრობა სურთ, ისე იქცევიან, თითქოს ისინი მეტი პირობითობის ფარგლებში განიხილებიან, აგზავნიან სიგნალებს, რომ

⁴ სოციალიზაცია - ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესი, რომლითაც ინდივიდის ქცევის პატერნები, ღირებულებები, სტანდარტები, უნარები და განწყობები ისეთ ფორმას იღებენ, რომელიც მისაღები იქნება მოცემული საზოგადოებისთვის

მზად არიან, შეუერთდნენ წევრებს და ცდილობენ, ევროკავშირი დაარწმუნონ, რომ ისინი კანდიდატებად განიხილოს.

თუ დავაკვირდებით, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში იქ, სადაც მომავალში ევროკავშირის წევრობის მეტი შანსი აქვთ, ევროკავშირის ნორმების დანერგვის უფრო მაღალი მზაობაა, ამ ქვეყნებში ევროკავშირის წესებზე ორიენტირება დამოკიდებულია ევროკავშირზე, ასიმეტრიული დამოკიდებულების ხარისხსზე, რომელზეც არსებული კვლევების თანახმად, ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნის ზომა, ეკონომიკური სიძლიერე, მართვის სისტემა და პროევროპული/ევროსკეპტიკური განწყობების არსებობა ახდენს გავლენას. აღმოჩნდა, რომ უფრო პატარა, მდიდარი, კარგად მართული და ევროსკეპტიკური კანდიდატები უკეთესი უნარით გამოირჩევიან, ამიტომ ევროკავშირის მხრიდან მეტ შეღავათებსაც იღებენ.

მეცნიერთა აზრით, სწორედ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის ევროპეიზაციის ჩარჩოდ.

ევროკავშირის მცდელობა, გაავრცელოს საქართველოში ლიბერალური ღირებულებები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ელიტაზე.

ამდენად, ევროპეიზაცია ახალ რეალობას ქმნის ქართულ სინამდვილეში, რომელიც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ძირეულ გარდაქმნას გულისხმობს.

საქარველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროპეიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის ნორმატიული და საბაზრო გაფართოება, რაც, თავის მხრივ, მოდერნიზაციის პროცესად აღიქმება: ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ, რათა წევრ ქვეყნებში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ სტანდარტებს მიუახლოვდნენ.

კულტურული თვალსაზრისით, ევროპეიზაცია განიხილება, როგორც „მზარდი ტრანსნაციონალიზმი, რაც გულისხმობს კულტურული ნორმების, იდეების, იდენტობებისა და ქცევის ნიმუშების დიფუზიას კროსნაციონალურ დონეზე, ევროპის შიგნით“.

ევროპეიზაცია ასევე არის პროცესი, რომლის გავლენითაც თანამედროვე ევროპაში იდენტობები იცვლება, რაც ყოველდღიური ცხოვრების წესის, ჩვეულებების, იდეების ცვლილებით გამოიხატება.

საქართველოში ევროპეიზაციის პოლიტიკურ სარგებლად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების და მოქალაქეზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარება მიიჩნევა, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზით. როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთხელ გაესვა ხაზი ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერების საკითხს.

რაც შეეხება ამ პროცესის თანმდევ პოლიტიკურ საფრთხეებს, მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემცირების რისკს შეიცავს, თუნდაც დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნულის საპირწონედ მოყვანილია არგუმენტი, რომ, ერთი მხრივ, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა, მეორე მხრივ კი, ევროპული თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე, ქვეყანას საერთაშორისო საფრთხეებთან, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიასთან დამოუკიდებლად გამკლავება არ ძალუძს.

ეკონომიკური სარგებლის მხრივ კი ევროპეიზაცია საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციის რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვითა და ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიის მინიმუმამდე დაყვანით მიიღწევა. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლად მოიაზრება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროპულ ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკურ მოდერნიზაციას თან სდევს მთელი რიგი წინააღმდეგობები: კორუფციასთან ბრძოლა და წარმოების და პროდუქტის ფასის გაძვირება. თუმცა შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში მიღებით სარგებელს. იქნება ეს ხარისხიანი პროდუქცია, თუ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება, რასაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც უნდა მოჰყვეს.

საქართველოსთვის ევროპეიზაციიდან მიღებულ უმთავრეს კულტურულ სარგებლად მიიჩნევა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების რეალური

შესაძლებლობა, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიის საფრთხის პირობებში. ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში არსებული მულტიკულტურლობა რესპონდენტებს სწორედ ქართული იდენტურობისა და კულტურული თავისებურებების შენარჩუნების გარანტიად ესახებათ და არა ეროვნულისთვის საფრთხედ.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსები და ექსპერტები ევროკავშირს ქართული საზოგადოების რესოციალიზაციის მნიშვნელოვან აგენტად განიხილავენ. ამაზე მიუთითებს მათ მიერ ევროინტეგრაციის „მენტალური მოდერნიზაციის“ პროცესად აღქმა. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც ქვეყანაში ინსტიტუციური რეფორმების წარმატებით და, რაც მთავარია, გააზრებულად განხორციელების ქვაკუთხედი. „მენტალური მოდერნიზაციის“ ინდიკატორებად ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანობის კანონიერების სახელმწიფო პრიორიტეტად გადაქცევა, აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება სახელდება. ამ მიზნით კი, ისევე მნიშვნელოვნად მიიჩნევა შესაბამისი „ღირებულებების კულტივირება“, როგორც ევროკავშირის სტანდარტების საფუძველზე ადგილობრივი სტრუქტურების ტრანსფორმაცია. ხაზგასმულია, რომ „მენტალური მოდერნიზაცია“ აუცილებელია, რათა ევროპეიზაცია მხოლოდ რიტორიკულ სტრატეგიად კი არ დარჩეს, არამედ საზოგადოების რეალური ტრანსფორმაცია მოახდინოს, ანუ ფორმალური და დისკურსული დონიდან ქცევედა დონეზე გადაინაცვლოს.

რადგან ევროპეიზაციის პროცესში ჩართულია ორი მხარე-ევროკავშირი და ევროპეიზაციის პროცესში მყოფი ქვეყანა, ამიტომ მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური პარადიგმებისა და ნორმების გათვალისწინება, რომელთაც სახელმწიფოები ევროკავშირთან ადაპტაციის პროცესში შეიმუშავებენ და ურთიერთობის ნორმად აქცევენ. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი მათთვის მხარდამჭერ წყაროდ მიიჩნევა და არა უბრალოდ ზეწოლის მექანიზმად. ევროსკეპტიკოსები ევროპეიზაციის პროცესს განიხილავენ, როგორც ევროცენტრულს და ზემოდან ქვემოთ, მაგრამ მიიჩნევა, რომ ევროპეიზაცია, იმადროულად, ქვემოდან ზემოთ მიმართული პროცესიცაა.

ევროპეიზაცია-ახალი პოლიტიკური რეალობა

მეცნიერთა აზრით, ევროპეიზაციის პროცესის კვლევისას მნიშვნელოვანია ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ინსტიტუტებს მოიცავს და გულისხმობს პოლიტიკის ევროპული სტანდარტებით განხორციელებას, რაც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და არაერთ ტრანსფორმაციას იწვევს.

რადაელის მიხედვით აღნიშნული ტრანსფორმაციების ემპირიული გაზომვა შესაძლებელია ინტერაქციის, ძალის, ბალანსისა და დისკურსის მეშვეობით.

ინტერაქცია (ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთმანეთისადმი, სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა). პოლიტიკური გამოცდილების საზომია და აღმასრულებელ ორგანოებსა და სხვა აქტორებს შორის ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას. ტრანსფორმაციის გაზომვა შეიძლება იმის მიხედვით თუ რამდენად ძლიერი ხდება ესა თუ ის ინსტიტუტი სხვა ინსტიტუტებთან ინტერაქციის თვალსაზრისით. თუ პოლიტიკური გამოცდილება ინსტიტუტსა და მის გარემოს შორის ინტერაქციას ასახავს.

ძალა უშუალოდ ინსტიტუტის შიგნით არსებულ მდგომარეობას ზომავს. ინსტიტუტების შიდა სტრუქტურას აძლიერებს გაუმჯობესებული პოლიტიკური ტექნოლოგიები და ბიუროკრატიული აპარატი.

ბალანსის აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როცა ინსტიტუტები აწყდებიან დაბრკოლებას, რომელიც არ ჯდება ნორმალურ სტანდარტულ ჩარჩოში, ამიტომ მათი სამოქმედო წესები და ნორმები ტრანსფორმაციას განიცდის.

რაც შეეხება **დისკურსს**, ის ფუნდამენტურ როლს ასრულებს, როგორც ახალი წესების, ღირებულებებისა და პრაქტიკების ფორმირებაში, ისე მათთვის ლეგიტიმაციის მინიჭებაში. დისკურსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპეიზაციის პროცესის შესწავლისას, რადგან, როგორც რადაელი აღნიშნავს, მას შეუძლია ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს პოლიტიკის ყველა ელემენტზე: დისკურსს შეუძლია პოლიტიკური დილემის ინტერპრეტაციის შეცვლა; წარმოდგენის შეცვლა იმის შესახებ, რა არის პოლიტიკური დაპირისპირების რეალური მიზეზი; იმ პოლიტიკური ინტერესების შეცვლა, რომელთაც მოლაპარაკებები ეფუძნება და, ასევე, გადამწყვეტი გავლენის მოხდენა ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული არჩევანის ლეგიტიმაციაზე.

მიუხედავად ევროკავშირის ტრანსფორმაციული გავლენისა შიდა პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე, ეს გავლენა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებით საგულისხმოა ნორმათა ინტერპრეტაციების როლი, რომლებიც იქცევიან, როგორც “ცვლილებათა აგენტები“ და აქტიურად ლობირებენ ახალ იდეებს, რეგულაციებსა და პროცედურებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში არსებული ვითარების გასაანალიზებლად, სადაც ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტები ევროპულისგან განსხვავდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის მოთხოვნების რეალიზება მარტივი პროცესი არ არის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ადგილობრივი ინსტიტუტები აქტიურად მუშაობენ რეფორმებზე სხვადასხვა სფეროში.

დასკვნა

ამდენად, ევროპეიზაცია არის პროცესი, რომლის გავლენითაც იცვლება იდენტობების მარკერები, რაც ყოველდღიური ცხოვრების წესის, ჩვეულებების, იდეების ცვლილებაში გამოიხატება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპეიზაციის პოლიტიკურ სარგებლად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მოქალაქეზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარება მიიჩნევა, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზით, რაც ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას უწყობს ხელს. იმავდროულად, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია, მეორე მხრივ კი, ევროპული თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე, ქვეყანას საერთაშორისო საფრთხეებთან, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიასთან დამოუკიდებლად გამკლავება არ ძალუძს.

გარდა ამისა, ეკონომიკური სარგებლის მხრივ ევროპეიზაცია საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციის რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვითა და ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიის მინიმუმამდე დაყვანით მიიღწევა. ეს მიღწევები, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლად მოიაზრება,

განსაკუთრებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროპულ ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

საქართველოსთვის ევროპეიზაციიდან მიღებულ უმთავრეს კულტურულ სარგებლად მიიჩნევა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების რეალური შესაძლებლობა, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიის საფრთხის პირობებში. ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში არსებული მულტიკულტურლობა სწორედ ქართული იდენტობისა და კულტურული თავისებურებების შენარჩუნების გარანტია და არა ეროვნულისთვის საფრთხედ.

კითხვები:

1. როდის დაიწყო ევროპეიზაციის შესახებ დისკურსი?
2. რადაელის კლასიფიკაციის მიხედვით რომელ სფეროში ხორციელდება ევროპეიზაცია?
3. რას ნიშნავს ევროპეიზაცია?
4. რა მიიჩნევა საქართველოსთვის ევროპეიზაციიდან მიღებულ უმთავრეს კულტურულ სარგებლად?
5. რომელი კონტექსტია მნიშვნელოვანი ევროპეიზაციის პროცესის კვლევისას?
6. ევროპეიზაციაზე საუბრისას რამდენ ფაზას განასხვავებენ?

თავი VIII. საქართველო ევროკავშირის სამეზობლო და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება

1996 წლის 22 აპრილს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა საქართველო-ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება 1999 წელს შევიდა ძალაში. ევროკავშირმა ანალოგიური შეთანხმებები აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 10 ქვეყანასთან გააფორმა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები მოიცავს ურთიერთთანამშრომლობის მრავალ მიმართულებას, რომლის ფარგლებში მხარეები ცალკეული მიზნების მისაღწევად ერთობლივი მუშაობის ვალდებულებას იღებენ.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ზოგადი მიზნებია:

- პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო ჩარჩოს შემუშავება;
- დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;
- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერა;
- ვაჭრობისა და ინვესტირების წახალისება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, ასევე ორიენტირებულია საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, კულტურული და ტექნოლოგიური განვითარებაზე.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს. შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას.

აღნიშნული მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ჰარმონიზაციის კუთხით პრიორიტეტული სფეროებია: კომპანიათა ინვესტიციები, საბაჟო, სამეწარმეო და საბანკო სამართალი; ინტელექტუალური საკუთრება; დასაქმებულთა უფლებების

დაცვა; ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები და სახელმწიფო შესყიდვები; ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა; გარემოს დაცვა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები; ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი.

შეთანხმების 44-ე მუხლში დამატებით ხაზგასმულია კონკურენციის სფეროში საკანონმდებლო ჰარმონიზაციის ვალდებულება.

1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო №828 დადგენილება, რომლის თანახმად, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის №613 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია“. ხოლო 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პროგრამა.

2004 წლის აგვისტოში შემუშავდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების 2004-2006 წლების ერთიანი სამოქმედო გეგმა.

2006 წლის ნოემბერში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) მიღებამ ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების პროცესი თვისებრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანა.

2007 წლიდან, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად.

შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა საჯარო ადმინისტრირების მნიშვნელოვან სფეროებში. კერძოდ, მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, დამკვიდრდა ახალი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმები. სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა დაცვის

მიმართულებით მიღებულია მნიშვნელოვანი რეგულაციები, განხორციელდა ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების სფეროს ძირეული რეფორმა და ქვეყანა საბოლოოდ გადავიდა სტანდარტების ნებაყოფლობით სისტემაზე, გაიმიჯნა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ფუნქციები ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების პროცესი გავრცელდა მართლმსაჯულების, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის საკითხებზე.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოვლენაა, რადგან ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისა და გამყოფი ხაზების თავიდან აცილებას ისახვდა მიზნად. ამავე დროს, შეთანხმება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის საერთო ისტორიულ კავშირებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ მჭიდრო ურთიერთობის განვითარების სურვილს ემყარებოდა.

საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 10 წლის ვადით დაიდო. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებამ ჩაანაცვლა.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმია. სამეზობლო პოლიტიკის მიზანია, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერა, რაც დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებით, ერთიანი და თავისუფალი ევროპის იდეის განხორციელებას ემსახურება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს, ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შემდეგ შემუშავდა მეზობელ სახელმწიფოებთან გამყოფი

ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მიზნით.

ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში 16 ქვეყანაა (ეგვიპტე, ალჟირი, ტუნისი, მაროკო, ლიბია, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, სირია, პალესტინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, ჩართული. აქედან, 12 ქვეყანა სრულად მონაწილეობს სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 4 ქვეყნის (ალჟირი, ბელარუსი, ლიბია, სირია) მონაწილეობა ვრცელდება სამეზობლო პოლიტიკის ცალკეულ მექანიზმებზე.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი მფლობელობის პრინციპს ეფუძნება, რაც ევროკავშირისა და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ცალკეული სუბიექტების მხრიდან გარკვეულ ქმედებებს გულისხმობს. პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ევროპული საგარეო ქმედების სამსახური, რომელიც ეხმარება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელს და ევროკომისარს, რომელიც უშუალოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებს კურირებს.

ევროკომისიის მიერ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულ სამოქმედო გეგმებში ევროკომისია განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის მიღწეული პროგრესის შეფასება.

სამეზობლო ინიციატივის ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში სამოქმედო გეგმა ზოგადი პრინციპებს ეყრდნობა, თუმცა მისი შინაარსი განსხვავდება მოცემულ ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული დონის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს ევროკავშირის სპეციალური კომისია და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (European External Action Service) ახორციელებს, წელიწადში ერთხელ ევროკავშირი აქვეყნებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება მჭიდრო თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

- ფინანსური დახმარებას;

- ეკონომიკური ინტეგრაციასა და ევროკავშირის ბაზარზე დაშვებას;
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას;
- სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერას.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, ასევე, ხორციელდება მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდეგ ფორმატებში:

- აღმოსავლეთი პარტნიორობა;
- ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა;
- შავი ზღვის სინერგია.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მონაწილეებია, მოლდოვა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპიროს ქვეყნები - ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, სირია, ტუნისი და პალესტინის დე-ფაქტო სახელმწიფოა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკა 2004 წლის ივნისიდან იქნა შეთავაზებული და რეგიონის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის მიღმა, ახალი მიმართულებები მოიცვა.

2006 წლის ნოემბერში, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული და მისი შესრულებისათვის განისაზღვრა 5 წელი.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამინისტროებსა და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით ამზადებდა 2006 წლიდან 2014 წლამდე. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიურ გეგმას ლოგიკური ჩარჩოს (მატრიცის) ფორმატში, რომელშიც თითოეული ღონისძიება დეტალურად იყო გაწერილი (სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსახორციელებლად). ამავდროულად, ყოველწლიურად მზადდებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების ანგარიში.

2014 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ ჩაანაცვლა.

აღმოსავლეთ პარტნიორობა

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (Eastern Partnership - EaP) წინადადება, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმატი, თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ იყო შემუშავებული.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდევ ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება და 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკე 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, მისი ძირითადი მიზანია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ ევროკომისიის კომუნიკაციის მიზანი და თანამშრომლობის პერსპექტივები

ევროკომისიის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის მთავრი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა ეს ინიციატივა უფრო შორს მიდის და ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით პარტნიორ ქვეყნებს კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ქვეყნებს სთავაზობს შესაძლებლობათა მაქსიმუმს პარტნიორ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე რეფორმების ინტენსიურობის გათვალისწინებით.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: **ორმხრივი და მრავალმხრივი** თანამშრომლობის ფორმატში. ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და ევროკავშირთან პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის კიდევ უფრო გააღრმავება, მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი ახალ ფორმატს უზრუნველყოფს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში

თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის ასეთი ფორმატი, ისევე, როგორც ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს:

➤ ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული შეთანხმებების - **ასოციირების შესახებ შეთანხმებების** (Association Agreements) გაფორმების გზით, რაც პასუხობს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან საკუთარ თავზე აიღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;

➤ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის **თავისუფალი სავაჭრო ზონების** შექმნას, რომლებიც დაეფუძნებიან თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოციირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილს;

➤ უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა **მობილურობის ხელშეწყობას**. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარებისაკენ;

➤ **ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას**, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგორესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერჯის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას.

➤ ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნების მნიშვნელობას, რაც ყველა მონაწილე მხარეზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Joint Ownership) უწყობს ხელს;

➤ ევროკომისიის მიერ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განხორციელების მიზნით 2010-2013 წლებისათვის გამოყოფილია 600 მლნ ევრო, რომელიც ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ნაწილს წარმოადგენს და გამოიყენება:

1. ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში (Comprehensive Institutional Building) (175 მლნ ევრო) პარტნიორი ქვეყნების დახმარებისთვის;

2. რეგიონული განვითარების პროგრამებისთვის (Regional Development Programmes), რომლებიც პარტნიორ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების შემცირებას ისახავს მიზნად (75 მლნ ევრო);

3. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის (EaP Multilateral Dimension) განვითარებისთვის (350 მლნ ევრო).

ევროკომისიის კომუნიკაციის შესაბამისად ჩამოყალიბდა **მრავალმხრივი თანამშრომლობის** ინსტიტუციონალური სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ოთხ თემატურ პლატფორმას, ფლაგმან ინიციატივებსა და პანელებს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივ ფორმატს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. პლატფორმებზე პასუხისმგებლები არიან შემდეგი დარგობრივი სამინისტროები:

➤ პლატფორმა I- **დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა** (Democracy, Good Governance and Stability) – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

➤ პლატფორმა II – **ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა** (Economic Integration and Convergence with EU Policies)– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

➤ პლატფორმა III - **ენერგოუსაფრთხოება** (Energy Security) – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;

➤ პლატფორმა IV – **ხალხთა შორის კონტაქტები** (Contacts between People) – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

➤ ერთობილი პროექტების განხორციელების მიზნით ფუნქციონირებს **ფლაგმანი ინიციატივები**: ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფათა პრევენცია, მზადყოფნა და ბრძოლა; საზღვრის ინტეგრირებული მართვა; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა; გარემოს მართვა და რეგიონული ელექტრობაზრები; გაუმჯობესებული ენერგოეფექტიანობა და განახლებადი წყაროების გამოყენების გაზრდა.

შეიქმნა შემდეგი **პანელები**: საზღვრის ინტეგრირებული მართვა; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; საჯარო ადმინისტრირების რეფორმა; სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული ფუნქციონირება; მიგრაცია და თავშესაფარი; საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა; გარემოსა და კლიმატის ცვლილება; ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების სფეროებში თანამშრომლობა, დაკავშირებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებთან; მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკა; ტრანსპორტი; სოფლის მეურნეობა და განვითარება; კვლევა და ინოვაცია.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ფუნქციონირებს „**ევრონესტი**“ (Euronest) - თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში, ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით 2009 წლის 17 ნოემბერს ქ. ბრიუსელში **სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი** (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი მუშა ჯგუფი ფუნქციონირებს, მათგან 4 შინაარსობრივად „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის „სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა“ დაარსების

შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს ქ. პოზნანში, პოლონეთში გამართულ CSF-ის მესამე შეხვედრაზე იქნა მიღებული.

CSF-ის მუშაობას ხელმძღვანელობს 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი, რომლის წევრები არიან თითოეული მუშა ჯგუფის კოორდინატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელია.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები იმართება ყოველწლიურად, სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება, კოორდინატორების (National Facilitators), სამუშაო ჯგუფების ორ-ორი კოორდინატორის (Working Group Coordinators) და ევროკავშირის სამი კოორდინატორის (EU Coordinators) არჩევა.

CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. მასში ოთხი თემატური ჯგუფი ფუნქციონირებს. ეროვნული პლატფორმის საქმიანობას წარმართავს საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში თითოეული სამუშაო ჯგუფის 2 თანაკოორდინატორი შედის. „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის" თავმჯდომარეა, „ლიბერალური აკადემია - თბილისის" დირექტორი, ბ-ნი ლაშა ტულუში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" საკითხების კოორდინატორი უწყება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნული პლატფორმის" წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის 20-21 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეექვსე ყოველწლიური შეხვედრა გაიმართება საქართველოში, ქ. ბათუმში.

დაარსებიდან ხუთ წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული

პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს, მისი მიზანია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავება.

დასკვნა

მართალია „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამები არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, მაგრამ ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

შესაბამისად, საქართველო აქტიურად უჭერს მხარს ამ პროგრამების იმპლემენტაციასა და პოპულარობას ქვეყნაში.

კითხვები:

1. როდის მოაწერეს ხელი საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას?
2. როდის შევიდა ძალაში საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება?
3. ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში რამდენი ქვეყანა მონაწილეობს?
4. რომელი ქვეყნები მონაწილეობენ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში?
5. როდის ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ.

თავი IX. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო

2016 წლის 28 ივნისს ევროპულმა საბჭომ ევროკავშირის გლობალური სტრატეგია - „გაზიარებული ხედვა, ერთობლივი მოქმედება - ძლიერი ევროპა“ დაამტკიცა. დოკუმენტი ერთწლიანი მუშაობის შედეგად, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის **ფედერიკა მოგერინის** ხელმძღვანელობით და წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების მონაწილეობით შემუშავდა.

სტრატეგიაზე მუშაობა დაემთხვა ევროკავშირსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს, რაც დოკუმენტის შინაარსზეც აისახა. კერძოდ საუბარია უკრაინასა და სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე, მიგრაციულ კრიზისზე, არაბული გაზაფხულის შედეგად განვითარებულ მოვლენებზე, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის მოულოდნელ შედეგებზე. ამ უკანასკნელმა მოვლენამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დოკუმენტით გათვალისწინებული გეგმების განხორციელება.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის გლობალური სტრატეგია ევროკავშირის უსაფრთხოების უმნიშველოვანესი დოკუმენტია, რომელიც, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავს საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის მოქმედების სტრატეგიულ მიმართულებებს.

დოკუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან აღნიშნული სტრატეგია საქართველოსთან დაკავშირებულ რამდენიმე ისეთ პუნქტს შეიცავს, რომელიც უსათუოდ იქონიებს გავლენას ევროკავშირ-საქართველოს შემდგომ ურთიერთობაზე. ამიტომ, დოკუმენტის სიღრმისეული ანალიზი, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ევროპის გლობალურ სტრატეგია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ 2015 წლის 26 ივნისს ევროპულ საბჭოს წარუდგინა. თავის მხრივ, ევროპულმა საბჭომ, უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ ევროკავშირის გლობალური სტრატეგიის შემუშავება და 2016 წლის ივნისში წარდგენა დაავალა.

2016 წლის გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რიგით მეორე სტრატეგიული დოკუმენტია. მისი წინამორბედი - ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია-საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჰავეიერ სოლანას ხელმძღვანელობით 2003 წელს შემუშავდა. მომდევნო წლებში მომხდარი დრამატული ცვლილებების მიუხედავად, დოკუმენტის შეთანხმება 2016 წლამდე ვერ მოხერხდა.

მოქმედის მსგავსად, წინა სტრატეგიაზე მუშაობაც, საგარეო პოლიტიკური სირთულეების ფონზე მიმდინარეობდა. 2003 წელს ჯორჯ ბუშის მიერ ერაყში დაწყებულმა საომარმა კამპანიამ ევროპული სახელმწიფოები ამერიკის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკებად დაყო. სწორედ ამიტომ, ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის უმთავრესი დანიშნულება ევროპული ქვეყნების ერთიანობის დადასტურება იყო. ევროკავშირის კონცეპტუალურ პასუხს მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების 2002 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც, რომლითაც ვაშინგტონი ტერორიზმთან “წინააღმდეგობა” და „საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად“ ბრძოლის მზადყოფნას გამოთქვამდა.

წინამორბედი დოკუმენტის მსგავსად, ახალ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესიც ამერიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიის გამოქვეყნებას დაემთხვა. იგივე დარჩა დოკუმენტის მთავარი დანიშნულებაც; მიგრაციით გამოწვეული კრიზისისა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ზოგადი ევროპული პოზიციების შეჯერებისა და საჯაროდ დაფიქსირების საჭიროება შეიქნა. თუმცა, საგრძნობლად განსხვავებულია დოკუმენტების შინაარსი და მასშტაბი.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ახალი სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება თვისებრივად განსხვავებულ ინსტიტუციურ გარემოში განხორციელდა. ლისაბონის ხელშეკრულებით, 2009 წელს, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი (HIGH REPRESENTATIVE OF THE EUROPEAN UNION FOR FOREIGN AFFAIRS AND SECURITY POLICY) შეიქმნა, რამაც მანამდე არსებული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის (HIGH REPRESENTATIVE FOR COMMON FOREIGN AND SECURITY POLICY) პოსტი ჩაანაცვლა. 2010 წელს შეიქმნა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურიც (EUROPEAN EXTERNAL ACTION SERVICE), რომელიც ევროკავშირის დიპლომატიურ კორპუსს წარმოადგენს და საგარეო და

უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (COMMON FOREIGN AND SECURITY POLICY) განხორციელებაში ეხმარება. ლისაბონის ხელშეკრულებით, უმაღლესმა წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის (FOREIGN AFFAIRS COUNCIL) პოსტთან ერთად, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელიც დაიკავა.

ამ ცვლილებების შედეგად, უმაღლესი წარმომადგენელი გაცილებით გავლენიანი გახდა, როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ უსაფრთხოების სტრატეგიის გადახედვის ნაცვლად, დოკუმენტი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა ყველა სფეროს მოიცავდა. მართლაც, წინამორბედთან შედარებით, 2016 წლის სტრატეგია საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველია, რასაც, მისი სახელიც ნათლად ადასტურებს.

ამის მიუხედავად, დოკუმენტების სულისკვეთება ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავებულია. თუ ხავერდ სოლანასთვის „ევროპა არასოდეს ყოფილა ისეთი ეკონომიკურად განვითარებული, უსაფრთხო და თავისუფალი“, როგორც იმხანად, მოგერინის სამყარო „ურთიერთდაკავშირებული, კონკურენტული და კომპლექსურია“. სწორედ ამის ხაზგასმით იწყება სტრატეგიის წინასიტყვაობა - დოკუმენტის თანახმად, „კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ევროკავშირის მიზანიც და არსებობაც“.

ევროპული უსაფრთხოება და საერთაშორისო წესრიგი

ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში „სტრატეგიული ავტონომიურობის“ მოპოვების სურვილი, დოკუმენტის უმთავრესი გზავნილია. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის „უმთავრეს ჩარჩოდ“ რჩება, ევროპელებს უნდა ჰქონდეთ „მზადყოფნა და უნარი შეაკაონ, უპასუხონ და თავი დაიცვან საგარეო საფრთხეებისგან“. ევროპელები უნდა იყვნენ „უკეთ აღჭურვილნი, გაწვრთნილნი და ორგანიზებულნი, რათა შეძლონ კოლექტიურ ძალისხმევებში წვლილის შეტანა და საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მოქმედება“.

„ევროპელებს უნდა შეეძლოთ ევროპის დაცვა, საგარეო კრიზისებისათვის პასუხის გაცემა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა უსაფრთხოებისა და

თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში”. ამისათვის, „თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა, ნორმად უნდა იქცეს”. ევროკავშირი უნდა ისწრაფვოდეს ძლიერი თავდაცვის მრეწველობის შექმისკენაც.

უცვლელი რჩება ევროკავშირის სურვილი - განამტკიცოს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წერსიგი, რომლის „მთავარი პრინციპი მულტილატერალიზმია”⁵, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი ძირითადი მოთამაშე. ევროკავშირი პირობას დებს, რომ მოქმედი სისტემის შენარჩუნების მაგივრად, მის გარდაქმნას შეეცდება. სტრატეგიის თანახმად, რეფორმა უნდა შეეხოს გაეროსა (უსაფრთხოების საბჭოს ჩათვლით) და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

სტრატეგია ნაკლებად ამბიციურია უშუალოდ სამეზობლო პოლიტიკასთან მიმართებაშიც. სტრატეგიულ პრიორიტეტად მიჩნეულია სახელმწიფოსა და საზოგადოებების სიცოცხლის-უნარიანობა (RESILIENCE). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების სურვილი ამ ქვეყნებს სტიმულს აძლევს და ეს პროცესი, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. სტრატეგია საქართველოსა და ტუნისის შესახებ აღნიშნავს, რომ მათი „როგორც ეკონომიკურად განვითარებული, მშვიდობიანი და სტაბილური დემოკრატიების წარმატება, ამ რეგიონებსაც გადაედება”.

სტრატეგიის თანახმად, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ურთიერთობა გაძლიერდება „აღმოსავლეთ პარტნიორობისა“ და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოიჩენენ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი დაეხმარება მათ ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) განხორციელებაში. დაიწყება „ქვეყნებზე მორგებული“ (TAILOR-MADE) პარტნიორობის გაღრმავებაზე ფიქრიც.

ამ მხრივ, შესაძლებელია DCFTA-ში ჩართული ქვეყნებისგან შემდგარი „ეკონომიკური ზონის შექმნა, ტრანს-ევროპული ქსელებისა (TRANS-EUROPEAN

⁵ სამი ან მეტი სახელმწიფოს კოორდინირებული ურთიერთობა გარკვეული პრინციპების შესაბამისად. როგორც პოლიტიკა, მ. გულისხმობს სახელმწიფოს წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებას სხვა სახელმწიფოებთან ერთად დასახული მიზნის მისაღწევად. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

NETWORKS) და ენერგეტიკური საზოგადოების (ENERGY COMMUNITY) გაფართოება”. „მიმოსვლის გახშირებით, კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლებით, კვლევებში თანამშრომლობითა და სამოქალაქო საზოგადოებების პლატფორმებით”, გამყარდება საზოგადოებებს შორის კავშირი. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP) ამ ქვეყნების ჩართულობის გაზრდის მიზნით, „სტრატეგიულ დიალოგთან ერთად, მოხდება ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში მათი სრული მონაწილეობის უზრუნველყოფა”.

ახალი სტრატეგია მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას ადრინდელ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. თუ 2003 წლის სტრატეგია ავტორიტარული ქვეყნების „უსაფრთხო, სტაბილურ და დინამიკურ დემოკრატიადა“ გადაქცევას კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის „თანმიმდევრულ გავრცელებას“ უკავშირებდა, მოქმედი სტრატეგიის თანახმად, სხვა ქვეყნების საქმეების გადაწყვეტის ძველი მეთოდი უკვე არ არსებობს.

2003 წლის სტრატეგია ევროპული უსაფრთხოების მთავარ გარანტიად „კარგი მმართველობის მქონე დემოკრატიული სახელმწიფოებისგან შემდგარ სამყაროს“ ასახელებდა და ევროკავშირის გაფართოებას „გაერთიანებული და მშვიდობიანი კონტინენტის იდეის“ ხორცშესხმადაც მოიხსენიებდა.

სტრატეგიის მიხედვით ევროკავშირი „უწინარესად ევროპასა და მის მიმდებარე რეგიონებზე იღებს პასუხისმგებლობას”.

ევროკავშირისთვის, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო „უსაფრთხო სახელმწიფოა, რომელიც კეთილდღეობისა და დემოკრატიის მთავარი წინაპირობაა”. სწორედ ამიტომ, ევროკავშირი ძალისხმევას არ დაიშურებს, მეზობელი და მიმდებარე რეგიონების სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობის ასამაღლებლად.

აღსანიშნავია, რომ წინა სტრატეგიის „კარგი მმართველობის გავრცელების, სოციალური და პოლიტიკური რეფორმის მხარდაჭერის, კორუფციასთან და ძალაუფლების უხეშად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის, კანონის უზენაესობის დამყარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის“ ამბიციური პრიორიტეტისგან განსხვავებით, მეზობელი და მიმდებარე რეგიონების ქვეყნების „სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებაზე“ ზრუნვა გაცილებით ვიწრო და მინიმალისტურია.

საყურადღებოა, რომ სიცოცხლისუნარიანობის მიღწევა პრიორიტეტადაა დასახელებული, როგორც ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის მოსურნე ქვეყნებთან, ისე მათთან, ვისაც ამის სურვილი არ გააჩნია. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მხარს დაუჭერს სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის სხვადასხვა გზას და დასძენს, რომ ყურადღებას გაამახვილებს იმ ქვეყნებზე, სადაც „მნიშვნელოვანი ცვლილების“ მიღწევაა შესაძლებელი.

საგულისხმოა ისიც, რომ 2016 წლის სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მეზობელი და მიმდებარე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე. სტრატეგიის მიხედვით, დადებითი ცვლილებები ქვეყნის შიგნიდან უნდა განხორციელდეს, რასაც შესაძლოა წლები დასჭირდეს. ამ მიზნით, ევროკავშირი ურთიერთობას დაამყარებს კულტურულ ორგანიზაციებთან, რელიგიურ თემებთან, ადამიანის უფლებათა დამცველებთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან.

კონფლიქტების მოგვარება

ყურადსაღები მოსაზრებებია გამოთქმული სტრატეგიის ქვეთავშიც კონფლიქტებისა და კრიზისების შესახებ. დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის მიდგომა კონფლიქტებისადმი მრავალგანზომილებიანი (ყველა ინსტრუმენტის გამოყენება), მრავალფაზიანი (კონფლიქტის ყველა ეტაპზე ჩართულობა), მრავალდონიანი (ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური კონტექსტის გათვალისწინება) და მრავალმხრივი (კონფლიქტის ყველა მხარის ჩართულობა) იქნება.

ევროკავშირი პირობას დებს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში არსებულ გაყინულ კონფლიქტებში (PROTRACTED CONFLICTS) ჩართულობას გააგრძელებს. წახალისდება სამშვიდობო ღონისძიებებში ქალთა როლიც. საგულისხმოა, რომ მშვიდობის დამყარების მთავარ ბერკეტად, სტრატეგია, დიპლომატიასთან ერთად, შემზღუდავ ზომებსაც (სანქციებს) ასახელებს.

ევროკავშირის გაფართოება

სტრატეგიაში საუბარია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაზეც. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გაფართოების პოლიტიკა ევროპის უსაფრთხოებასა

და კეთილდღეობაში ჩადებულ სტრატეგიულ ინვესტიცია“ და დასძენს, რომ ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს „ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, რომელიც პატივს სცემს და ხელს უწყობს ხელშეკრულებებში ასახულ ღირებულებებს“. ამ განცხადების მიუხედავად, დოკუმენტი არაფერს ამბობს შემდგომი გაფართოების შესაძლებლობაზე და კანდიდატი ქვეყნების მიღების საკითხზეც. მეტიც, დოკუმენტის თანახმად, კანდიდატი ქვეყნების მიღების წინაპირობები მკაცრად იქნება დაცული და მოიცავს როგორც წევრობის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, ისე ევროკომისიის და წევრი ქვეყნების, აგრეთვე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებების უკუკავშირსაც.

რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგია

საგულისხმოა, რომ მოქმედი სტრატეგია, წინა სტრატეგიასთან შედარებით, რუსეთისადმი გაცილებით უფრო კრიტიკულია. სოლანას სტრატეგიის მიხედვით რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელება ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მთავარ ფაქტორადაა მიჩნეული. დოკუმენტის თანახმად, „საერთო ღირებულებების პატივისცემა“ რუსეთისა და ევროკავშირის „სტრატეგიულ პარტნიორობას“ განამტკიცებდა. ეს დამოკიდებულება რადიკალურად არ შეცვლილა არც საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ. უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების 2008 წლის ანგარიშში რუსეთი კვლავაც „საერთაშორისო საკითხებში მნიშვნელოვან პარტნიორად“ გვევლინება.

გლობალური სტრატეგიის მიხედვით კი, რუსეთთან ურთიერთობის „მართვა“ ევროკავშირისთვის მთავარ სტრატეგიულ გამოწვევას“ წარმოადგენს. ამ მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკის ქვაკუთხედად „თანმიმდევრული და ერთიანი მიდგომა უნდა დარჩეს“. არსებითი ცვლილებების მიღწევის წინაპირობა კი, რუსეთის მიერ „საერთაშორისო სამართლისა და ევროპის უსაფრთხოების წესების პრინციპების სრული პატივისცემაა, მათ შორის-ჰელსინკის აქტის და პარიზის ქარტიისა“. სტრატეგია აღნიშნავს, რომ ევროკავშირი არ აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის „უკანონო ანექსიას“ და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციას. დოკუმენტის თანახმად, მოხდება ევროკავშირის გაძლიერება, აღმოსავლეთით მდებარე მეზობლების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება და მათი უფლების დაცვა, თავად აირჩიონ ურთიერთობის ფორმა ევროკავშირთან.

სტრატეგიის მიხედვით, „სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების ხელშეუხებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა“ ევროპის უსაფრთხოების წესრიგის ფუძემდებლური ელემენტებია და ეს პრინციპები ეხება ყველა სახელმწიფოს, „ევროკავშირის შიგნით, და გარეთ“. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მშვიდობა და სტაბილურობა ევროპაში მოცემულობას აღარ წარმოადგენს და დასძენს, რომ „რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევა და უკრაინის დესტაბილიზაცია, შავი ზღვის ფართო რეგიონის კონფლიქტებთან ერთად“, ევროპის უსაფრთხოების წესრიგისთვის ძირეულ გამოწვევაა. რუსეთის ქმედებების პასუხად ევროპის კავშირი კვლავაც გააგრძელებს „საერთაშორისო სამართლის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, თანამშრომლობის და თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი არჩევანის უფლების დაცვას“.

ამავდროულად, სტრატეგია არ გამორიცხავს რუსეთთან თანამშრომლობას. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი და რუსეთი ურთიერთდამოკიდებულია არიან. ამიტომ თანამშრომლობა შედგება მაშინ, როცა „ინტერესები გადაიკვეთება“. „შერჩევითი თანამშრომლობა“ შესაძლებელია ისეთ საკითხებზე, როგორცაა კლიმატი, საზღვაო უსაფრთხოება, განათლება, კვლევა და სასაზღვრო თანამშრომლობა. სოციალური კავშირების გაფართოების მიზნით, გამარტივდება ევროკავშირში გადაადგილება რუსი სტუდენტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესისთვის.

თურქეთთან ურთიერთობის სტრატეგია

სტრატეგია ეხება თურქეთთან ურთიერთობის საკითხსაც. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი გააგრძელებს თურქეთთან „დარგობრივ თანამშრომლობას“ და „დემოკრატიის განმტკიცებას“. ევროკავშირში თურქეთის მიღების პროცესი „მკაცრი და სამართლიანი პირობითობის“ პრინციპის დაცვით გაგრძელდება. ამ პროცესის კვალდაკვალ, დიალოგი გაიმართება ტერორიზმის საწინააღმდეგო ზომების, რეგიონული უსაფრთხოებისა და ლტოლვილების საკითხების საკითხებზე. მუშაობა გაგრძელდება საბაჟო კავშირის მოდერნიზებასა და ვიზის ლიბერალიზაციაზე. გაფართოვდება განათლების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობაც.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, მსოფლიოსა და ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრები ევროპის გლობალურ სტრატეგიაზეც ნათლად აისახა. უკრაინასა და სირიაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, მიგრაციის კრიზისმა და მზარდმა ევროსკეპტიციზმმა, დოკუმენტის შინაარსზე ღრმა კვალი დატოვა-დოკუმენტი არსებული ინიციატივების შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე უფრო კონცენტრირებული გამოვიდა, ვიდრე საგარეო პოლიტიკური სიახლეების შეთავაზებაზე. ამის მიუხედავად, სტრატეგია საყურადღებოა საქართველოსთვის-დოკუმენტი ქვეყანასთან დაკავშირებულ რამდენიმე ისეთ პუნქტს შეიცავს, რომელიც გავლენას იქონიებს ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობასა და ზოგადად, საქართველოს მდგომარეობაზე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ევროკავშირის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობაზე. სტრატეგია ნაკლებად ამბიციურია უშუალოდ სამეზობლოზე საუბრისასაც. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სტრატეგიაში საქართველო ერთ-ერთ წარმატებულ პარტნიორად არის დასახელებული. ცალსახად დადებითია, რომ ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) განხორციელების მხარდაჭერას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირი „ქვეყნებზე მორგებული“ პარტნიორობის გაღრმავებაზე ამხვილებს ყურადღებას. სტრატეგიის თანახმად, ურთიერთობა გაძლიერდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოიჩენენ. ამგვარი მიდგომა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური სიახლეა. თუ მანამდე, ევროკავშირი ერთი რეგიონული ქოლგის ქვეშ აერთიანებდა სხვადასხვა ინტერესის და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნებს, ევროპის გლობალური სტრატეგია, მეტ შესაძლებლობას უხსნის ისეთ ქვეყნებს, როგორც საქართველოა. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს DCFTA-ში ჩართული ქვეყნებისგან შემდგარი ეკონომიკური ზონის შექმნისა და ტრანსევროპული ქსელებისა და ენერგეტიკური საზოგადოების გაფართოების საკითხიც.

ნიშანდობლივია, რომ სტრატეგია დემოკრატიის გავრცელებას ადრინდელ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. მის ნაცვლად, სტრატეგიულ პრიორიტეტადაა

დასახელებული მეზობელი სახელმწიფოებისა და საზოგადოებების სიცოცხლისუნარიანობის ამღლება, რაც ერთგვარ შუალედად შეიძლება მივიჩნიოთ დემოკრატისა და ავტორიტარიზმს შორის. მიუხედავად იმისა, რომ წინამორბედთან შედარებით, მოქმედი სტრატეგიის ეს კომპონენტი საქართველოსთვის მაინც მნიშვნელოვანია. სტრატეგიის მიხედვით, ევროკავშირის ძალისხმევა მიმართული იქნება იმ ქვეყნებზე, სადაც არსებითი ცვლილების მიღწევა იქნება შესაძლებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ 2016 წლის სტრატეგია მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მეზობელი და მიმდებარე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებთან ურთიერთობების გაღრმავებასა და მათი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას, რაც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოების უმთავრეს წინაპირობად დასახელდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოებისა და თავდაცვის მხარდაჭერასაც ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების ხელშეუხებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა ევროპის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპია, რაც საქართველოსთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ქმედებები ევროპის უსაფრთხოების ძირეულ გამოწვევად მიიჩნევა და მას საერთაშორისო სამართლის, დემოკრატის, ადამიანის უფლებებისა და თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი არჩევანის უფლების დაცვით უპასუხებს.

სტრატეგიის თანახმად, ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ კონფლიქტებში ჩართულობას. ევროკავშირის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში რუსული პროპაგანდის მიმართ ექნება სწრაფი რეაგირება და მოქალაქეებისთვის კომუნიკაციის გააუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

და ბოლოს, საბჭოს, კომისიისა და ევროპარლამენტის მონაწილეობით მოხდება სტრატეგიის პერიოდული განხილვაც. შესაძლებელი იქნება სტრატეგიის გადახედვაც. ამ მიმართულებით, იგეგმება არსებული დარგობრივი ქვესტრატეგიებისა და ახალი თემატური და გეოგრაფიული სტრატეგიების შემუშავება გლობალური სტრატეგიის პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კითხვები:

1. როდის დაამტკიცა ევროპულმა საბჭომ ევროკავშირის გლობალური სტრატეგია?
2. 2016 წლის გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რიგით რომელი დოკუმენტია?
3. როგორია ევროკავშირის მიდგომა კონფლიქტებისადმი?
4. რომელი ქვეყნები შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი?
5. დოკუმენტის მიხედვით როგორია თურქეთთან ურთიერთობის სტრატეგია?

თავი X. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროინტეგრაცია

სამხრეთი კავკასიის ქვეყნების - აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რეგიონისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. რაც რეგიონის გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობით, ევროპასა და აზიას შორის ტრანზიტული დერეფნის როლით არის განპირობებული.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც რეგიონში ეთნიკური კონფლიქტები და სამოქალაქო დაპირისპირება მიმდინარეობდა.

სამხრეთი კავკასია ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელიც ცდილობს ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას. სამხრეთი კავკასია პოტენციურად მეტად მიმზიდველი ადგილია უცხოური ინვესტიციებისათვის, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიებისათვის.

იმავედროულად, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, რომელიც აზიასთან პირდაპირ სავაჭრო არხია. სამხრეთმა კავკასიამ ერთგვარი ხიდის როლი შეიძლება შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის.

ევროკავშირი დაინტერესებულია რეგიონის სტაბილურობით, რადგან კავკასიის ტერიტორიაზე გამუდმებული კონფლიქტების გავრცელებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას გაფართოებულ ევროკავშირს, ამასთანავე, სამხრეთ კავკასიაში რეგიონში არასტაბილურმა სიტუაციამ ევროკავშირში გარკვეულწილად იმიგრაციის ზრდაც გამოიწვიოს.

მნიშვნელოვანია, ევროკავშირის შემფოთება იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებულ დანაშაულებათა მიმართ, რისთვისაც სამხრეთი კავკასია მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უდავოდ საშიშ ზონად აღიქმება. მსოფლიოში გლობალიზაციისა ტენდენციის გათვალისწინებით, ეს საკითხები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

საყურადღებოა ასევე სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს მნიშვნელობა ევროკავშირისათვის ტერორიზმთან (რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის გამო) ბრძოლის კონტექსტში.

ასევე აუცილებელია ევროკავშირის, როგორც წამყვანი ქვეყნის როლის გავითვალისწინება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.

ამ მხრივ, სამხრეთი კავკასია „ხელსაყრელ შემთხვევა“ ევროკავშირისათვის თავისი მისწრაფებების განსახორციელებლად. გარდა ამისა, ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ევროკავშირის-ე.წ. „მშვიდობის კუნძულის“ იმიჯს.

თავის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონში ევროკავშირის აქტიურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის, რომლის საბოლოო მიზანია ევროპულ სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია. ევროკავშირი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მდგრადი განვითარების პრინციპების გავრცელებითა და ფინანსური დახმარებით მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს რეგიონის წინსვლაზე.

რეგიონის მომავლის ოპტიმისტური ხედვის საფუძველს სწორედ მისი გეოეკონომიკური მიმართულებით განვითარების პერსპექტივა იძლევა. ევროკავშირის მიერ წამოწყებული სხვადასხვა პროექტი კი ხელს შეუწყობს რეგიონული თანამშრომლობასა და კონფლიქტების მოგვარებას, რაც რეგიონის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. აგრეთვე, ევროკავშირის აქტიური ჩართვა რეგიონის პოლიტიკაში შესაძლებელს ხდის რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებას და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რუსეთზე ცალმხრივი დაქვემდებარების შემცირებასაც. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჰეგემონური რეგიონული წესრიგის ჰარმონიული წესრიგით შეცვლას, როდესაც რამდენიმე ძალას რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვს.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოლიტიკისა და რეგიონში მისი როლის შეფასებისას არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. ერთის მხრივ, ევროკავშირის მიერ განხორციელებული რამდენიმე რეგიონული მასშტაბის პროექტი და რეგიონის დემოკრატიული გარდაქმნისათვის გაწეული დახმარება მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ევროკავშირი საკმაოდ აქტიურია რეგიონში. უფრო მეტიც, ევროპარლამენტის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ სამხრეთი კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის (CFSP) სტრატეგიული რეგიონი და ევრაზიის ნამდვილი ჭიშკარია. ევროკავშირის

„სამეულის“ ვიზიტმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 2001 წლის თებერვალში ასევე დაგვანახა, რომ ევროკავშირი მნიშვნელობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების განმტკიცებას. მეორეს მხრივ, სამხრეთი კავკასია მიიჩნევა იმის მაგალითად, რაც მეცნიერთა წრეებში „შესაძლებლობებსა და მოლოდინს შორის შეუსაბამობის“ (Capability-Expectations Gap) სახელითაა ცნობილი.

ევროკავშირის სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად განსაზღვრული მიზნები და ამოცანები აქვს და ის ძირითადად ეკონომიკური და დიპლომატიური ხასიათისაა.

ევროკავშირის აქტიურობა რეგიონში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის გამოხატული. ფინანსურ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ევროკავშირი TACIS-ის და ECHO-ს პროგრამების მეშვეობით ახორციელებდა 1992 წლიდან მოყოლებული. TACIS-ის პროგრამა ხორციელდება ორი მიმართულებით, პირველი: ნაციონალური, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციების ფონზე ხორციელდება და მეორე-სახელმწიფოთშორისო.

1991-2003 წლებში ევროკავშირმა დახმარების სახით საქართველოსთვის 369, სომხეთისთვის 330, აზერბაიჯანისთვის 370 მილიონი ევრო გამოიყო, რამაც სულ დაახლოებით 1 მილიარდი შეადგინა.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა (TACIS) რეგიონული მიმართულების რამდენიმე მრავალგანზომილებიან პროექტზეა ორიენტირებული, რომელთაგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA) და INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ).

TRACECA-ს პროექტი 1993 წელს დაიწყო შავი და კასპის ზღვის რეგიონის თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებით დაკავშირებისა და რეგიონში კოჰერენტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

TRACECA საკმაოდ ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც მასში მონაწილე ქვეყნებს ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით გასვლის საშუალებას მისცემს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რეგიონულ თანამშრომლობასა და მიმზვიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, აგრეთვე TRACECA-ის ტრანსევროპულ ქსელებთან (TEN) დაკავშირებას. პერსპექტივაში „აბრეშუმის გზის“

გასწვრივ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და მონიტორინგის სატელიტური ქსელის შექმნაა გათვალისწინებული, რაც სატრანსპორტო დერეფანს ახალ ფუნქციას შესძენს.

TRACECA მხოლოდ ერთი ნაწილია იმ გიგანტური პროექტისა, რომელიც „აბრეშუმის გზის განახლების“ სახელით არის ცნობილი და დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიამდე კავკასიისა და შუა აზიის გავლით სატრანსპორტო დერეფნის შექმნას ისახავს მიზნად.

INOGATE-ის (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ) პროექტი 1995 წელს დაიწყო. ეს ევროკავშირის რეგიონული მასშტაბის მეორე პროექტია, რომლის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება და ევროპისაკენ ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია **ევროკავშირისა და რეგიონის სამივე ქვეყანას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA), რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.** პოლიტიკური დიალოგის, დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, ვაჭრობისა და საინვესტიციო გარემოს განვითარებისათვის ხელშეწყობა და ქმედითი კავშირების აღდგენა ევროკავშირისა და რეგიონის ქვეყნებს შორის ამ შეთანხმებათა ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ევროკავშირის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი ვაჭრობაში გენერალიზებული პრეფერენციების სისტემით უზრუნველყოფა (GSP). თუმცა აღსანიშნავია, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას კიდევ ბევრი აკლია ე.წ. ასოცირების შეთანხმებამდე, მასში სიტყვაც არ არის ნახსენები მომავალში ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რაც შეიძლება ერთგვარი მოტივაცია ყოფილიყო სამხრეთი კავკასიის ქვეყნებისათვის და დადებითი გავლენა ჰქონოდა მათ განვითარებაზე.

“ევროპის სამეზობლო პოლიტიკა” დაიწყო 2003 წლიდან, როდესაც ის პირველად იქნა წარმოდგენილი ევროკომისიის „ფართო ევროპის შესახებ“ კონცეფციაში. ეს დოკუმენტი განკუთვნილია ევროკავშირის იმ მეზობელი ქვეყნებისათვის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავშირის წევრები არ არიან, მაგრამ ამ ინიციატივაში მონაწილეობა საშუალებას იძლევა არსებული თანამშრომლობა რეალურ ინტეგრაციულ პროცესში გადაიზარდოს. ევროპის სამეზობლო

ინიციატივის მიზნია მასში მონაწილე ქვეყნებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა და ამ ქვეყნებს პრივილეგირებული ურთიერთობების განვითარებას სთავაზობს, რომლებიც დაეფუძნება აღიარებულ პრინციპებს: კანონის უზენაესობას; ეფექტურ მმართველობას; საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მხარდაჭერას; ადამიანის უფლებების პატივისცემას, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით; კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეწყობას.

მონაწილე ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ტერორიზმთან ბრძოლა; მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა; კონფლიქტთა მოგვარების აქტიური მცდელობა და სხვა.

სამხრეთი კავკასიის სამ ქვეყანაზე სამეზობლო ინიციატივა შემუშავდა 2004 წლის ივნისში.

სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებთან ერთად განსაზღვრავს თანამშრომლობის პრიორიტეტებს, რომლებიც დოკუმენტურად ჩამოყალიბდება ერთობლივად შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, 3-5-წლიან პერიოდს მოიცავს და ეხება ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმები; სამართალი და საშინაო საქმეები; ვაჭრობა და შიდა ბაზრის განვითარება; გარემოს დაცვა; ენერგეტიკა; სოციალური პოლიტიკა და პიროვნული კონტაქტები და სხვ.

მართალია, სამოქმედო გეგმა ეყრდნობა ყველა ქვეყნისათვის საერთო პრინციპებს, მაგრამ განსხვავდება თითოეულთან თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების მიხედვით.

2009 წლის 7 მაისს ევროკავშირის სამიტზე ხელი მოეწერა "აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროგრამას", რომელშიც განიხილებოდა ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და NABUKO-ს პროექტი. მეორე დღეს გაიმართა მორიგი ენერგეტიკული სამიტი "სამხრეთის დერეფანი-ახალი აბრეშუმის გზა," რომლის მიზანიც იყო ერთობლივი დეკლარაციის მიღება ევროკავშირის "სამხრეთი კორიდორის" რეალიზაციის შესახებ. აღნიშნულმა პროექტის რეალიზება ვერ მოხერხდა, თუმცა მისი ალტერნატივას წარმოადგენს ახალი ტრანსანატოლიური (TANAP) პროექტი, რომელიც ტრანს-ადრიატიკული მილსადენის (TAP) ნაწილია, რომელიც თურქეთის შემდეგ საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით სამხრეთ

იტალიამდე ჩააღწევს. მისი პარტნიორები კი ისეთი მსხვილი კომპანიაა, როგორებიცაა SOCAR (58%), BOTAŞ (30%) და BP (12%) არიან.

1.805 კილომეტრის სიგრძის მილსადენის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო.

აღნიშნული მულტინაციონალური პროექტის დასრულების შედეგად, ევროპა რუსულ გაზზე ნაკლებად დამოკიდებული გახდება. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც TANAP -ი რუსეთის მხრიდან ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება.

მშენებლობის დასრულების შემდეგ TANAP-ის მილსადენებში წელიწადში 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი გაივლის. დროთა განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი კი 31 მილიარდამდე გაიზრდება - აქედან თურქეთის ტერიტორიაზე 6 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დარჩება, დანარჩენი კი ევროპაში გაიგზავნება.



სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის გაფართოების თითოეული ეტაპი, რომელიც ცვლის ევროკავშირის ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან. დღეს ევროკავშირი მისი არსებობის იტორიაში ყველაზე მასშტაბური გაფართოებისა და ამავდროულად ინტეგრაციის გაღრმავების უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე დგას.

ეს პროცესები მნიშვნელოვნად აისახება ევროკავშირის შესაძლებლობებსა და ურთიერთობებზე გარე სამყაროსთან. გაფართოება თავის მხრივ გავლენას იქონიებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზეც, რაც ზრდის რეგიონის მნიშვნელობას ევროკავშირისათვის. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხიც, რაც დღეის მდგომარეობით, ძალიან სათუა.

და ბოლოს, ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში შესვლამ კიდევ უფრო გაზარდა ამ გაერთიანების ინტერესები შავი ზღვის რეგიონისადმი. ამიტომ საქართველოსათვის, რომელსაც სამხრეთი კავკასიის ქვეყნებიდან ევროკავშირში ინტეგრაციის ყველაზე მაღალი შანსი აქვს, მის იდენტიფიცირებას უფრო ფართო შავი ზღვის რეგიონთან დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს ევროკავშირის გეოგრაფიული საზღვრების გადაფარვა, რადგან საკმაო განსხვავებაა ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებსა და ევროპის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე დანარჩენ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ დემოკრატიული თვალსაზრისით.

სამხრეთ კავკასიისათვის სახარბიელო არ იქნება, თუ ევროკავშირი გამმიჯნავ პოლიტიკას აირჩევს და მკაცრ კონტროლს დააწესებს საზღვრებზე არალეგალი იმიგრანტების შეღწევისა და საერთაშორისო დანაშაულებათა თავიდან აცილების მიზნით.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობები ვითარდება, სამხრეთ-კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები უფრო აქტიური უნდა იყოს რუსეთის აგრესიის ფონზე.

გარდა ამისა, რამდენად ეფექტურად ვითარდება პარტნიორობა სამხრეთ-კავკასიაში და როგორ უნდა იარონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ევროკავშირისკენ – ერთად თუ ინდივიდუალურად?

მართალია, რეგიონული ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს და ახალი კავკასიური ინსტიტუტებიც იქმნება, რაც კარგია, მაგრამ ევროკავშირმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიური პარტნიორობის ფორმატების დივერსიფიკაციას და თავადაც სცადოს მათი განვითარება და განმტკიცება.

კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა, გარკვეული დოზით განხილულ იქნეს როგორც რეგიონის გეოგრაფიული პოტენციალის მნიშვნელობის აღქმის მცდელობა, ისე სამხრეთ კავკასიის იდენტიფიკაციის პროცესის განმტკიცება.

ევროკავშირმა ასევე უნდა განიხილოს ის საფრთხეები, რომელიც ემუქრება რუსეთის ქმედებების შედეგად კავკასიასა და საქართველოს. ესაა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია, ანტიდასავლური მთავრობა, მოსკოვის ლობის გამარჯვება და მოსკოვის მიერ საქართველოს დამორჩილება.

ამჟამად ევროკავშირში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გაწევრიანებაზე საუბარი ნაადრევია. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე მეტი შანსი საქართველოს აქვს, მაგრამ როდის მოხდება ეს, ძნელი სათქმელია.

დღესდღეობით არსებული კონფლიქტებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების ფონზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება ნაკლებად სავარაუდოა. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, გამორიცხული არაა ევროკავშირთან სამხრეთ კავკასიის ინტეგრაცია გაწევრიანების გარეშე.

კითხვები

1. როდის იწყება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობა?
2. როდის დაიწყო TRACECA-ს პროექტი?
3. როდის დაიწყო INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ) პროგრამაზე მუშაობა?
4. ევროკავშირსა და სამხრეთკავკასიის ქვეყნებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები (PCA) როდის შევიდა ძალაში?
5. NABUKO-ს ალტერნატივას რომელი პროექტი წარმოადგენს?
6. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის რით არის მნიშვნელოვანი ევროკავშირის გაფართოება?
7. როგორ ფიქრობთ აქვს თუ არა თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების შანსი?

თავი XI. ევროინტეგრაციის მნიშვნელობა საქართველოსთვის

ევროინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი ინსტიტუციური მექანიზმის განვითარება საქართველოში.

ევროკავშირის სპეციფიკიდან გამომდინარე, დღეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს საშინაო და საერთაშორისო თანამშრომლობის ზღვარი ევროკავშირთან მიმართებაში. ქვეყანაში არსებული ევროინტეგრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციული მექანიზმი სათანადოდ რომ მიესადაგოს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გაზრდილ მოთხოვნილებებს, საჭიროა გაანალიზდეს შემდეგი ძირითადი ასპექტები:

1. ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა;
2. ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე ევროკავშირის ზოგადი გავლენა და მნიშვნელობა;
3. ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება.

საქართველოს კანონმდებლობით ქვეყანაში რამდენიმე სტრუქტურაა პასუხისმგებელი ევროინტეგრაციულ პროცესებზე. იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო მექანიზმის სხვადასხვა რგოლის ქმედითი და კოორდინირებული მუშაობა, შექმნილია ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისია, რომელიც ქვეყნის ევროინტეგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი ორგანოა. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. გარდა ამისა, შექმნილია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ევროინტეგრაციის საკითხებში სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაცია, კერძოდ, საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით მიმდინარე საქმიანობის კოორდინაცია და ა.შ. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი

ევროინტეგრაციის კუთხით საქართველოში არსებული სტრუქტურული დანაყოფები და მათი ფუნქციები.

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისია

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისია, ევროინტეგრაციის კუთხით, საქართველოში არსებული უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა. ის არის მინისტრების დონეზე არსებული სპეციალური საბჭო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია ამტკიცებს ევროინტეგრაციის კუთხით სამინისტროებისა და უწყებების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს და მონიტორინგს უწევს მათ შესრულებას. 2007 წლის მაისში კომისიამ დაამტკიცა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სამთავრობო სტრატეგია, ის ასახავს მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხას, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანის მიერ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის წარმატებით დასრულებას.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისადაგების მიზნით, კომისია ამტკიცებს სამინისტროებისა და უწყებების მიერ მომზადებულ სამოქმედო გეგმას (ბოლოს ასეთი გეგმა 2004 წელს დამტკიცდა და 2004-2006 წლებს მოიცავდა), განიხილავს და აჯამებს მიღწეულ შედეგებს.

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომები ტარდება არარეგულარულად. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა მისი პოლიტიკური წონა, დღემდე გაურკვეველია, კონკრეტულად რა იურიდიული საფუძველი და ძალა ქვს მის გადაწყვეტილებებს.

ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფი

ევროინტეგრაციის კომისიასთან შექმნილია უწყებათშორისი მუშა ჯგუფი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომლის ამოცანაა, ადმინისტრაციულ დონეზე გადაწყვიტოს კონკრეტული საკითხები. ანალოგიური სტრუქტურა არსებობდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მრავალ ქვეყანაში. ჯგუფის საქმიანობის მიზანია ისახავს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის შეხვედრებიც

არარეგულარულად იმართება. გარდა ამისა, სამინისტროებსა და უწყებებში კადრების ხშირი გადაადგილება ხელს უშლის მის ეფექტურ საქმიანობას.

ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მუშა ქვეჯგუფები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ეფექტურად განხორციელების მიზნით, საქართველოში შეიქმნა ევროინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალური უწყებათშორისი მუშა ქვეჯგუფები. მათ ძირითადი ფუნქცია სათათბირო და მაკოორდინირებელი საქმიანობა წარმოადგენდა. ქვეჯგუფები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სფეროში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლომდე არ არის გარკვეული მათი ადგილი და პასუხისმგებლობა ზოგადად ევროინტეგრაციის პროცესებში. მუშა ჯგუფის მსგავსად, ქვეჯგუფების შეხვედრებიც მეტწილად არარეგულარულად იმართება. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში არ ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა ქვეჯგუფს შორის.

სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ევროინტეგრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები

სამინისტროები და უწყებები წამყვან როლს ასრულებენ ევროინტეგრაციის პროცესში. ევროინტეგრაციის საკითხების უკეთ კოორდინირებაზე თითოეულ უწყებაში პასუხისმგებელია მინისტრის მოადგილე. გარდა ამისა, ზოგიერთ სამინისტროში ჩამოყალიბდა ევროინტეგრაციის სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფები (დეპარტამენტის ან სამმართველოს დონეზე). უწყებაში ევროინტეგრაციის კოორდინირებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ფუნქციებს საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული დაგეგმვისა და/ან სხვა მსგავსი ერთეულები ითავსებენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამინისტროში საერთოდ არ არსებობს კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებელი ორგანო. სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ევროინტეგრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები განიცდიან კვალიფიციური კადრების სიმცირეს. ხშირად სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებს უჭირთ ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა აუხსნან საკუთარ

ხელმძღვანელობას. იგივე პრობლემები აქვთ იმ დანაყოფების თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ევროინტეგრაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ზოგიერთ სამინისტროში ჯერ კიდევ არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები, როგორც კანონის ჰარმონიზაციის, ისე ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოში ევროპული ინტეგრაციის პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანოა. მისი ფუნქციაა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია, კერძოდ, საქართველოს მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ევროინტეგრაციის პროცესებში აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათ მიერ ევროინტეგრაციის ხაზით გასატარებელი ღონისძიებების მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრო კომისიისათვის შესაბამისი მასალების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებს საკმაოდ კარგი კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვთ, მათი მცირე რაოდენობის გამო (სულ ევროინტეგრაციის საკითხებზე შვიდი თანამშრომელი მუშაობს) შეუძლებელია ქვეყანაში ამ სფეროში მიმდინარე ყველა პროცესის სათანადოდ კოორდინირება და მონიტორინგი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია. მისი ძირითადი ფუნქციაა საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მისიების მეშვეობით ევროკავშირის ინსტიტუტებთან და მის წევრ ქვეყნებთან პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების დამყარება. ის აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ხელშეკრულებათა გაფორმებისა და მოლაპარაკებათა პროცესში. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად საგარეო საქმეთა სამინისტროც გარკვეულ სფეროებში ახორციელებს ევროინტეგრაციის პროცესების კოორდინაციას.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს აკისრია ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის მონიტორინგის ფუნქცია. ამავდროულად, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეიმჩნევა გარკვეული სირთულეები ევროინტეგრაციის კუთხით მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის პროცესში, რაც მის არასისტემატურობაში გამოიხატება. გარდა ამისა, შენელებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესიც (უკანასკნელი გეგმა 2004- 2006 წლებს მოიცავდა).

ზემოთ აღწერილი სტრუქტურების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული ევროინტეგრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის უმთავრესი პრობლემა კომპეტენციების მკაფიო დანაწილების არარსებობაა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ინსტიტუტს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ამა თუ იმ საკითხზე. გარდა ამისა, საქართველო განიცდის ევროინტეგრაციის სფეროში პროფესიული კადრების დეფიციტს. უფრო მეტიც, არ არსებობს სახელმწიფო მოხელეების სპეციალიზებული სასწავლო კურსი. ყოველივე ეს აისახება სახელმწიფო ადმინისტრაციული მექანიზმის მუშაობაზე, რაც აფერხებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს, კერძოდ- ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს.

იმისათვის, რომ საქართველოში არსებული ევროინტეგრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობა ეფექტური გახდეს, პოლონური გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

➤ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებისა და, ზოგადად, ევრო- ინტეგრაციის პროცესზე სტაბილური, პოლიტიკური მონიტორინგის უზრუნველსაყოფად საჭიროა ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომებს რეგულარული ხასიათი მიეცეს (თვეში ერთხელ მაინც). ამასთან, უკეთ

უნდა განისაზღვროს კომისიის გადაწყვეტილებების იურიდიული საფუძველი, კერძოდ, მას შეიძლება ჰქონდეს პრემიერ-მინისტრის განკარგულების ფორმა.

➤ ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფი საუკეთესო საშუალება უნდა გახდეს იმისათვის, რომ ექსპერტთა დონეზე მოხდეს ევროკავშირთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების განხილვა. ამასთან, მუშა ჯგუფი ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო, სამეცნიერო და კვლევით ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება უკეთ შეფასდეს, რა გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაზე ევრო-ინტეგრაციის პერსპექტივა და ხელი შეეწყოს უკეთესი შედეგის მიღწევას.

➤ სამინისტროებსა და უწყებებში ევრო-ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებული შიდა საქმიანობის ეფექტურად კოორდინაციის უზრუნველსაყოფად კარგი იქნება, თუ გაძლიერდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ამასთან, ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ სამინისტროებსა თუ უწყებებში მიმდინარე როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის იმპლემენტაციის მონიტორინგის, ისე სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაშიც.

➤ მნიშვნელოვანია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შესაძლებლობების შემდგომი გაზრდა (ევროინტეგრაციის მიმართულებით უნდა მუშაობდეს არა ნაკლებ 50 თანამშრომელი). ამასთან, მიზანშეწონილია, შეიცვალოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურაც და, გარდა ევროინტეგრაციის კოორდინაციის სამსახურისა, ამასთან ჩამოყალიბდეს რამდენიმე დამატებითი სამსახური, კერძოდ: შეიქმნას სამართლებრივი დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ კანონდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესზე. ეს მომავალში, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში გაადვილებს ევროპული კანონმდებლობის (Acquis Communautaire) საქართველოში დამკვიდრების პროცესს;

➤ კომუნიკაციისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, რომელიც მოამზადებს საქართველოში ევროკავშირის საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ევროკავშირში საქართველოს პოპულარიზაციას (კულტურული პროგრამები, ზოგადად, საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და ა.შ.). ამის გაკეთებას ის შეძლებს ევროგაერთიანებებთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

საქართველოს საელჩოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

➤ სტრატეგიისა და ანალიტიკური კვლევების დეპარტამენტი, რომელიც იმუშავებს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სტრატეგიაზე, დააკვირდება და გააანალიზებს ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს.

➤ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა მოახდინოს საქმიანობის შემდგომი კონცენტრაცია, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოსათვის მხარდაჭერა. უნდა გაიზარდოს ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის ადმინისტრაციული შესაძლებლობები და ქმედუნარიანობა. დიპლომატიური კომპონენტების გარდა, სასურველია, განვითარდეს სხვა მიმართულებებიც (საინფორმაციო კამპანია, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები და ა.შ.). გარდა ამისა, ევროკავშირთან საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის მიმართულებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ლობირების საკითხებს.

➤ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სახელმწიფო მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტმა მიიღოს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ორგანოს ფუნქციებს, მოვალეობებს და კომპეტენციის სფეროს.

➤ ევროინტეგრაციის სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა შემუშავდეს მომზადების სპეციალური პროგრამა. უნდა არსებობდეს სტიპენდიები და გრანტები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ ამ მიმართულებით სწავლა უცხოეთში (ამავდროიულად, სტიპენდიის მქონე პირმა აიღოს ვალდებულება, დაბრუნების შემდეგ იმუშაოს სულ ცოტა ხუთი წელი სახელმწიფო მოხელედ).

➤ საქართველოს მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით საქართველოს მთავრობას ჰყავს პარტნიორები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

პარტნიორები საქართველოში

1. ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თემებთან და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა კომუნიკაციის სტრატეგიის ერთ-ერთი

ძირითადი საკითხია.

2. მოსწავლეები და აკადემიური წრეები

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, საჯარო სკოლები თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესი პარტნიორებია. ისინი უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ კომუნიკაციის სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაში. მათი როლი მნიშვნელოვანია ასევე ახალგაზრდებში ღირებულებათა ჩამოყალიბების საქმეში.

3. არასამთავრობო ორგანიზაციები

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებაში უდიდესი როლი შეასრულებს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც მნიშვნელოვანი პარტნიორები უნდა გახდნენ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნის მიღწევაში მათი ინიციატივებიდან, პროგრამებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე.

4. ბიზნესსექტორი

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით, საჭიროა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და პროფესიულ კავშირებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

5. საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აუცილებელია მათი ჩართვა სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად.

6. მედია

მედია დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში (განსაკუთრებით ტელევიზია). ამის გათვალისწინებით, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით აუცილებელია მედიასთან რეგულარული თანამშრომლობა. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა

კანონით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით ევროინტეგრაციის პროცესი რეგულარულად უნდა გააშუქოს, ხელისუფლებამ ითანამშრომლოს ელექტრონულ და ბეჭდურ მედიასთან, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. რედაქტორებთან, პროდიუსერებთან და ჟურნალისტებთან სექტორული თანამშროლობა, საშუალებას მისცემს მასმედიის წარმომადგენლებს, აიმაღლონ ცოდნა და კვალიფიკაცია, ამასთან უფრო ობიექტური, ამომწურავი და ადვილად აღსაქმელი ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას სპეციფიურ საკითხებზე (მაგალითად: ვიზების ლიბერალიზაციაზე, განათლებაზე, სავაჭრო ურთიერთობებზე). აგრეთვე მნიშვნელოვანია ქართველი ჟურნალისტებისთვის მედიაანალიზის, მედია მონიტორინგის და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებისთვის სასწავლო პროგრამების ხელშეწყობა.

7. რელიგიური გაერთიანებები

იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიური გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, აუცილებელია მათი ჩართვა სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში.

8. სახელმწიფო ინსტიტუტები

ევროინტეგრაციის პროცესში განსახორციელებელი რეფორმების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაზე. ამასთან, ისინი ძირითადი პარტნიორებია კომუნიკაციის სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გზავნილის ჩამოყალიბება და მიწოდება უნდა გახდეს სექტორული სამიზნე ჯგუფებისათვის

სტრატეგიის წარმატებით განხორციელება დიდწილად უკავშირდება ევროინტეგრაციის სფეროში სახელმწიფო მოხელეების გადამზადებას.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები საერთაშორისო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. ამის გათვალისწინებით, საჭიროა დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მომუშავე საჯარო მოხელეებს ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და სახალხო დიპლომატიის საკითხებზე. ასევე აუცილებელია საჭირო ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ, საკონსულო, კულტურულ და სავაჭრო

წარმომადგენლობებს შორის.

პარტნიორები საერთაშორისო დონეზე

1. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

➤ საქართველოში ევროკავშირის დელეგაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის ინსტიტუტებთან კონტაქტისა და ქვეყანაში ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელების კუთხით. აუცილებელია მათთან რეგულარული კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლა და დიალოგი, რათა ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები უკეთ იყვნენ ინფორმირებული საქართველოს ევროინტეგრაციის კუთხით არსებული სიტუაციის თაობაზე. ევროკავშირის ინსტიტუტების დახმარება და მხარდაჭერა პროფესიული, ორგანიზაციული და ფინანსური კუთხით, უაღრესად მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში.

➤ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ევროკავშირის დახმარებას საქართველოსთვის. ამასთან მნიშვნელოვანია ერთობლივ სათემო, რეგიონულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობა, ერთობლივი კონფერენციების, ე.წ. „მრგვალი მაგიდებისა“ და რეგულარული შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ინსტიტუტების, წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

➤ **საქართველოში მყოფი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და კულტურული მისიები**

➤ საქართველოში აკრედიტირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოები, საკონსულოები, სავაჭრო და კულტურული მისიები ევროკავშირთან ურთიერთობების დამატებითი არხია. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები დიდ როლს ასრულებენ საქართველოს მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებაში, მნიშვნელოვანია მათთან მუდმივი ურთიერთობები და ინფორმაციის მიწოდება.

➤ საერთაშორისო ორგანიზაციები

➤ საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი ექსპერტების საშუალებით შეუძლიათ მნიშვნელოვანი პროფესიული დახმარება გაუწიონ საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელებაში.

➤ საერთაშორისო ფონდები

➤ საერთაშორისო ფონდები მნიშვნელოვანი პარტნიორებია სტრატეგიის განხორციელებაში. ქვეყნის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა და ევროკავშირიდან პირდაპირი სახით მიღებული დახმარების გარდა, საერთაშორისო ფონდებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ დაგეგმილი აქტივობების უკეთ განხორციელებას.

➤ **უცხოური მედია**

➤ უცხოური მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მათთან კომუნიკაციისას მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სტიმულირება, რათა ისინი უფრო მეტად ჩაერთონ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გაშუქებაში.

➤ ამის გათვალისწინებით, სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს უცხოურ მედიასთან ურთიერთობის საკითხებსაც.

➤ **ქართული დიასპორული ორგანიზაციები საზღვარგარეთ**

➤ ქართული დიასპორული ორგანიზაციები საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი პარტნიორებია სტრატეგიის განხორციელებაში. მათ შეუძლიათ მოახდინონ, როგორც უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში სასწავლებლად წასული სტუდენტების), ასევე ამ ქვეყნებში მოქმედი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირება ევროინტეგრაციის საკითხზე.

დაფინანსება

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა განისაზღვრება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე და ფარავს შემდეგი წყაროები:

1. საქართველოს ბიუჯეტი

ყოველწლიურად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უწყებებმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამამ სტრატეგიის შესაბამისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა განახორციელონ წლიური ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებათა ფარგლებში.

2. საერთაშორისო დონორები

საერთაშორისო მხარდაჭერა უკავშირდება კონკრეტული აქტივობების დაფინანსებას. შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პარტნიორებს აღმოუჩენს ტექნიკურ და პროფესიულ დახმარებას და გაუწევს რეკომენდაციებს.

3. საერთაშორისო არასამთავრობო ფონდები

საერთაშორისო არასამთავრობო ფონდები კომუნიკაციის სტრატეგიით გათვალისწინებული იმ აქტივობების დაფინანსების ან თანადაფინანსების პოტენციური წყაროა, რომლებიც თანხვედრაშია მათ მიზნებთან.

4. არასამთავრობო ორგანიზაციები

კომუნიკაციის სტრატეგიითა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი, შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებელი პროექტების განხორციელების შედეგად. ამის გათვალისწინებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი გააგრძელებს და გააფართოებს პარტნიორებთან თანამშრომლობას.

5. სხვა წყაროები

სხვა წყარო მოიცავს კერძო სექტორს, პირად შემოწირულობებს და სხვა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელი იქნება, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან და სხვა პარტნიორებთან (მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან) თანამშრომლობის საფუძველზე მოამზადოს სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა (რომელსაც ყოველი მიმდინარე წლის დეკემბერში მოიწონებს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის კომისია). დოკუმენტი უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევას, რომელიც ჩატარდება სამოქმედო გეგმის შემუშავების და დასრულების ეტაპებზე.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი კონსულტაციებს გამართავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს, კომუნიკაციის ფორმებისა და საშუალებების, სამიზნე ჯგუფების, აქტივობების აღწერის, გამოკვეთილი ინდიკატორების, პროექტის განმახორციელებლების, პოტენციური პარტნიორებისა და დაფინანსების წყაროს მითითებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელება დაევალება საქართველოს მთავრობის ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შექმნილ მუშა ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით, მიზანშეწონილია სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურების წარმომადგენლებმა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშა ჯგუფის მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საჭიროებისამებრ წარუდგენს შუალედურ (მიმდინარე წლის ივნისში) და სავალდებულო საბოლოო ანგარიშს (მიმდინარე წლის დეკემბერში) სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. მიღწეული შედეგების ანალიზისას გამოყენებული იქნება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები, სამიზნე ჯგუფებისა და პარტნიორების მიერ წარმოდგენილი შეფასებები, ფოკუს ჯგუფებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები.

ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ვებგვერდებზე.

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია კომპლექსური და დინამიკური პროცესია. ამ კუთხით განსახორციელებელი რეფორმების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ევროინტეგრაციის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობაზე. ამის

გათვალისწინებით კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია დიალოგისა და მოქნილობის პრინციპი, მუდმივი რევიზია და გზავნილების შინაარსის მორგება სამიზნე ჯგუფზე. გზავნილის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის, სამიზნე ჯგუფების მრავალფეროვნებისა და მათგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

მოქნილობის პრინციპის გათვალისწინებით სხვა საკითხებთან ერთად, კომუნიკაციის შინაარსი უნდა პასუხობდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის ინტერესებს.

კომუნიკაციის არხები და ფორმები

1. ელექტრონული მედია: ტელევიზია, ინტერნეტი და რადიო

ტელევიზია და რადიო ყველაზე ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისათვის ქვეყნის შიგნით. ამის გარდა, ტელევიზია და რადიო დიდ როლს ასრულებს იმ დისკუსიებისა და დებატების წარმართვაში, რაც ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას უკავშირდება და ამის გათვალისწინება საშუალებას იძლევა, ქვეყნის მოქალაქეებს უკეთ მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული პროცესების შესახებ.

ყველაზე ხელსაყრელი სატელევიზო გადაცემებია თემატური და გასართობი პროგრამები, კლიპები, მოკლე დოკუმენტალური და ანიმაციური ფილმები. რადიოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია თემატური პროგრამები და ვიქტორინები. მათი მიზანი უნდა იყოს საზოგადოების ფართო მასების ინფორმირება, შესაბამისი გზავნილის სწრაფად გავრცელება და ევროინტეგრაციის მიმართულებით სხვადასხვა მიმდინარე თუ განსახორციელებელი აქტივობების მხარდაჭერა. ტელე და რადიო პროგრამები საშუალებას იძლევა მიმდინარე პროცესის შესახებ აუდიტორიას მიეწოდოს ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაცია, ხოლო გასართობი პროგრამების საშუალებით ხდება პირდაპირი კომუნიკაცია, აზრების დაპირისპირება და მოქალაქეთა მონაწილეობა დებატებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.

ინტერნეტი კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არხია. ის ინტერაქციისა და მრავალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, რაც სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე აუცილებელია.

ინტერნეტ კომუნიკაციის არსებული არხების გარდა, როგორცაა ვებ-პორტალები, სოციალური ქსელები, პრეზენტაციები და ელექტრონული პოსტები, უნდა შეიქმნას platform web 2.0 (რაც მოიცავს ინტერნეტ ფორუმებს, ვიდეობის გაცვლის შესაძლებლობებს, ფოტოებს, ბლოგებსა და ა.შ.), განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდობასა და საერთაშორისო საზოგადოებას. ამ სფეროში მიმდინარე სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებული შესაძლებლობების სრულად და ეფექტურად გამოყენება.

2. ბეჭდური მედია

კომუნიკაციის პროცესში ბეჭდვითი მედია გამოიყენება ევროკავშირისა და მისი მუშაობის შესახებ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად.

საჭიროა ფლაერების, ბროშურების, წიგნების, ბიულეტენების, სპეციალური გამოცემების, საგაზეთო სტატიების, პლაკატების და მარკების გამოცემა და გავრცელება. ყველაფერი ეს მოსახლეობის ინფორმირებულობის მნიშვნელოვანი წყაროა და ხელსაყრელია შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.

უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სრულად ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, გამოყენებული იქნება დიასპორული მედია-საშუალებები, მათ შორის ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ინტერნეტ-გამოცემები.

3. საზოგადოებრივი ღონისძიებები

საზოგადოებრივი ღონისძიებები სამიზნე ჯგუფებთან პირდაპირი ურთიერთობების მნიშვნელოვანი არხია, რომელიც იძლევა სამიზნე ჯგუფებთან სრულყოფილი კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების შესწავლის შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი ღონისძიებები მოიცავს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, კონკურსებს, წარმოდგენებს, ვორკშოპებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს, დებატებსა და გამოფენებს. ყველა ამ ღონისძიების მიზანია ევროპული

ღირებულებებისა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისა და ევროინტეგრაციის თემის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

4. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ წარმოადგენს ის ადგილია, სადაც ყველა დაინტერესებული მოქალაქე შეძლებს დამატებითი ინფორმაციის მიღებას ევროინტეგრაციის პროცესებზე. საქართველოს მთავრობა მუშაობს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრების გახსნის მიზნით.

5. პირადი კონტაქტები

პირადი კონტაქტები მოქალაქეებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის და უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან, მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში ეფექტური კომუნიკაციის განსახორციელებლად.

გარდა ექსპერტებისა, საჭიროა მოსახლეობასთან ევროინტეგრაციის თემაზე კომუნიკაცია განხორციელდეს სხვადასხვა სფეროს, როგორცაა სპორტი, მუსიკა და სხვ. წარმომადგენლების მეშვეობით.

6. მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია მიღწეული შედეგების გასაანალიზებლად, რათა დროულად გამოვლინდეს შესაძლო შეცდომები და გაიზარდოს აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები.

კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ევროკავშირის ექსპერტები და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთავრობა პატივს სცემს კრიტიკულ მოსაზრებებს. ასევე, გახსნილია და უზრუნველყოფს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების პირობებშიც.

მონიტორინგი განხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების საფუძველზე. საზოგადოებრივი აზრის კვლევა იქნება წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი და განხორციელდება რეგულარულად.

7. ინფორმირება ასოცირების შეთანხმების შესახებ

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ასოცირების შეთანხმების, ასევე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია. ამის გათვალისწინებით, საჭიროა რეგულარული კომუნიკაცია შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

1. საზოგადოებასთან - მედიაპროგრამების, საჯარო დებატების, ინტერაქტიული საკომუნიკაციო საშუალებების, პუბლიკაციების, სპეციალური ინტერნეტ გვერდების გამოყენებით, რომლებიც უშუალოდ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ეხება.

2. სექტორულ სამიზნე ჯგუფებთან, როგორცაა ბიზნესასოციაციები, სავაჭრო პალატები, პროფესიული გაერთიანებები, სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, აკადემიური საზოგადოება და სხვა.

ასოცირების შეთანხმების შესახებ საჭიროა სამიზნე ჯგუფების ინფორმირება შემდეგი აქტივობების განხორციელების გზით:

➤ რეგულარული პრესკონფერენციებითა და თემატური კონფერენციებით, რომლებიც ასოცირების შეთანხმების კონკრეტულ თავებს შეეხება;

➤ სატელევიზიო და რადიოდებატებისა და სხვა სახის საჯარო დისკუსიებით;

➤ ინტერნეტგვერდის შემქნითა და განახლებით-რომელიც დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას მიაწვდის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების შესახებ;

➤ ინტერაქტიული საკომუნიკაციო საშუალებების შექმნითა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფით (ელექტორული ფოსტა და სხვ);

➤ მოსახლეობისათვის რეგულარული პუბლიკაციების მომზადება-მიწოდებით, ასევე სპეციფიურ სამიზნე ჯგუფზე გათვლილი პუბლიკაციების მომზადება-გავრცელებით;

➤ სხვადასხვა მედიააქტივობებით, როგორებიცაა სატელევიზიო დებატები, თემატური სატელევიზიო გადაცემები, რადიო გადაცემები, თანამშრომლობა ბეჭდურ მედიასთან;

➤ საზოგადოებრივი ღონისძიების გამართვით საზოგადოების ფართო

ჯგუფებთან პირადი კონტაქტების დასამყარებლად.

დასკვნა

ზომოთქმულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს არსებული ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციული მექანიზმის ადაპტაცია ეფექტურობის, მდგრადობისა და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით. ამის კარგი მაგალითი კი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების გამოცდილებაა. საქართველოში ევროკავშირთან თანამშრომლობის სტრუქტურული ქვედანაყოფი პირველად საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა. ეს ლოგიკური იყო, რადგან ამ დროისათვის საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თანამშრომლობის მხოლოდ დიპლომატიურ ასპექტებს მოიცავდა. მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის ურთიერთობა გაღრმავდა და თანამშრომლობის უამრავი სფერო მოიცვა, ნათელი გახდა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა, გარდა დიპლომატიური საქმიანობისა, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის უამრავ სექტორს ეხება. ამ გარემოებამ წარმოშვა ევროკავშირთან თანამშრომლობის სფეროების გადანაწილების აუცილებლობა საგარეო საქმეთა სამინისტროდან სხვა სამინისტროებსა და უწყებებში.

ამდენად, საქართველოს შესაძლებლობა, შეასრულოს აქტიური როლი ევროკავშირთან ურთიერთობაში და მიიღოს ევროინტეგრაციისაგან მაქსიმალური სარგებელი, დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული ევროპული ინტეგრაციის ადმინისტრაციული მოდელის ეფექტურ გამოყენებაზე.

ევროკავშირის სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, მასთან დაკავშირებულ სარგებელსა და ვალდებულებებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კომუნიკაციის სტრატეგიის შესრულება უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფების უკეთ ინფორმირებას ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების, შესაძლებლობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებას.

აღნიშნული სტრატეგიის შესასრულებლად უნდა შემუშავდეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. გეგმას მოამზადებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შესაბამის სამთავრობო უწყებებთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ პლატფორმასთან თანამშრომლობის საფუძველზე. ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება მიმდინარე კალენდარული წლის ბოლოს და დოკუმენტი განთავსდება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის ვებგვერდებზე.

კითხვები

1. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისას რომელი ძირითადი ასპექტები უნდა გაანალიზდეს?
2. რას წარმოადგენს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის სამთავრობო კომისია?
3. რა ეწოდება ევროინტეგრაციის კომისიასთან შექმნილ უწყებათშორის მუშა ჯგუფს?
4. საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ეფექტურად განხორციელების მიზნით, რა ეწოდება საქართველოში ევროინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალური უწყებათშორის მუშა ქვეჯგუფებს?
5. ვინ არის პასუხისმგებელი თითოეულ უწყებაში ევროინტეგრაციის საკითხების უკეთ კოორდინირებაზე?
6. რა როლი აკისრია საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის პროცესში?
7. რა ფუნქცია აქვს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს?
8. ვინ არის საქართველოს პარტნიორები ევროინტეგრაციის საკითხებში საერთაშორისო დონეზე?
9. რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში არსებული ევროინტეგრაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობა უფრო ეფექტური გახდეს?
10. ვინ არის საქართველოს პარტნიორები ევროინტეგრაციის საკითხებში ადგილობრივ დონეზე?

თავი XII. ქართული და ევროპული ფასეულობები-მსგავსება და განსხვავება

ზოგადად, კულტურულ ფასეულობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის იდენტობის განვითარების საქმეში. ამიტომაც, ეროვნული იდენტობის აღქმისთვის აუცილებელია მისი სიღრმისეული ანალიზი.

ევროპის იდეის ცნობილი მკვლევარები პაგდენი, კაბოდი, რუჟმონი ევროპის იდენტობის აღმოცენებაში ანტიკურობას დიდ როლს ანიჭებდნენ და კანონის უზენაესობასთან აკავშირებდნენ.

ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მსჯელობის თანახმად კი „ევროპული იდენტობა ორი ელემენტის: ბერძნულ--რომაული სამყაროს სამოქალაქო იდეისა და ქრისტიანობის, კერძოდ, სახარების იდეის სინთეზს წარმოადგენს“.

გარდა ამისა, ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპი“, განსაზღვრულია გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხით (Kecmanovic, 1996). თეორეტიკოსები (De Cillia 1999; Hobsbawm 2005; Staub 1997) მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება და ამ პროცესს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. ეროვნული იდენტობის კვლევისას ლეგიტიმურად ჩნდება ასეთი კითხვები: რა ქმნის ნაციონალურ იდენტობას? რა ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ჩვენს თავს ქართველებად აღვიქვამთ? ჰაიდერისა და შმიდტის აზრით, ეს არის ემოციები ეროვნული იდენტობის გარკვეული ასპექტების მიმართ, რომლებიც მთელ ერს, როგორც მთლიანობას აერთიანებს. ამგვარ ასპექტებად ისინი გამოყოფენ: ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და ერთობასთან სიახლოვის განცდას (Heyder; Schmidt, 2001)

ამდენად, ქართულ-ევროპული იდენტობის მსგავსების კვლევისას, რა თქმა უნდა, ყურადღება რამოდენიმე კომპონენტზე უნდა გავამახვილოთ. მათ შორის, ისტორიაზე, კულტურაზე, ეკონომიკაზე და ერთობასთან სიახლოვის განცდაზე.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მართალია, ქართული იდენტობა აღმოსავლურ ცივილიზაციურ სამყაროსთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა, მაგრამ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ის ევროპული იდენტურობის მატარებელი გახდა. აქ შესაძლებელია არ დავეთანხმოთ ქართული

იდენტობის ჩამოყალიბების ვერსიას, მაგრამ ის, რომ ის მოგვიანებით ევროპული იდენტურობის მატარებელი გახდა სავსებით რეალურია.

რაც შეეხება, ქართულ იდენტობას, ისიც, მსგავსად სხვა ქვეყნებისა, საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან. გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქ-სელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირისა და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითმა ომებმა თუ ოკუპაციამ, რამაც საბოლოო ჯამში ქართული იდენტურობის ზოგიერთი მარკერები გარკვეულწილად შეაფერხა, მაგრამ ძირითადად მაინც ვერ შეცვალა.

აქვე საინტერესოა ქართული და ევროპული ღირებულებების თავსებადობის შესახებ რამოდენიმე განსხვავებული დისკურსი, რომელიც სხვადასხვა კვლევებით იკვეთება:

ა) ქართველებსა და ევროპელებს იდენტური ღირებულებები აქვთ;

ბ) ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება, თუმცა მათი ფუნდამენტი მაინც მსგავსია;

გ) ქართული და ევროპული განსხვავდება და ევროპული უპირატესია.

ქართველებსა და ევროპელებს იდენტური აქვს. ამ დისკურსის თანახმად, ქართული ფასეულობები, თავისი არსით, ევროპული ფასეულობებია. ანუ “რაც ქართულია, ის ევროპულია. ამის მაგალითია ტოლერანტობა, რაც ქართველებისთვის დამახასიათებელი ისტორიული თვისებაა, მასში მოიაზრება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმღებლობა, ქალის პატივისცემა (რაც მიჩნეულია გენდერული თანასწორობის გამოხატულებად) და სხვ. ამავე კონტექსტშია განხილული თანამედროვე ქართველების მისწრაფება დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისა და სამოქალაქო ჩართულობისკენ, რაც იმავედრულად დემოკრატიული და ევროპული პრინციპებია. ამდენად, დემოკრატიული ქვეყნის შენების მცდელობა ქართველების ევროპელობის გამოხატულებაა.

აქვე აღსანიშნავია ის არგუმენტიც, რომელიც ქართველების ევროპელობას “ბანალური ევროპეიზმის” კონტექსტში განიხილავს, კერძოდ, ქართველების ყოფით ევროპეიზმზე ამახვილებს ყურადღებას. “ბანალური ევროპეიზმის” ცნება “ბანალური ნაციონალიზმის” ცნებას ეფუძნება და გულისხმობს, რომ, როგორც ერთან, ასევე ევროპასთან იდენტიფიკაციას აძლიერებს ყოველდღიური, უბრალო პრაქტიკა და

სიმბოლოები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებაში გაუცნობიერებლად არსებობს, მაგალითად, ევროპული მართვის მოწმობის ან ევროს არსებობა, ევროპული პოლიტიკის ამბების კითხვა გაზეთებში და ა.შ. მართალია, ამ შემთხვევაში ზემოხსენებული სიმბოლოები ვერ იქნება ქართველების “ბანალური ევროპეიზმის” ნიმუში, მაგრამ შესაძლოა, ასეთად ჩაითვალოს ისეთი სიმბოლოები, როგორცაა ევროკავშირის დროშა, რომელიც საქართველოში ყველა სახელმწიფო უწყებას ამშვენებს ან ქვემოთ წარმოდგენილ ნარატივში ხაზგასმული საერთო “ყოფითი კულტურა”, როგორც ევროპასთან იდენტიფიკაციის მაჩვენებელი.

რომ გამოკითხოთ ქართველები, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ ან უცხოვრიათ, მათი უმეტესობა იტყვის, რომ მათ ევროპაში ცხოვრება არ უჭირდა, ანუ მათ არ უჭირდათ ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან დამეგობრება, ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ძალიან ჩაკეტილად ითვლება საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ან ჰოლანდია შედარებით ჩაკეტილი საზოგადოებებია. ქართველები იქაც კი ახერხებენ კარგ კომუნიკაციას და დამეგობრებას ადგილობრივებთან, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებისთვის ევროპული კულტურა მათ შორის ყოფითი კულტურაც კი, სრულიად მისაღებია.

მოსახლეობის ნაწილი დემოკრატიულ ღირებულებებს არა სპეციფიკურ-ევროპულად, არამედ უნივერსალურად მიიჩნევს და სწორედ ამ უნივერსალურობის გამო ქართველებიც იმავე ღირებულებების მატარებლად მიაჩნია. თუ ადამიანის უფლებების დაცვა და ტოლერანტობა შეიძლება ევროპულ ღირებულებებად ჩაითვალოს, ისინი, ასევე, უნივერსალური ღირებულებებია.

კანონის უზენაესობა, წესიერება, პოლიტიკური ოპონენტის პატივისცემა, ცივილიზებული დისკუსია, არც ერთ ერთ ქართულ ღირებულებას არ ეწინააღმდეგება. ის ღირებულებები, რომლებსაც ქართულად წარმოაჩენენ, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ ჩვევებია. ოჯახის ან მშობლების პატივისცემა ევროპული ღირებულებაც არის.

ალტერნატიული დისკურსის თანახმად, ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება, თუმცა მათი ფუნდამენტი მაინც მსგავსია. აქ აღნიშნულია, რომ ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის განსხვავება არ არის ფუნდამენტური. მათ შორის თანხვედრა მეტია, ვიდრე განსხვავება. ხაზგასმულია,

რომ მსგავსი განსხვავებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც შეინიშნება, თუმცა ევროკავშირის დევიზი - „ერთობა მრავალფეროვნებაშია“ განსხვავებული კულტურული თავისებურებების მქონე ერებს აერთიანებს და ამ სხვაობებს დაბრკოლება არ შეუქმნია ევროინტეგრაციის გზაზე.

არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები, პირიქით, თანხვედრაა ისტორიულადაც და კულტურიდან გამომდინარეც. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ქვეყნებს შიგნითაც არის განსხვავებები და თუ განვაზოგადებთ, მაშინ საერთო უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

მართალია, ევროპულ ხედვებს შორის ზოგ ასპექტებში განსხვავებაა, მაგრამ ამას ორი სხვადასხვა არგუმენტი შეიძლება მოეძებნოს: ერთი მოსაზრებით ის, რაც ქართულ ღირებულებებად მიიჩნევა, მაგალითად, ე.წ. „ჩაშვების ინსტიტუტისადმი“ წინააღმდეგობა, ფავორიტიზმი და სხვ. საერთოდ ვერ ჩაითვლება ღირებულებებად, რადგან, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საბჭოურ გადმონაშთებთან და გამრუდებულ დამოკიდებულებებთან.

ის, რომ არ უნდა „ჩაუშვა“ არ უნდა დაასმინო მკვლელი ანუ უნდა მისცე საშუალება, რომ მოკლას მეორე კაცი. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ეს ქართული ფასეულობაა. ამ დროს ეს ქართული ფასეულობა არაა, ეს არის გამრუდებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მიმართ. მეორე მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ქართული ღირებულებები ნაკლებად ჰგავს ევროპულს, წარსულში საქართველო ნამდვილად იყო ევროპული ღირებულებების მქონე.

სხვა ნარატივის თანახმად, ქართველები ნაკლებტოლერანტულები არიან, თუნდაც რელიგიურ უმცირესობათა მიმართ შემორჩენილი ტოლერანტობის სამხილი, კერძოდ, გვერდიგვერდ აშენებული სხვადასხვა სარწმუნოების სალოცავები.

ევროპული ღირებულებების დაკარგვა თუ წართმევა, ხშირად საბჭოურ გავლენებს მიეწერება. მაგალითად არსებითი განსხვავება საბჭოურ და ევროპულ ღირებულებებს შორის სწორედ უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულებაა. ევროპული ინდივიდუალიზმი თითოეულ ადამიანს ითვალისწინებს მაშინ, როცა საბჭოური კოლექტივიზმი ინდივიდის იგნორირებას ახდენს. სწორედ ეს

უკანასკნელი განიხილება ქართველებისთვის თავსმოხვეულად საბჭოური რეჟიმის მიერ.

ევროპული ღირებულებები, ზოგადად, როგორც ცივილური სამყაროს ღირებულება, დგას ერთ ადამიანზე, მისი სრული უნივერსალურობის აღიარებაზე და იმაზე, რომ ეს ადამიანი არის ის, რომელიც უნდა დაიცვას სახელმწიფომ, ეს ადამიანი არის ის, რომელზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, ეს ადამიანი არის ის, რომლის თავისუფლებაც მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის თავისუფლება და ა.შ. ანუ, ეს ადამიანის უფლებების მთელი თეორიაა, რაზედაც დგას ფუნდამენტი. მეორე მხრივ, არის საბჭოური მენტალიტეტი, რომელიც დადის ინდივიდის სრულ იგნორირებამდე და მარტო ინდივიდის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ აბსოლუტურად უარყოფს ადამიანების განსხვავებულობას.

საბჭოთა კავშირთან ასოცირებული რუსეთი ხშირად იკვეთება, როგორც ნეგატიური „სხვა“, „ცუდი“ ალტერნატივა, რომელიც „კარგ“ ევროპას უპირისპირდება: რუსეთი ქართული ეროვნული იდენტურობისთვის საფრთხეა, ხოლო ევროპა - ამ იდენტურობის შენარჩუნების გზა. ამდენად, ქართული და ევროპული ღირებულებების განსხვავებულად წარმოჩენა ანტიდასავლური პროპაგანდაა, რომლის მედროშეებად რუსეთსა და საქართველოში არსებულ პრორუსულ ძალები მოიაზრებენ.

მსგავსი პოზიცია ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ელიტების შეხეხედულებას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, როცა დომინანტური გახდა „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ დისკურსი. მისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ევროკავშირის, როგორც რუსეთის აგრესიისგან დაცვის გარანტის, განხილვა იყო. ამის მიზეზია ის, რომ, ერთი მხრივ, ასეთ ქვეყნებში იდენტობის დისკურსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უსაფრთხოების საკითხები, რუსეთი კი, როგორც ევროპისთვის „სხვა“, რომელიც ევროპული იდენტობის საფრთხედ აღიქმება, ევროპული და ეროვნული იდენტობების ერთიან მობილიზებას ახდენს; მეორე მხრივ კი, თავად დასავლეთი ევროპის მიერ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ორიენტალიზაცია გარკვეულწილად, სწორედ მათი კომუნისტური გამოცდილების ნიადაგზე ხდება, რადგან მათ საბჭოური „ორიენტალური“ მენტალობის ნაწილად განიხილავს.

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, ქართული და ევროპული ფასეულობები განსხვავდება და ევროპა უპირატესი ღირებულებების მქონეა. ევროპული ფასეულობების მაგალითია: შრომისმოყვარეობა, განსხვავებულის მიმართ მიმღებლობა და მისი სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის დაშვება, დროის დაფასება, ურნაში ნაგვის გადაყრა, კრიტიკული აზროვნება, თუნდაც პარტიის პროგრამის მიხედვით პოლიტიკური არჩევანის გაკეთება. მიჩნეულია, რომ ქართველები ამ ყველაფრის დეფიციტს განიცდიან. ამდენად, ევროპულ ფასეულობებთან დაახლოება საქართველოსთვის განვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობადაა დანახული და არა ქართული ღირებულებებისთვის საფრთხის მომტანად.

მეორე მხრივ, ფასეულობების სკალაზე გვჭირდება იმის გაცნობიერება, რომ თუ არ ვისწავლეთ განსხვავებულის ატანა და იმის დაფასება, რომ ჩვენგან განსხვავებული ადამიანი ჩვენ გვერდით უნდა არსებობდეს და მონაწილეობდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ვერ გავხდებით ევროპა. აქ ლაპარაკი იმაზე კი არაა, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი, არამედ შინაგანად ვიქნებით თუ არა ისეთივე საზოგადოება, როგორცაა სლოვენური, ირალანდიური, პორტუგალიური და ა.შ. ასეთი საზოგადოება ვერ გავხდებით, თუ ეს ორი რამე-შრომა და განსხვავებულის ატანა ვერ გავიაზრეთ.

საინტერესოა, რომ ტოლერანტობა, რომელიც ევროპულ ღირებულებად მიიჩნევა, სულაც არ არის ქართული რეალობისთვის უცხო, უფრო მეტიც, საქართველო იმით ჰგავს ევროპას, რომ ტოლერანტულია. საქართველო ისტორიულად ყოველთვის ტოლერანტული იყო, სადაც ტრადიციულად პატივს სცემდნენ სხვის უფლებებს. ეროვნული უმცირესობებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ აქაური კულტურის წევრები, არ იყო მტრული დამოკიდებულება.

ამიტომაც, ევროკავშირში გაწევრიანება დაეხმარება ქვეყანას ამ ფასეულობის უფრო მეტად აღიარებასა და დანერგვაში. ამიტომაც ქართული ფასეულობები ევროპულია და რაც ეწინააღმდეგება ევროპულ ფასეულობებს, არაქართულია. ადამიანის უფლებების დაცვა, ქალის პატივისცემა, ანუ გენდერული საკითხი, რელიგიური მრავალფეროვნების თემა, ზოგადად, უმცირესობების თემა, არის ქართული ღირებულებაც, რადგან ყოველთვის ვამბობთ, რომ ვართ ძალიან

მიმტევებლები. ასევე, ეს არის ევროპული ღირებულებებიც. რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების, ენის, კულტურული იდენტობების დაცვა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიყვარული, ერის პატივისცემა, სურვილი, რომ გვექონდეს დემოკრატიული ქვეყანა, სიტყვის თავისუფლების სურვილი, პროცესში ჩართულობის სურვილი, ეს ყველაფერი დემოკრატიული და ევროპული პრინციპებია. ასე, რმ :რაც ქართულია, ის ევროპულიცაა.”

ხოლო, ისინი, ვინც თუნდაც თვალსაჩინო განსხვავებებს ხედავს ქართულ და ევროპულ ფასეულობებს შორის, მაინც პოზიტიურ ცვლილებებს ელის ევროპულ ღირებულებებთან თანმიმდევრული დაახლოების თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ ამ პროცესის შედეგად, ქართული ღირებულებები კი არ დაიკარგება, არამედ გარკვეულ სინთეზს შეიძენს.

აქვე უნდა აღინიშნოს არგუმენტი ევროპეიზაციის კულტურულ საფრთხეებზეც, რომლის თანახმადაც, ქართულმა საზოგადოებამ შესაძლოა, ევროპული ფასეულობები დამახინჯებული სახით შეითვისოს ან მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მტკივნეულ საკითხად ლგბტ თემის უფლებები იკვეთება. ეს საკითხი არ მოდის წინააღმდეგობაში ქართულ ღირებულებებთან, რადგან საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ლგბტ პირების ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვაზე და არა არატრადიციული ქორწინებების ლეგალიზაციაზე, მოსახლეობა კი სწორედ ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინებას და მათ მიერ ბავშვის აყვანას ეწინააღმდეგება. აღინიშნა, რომ ამ თემით ანტიდასავლური ძალები მანიპულირებენ და ხშირად, ქართული ეკლესიის გამოყენებით ცდილობენ, მოსახლეობა ევროკავშირის წინააღმდეგ განაწყონ. გარდა ზემოხსენებული მოსაზრებისა, ითქვა იმ არგუმენტის შესახებაც, რომ ლგბტ უფლებების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია თავად ევროპის ქვეყნებშიც; ასეთი ქორწინების დაკანონება კი მხოლოდ მოსახლეობის ნებაზეა დამოკიდებული.

არსებობს სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც ევროკავშირში ინტეგრაცია ნიშნავს ერთსქესიანი წყვილების ქორწინების აღიარებას. ამ სტერეოტიპს ნერგავს ის, ვინც ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგია. არადა უნდა ითქვას, რომ უწმინდესი ოჯახური ტრადიციებია ევროპის მრავალ ქვეყანაში, სადაც ჰომოსექსუალების მიერ ოჯახის შექმნაზე საუბარიც კი ზედმეტია და არც არავინ ეუბნება მათ ასე იყოსო. ბელგიას უნდა? უნდა და აქვს კიდევ. ზუსტად იმით

განსხვავდება საბჭოთა კავშირისგან ევროპა, რომ ვისაც რა უნდა, ის უნდა გააკეთოს. ბელგიას უნდა, ნიდერლანდებს მოსწონს და მან ისეთი ქვეყანა ააშენა, როგორც სურს, ესპანეთში კი არასდროს იქნება აქტუალური. ასევე აღსანიშნავია, რომ იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი მისი დინამიკურობაა, აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ ცვლის ქართველების იდენტობას და მის თვითაღქმას მათი პოლიტიკური კურსისა და ხედვის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა - ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.

გავრცელებული აზრით, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ქართველების ევროპულ იდენტობას განამტკიცებს, რადგან ის ევროინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი აღნიშნავს, რომ დოკუმენტის ხელმოწერა პოზიტიური, მაგრამ მაინც სიმბოლური აქტია. ევროპული იდენტობა გამყარდება მაშინ, როცა რეგიონებში მცხოვრები ადამიანები უშუალოდ შეიგრძნობენ ევროინტეგრაციის პოზიტიურ შედეგებს. ამის გარდა, იდენტობას ამყარებს არა იმდენად დოკუმენტის ხელმოწერა, რამდენადაც თავად ინტეგრაციის პროცესი.

დასკვნა

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სათანადო აქტივობები განხორციელდეს პოპულარულ დონეზე და მოსახლეობაში ევროპული ღირებულებები დაინერგოს ანუ ევროპეიზაციის გადატანა მოხდეს ფორმალურიდან ქცევით დონეზე.

შესაბამისად, ევროპეიზაცია და ევროპა მხოლოდ ვიზა და სამუშაო ადგილი არ არის ევროპის ქვეყნებში, ეს იმ ფასეულობებისადმი ერთგულებაა, რომელსაც დასავლური ღირებულება ჰქვია.

კითხვები

1. ქართული და ევროპული ღირებულებების თავსებადობის შესახებ რომელი დისკურსი იკვეთება?
2. რას ნიშნავს ქართველებსა და ევროპელებს იდენტური ღირებულებები აქვთ;

3. რას ნიშნავს ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება, თუმცა მათი ფუნდამენტი მაინც მსგავსია;
4. რას ნიშნავს ქართული და ევროპული განსხვავდება და ევროპული უპირატესია.
5. რა არის ევროკავშირის დევიზი?

თემა XIII. ვიშეგრადის ქვეყნები: ცნება, ისტორია

ვიშეგრადი ნიშნავს ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ალიანსს. გაერთიანების მიზანია ამ ქვეყანების რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და ევროინტეგრაციის პროცესების გაძლიერება.

თანამშრომლობას საფუძველი 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში, (ვიშეგრადი (უნგრ. Vyšehrad) — ისტორიული მნიშვნელობის ციხე სოფელი პეშტში, უნგრეთი) ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა, რამაც ევროკავშირთან ინტეგრაციის რეგიონალური თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი შექმნა.

თანამშრომლობის ეს მექანიზმი კომუნისტური მემკვიდრეობის დასაძლევად და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერად შეიქმნა. ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებისათვის არჩეულ იქნა რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმი, გამომდინარე იქედან, რომ ოთხივე ქვეყანას მეტნაკლებად მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნდა. 1989 წლის მოვლენების შემდგომ, როცა მოხდა ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევა, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის თანამშრომლობის სამეული რეგიონული თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად იქცა. 2004 წელს უკვე ვიშეგრადის ოთხეული ევროკავშირის წევრები გახდნენ.

ვიშეგრადის ქვეყნების ისტორია 1335 წლიდან იწყება, როდესაც ბოჰემიის, (ისტორიული რეგიონი ცენტრალურ ევროპაში, მოიცავს ჩეხური მიწების თითქმის ორ მესამედს. იგი მდებარეობს თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიაზე) უნგრეთის და პოლონეთის მეფეები ვიშეგრადში შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს სამ სამეფოს შორის ურთიერთობების განმტკიცება. უფრო თანამედროვე ისტორია კი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვლაცლავ ჰაველის ინიციატივით იწყება, როცა ამ ქვეყნების ხელმძღვანელებმა ჩაატარეს სამიტები ბრატისლავაში (აპრილი 1990), ვიშეგრადში (თებერვალი 1991), კრაკოვში (ოქტომბერი 1991) და პრაღაში (მაისი 1992). ოფიციალურად ვიშეგრადის ჯგუფი შეიქმნა 1991 წლის 15 თებერვალს „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერით.“ შეხვედრას, რომელიც უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში შედგა, ესწრებოდნენ ჯოზეფ ანტალი

უნგრეთის პრემიერ მინისტრი, ლეხვალენსა - პოლონეთის პრეზიდენტი და ვლაცლავ ჰაველი - ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი.

1993 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ რაც ჩეხოსლოვაკია ორ დამოუკიდებელ ქვეყანად გაიყო, ვიშეგრადის სამკუთხედი (ბუდაპეშტი, პრაღა და ვარშავა) ვიშეგრადის ოთხეულად იქცა.

დეკლარაციაში განისაზღვრა ვიშეგრადის ჯგუფის ძირითადი მიზნები:

- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და თავისუფლების სრულად აღდგენა;
- ტოტალიტარული სისტემის ყველა არსებული სოციალური, ეკონომიკური და მენტალური ასპექტის აღმოფხვრა;
- საპარლამენტო დემოკრატიის და სახელმწიფო სამართლის მშენებლობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა;
- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა;
- სრული ჩართულობა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, ასევე უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სისტემაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით თანამშროლობის ფორმად რეგულალური შეხვედრები და საერთო სტრატეგიების დასახვა იქცა პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების დონეზე. ამ მიზნით ოთხივე ქვეყნის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონული მასშტაბის პროექტების დაფინანსებაა. ფაქტობრივად ვიშეგრადის თანამშრომლობა არ არის ინსტიტუციონალიზებული რაიმე ფორმით. ის ემყარება მისი წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე. პრემიერ მინისტრის ოფიციალური შეხვედრა ყოველწლიურად ეწყობა. სამიტებს შორის საპრეზიდენტო პოზიცია აქვს ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ ერთს, რომელიც პასუხისმგებელია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. მიუხედავად საერთო რეგიონალური თანამშრომლობისა და განვითარების მსგავსი სტრატეგიების არჩევისა, ვიშეგრადის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც სახელმწიფოს ზომებით, ასევე მოსახლეობის ოდენობებით, ეთნიკური კომპოზიციითა და სხვა რიგი მაჩვენებლების მიხედვით.

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკა

2004 წელს ვიშეგრადის ქვეყნების შესვლა ევროკავშირში დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებსა და სარგებელთან. ძირითადი სარგებელი მდგომარეობდა შემდეგში:

- შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ევროკავშირის გლობალურ ბაზარზე;
- გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო და დაბალი რისკი. ევროკავშირის წევრობა ვიშეგრადის ქვეყნებს უფრო მიმზიდველს ხდის, ეკონომიკური პერსპექტივის და საინვესტიციო რისკის თვალსაზრისით;
- ვიშეგრადის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნა; შეუზღუდავი შრომითი მობილურობა დადებით გავლენას მოახდენს ვიშეგრადის ქვეყნების შრომის ბაზრებზე, რაკი ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას და შეამცირებს უმუშევრობას;
- ხელმისაწვდომობა ტრანსფერებზე ევროკავშირის სტრუქტურული და დაახლოების ფონდებიდან.

მნიშვნელოვანი განსხვავება ვიშეგრადის ცალკეულ ქვეყნებს შორის უკავშირდება მათ პრესოციალისტურ ეკონომიკურ განვითარებას. უნგრეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. საპირისპიროდ, ჩეხეთი ტრადიციულად დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული. ვიშეგრადის ქვეყნები იყვნენ გარდამავალი ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ქვეყნები და გაცილებით უკეთესი საწყისი პოზიცია ჰქონდათ. ვიშეგრადის ყველა ქვეყანამ დაახლოებით ერთი და იგივე დრო - 41- 42 წელი გაატარა კომუნისტურ რეჟიმში. მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მნიშვნელობა ვიშეგრადის ქვეყნებისათვის, ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროკავშირი ახლა ვიშეგრადის ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ვიშეგრადის ქვეყნების გახსნილობა და მათი ვაჭრობის რეორიენტაცია 58 ევროკავშირის მიმართულებით, ხაზს უსვამს ევროკავშირთან ინტეგრაციით მისაღებ შესაძლო სარგებელს.

1990-იანი წლების დასაწყისში (ტრანსფორმაციის პერიოდის დასაწყისი) ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაბალი იყო. რეცესიის ფაზა ვიშეგრადის ქვეყნებში ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩეოდა, ჩეხეთის

რესპუბლიკაში ეს იყო 1997-1998 წლები ხოლო სლოვაკეთში ვარდნა იყო 1999 - 2000 წლებში და პოლონეთში 2001 - 2002 წლებში.

ისტორიული ფაქტები ასახულია ეკონომიკის ზოგად განვითარებაში და როგორც მშპ-ს მოცულობის დინამიკაში ვხედავთ ვიშეგრადის ოთხეულის ეკონომიკა სწორი მიმართულებით მიდის. ყველაზე აშკარა სლოვაკეთის მშპ-ს ზრდაა.

1999 წელს ზრდა შეჩერდა და 2002 წელს გაგრძელდა 4,8%-ით და მცირედ გაუსწრო უნგრეთს, რომლის მაჩვენებელი იყო 4,4%. 2004 წელს სლოვაკეთმა უჩვენა 5.2%-იანი ზრდა და მხოლოდ 0,1%-ით ჩამორჩა პოლონეთს. არა ერთმა ინდიკატორმა უჩვენა, რომ აღნიშნული წლიდან სლოვაკეთი იყო ქვეყანა, სადაც ზრდა მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

2007 წლამდე სლოვაკეთმა 0,4%-იან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია და ოთხეულს შორის მისი ეკონომიკა ყველაზე ძლიერი გახდა. 2007 წელს ძლიერი ეკონომიკის თვალსაზრისით მეორე პოზიციაზე პოლონეთი იყო, მშპ-ს ზრდის 6,6%-იანი ზრდის ტემპით. უნგრეთში მშპ-ს ზრდა ყველაზე დაბალი იყო, მხოლოდ 1,2%, რითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 2007 წელს 2,9%-ს შეადგენდა.

2008 წელს სიტუაცია შეიცვალა. ამერიკის ფინანსურმა კრიზისმა არა მხოლოდ ვიშეგრადის ოთხეულის ეკონომიკური აქტივობის შემცირება გამოიწვია, არამედ მთელ ევროკავშირზე მოახდინა გავლენა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სრულად შეეხო სლოვაკეთს, 2008 – 2009 წლებში. სლოვაკეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით მესამე კვარტალში შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტი- მუდმივ ფასებში შემცირდა 4,9%-ით. მიმდინარე ფასებში შემცირება 5,6%-ს შეადგენდა.

2009 წლის მესამე კვარტალში მშპ-მ მუდმივ ფასებში მიაღწია 12051 მილიარდ ევროს, რაც 2008 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 5%-ით დაბალია. 2009 წლის მესამე კვარტალში ჩეხეთის რესპუბლიკის მშპ 4,1%-ით შემცირდა. უნგრეთმა კრიზისი ოთხეულს შორის ყველაზე მძიმედ გადაიტანა. ეკონომიკის რეცესია, რომელიც ყველაზე მძიმე იყო გასული 18 წლის განმავლობაში სწორედ 2009 წლის მესამე კვარტალს დაემთხვა.

ვიშეგრადის ქვეყნების ინფლაციის დონეების შედარება უჩვენებს მსგავსებას პოლონეთსა და უნგრეთს შორის. ეს დაკავშირებულია დეველვაციის მართვის

შერჩეული სავალუტო კურსის რეჟიმთან. ორივე ქვეყანაში ინფლაცია ორნიშნა რიცხვით იყო გამოხატული, მაგრამ დროთა განმავლობაში ახერხებდნენ შემცირებას.

პოლონეთმა 1999 და უნგრეთმა 2001 წელს მიაღწიეს ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლს. სავალუტო პოლიტიკის ჩარჩოს ცვლილებამ ინფლაციისთვის, ხელი შეუწყო ინფლაციის დონის შემცირებას ოთხივე ქვეყანაში.

სლოვაკეთმა გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები 1993 წელს ჩეხეთის რესპუბლიკისაგან გამოყოფის შემდეგ. საგადასახადო, საპენსიო, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო სლოვაკეთს ბიუჯეტის კონსოლიდირებასა და 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებაში. 2009 წელს სლოვაკეთმა მიიღო ევროკავშირის სავალუტო სისტემა - ევროს სახით და გახდა ევროზონის წევრი. უცხოური ინვესტიციები საკმაოდ მაღალი იყო განსაკუთრებით ავტომობილებისა და ელექტრონულ სექტორში.

სლოვაკეთის ეკონომიკურმა ზრდამ მოლოდინს გადააჭარბა 2001 – 2008 წლებში, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა. გლობალური ეკონომიკური ვარდნა მოიცავს მთავრობის მნიშვნელოვან ინტერვენციებს და სტრატეგიული კომპანიების ნაციონალიზაციას.

2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 5%-ზე მეტით შემცირდა, ხოლო უმუშევრობამ 11%-ს გადააჭარბა, რადგან გლობალურმა რეცესიამ სლოვაკეთის ეკონომიკის ბევრ სეგმენტზე მოახდინა გავლენა. უნგრეთი ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, ერთ სულზე დაახლოებით ევროკავშირის საშუალოს ერთი მესამედით. კერძო სექტორი მშპ-ს დაახლოებით 80%-ს შეადგენს. უნგრეთში გავრცელებულია კომპანიების უცხოელების მიერ ფლობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინტენსიური შემოდინება. ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 9%-ზე მეტით 2006 წელს და 3,3%-ით 2008 წელს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ექსპორტის შემცირებამ და დაბალმა შიდა მოხმარებამ, ასევე ფიქსირებული აქტივების დაგროვებამ უარყოფითად იმოქმედა უნგრეთის ეკონომიკაზე.

ჩეხეთის რესპუბლიკა ერთ–ერთი ყველაზე სტაბილური და აყვავებული ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ღია საინვესტიციო კლიმატი ჩეხეთის ცენტრალიზებულიდან დაგეგმილიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ ერთი ძირითადი ელემენტი იყო. როგორც ევროკავშირის წევრი 2004 წლიდან,

შედარებით დაბალი ფასების სტრუქტურით და კვალიფიციური მუშახელით, ჩეხეთი მიმზიდველია ინვესტიციებისათვის. ექსპორტით ამომრავებული ჩეხეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 6%-ით იზრდებოდა 2005 – 2007 წლებში, ხოლო 2008 წელს 2,5%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რეალური ეკონომიკური ზრდა შემცირდა 4,8%-ით 2009 წელს, ძირითადად გარე მოთხოვნის შემცირების გამო, რადგან ჩეხეთის საექსპორტო ბაზრები გლობალური კრიზისით გამოწვეულ რეცესიას განიცდიდნენ.

2009 წლამდე პოლონეთის ეკონომიკური ზრდა ყოველწლიურად დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, კერძო მოხმარების ზრდის, კორპორაციული ინვესტიციების და ევროკავშირის დაფინანსების წყალობით. ერთ სულზე მშპ კიდევ ბევრით ჩამორჩება ევროკავშირის საშუალოს.

2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებამ და ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდებზე ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას. 2008 წელს უმუშევრობა სწრაფად შემცირდა 7%-მდე, 2010 წლის იანვრისათვის ისევ გაიზარდა 9%-მდე, მაგრამ იგი ევროკავშირის საშუალოზე დაბალია.

ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის შემთხვევაში ეკონომიკის სტრუქტურა ძირითადად წარმოდგენილია მომსახურების სექტორით, საშუალოდ ეკონომიკების დარგობრივი სტრუქტურის, 1 % მოდის მომსახურების სექტორზე, მრეწველობის მიერ გამოშვებულ 64 პროდუქციაზე 24, 6 % მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობაზე საშუალოდ 3,4 %. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ოდენობით ვიშეგრადის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ჩეხეთია, რომელსაც სლოვაკეთი, პოლონეთი და ბოლოს უნგრეთი მოსდევს.

2012 წლის მონაცემების მიხედვით ვიშეგრადის ოთხ ქვეყანას შორის არსებული მაქსიმალური განსხვავება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით საშუალოდ 6000 დოლარია. ამ კუთხით ყველაზე მცირე მაჩვენებლით უნგრეთი გამოირჩევა (2012 წლისათვის 19.800 აშშ დოლარი). ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით, ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010-2012 წლებში დაფიქსირდა სლოვაკეთში 2010 წლისათვის - 4.4 %, ეკონომიკის ზრდის უარყოფითი ტემპები მხოლოდ ჩეხეთსა და უნგრეთში დაფიქსირდა 2012 წლისათვის - 1% და - 1.7 %-ის ოდენობით.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განხილვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკების დარგობრივი სტრუქტურა მსგავს კომპოზიციას იმეორებს, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი განსხვავებები ისეთი სოციალური ინდიკატორების მიხედვით, როგორცა უმუშევრობის დონე.

ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუბლიკა ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად არის დასავლური ორიენტაციის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი მდებარეობს ევროკავშირის შუაგულში და მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ესაზღვრება. განვითარებულ ეკონომიკებთან სიახლოვე ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩეხეთის საშუალო დონეზე უფრო მეტად განვითარებული ეკონომიკური განვითარებისათვის.

დღესდღეობით, ჩეხეთი ხშირად ხასიათდება როგორც გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შემთხვევა. მიუხედავად ჩეხოსლოვაკიის დაშლასთან დაკავშირებული ხარჯებისა (1992-1993 წლებში), ჩეხეთის მთავრობამ, 1989 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ ადრეულ პოსტ-კომუნისტურ პერიოდში სწრაფად მოახერხა განეხორციელებინა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები. ძლიერი ეკონომიკური რეფორმები, ისეთები როგორცაა, მასობრივი პრივატიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

შვეინარმა და უვალიკმა თავიანთ კვლევაში 5 (2009) ყურადღება მიაპყრეს 1989 წელს ვიშეგრადის ეკონომიკების მდგომარეობაზე. ჩეხოსლოვაკეთი ამ პერიოდისათვის მათ დაახასიათეს როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ყველაზე ნაკლებად რეფორმირებული ქვეყანა და პოლონეთსა და უნგრეთთან შედარებით უფრო ნაკლებგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა.

ქვეყანას გააჩნდა საჯარო სექტორის ყველაზე მაღალი წილი (წმინდა ეროვნული პროდუქტის 97%). ეკონომიკა კონცენტრირებული იყო მონოპოლისტურ ფირმებს შორის და იგი წარმოადგენდა სხვა საბჭოთა ქვეყნებზე ყველაზე დამოკიდებულ ეკონომიკას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის ქვეყნებს შორის მოქმედებდა ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების გართულებული სისტემა, რომელიც არაკონვერტირებად ვალუტაზე იყო დაფუძნებული.

ცენტრალური და აღმოსავლურ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავდებით, რომლებიც უკვე 1980-იან წლებში ჰიპერინფლაციის გამოწვევის პირისპირ იდგნენ, ჩეხოსლოვაკიას, გარდამავალი პერიოდის ადრეულ წლებში შედარებით უფრო ზომიერი ინფლაცია შეეხო და ჩეხოსლოვაკიის ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობა ასევე დაბალი იყო. 1993 წლიდან 1999 წლამდე ჩეხეთის რესპუბლიკამ ევროკავშირში იმპორტი გაზარდა 8 მილიარდი აშშ დოლარიდან 18.4 მილიარდ აშშ დოლარამდე. აღნიშნული ზრდა მოიცავდა 16.3% საშუალო წლიური ზრდის ტემპს, მაშინ როდესაც ჩეხეთის ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყანაში წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელს – 4% შეადგენდა. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ ჩეხ ექსპორტიორებს უზარმაზარი შესაძლებლობები მისცა. ზემოთხსენებული ავტორები 1990-იან წლებში საგარეო ვაჭრობის ამ გასაკვირად ჩქარ ტემპს ჩეხეთის ეკონომიკური გარდაქმნისათვის გარდამტეხ მომენტად თვლიან.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩეხური იმპორტი და ექსპორტი მთლიანობაში თითქმის 500 პროცენტით გაიზარდა. საგადამხდელო ბალანის დადებითი სალდო აღრიცხულ იქნა 1991 წელს, თუმცა, უკვე ერთი წლის შემდეგ ბალანსის დეფიციტი დაფიქსირდა. აღნიშნული გამოწვეული იყო პოლიტიკური მდგომარეობის მოსალოდნელი არასტაბილურობითა და საგადასახადო რეფორმის შედეგად დღგ-ს დაბეგვრის შემოღებით.

იმპორტის წილი გაიზარდა წინასწარი მომარაგების სახით. მომდევნო წლებში ჩეხი მომხმარებლების მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა მხოლოდ ჩეხი მწარმოებლების მიერ და შესაბამისად საჭირო იყო მათი იმპორტით შევსება. ჩეხურმა ექსპორტ-იმპორტმა მიაღწია ზრდას მომდევნო წლებში ყოველწლიური მაჩვენებლების ზრდის შედეგად. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ 2002 წელი, ასევე 2004 წელი – რომელიც გამოირჩეოდა ექსპორტის ყველაზე მაღალი წლიური განსხვავებით და 1995 წელი – იმპორტის ყველაზე მაღალი განსახვავებით.

თუმცა, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩეხეთის ბალანსის დეფიციტი ფიქსირდება. ტერიტორიულად, ჩეხური ექსპორტი ურთიერთდახმარების კავშირის ყოფილი ქვეყნებიდან ძირითადად ევროკავშირის წევრ 15 ქვეყნისაკენ შეიცვალა. 1993 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი ჩეხური ექსპორტის 80 პროცენტს, ხოლო ჩეხური იმპორტის 70 პროცენტს შეადგენს.

ამდენად, განვითარებული ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანია, შეადგენდა ჩეხური ექსპორტის ყველაზე ფართო ჯგუფს ექსპორტ-იმპორტისათვის, რომელსაც შემდგომ ევროპული გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნები მოსდევნენ.

ჩინეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საიმპორტო პარტნიორს, რომელთან ურთიერთობა თანდათანობით გაიზარდა. მთლიანობაში, 2004 წლის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ გერმანია, სლოვაკეთი, პოლონეთი და საფრანგეთი.

ევროკავშირის ქვეყნებზე ჩეხეთის ექსპორტის 85 პროცენტზე მეტი, ხოლო ევროკავშირის გარეთ სხვა განვითარებულ ქვეყნებზე ექსპორტის 9 პროცენტზე მეტი შეადგენდა. ისტორიულად ჩეხური ექსპორტი გადამუშავებული საქონლისაგან შედგებოდა. მანქანებისა და ტრანსპორტირების საშუალებების ექსპორტი გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულების 69 განმავლობაში, 1999 წელს ისინი ჩეხური მთლიანი ექსპორტის 43 პროცენტს შეადგენდა. მათი რაოდენობა გაიზარდა 1000 პროცენტით მოცემული პერიოდისათვის. ექსპორტის საქონლის სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფს წარმოადგენდა ქიმიკატები და სამომხმარებლო საქონელი, მაგალითად, ტექსტილი და ავეჯი, საწარმოო მოწყობილობები და სხვა ინდუსტრიული საქონელი.

ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ჩეხეთის განადგურებულ სოფლის მეურნეობის სფეროში სუბსიდირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თავისუფალი იმპორტის ეფექტი. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, მანქანები და სხვა სატრანსპორტო ტექნიკა წარმოადგენდა საექსპორტო პროდუქციის უდიდეს ჯგუფს (50 პროცენტი), რომელსაც შემდგომ მოყვებოდა მანუფაქტურული პროდუქცია (დაახლოებით 20 პროცენტი). ამ ორ ჯგუფზე ასევე მოდიოდა იმპორტის უდიდესი წილი.

სლოვაკეთი

სხვა გარდამავალი ეკონომიკების მსგავსად, 1989 წლის შემდგომ სლოვაკეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს ექსპორტ-იმპორტის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო მონოპოლიის მოხსნითა და მასობრივი ლიბერალიზაციით. სლოვაკეთმა განიცადა ექსპორტის შედარებითი შემცირება 1996 წელს.

შესაბამისად, ზრდადი საექსპორტო მაჩვენებელი ბალანსის დეფიციტის შემცირებასთან ერთად წარმოადგენდა 1998 წელს სლოვაკეთის ახალი მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს. სტაბილიზაციის ახალი ზომები განხორციელდა 1999-2003 წლებში, კონკრეტულად კი, კორექტირებული ფასების ზრდა, არაპირდაპირი გადასახადების ზრდა, დღგ-ს ბაზა და იმპორტის მოსაკრებლის ხელახალი დანერგვა.

1998 წელს ბალანსის მოკლევადიანი სტაბილიზაცია და 1990-იან წლებში გაზრდილი დეფიციტი გამოწვეული იყო მზარდი იმპორტით, ამავე დროს, ცალკეული მკვლევარები მიუთითებენ შედარებით სტაბილურ ექსპორტზე. ცალკეული მონაცემების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აღემატებოდა სლოვაკეთის მთლიანი შიდა პროდუქტის კრიტიკულ 10 პროცენტთან ღირებულებას. უფრო მეტიც, სლოვაკეთის საგარეო ვალი 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დაახლოებით 2005 წლისათვის სლოვაკეთის ექსპორტის დინამიკას ახასიათებს შემცირების ტენდენცია, პროფიციტისა და დეფიციტის ბალანსის ტურბულენტური ცვლილებებით.

2006 წელს დაფიქსირდა ექსპორტ-იმპორტის ღირებულების მნიშვნელოვანი 70 ზრდა (შესაბამისად, ექსპორტის დაახლოებით 24% და იმპორტის დაახლოებით 22%). დეფიციტი გაიზარდა უცვლელად 2004-2007 წლებში. ბალანსის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა 2008 წელს. ამ წლის შემდეგ, ბალანსის დეფიციტი შედარებით შემცირდა და მისი სიჭარბე იქნა დაფიქსირებული 2009-2011 წლების პერიოდისათვის. მანქანები და ელექტრონული მოწყობილობები წარმოადგენდნენ ახალი ქვეყნის საწყის ეტაპზე სლოვაკეთის ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. მის დიდ ნაწილს შუალედური პროდუქცია შეადგენდა, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ფასების ფაქტორზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ რკინისა და ფოლადის ისტორიულად მნიშვნელოვანი წილი შემცირდა 1990-იან წლებში და ამავე დროს, თანამედროვე სექტორი, რომელსაც შეადგენდა აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა და ავტომობილები, ექსპორტორებისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნული ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო ფოლკსვაგენ ბტრატისლავასთან, რომელიც სლოვაკეთის უდიდესი ექსპორტიორი გახდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა შეადგინეს მთლიან ექსპორტში მხოლოდ დაახლოებით ოთხი პროცენტი. საავტომობილო ინდუსტრიამ დღემდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია. მეორე მხრივ, საავტომობილო ინდუსტრიის კომპონენტებმა შეადგინეს ახალ ქვეყანაში სლოვაკეთის იმპორტის უდიდესი წილი. სლოვაკმა ექსპორტიორებმა სწავად მოახდინეს დასავლეთის ბაზრებზე გადასვლა. სლოვაკური ექსპორტის ძირითად ბლოკად (90 პროცენტი) ევროკავშირი და ცენტრალური ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონა ჩამოყალიბდა (შემდგომში CEFTA).

1990-იან წლებში ექსპორტი ევროკავშირში გაორმაგდა, თუმცა ექსპორტი CEFTA-ის ქვეყნებში ასევე სტაბილურად იმავე ზომის იყო. ექსპორტის ყველაზე მეტად შემცირება ჩეხეთის რესპუბლიკასთან დაფიქსირდა, რომელიც 1997-1999 წლების რეცესიით იყო გამოწვეული და ასევე, რუსეთთან (სლოვაკეთის დამოკიდებულება ნედლეულის იმპორტზე მოიცავდა ხანგძლივ პასიურ სავაჭრო ბალანსს).

21-ე საუკუნეში ძირითადი საექსპორტო პარტნიორები გახდნენ გერმანია (დაახლოებით 30 პროცენტი, მაგრამ, ეს მაჩვენებელი დროთა განმავლობასი შემცირდა; 2011 წელს 23% შეადგენდა) და ჩეხეთის რესპუბლიკა (დაახლოებით 10 პროცენტი, მაგრამ ზრდის ტენდენციით; 2011 წელს 20 პროცენტი). 2011 წელს სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორები გახდნენ მეზობელი ქვეყნები: პოლონეთი, უნგრეთის და ავსტრია. სლოვაკური ექსპორტი ამ ქვეყნებში წინა წლების მაჩვენებლების შედეგად გაიზარდა.

უნგრეთი

ორი ათწლეულის განმავლობაში ექსპორტი ყოველწლიურად იზრდებოდა. გამონაკლისს შეადგენდა 2009 წელი. მიუხედავად ამისა, უნგრეთმა 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2009 წლამდე უარყოფითი ბალანსი განიცადა. გარდამავალი ეკონომიკის ევროპული ქვეყნების ტიპური დამახასიათებელი თვისება, დასავლური ბაზრებისაკენ ექსპორტის გადატანა, უნგრეთშიც დაფიქსირდა.

1990 წელს ექსპორტის წილი ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში 35 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1991 წელს - 42 პროცენტით. 1991 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებში ექსპორტი ასევე შემცირდა (27 პროცენტით). ევროკავშირში ექსპორტის წილი დასავლური ბაზრების გახსნის შემდეგ 40 პროცენტიდან 75 პროცენტამდე გაიზარდა. კერძო საქმიანობების ლიბერალიზაციამ გამოიწვია ექსპორტზე ორიენტირებული მცირე ბიზნესის განვითარება. 1991 წელს

მცირე ბიზნესი 69 პროცენტით გაიზარდა, განსაკუთრებით სამანქანო, ქიმიურ, მსუბუქი ინდუსტრიისა და საკვებგადამამუშავებელი ექსპორტის კატეგორიებში. უნგრეთი ამჟამად ორიენტირებულია მანქანებისა და სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპორტზე, რომელიც მთლიანი ექსპორტის ნახევარზე მეტს შეადგენს. შემდეგ მოდის წარმოებული საქონლისა და საკვების ექსპორტი.

პოლონეთი

1980-იან წლებში არსებული საექსპორტო საქონლის შემადგენლობა შეიცვალა ბუნებრივი რესურსების და არაკვალიფიციური შრომის ინტენსიური პროდუქციით. მხოლოდ ნახშირისა და ფერმერულმა პროდუქციამ შეძლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბაზრებზე საკუთარი წილის გაზრდა. 1990-1991 წლებში ექსპორტი გაიზარდა პროდუქციის ყველა კატეგორიებში, რაც მთავარია გადამამუშავებელ სფეროში, სადაც ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი 40 პროცენტს შეადგენდა⁷. სფეროში, სადაც ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი 40 პროცენტს შეადგენდა.

1994 წლის შემდეგ, ექსპორტის საერთო მოცულობა წინა წელთან შედარებით ყოველწლიურად იზრდებოდა. ყველაზე მკვეთრი ზრდა 2000 წელს იქნა მიღწეული. ექსპორტის მოცულობა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში 600 პროცენტით გაიზარდა. დეფიციტზე ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა რუსეთთან და ჩინეთთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ. მხოლოდ ამ ორ ქვეყანასთან ზრდის დეფიციტმა 2005-2007 წლების პერიოდში შეანელა ნამატი ევროკავშირის 24 ქვეყნიდან (ვახი და სხვები, 2008).

პოლონეთში საგარეო ვაჭრობის ცვლილებების აღწერისათვის აუცილებელია აღინიშნოს ცვლილებები ევროკავშირის 15 ქვეყანასთან 5 წლის განმავლობაში, რომელიც 2001 წელს - 6.6 მილიარდი ევროსა დეფიციტიდან 2006 წელს 1 მილიარდი ევროს ნამატიტ შეიცვალა. ექსპორტების ზრდა შედარებით შემცირდა 2007 წელს და 2009 წელს დაფიქსირდა უმნიშვნელო ნეგატიური ზრდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირი შემდგომი ოთხი ათწლეული განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა პოლონელი მწარმოებლებისათვის (ჩეხოსლოვაკიასთან და გერმანიასთან ერთად).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოლონელმა მწარმოებლებმა სწრაფად გადაინაცვლეს დასავლეთის ბაზრებისაკენ. გერმანია გახდა ექსპორტის ძირითადი

პარტნიორი და განსაკუთრებით კი, იმპორტის. დღეისათვის, ევროკავშირზე მოდის ექსპორტის თითქმის 80 პროცენტი და იმპორტის 60 პროცენტი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე სავაჭრო ბრუნვა მხოლოდ დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. საექსპორტო პროდუქცია მნიშვნელოვნად შეიცვალა.

1990-იანი წლების დასაწყისისათვის საექსპორტო პროდუქციას მინერალები და საკვები შეადგენდა. 2005 წლიდან საექსპორტო პროდუქციის ძირითად ჯგუფს შეადგენდა ელექტრო-სამანქანო ინდუსტრიის საქონელი. პოლონური საქონლის მზარდი კონკურენტულუნარიანობა დაფიქსირდა შემდგომ წლებშიც. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის ღირებულება 2000 წელს 56.8 პროცენტიდან, 2006 წელს 63.7 პროცენტამდე გაიზარდა. დღეისათვის, პოლონელი მწარმოებლები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან სამანქანო და ელექტრო მოწყობილობების, ასევე, სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპორტზე.

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო მოწყობილობა ისტორიულად პოლონური ექსპორტის მნიშვნელოვან 73 კატეგორიას წარმოადგენს. სხვა წარმატებულ საექსპორტო პროდუქციის ჯგუფს შეადგენს მეტალი და ქიმიკატები. ვიშეგრადის ცალეული ქვეყნების ვაჭრობის მახასიათებლების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიშეგრადის ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის საერთო მახასიათებელს წარმოადგენდა ძლიერი ორიენტაცია აღმოსავლეთის ბლოკისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირის ქვეყნებისაკენ; ისინი ერთმანეთს შორის ვაჭრობდნენ.

თუმცა, ეს ვაჭრობა არ იყო განვითარებული სახელმწიფო დაგეგმარებისა და თავისუფალი ბაზრის არარსებობის გამო. ვიშეგრადის ქვეყნების ვაჭრობის დომინანტური ნაწილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეიცვალა საბჭოთა წნეხის დასასრულს, რომლის მიზანიც საბჭოთა ბლოკში საქონლის შენარჩუნება წარმოადგენდა. ვაჭრობამ გადაინაცვლა მაღალი შემოსავლების მქონე დასავლეთის ქვეყნებისაკენ. ჰეკშერ-ოჰილინის ფაქტორის თეორიის საფუძველზე, ტრადიციული შრომის ინტენსიური წარმოების პროდუქციის ექსპორტის ზრდა მოსალოდნელი იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ასევე გამოირჩეოდნენ ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, ისინი მდებარეობენ ევროპის შუაგულში, ევროპის მსხვილ პროდუქციის ცენტრებთან შედარებით დასავლეთისაკენ ორიენტირებული ვაჭრობის ზრდა შესაძლოა უფრო სწრაფი ყოფილიყო ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ადრეული

გარდამავალი პერიოდის ვაჭრობის სხვა დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ ის ფაქტი, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა აწარმოებდა უფრო დახვეწილი და მაღალი ხარისხის პროდუქციის იმპორტს დასავლეთიდან ექსპორტის ხარისხთან შედარებით.

დღეისათვის, საერთო ექსპორტის უდიდესი ნაწილი ევროკავშირში ხდება, განსაკუთრებით გერმანიაში (რომელიც წარმოადგენს ჩეხი და პოლონელი ექსპორტიორების ძირითად პარტნიორს). სლოვაკური ექსპორტები ძირითადად ჩეხეთის რესპუბლიკაში და ასევე, გერმანიაში წამოიჭრა. 2004 წელს ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა გახლდათ ორმხრივი ვაჭრობის სწრაფი გაზრდა. 2007 წელს ვიშეგრადის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 2003 წელთან შედარებით ორნახევარჯერ გაიზარდა. ამ ქვეყნების ევროკავშირის “ძველ” წევრ სახელმწიფოებთან ვაჭრობის ზრდის კოეფიციენტი ამ რიცხვის 50 პროცენტს შეადგენდა.

მიუხედავად სწრაფი გაფართოებისა, ვიშეგრადის წევრ ქვეყნებს შორის ინდივიდუალური ორმხრივ ურთიერთობებს მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა ვაჭრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით. უნგრეთის სპეციალიზაცია სატრანსპორტო მოწყობილობებისა და კომპონენტების ექსპორტში ვიშეგრადის სხვა ქვეყნებთან შედარებით გადაჭარბებული იყო. სხვა განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ სლოვაკეთი, სადაც მთავარი სასაქონლო ჯგუფების საწყისი პროპორციები არც შეცვლილა ვაჭრობის მოცულობის სწრაფი ზრდის პერიოდში. საავტომობილო და სატრანსპორტო ინდუსტრია წარმოადგენს სლოვაკეთის, პოლონეთისა და უნგრეთის ძირითად საექსპორტო ნაწილს. უნგრეთი ასევე აწარმოებს საკვების ექსპორტს, პოლონეთი და სლოვაკეთი განთქმულია ელექტრული მოწყობილობებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება.

დასკვნა

ამდენად, ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობა ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის ეს ფორმა არ წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონალური გაერთიანების ალტერნატივას. ის

სწორედ ევროკავშირის მიერ არის მხრდაჭერილი, როგორც სუბრეგიონალური თანამშრომლობის ეფექტიანი სტრუქტურა.

ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსად, ევროინტეგრაციის პროცესები პრიორიტეტულია საქართველოსთვის.

ამ მხრივ, ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობის გამოცდილება და ევროკავშირთან ინტეგრაციის ცალკეული ასპექტები ჩვენი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს.

კითხვები:

1. რას ნიშნავს ვიშეგრადის ალიანსი?
2. როდის ჩაეყარა საფუძველი ვიშეგრადის გაერთიანებას?
3. რა არის ვიშეგრადის მიზანი?
4. როდის იწყება ვიშეგრადის ქვეყნების ისტორია?
5. როდის გაწევრიანდნენ ვიშეგრადის ქვეყნები ევროკავშირში?

თავი XIV. საქართველო და ევროკავშირი – უსაფრთხოების პოლიტიკა

„ევროპის თავდაცვის გაერთიანების“ გეგმა

ევროპის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება არაერთხელ დამდგარა ევროგაერთიანების დღის წესრიგში. პირველი ასეთი იდეა 1949 წელს დასავლეთ გერმანიის კანცლერმა კონრად ადენაუერმა წამოაყენა.

1950 წელს გამოქვეყნდა საფრანგეთის პრემიერმინისტრის-პლევენის გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შექმნილიყო ერთიანი ევროპული არმია, რომელიც ევროპის სხვადასხვა საჯარისო შენაერთისგან უნდა შემდგარიყო და დამორჩილებოდა გაერთიანებულ სარდლობას, ევროპის თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით. თავდაცვის მინისტრი ანგარიშვალდებული იქნებოდა მინისტრთა საბჭოსა და ევროპული ასამბლეის წინაშე. ეს გეგმა გახდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული საზოგადოების (ECSC) წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებისა და განხილვის საგანი 1950 წლიდან და 1952 წელს გაფორმდა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვის გაერთიანების“ შესახებ (EDC).

ამ გაერთიანების შექმნის თანამდევრი ეფექტი იყო ასევე პოლიტიკური პროექტი, რომელიც წარდგენილ იქნა 1953 წელს და ითვალისწინებდა ევროპის კონფედერაციის შექმნას. თავდაცვის გაერთიანების მსგავსად უნდა შექმნილიყო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ექნებოდა ძალიან ფართო უფლებები და მოვალეობები.

სამწუხაროდ, 1954 წელს „ევროპის თავდაცვის გაერთიანების“ გეგმას პრობლემები შეექმნა საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში გოლისტების უმრავლესობის მხრიდან, რომლებმაც უარი განაცხადეს გაერთიანების ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, რაც ინდოჩინეთის ფრანგულ ნაწილში შექმნილ კრიზისს უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში დიდმა ბრიტანეთმა გამოთქვა სურვილი მხარი დაეჭირა ახალი სამხედრო თანამშრომლობისთვის და წამოაყენა იდეა „დასავლეთ ევროპის კავშირის“ შექმნის შესახებ.

ამდენად, „ევროპის თავდაცვის გაერთიანების“ დაშლამ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაზე“ იქონია გავლენა და 1955 წელს ჟან მონე გადადგა ამ გაერთიანების პრეზიდენტის თანამდებობიდან.

ფუშეს კომიტეტი. ფუშეს გეგმა დაედო საფუძვლად 60-იან წლებში გაიმართულ მოლაპარაკებებს საფრანგეთში, რომელის მიზანი იყო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებს შორის. ამ გეგმამაც კრაზი განიცადა და 1962 წელს მოლაპარაკებები შეწყდა.

მიუხედავად კრაზისა, ევროპის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლები ემბდნენ გზებს, რომლითაც მოხდებოდა უფრო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა და გაგრძელდებოდა მუშაობა ამ საკითხის ირგვლივ. **1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილ იქნა „დავინიონის მოხსენება“ (D'Avignon report).** ის საფუძვლად დაედო ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ თანამშრომლობას (European Political Cooperation - EPC), რომელიც **1987 წელს ფორმალურად იქნა შეტანილი საერთო ევროპულ აქტში.** დავინიონის მოხსენება წლების მანძილზე ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი დოკუმენტი გახლდათ. ეპთ-ის მთავარი მახასიათებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე რომლებიც განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და უნდა შეხვედროდნენ წელიწადში ორჯერ მაინც. გარდა საგარეო საქმეთა მინისტრებისა, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ დანიშნა წამყვანი დიპლომატიური მოხელე - პოლიტიკური დირექტორი, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა პოლიტიკის სფეროში 15 წევრი სახელმწიფოს თანამშრომლობა.

სამი წლის შემდეგ კოპენჰაგენის სამიტმა გამოსცა მოხსენება ეპთ-ის საქმიანობის შესახებ. ამ პერიოდში გახშირდა შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების და პოლიტიკური კომიტეტის დონეზე, ასევე შეიქმნა ევროპელი კორესპონდენტების ჯგუფი, რომლშიც შევიდნენ პოლიტიკური დირექტორების უმცროსი მოხელეები. ისინი მონიტორინგს უწევდნენ წევრ ქვეყნებში ეპს საქმიანობასა და კომუნიკაციას. ეპს საქმიანობას ხელი შეუწყო COREU შექმნამ, რომელიც სპეციალური ტელექსის სისტემაა და აკავშირებს წევრ სახელმწიფოებს.

1974 წელს ევროპული საბჭოს (European Council) შექმნამ EPC საქმიანობა უფრო კოორდინირებული გახადა, ვინაიდან ქვეყნათა მეთაურებს მიეცათ უფრო გამოკვეთილი როლი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირისთვის საერთო მიმართულების მიცემას.

საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაანახა ევროპელებს ერთიანი პოზიციის არქონით განპირობებული სისუსტე საერთო საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. ამან გამოიწვია EPC როლის გაძლიერების მოთხოვნა ლონდონის მოხსენებაში, რომელიც მოითხოვდა წინასწარ კონსულტაციას წევრ ქვეყნებსა და კომისიას შორის იმ საკითხებზე, რომლებსაც გავლენა შეიძლება ჰქონოდა ყველა წევრ სახელმწიფოზე.

1987 წლის საერთო ევროპულმა აქტმა ინსტიტუციური საფუძველი ჩაუყარა EPC - ს არსებობას სამდივნოსა და ევროპელი კორესპონდენტების სახით, რომლებიც მუშაობდნენ პრეზიდენტების მეთვალყურეობით. EPC-ს კომპეტენციაში ასევე შევიდა ყველა ის საგარეო საკითხი, რომელიც ასახავდა წევრი ქვეყნების ინტერესებს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, EPC იყო ფორუმი, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ კონსულტაციები ჩაეტარებინათ საგარეო საქმეთა საკითხებზე და, შესაბამისად, დაეფიქსირებინათ ერთიანი პოზიცია, რის შედეგადაც ასევე გამოხატავდნენ ერთიან პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებში. EPC-ს ჰყავდა უამრავი კრიტიკოსი და მას სერიოზულ წამოწყებად არავინ განიხილავდა. ბევრისთვის ის მხოლოდ სალაპარაკო ფორუმი იყო, რომელსაც არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვებოდა. საერთო პოლიტიკური ფორუმის არარსებობა მართლაც კარგად გამოჩნდა იუგოსლავიის დაშლისას, როდესაც ევროპის ბევრ სახელმწიფოს განსხვავებული საგარეო პოზიცია ჰქონდა: მაგალითად, გერმანია მხარს უჭერდა ხორვატიის დამოუკიდებლობას, საფრანგეთი კი – იუგოსლავიის ერთიანობას და ა.შ. უფრო მოგვიანებით, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ევროგაერთიანების არა მარტო საერთო საგარეო პოლიტიკის, არამედ საერთო სამხედრო პოლიტიკის განხორციელების შეუძლებლობა. წარუმატებელმა სამხედრო საქმიანობამ ევროპელები აიძულა დაეწყოთ სამუშაოები საერთო სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და განსახორციელებლად.

მასტრიხის ხელშეკრულება და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
ხელშეკრულებაში ცალკე თავად არის შესული ევროპის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (Common Foreign and Security Policy - CFSP). ამასთანავე, CFSP გახდა ევროკავშირის ერთ-ერთი სვეტი. ის მუხლები, რომლებიც ეხება CFSP-ს ცნობილია, როგორც “ჯეი მუხლები” (J articles). სულ 11 მუხლისაგან შედგება.

მუხლი N1 შეეხება სსუპ-ის კომპეტენციის არეალსა და ამოცანებს, მოიცავს თითქმის ყველა იმ საკითხს, რაც საგარეო პოლიტიკას შეეხება, მაგრამ, ცნობილია, რომ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი მოვალეობათა ნუსხა ან ძალიან ბუნდოვანია, ან საერთოდ – გაურკვეველი. მაგალითად, სსუპ-ის მიზანია „ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას“ ან „გააძლიეროს წევრი ქვეყნების უშიშროება ყველა საშუალებით“ და ა. შ. ასევე, სსუპ-ის განსახორციელებლად ხელშეკრულება მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, სისტემური თანამშრომლობა ყველა იმ საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ, რომლებიც საყოველთაო ინტერესის საგანია.

მუხლი N2 შეეხება საერთო პოზიციებს. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია და ერთმანეთთან გამართონ კონსულტაცია მინისტრთა საბჭოში საგარეო და უშიშროების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მინისტრთა საბჭო კი, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს საერთო პოზიციას. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან შეუსაბამონ თავიანთი სახელმწიფო პოლიტიკა საერთო პოზიციას და მოახდინონ ქმედებების კოორდინირება საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი N3 ეხება ერთობლივ ქმედებებს. ამ მუხლის თანახმად, მინისტრთა საბჭოს ევალება ერთობლივი ქმედებების საფუძვლების განსაზღვრა, მასვე ევალება განსაზღვროს დაექვემდებაროს თუ არა რომელიმე სფერო ან საკითხი ერთობლივ ქმედებას. განხორციელების დეტალური გეგმა მტკიცდება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

მუხლი N4 თანახმად, სსუპ უნდა მოიცავდეს ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის საბოლოო ჩარჩოებს, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს საერთო თავდაცვის შემუშავებას. გადაწყვეტილებები უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც ჩართული იქნება თავდაცვის ელემენტები, მიიღება მოთხოვნისამებრ დასავლეთ ევროპის კავშირის მიერ.

მუხლი N5 ეხება ევროკავშირის საერთო პოზიციის წარდგენას. მასტრიხის ხელშეკრულების მიხედვით, ეს მისია აკისრია საბჭოს პრეზიდენტს. ის გამოხატავს კავშირის პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე. მოქმედ პრეზიდენტს სსუპ-ის მართვასა და განხორციელებაში ეხმარებიან მისი წინამორბედი – ბოლო და მომავალი პრეზიდენტიც, ე. წ. Troika და

კომისია, თუმცა მასტრიხის ხელშეკრულებაში ძალიან ბუნდოვნად არის მოცემული კომისიის როლი სსუპ წარმოებაში.

პარლამენტი ასევე რუგლარულად უნდა იყოს ინფორმირებული სსუპ-ის ძირითად ასპექტებსა და არჩევნებზე და მისი შეხედულებები იქნეს გათავისებული. პარლამენტს აქვს უფლება, დასვას კითხვები და მისცეს რეკომენდაციები. პარლამენტმა უნდა მოაწიოს ყოველწლიური დებატებიც სსუპ საქმიანობისა და პროგრესის შესახებ.

მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სსუპ ფარგლებში ევროსაბჭოს მიერ დაწესებული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. საბჭო მუშაობს კონსენსუსის პირობებში, გარდა პროცედურული და იმ საკითხებისა, რომლებიც ექვემდებარებიან მესამე მუხლს (ერთობლივი ქმედებები). ერთობლივი ქმედებების დადგენისა და განხორციელებისას დეტალები დგინდება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. პოლიტიკურ კომიტეტს ასევე ევალება სიტუაციის მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება საბჭოსათვის საკუთარი ინიციატივით ან მისი მოთხოვნის საფუძველზე. მათვე ევალება მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის მონიტორინგი (მუხლი N8).

რაც შეეხება დაფინანსებას, ის ან ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან გამოიყოფა (ბიუჯეტიდან მხოლოდ მცირე ნაწილი ფინანსდება), ან წევრი სახელმწიფოები ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ სსუპ (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) სფეროში გადაწყვეტილებები მიიღება მთავრობათშორის დონეზე, მასში მონაწილეობას არ ღებულობენ ევრო გაერთიანების სხვა ინსტიტუციები.

ამსტერდამის ხელშეკრულება და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

1996 წელს დაწყებული მთავრობათშორისი კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც წინ უძღოდა ამსტერდამის ხელშეკრულების შემქნას, იყო ის, რომ გაეძლიერებინა CFSP და მიეცა კავშირისთვის საშუალება, უკეთ შეესრულებინა თვისი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დადგა იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, როცა ნათლად გამოჩნდა ერთიანი ევროპული ხმისა და პოლიტიკის არარსებობა და შესაძლებლობა იმისა, რომ პოლიტიკა გამყარებული ყოფილიყო შესაბამისი ქმედებებით. მამასადამე, ამსტერდამის ხელშეკრულების

მიზანი გახდა ამოვესო ორმოები შესაძლებლობებსა და საშუალებებს შორის და დაედგინა CFSP-ის ამბიციურ პროგრამასა და იმ საშუალებებს შორის წინააღმდეგობები, რათა ამ მიზნებისთვის მიეღწია.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში შევიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

1. დაემატა კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი - საერთო სტრატეგია ანუ საბჭოს აქვს უფლება, კონსენსუსით განსაზღვროს საერთო სტრატეგია იმ სფეროებში, რომლებიც წევრი ქვეყნების საერთო ინტერესში შედის. საბჭო არის პასუხისმგებელი საერთო სტრატეგიის იმპლემენტაციაზე საერთო ქმედებების და ერთიანი პოზიციის საშუალებით (რომლებიც მტკიცდება კვალიფიციური უმრავლესობით). ის ასევე რეკომენდაციას უწევს ევროპული საბჭოს საერთო სტრატეგიას;

2. გადაწყვეტილების მიღების მხრივ, საერთო პრინციპად მაინც ერთხმად გადაწყვეტილების მიღება დარჩა, მაგრამ შემოიღეს ე.წ. „კონსტრუქციული თავის შეკავება,“ ანუ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თავი შეიკავონ, რათა საკითხი არ დაიბლოკოს. თუკი ეს ქვეყნები თავშეკავებას დაადასტურებენ ფორმალური დეკლარაციით, მაშინ მათ არ ევალებათ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება, მაგრამ ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ მიღებულ გადაწყვეტილებას სოლიდარობის მიზნით და არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რაც კონფლიქტში იქნება ევროკავშირის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებთან. გადაწყვეტილება არ მიიღება თუკი თავი შეიკავა წევრი ქვეყნების მესამედმა.

3. ამსტერდამის მეორე დიდი შედეგია სსუპ-ის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ეს პოსტი დაიკავა საბჭოს გენერალურმა მდივანმა, რომელიც 1999 წლიდან გახდა ჰავიერ სოლანა. გენერალური მდივნის მოვალეობაში შედიოდა საბჭოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვა და მიმართულების მიცემა, მაგრამ ახალი ფუნქციების დამატების შემდეგ ეს ფუნქციები გადაეცა გენერალური მდივნის მოადგილეს. თავად სოლანას მოვალეობა, სსუპ-ის სფეროში, საბჭოსთვის დახმარების გაწევას, კერძოდ კი, სსუპ-ის მიმართულებების ფორმულირება, მომზადება და გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია. პრეზიდენტობის მოთხოვნით, სოლანა ასევე ატარებს პოლიტიკურ დიალოგს მესამე სახელმწიფოებთან და პირებთან. სსუპ-ის

უმადლეს წარმომადგენელს ლოგისტიკურ დახმარებას უწევს ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი პოლიტიკის დაგეგმარებისა და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი.

4. პოლიტიკის დაგეგმვისა და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი შეიქმნა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კავშირის მიერ ერთიანი რეაგირება საერთაშორისო მოვლენებზე. საკითხების ერთობლივმა შესწავლამ და ინფორმაციის მოპოვებამ უნდა განაპირობოს კავშირის ეფექტური რეაქცია საერთაშორისო მოვლენებზე. ეს დანაყოფი დაკომპლექტებულია სპეციალისტებით წვერი ქვეყნებიდან, გენერალური სამდივნოდან, კომისიიდან და დასავლეთ ევროპის კავშირიდან. ამ დანაყოფის მოვალეობაში შედის:

- სსუპ-ის სფეროში არსებული მოვლენების მონიტორინგი და ანალიზი, სსუპ-ის ინტერესთა სფეროს შეფასება და იმ სფეროების გამოყოფა, რომელზეც სსუპ-ის ფარგლებში მომავალში ყურადღების გამახვილება შეიძლება;

- დროული შეფასება და ადრეული გაფრთხილება პოტენციური პოლიტიკური კრიზისებისა და სიტუაციების შესახებ, რომლებაც შეიძლება გავლენა იქონიონ სსუპ-ზე;

- ასევე, საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს მოთხოვნით რეკომენდაციებისა და მოხსენებების წარდგენა საბჭოსთვის.

5. ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროკავშირმა თავის თავზე აიღო ჰუმანიტარულ დახმარების, სამშვიდობო და სამაშველო ოპერაციების მოგვარება. ამგვარად, ამსტერდამის ხელშეკრულების მონაპოვარი, უპირველეს ყოვლისა, იყო სსუპ-ის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ახლა უკვე შესაძლებელი გახდა, პასუხი გაეცათ კისინჯერის ცოტა არ იყოს ცინიკურ კითხვაზე, ვის უნდა დაურეკო, როცა გინდა ესაუბრო ევროპას? მეორე მონაპოვარი იყო ის, რომ შეთანხმდნენ ზოგიერთი საკითხი ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაეწყვიტათ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სინამდვილეში, სსუპ-ის სფეროში ყველაფერი მაინც კონსენსუსით წყდება.

ევროპული საბჭოების როლი სსუპ-ის ინსტიტუციონალიზაციაში

სენტ მალოს ევროპული საბჭო სენტ მალო ისტორიაში შესულია, როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინებაში.

კატალიზატორად იმ პროცესისა, რომელიც დაიწყო სენტ მალოში და დღემდე გრძელდება, იყო იუგოსლავიის დაშლა და თანამდევნი სისხლიანი ომები, რომლის დარეგულირების და, თუნდაც თავიდან აცილების საკითხში, ევროპამ როლი ძალიან სუსტად შეასრულა. თვალნათელი გახდა, რომ ევროპა აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი იყო სამხედრო საკითხებში და, როგორც ცივი ომის პერიოდში და ახლაც ამერიკისა და ნატოს შემყურე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ საქვეყნოდ გამოაშკარავებული უძღურების გამო გადაწყვიტა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, რომ დრო იყო ევროპას განევიტარებინა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა საკადრისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო არენაზე. ეს იყო ბრიტანეთის პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნება, ვინაიდან წარსულში დიდი ბრიტანეთი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ევროპის მიერ ავტონომიური სამხედრო მექანიზმების შექმნას.

პრეზიდენტ შირაკისა და ბლერის არაფორმალური შეხვედრა მალოს სამიტზე 1998 წელს დასრულდა სენტ მალოს დეკლარაციის გამოცემით. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ დროა ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე. მან უნდა „ამუშაოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები სსუპ-ის სფეროში, საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების თანდათანობით განვითარების ჩათვლით“. საბჭოს უნდა შეეძლოს იმ პრინციპებისა და მიზნების განხორციელება, რაზეც მეხუთე თავშია საუბარი. ამისათვის „ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიური მოქმედების უნარი, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს საიმედო სამხედრო ძალა, აგრეთვე ამ ძალის ამოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მზადყოფნა, რათა უპასუხოს საერთაშორისო კრიზისებს“.

დეკლარაცია ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და რომ ევროპამ უნდა თავისი წვლილი შეიტანოს ნატოს მოდერნიზაციის საქმეში. მაგრამ, ევროპას ასევე უნდა ჰქონდეს „მოქმედების საშუალება იმ სიტუაციებში სადაც ალიანსი არ არის ჩაბმული“. ევროპას სჭირდება ძლიერი არმია, კონკურენტული ევროპული თავდაცვის ინდუსტრია და ტექნოლოგია, რათა უპასუხოს ახალ საფრთხეებს. სენტ მალოშივე საფრანგეთმა და ბრიტანეთმა დააფიქსირა, რომ ისინი გააერთიანებდნენ ძალისხმევას, რათა მისცენ ევროკავშირს ამ მიზნების განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობები.

სენტ მალოს შემდეგ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა სსუპ სფეროში. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამი ევროპული საბჭო:

1. კიოლნის ევროპული საბჭო (1999 წლის ივნისი): 1999 წლის ივნისში კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციამ მიიღო სენტ მალოს დეკლარაცია და თითქმის მთლიანად მიიღო იქ მიღწეული შეთანხმებები. ამჯერად ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა. კიოლნის დეკლარაციაში ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად, კერძოდ კი – გადაწყვეტილების მიმღები ინფრატრუქტურის შექმნა (სამხედრო პოლიტიკური კომიტეტები და ა.შ.), ისევე, როგორც სამხედრო საშუალებები ანუ სამხედრო შტაბბინისა და სამხედრო ძალების შექმნა. შესაბამისად, მომავალ პრეზიდენტობას დაევალა მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.

2. ჰელსინკის ევროპული საბჭო. 1999 წლის დეკემბრის შეხვედრა მნიშვნელოვანია იმით, რომ დასახულ იქნა ე.წ. „მთავარი ამოცანა“, რომლის მიხედვით ქვეყნებს უნდა შეძლებოდათ 2003 წლისათვის თავი მოეყარათ (ნებაყოფლობით) 50,000 — 60,000-კაციანი სწრაფი რეაგირების ჯარისთვის, რომლის განლაგება შესაძლებელი იქნებოდა 60 დღის, შენახვა – ერთი წლის განმავლობაში. ამ ჯარის მოვალეობებში შევიდოდა პეტერსბერგის ამოცანების შესრულება.

3. სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭო. 2000 წლის ივნისის შეხვედრაზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ სამოქალაქო „მთავარ ამოცანაზე“ ანუ ესდპ-ის სამოქალაქო კომპონენტის განვითარებაზე. ისინი შეთანხმდნენ, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. მაშასადამე, სენტ მალომ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარა საერთო თავდაცვას, ანუ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას (ეუთპ), რომელიც ფორმალურად შევიდა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულების შესაბამისად. ნიცის ხელშეკრულებამ ასევე შექმნა ეუთპ-ის სტრუქტურა, რადგან შეიქმნა სამი ახალი კომპონენტი: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC - COPS - პუკ), ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (ესკ), ევროკავშირის სამხედრო შტაბი (ესშ).

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურა

ევროპული საბჭო: მასტრიხტის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მიხედვით, საბჭო განსაზღვრავს სსუპ-ის პრინციპებს და მთავარ მიმართულებებს, აყალიბებს საერთო სტრატეგიებს. ევროპული საბჭო მუშაობს გენერალურ საქმეთა საბჭოსთან (GAC) ერთად და მისი მეშვეობით არის სსუპ-თვის მიმართულების მიმცემი.

1992 წლის ლისაბონის სამიტი იმის მაგალითია, როგორ საქმიანობს საბჭო სსუპ-ის სფეროში. იმის დასადგენად, არის თუ არა საერთო ინტერესი ამა თუ იმ საკითხის ან არეალისადმი, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: მოცემული ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და სიახლოვე ევროკავშირთან; ევროკავშირის დაინტერესება ამ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაში და საფრთხის არსებობა ევროპის უსაფრთხოების ინტერესების მიმართ. როგორც წესი, საბჭო ასევე გამოხატავს თავის შეხედულებებს საგარეო პოლიტიკის მიმდინარე პრობლემების შესახებ.

მინისტრთა საბჭო არის სსუპ წარმოების საკვანძო ორგანო. ის ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანოს საშუალებით. კერძოდ, ეს არის:

გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო; საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისარი ხვდებიან ერთმანეთს დაახლოებით თვეში ერთხელ, მაგრამ ასევე იმართება დამატებითი შეხვედრებიც. გსუს არის სსუპ-ის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო: განსაზღვრავს საერთო პოზიციებსა და ქმედებებს. უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პრეზიდენტობა, რომელიც წარადგენს კავშირს სსუპ-ის სფეროში და მონიტორინგს უწევს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ადრე პრეზიდენტ ქვეყანას ეხმარებოდა „ტროიკა“. ახლა ეს როლი სსუპ-ის უმაღლესმა წარმომადგენელსა და საგარეო ურთიერთობების კომისარს დაეკისრა.

მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER) ერთგვარი ფილტრია პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტისა (რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია, თუმცა შეუძლია მხოლოდ განხილვა) და გენერალურ საბჭოს შორის. აქ ხდება საკითხებისა და პოზიციების შეჯერება, ვიდრე საკითხი საბჭომდე მიაღწევს. კორეპერი განიხილავს საკითხების ბიუროკრატიულ, ინსტიტუციურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებს, თუმცა არ ეხება საკითხების შინაარსს.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს კორეპერ II.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება მაღალი რანგის ელჩებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციათა წარმომადგენლებისაგან, ასევე საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან. მის მოვალეობაში შედის თვალი ადევნოს საერთაშორისო სიტუაციას სსუპ-ის საკითხებში, განსაზღვროს სსუპ-ის პოლიტიკა, პოლიტიკური მიმართულება მისცეს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებასა და კრიზისული სიტუაციების გამკლავებას. შეხვედრები ტარდება კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი განიხილავს ყველა საკითხს, სანამ ეს საკითხები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე გავა.

კორესპონდენტების ჯგუფი კოორდინაციას უწევს სსუპ-ის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ეს ჯგუფი ასევე ახდენს ყოველდღიურ კომუნიკაციას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რაც სხვა საქმეებთან ერთად, ასევე გულისხმობს ათასობით ტელგრამის გაგზავნას ტელექსის საშუალებით. ეს ჯგუფი ეწევა ყველაზე რუტინულ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმიანობას. მათ აქვთ სპეციალური ტელექსის სისტემა, რომელიც აადვილებს ურთიერთობას წევრ სახელმწიფოებს შორის.

მუშა ჯგუფები: საბჭოს სტრუქტურაში არსებობს დაახლოებით 30 მუშა ჯგუფი, ზოგი - მუდმივი, ზოგი კი - დროებითი. ჯგუფები დაკომპლექტებულია დიპლომატებითა და კომისიის წარმომადგენლით. ყველა ჯგუფი მუშაობს ცალკეულ საკითხზე, რეგიონზე, ან სხვადასხვა თემაზე.

გენერალური სამდივნო: ეპთ-ს სსუპ-დ გარდაქმნამ გამოიწვია ის, რომ ეპთ-ის ყოფილი გენერალური სამდივნო მიუერთა საბჭოს სამდივნოს. ამჯერად მის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დახმარება საბჭოს საქმიანობისთვის სსუპ სფეროში. ეს კომპონენტი გამყარდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის პოზიცია. როგორც ცნობილია მას ევალება სსუპ-ს პოლიტიკის განსაზღვრის, ფორმულირების მომზადების და იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობა და მესამე პირებთან დიალოგის წარმართვა.

პოლიტიკის დაგეგმვის განყოფილება: ამ დანაყოფის კომპეტენციები განხულებულია ზემოთ.

ევროკომისია: ხელშეკრულების თანახმად კომისია სრულად ასოცირდება სსუპ-სთან, მაგრამ სსუპ-ს წარმოების მთავრობათშორისმა ბუნებამ და კომისიის სუპრაეროვნულმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ კომისიის როლი სსუპ-ში ჯერ კიდევ სუსტია. რომანო პროდის პრეზიდენტობის პერიოდში გაიყო საგარეო ურთიერთობების პორტფელი საგარეო ურთიერთობების და გაფართოების პორტფელად, რომელთა დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, შესაბამისად, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატი და გაფართოების გენერალური დირექტორატი. ფუნქციების ამგვარმა დანაწილებამ, შეიძლება ითქვას, გაზარდა ევროკომისიის როლი სსუპ-ში (ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს კრის პატენის და გუნტერ ვერჰოგენის პიროვნული თვისებები). მიუხედავად ამისა, კომისიის როლი განისაზღვრება იმით, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რომელ ასპექტთან გვაქვს საქმე. თუ სსუპ-ის ფარგლებში გამოიყენება ევროგაერთიანების ინსტრუმენტები (მაგალითად, ეკონომიკური სანქციები), მაშინ კომისიის როლი საკმაოდ დიდია, ხოლო თუ საქმე ეხება მთავრობათშორის ინსტრუმენტებს, მაშინ კომისიის როლი შეზღუდულია.

ევროპარლამენტი: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპარლამენტის როლი მაქსიმალურად არის შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს აქვს საგარეო ურთიერთობების კომიტეტი და კიდევ რამდენიმე კომიტეტი, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საგარეო პოლიტიკას (განვითარების პოლიტიკა, გაფართოება, საგარეო დახმარება და სხვ.), საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მისი როლი მინიმალურია. მასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით პარლამენტს აქვს უფლება იყოს „რეგულარულად ინფორმირებული“ სსუპ-ში მიმდინარე საკითხებზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარლამენტის მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ასევე არაა გათვალისწინებული პარლამენტისადმი სხვა ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება, როდესაც საქმე ეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

საელჩოები და წარმომადგენლობები: ევროკომისიას ჰყავს დაახლოებით 130 დელეგაცია (და არა წარმომადგენლობა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და 5 საერთაშორისო ორგანიზაციაში (ასევე აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 160 ქვეყანას აქვს ოფიციალური წარმომადგენლობა ევროკავშირში). ევროკავშირის

ხელშეკრულების მე-20 მუხლის მიხედვით, წევრი ქვეყნების მისიებმა და კომისიის დელეგაციებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, რათა უზრუნველყონ საბჭოს მიერ მიღებული საერთო პოზიციებისა და ერთობლივი ქმედებების შესაბამისობა და იმპლემენტაცია.

ეს პროცესი (კოორდინაციის და ურთიერთქმედების) დიდი ხანია არსებობს და კიდევ უფრო იხვეწება. მაგალითად, გაეროში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მივლინებული მუდმივი წარმომადგენლები კვირაში ერთხელ იკრიბებიან, რათა პოლიტიკის კოორდინირება მოახდინონ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ერთნაირად აძლევენ ხმას გაეროს უშიშროების საბჭოში გატანილი საკითხების 75 %25-ზე.

ტროიკა: ტროიკა არის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულ იქნა 1980-იან წლებში საგარეო პოლიტიკის საკითხებში პოლიტიკის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ყოველ ექვს თვეში ცვლადი პრეზიდენტობის გათვალისწინებით. თავდაპირველად ტროიკაში შედიოდნენ მოქმედი, წინა და მომავალი პრეზიდენტი ქვეყნები. დაკომპლექტების ამგვარი წესით უზრუნველყოფილი იყო დღის წესრიგის შედგენის პროცესსა და საერთაშორისო მოლაპარაკებებში ევროკავშირის პოზიციებისა და პოლიტიკის მდგრადობა და განგრძობადობა. ტროიკის დაკომპლექტების წესი შეიცვალა, დღეს ტროიკას წარმოადგენენ პრეზიდენტი ქვეყანა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისარი. ასევე შესაძლებელია, რომ ტროიკაში მონაწილეობა მიიღოს წინა ან მომავალმა პრეზიდენტმა ქვეყანამ.

თავდაცვის პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩართული ორგანოები

სამხედრო კომიტეტი შედგება თავდაცვის მინისტრებისგან, რომლებსაც ჰყავს თავიანთი წარმომადგენლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირადად მინისტრების დასწრება არის აუცილებელი. ამ კომიტეტის კომპეტენციაა რჩევების მიცემა პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტისთვის, საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ევროსაბჭოსთვის სამხედრო საკითხების შესახებ. სამხედრო კომიტეტი ასევე არის ფორუმი სამხედრო კონსულტაციებისთვის, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და კრიზისების მოსაგვარებლად.

სამხედრო შტაბი: სამხედრო შტაბი შედგება წევრი სახელმწიფოებისგან წარგზავნილი სამხედრო მოხელეებისაგან. შტაბი ეკუთვნის საბჭოს სამდივნოს, მაგრამ, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, განთავსებულია სხვა შენობაში. შტაბი მუშაობს სამხედრო კომიტეტის მეთვალყურეობით და ემსახურება ეუთპ-ს სამხედრო ექსპერტიზით, მათ შორის ისეთ საკითხებზეც, როგორცაა ადრეული გაფრთხილება, სიტუაციის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა.

ნატო და სსუპ/ეუთპ

ნატოს ევროპული განზომილება (ESDI): ცივი ომის დასრულებით ნატოს არსებობას საფრთხე შეექმნა, რაც თავიდან იქნა აცილებული ორგანიზაციული ცვლილებებით. ეს არის პროცესი, რომელიც ცნობილია, როგორც ნატოს ტრანსფორმაცია, რაც დღემდე გრძელდება. ეს ვრცელი თემაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნატოს ტრანსფორმაციის ნაწილია ევროპისთვის „თვალის დევნება“ და მისი საგარეო პოლიტიკისა და, განსაკუთრებით, თავდაცვის განვითარება ნატოს ფარგლებში. ჯერ კიდევ 1990 წელს ნატოს ლონდონის სამიტზე აღინიშნა, რომ უნდა დაბალანსდეს პასუხისმგებლობები მოკავშირეებს შორის. ამავე სამიტზე აშშ-მა მოუწოდა წევრ ქვეყნებს, გაეზარდათ ევროპის ქვეყნების როლი და პასუხისმგებლობა ალიანსში. ალიანსის უძლიერესი პარტნიორის მოწოდების იდეა იყო ის, რომ ევროპას უნდა აეღო უფრო დიდი მოვალეობა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში, მაგრამ ეს უნდა გაეკეთებინა ალიანსის ფარგლებს შიგნით.

ევროპას შედარებით განსხვავებული გეგმები ჰქონდა, რაზეც ითქვა კიდევ მასტრიხტის ხელშეკრულების მომზადებისას. ევროკავშირს სურდა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირს შეესრულებინა ევროკავშირის სამხედრო საყრდენის ფუნქცია. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ 1991 წლის დეკ-ის მინისტერიალზე აშშ-მა გააგზავნა ე.წ. ბართლომეს ტელეგრამა, რომელშიც ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ ევროპული თავდაცვა ნატოს გარეშე შეუძლებელი იყო და ევროპის თავდაცვის სვეტი შესაძლებელია განვითარებულიყო ნატოს ფარგლებს შიგნით.

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ დეკ-ს უნდა შეესრულებინა კავშირის თვდაცვის ორგანოს ფუნქცია, 1992 წელს გადაწყდა მისთვის კონკრეტული ფუნქციების დაკისრება და ამოცანების დასახვა, რაც ცნობილია პეტერსბერგის

ამოცანების სახელით. ამ ამოცანებში შედის ჰუმანიტარული და სამაშველო სამუშაოები, სამშვიდობო ოპერაციები, საბრძოლო ამოცანა კრიზისების მენეჯმენტის დროს მშვიდობის კეთების ჩათვლით (humanitarian and rescue tasks, peacekeeping tasks, [and] tasks of combat forces in crisis management, including peacemaking). ასეთი ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოსა და ნატოს ნებართვა. იმ პერიოდში კონცეპტუალურად, დეკ ნატოზე წინ იდგა, რადგან ნატო იმ დროისათვის მხოლოდ თავდაცვის ორგანიზაცია იყო და მის ფუნქციებში არ შედიოდა სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება. იმისათვის, რომ ევროპის თავდაცვა განვითარებულიყო ნატოს შიგნით და არ მომხდარიყო ინსტრუმენტების და შტაბების დუბლიკაცია, 1994 წელს ბრიუსელის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ნატო საკუთარ კოლექტიურ ინსტრუმენტებს გამოსაყენებლად გადასცემდა დეკ-ის სუფთა ევროპული ოპერაციების განსახორციელებლად ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს (North Atlantic Council - NAC) თანხმობის საფუძველზე. ამავე სამიტზე ფარდა აეხადა საერთო გაერთიანებული სამუშაო ძალების (Common Joint Task Forces - CJTF) კონცეფციას, რომლის პრინციპი იყო - „გაყოფადი, მაგრამ განუყოფელი.“ ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ამერიკას ექნებოდა საშუალება, არ მიეღო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, თუ საჭიროდ არ მიიჩნეოდა, ხოლო ევროპას ექნებოდა საშუალება, გამოეყენებინა ნატოს სამხედრო ინსტრუმენტები. ამით ამერიკა ორ კურდღელს იჭერდა: თავიდან იცილებდა არასასურველ ოპერაციებს და, ამავდროულად, ევროპას საშუალებას აძლევდა განევიტარებინა საკუთარი თავდაცვის იდენტურობა ინსტრუმენტების დუბლიკაციის თავიდან აცილების გზით.

1996 წელს უკვე ოფიციალურად დაიწყო დეკ-სა და ნატო-ს შორის თანამშრომლობა, როდესაც დამყარდა პირდაპირი კავშირი SHAPE-ში (Supreme Headquarters Allied Powers Europe) ამერიკის მთავარსარდალსა და ევროპის ჯარების ხელმძღვანელს (Deputy Commander of Allied Forces in Europe - DSACEUR) შორის.

1997 წელს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რითაც ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო პეტერსბერგის ამოცანების შესრულება და მოახდინა საკუთარ სტრუქტურებში დეკ-ის ინტეგრაცია. ამის საპასუხოდ, 1999 წლის ვაშინგტონის საიუბილეო სამიტზე მიღებულ იქნა საგანგებო ზომები, რომ ევროპის თავდაცვის იდენტურობა გაღრმავებულიყო ნატოს შიგნით. დაისახა გეგმა, რომ

განვითარებულიყო ეფექტური კონსულტაციის, თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფი მექანიზმი ევროკავშირისა და ნატოს შორის. ამ გადაწყვეტილებით, ასევე უზრუნველყოფილი იქნა ევროკავშირის მიერ ნატოს სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. ეს ჩანაფიქრი პრაქტიკულად განხორციელდა 2002 წლის დეკემბერში და ამ შეთანხმებას ეწოდა „ბერლინი“ + (Berlin Plus Agreement), რადგან ის ეყრდნობოდა იმავე პრინციპებს, რაც 1992 წელს ნატოსა და დეკს შორის იქნა გაფორმებული. „ბერლინი“ + დაეყრდნო 4 ძირითად პრინციპს, კერძოდ:

1. ევროკავშირს აქვს გარანტირებული უფლება შეაღწიოს ნატოს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;
2. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს შესაძლებლობები (იარაღი, ძალები) და საერთო ქონება;
3. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს სარდლობა;
4. ნატოს სამხედრო ძალების ადაპტაცია ხორციელდება ისე, რომ ევროპული ოპერაციებისთვის ძალების გამოყოფა გახდეს შესაძლებელი. ოპერაციების შეუფერხებელი მომზადებისათვის ევროკავშირმა წარგზავნა სტრატეგიული დაგეგმვების პატარა ჯგუფი SHAPÉ-ში, რათა „უხელმძღვანელონ ოპერაციებს, რომელიც ჩატარდება „ბერლინი“ + ფარგლებში (ასეთი ოპერაციის მაგალითია SFOR-ის ჩანაცვლება EUFOR-ით 2004 წლის დეკემბერში).

2002 წლის 16 დეკემბერს გამოიცა ევროკავშირისა და ნატოს ერთობლივი დეკლარაცია ეუთპ-ის შესახებ, რომელშიც აისახა რამდენიმე პერმანენტული პრინციპი - პარტნიორობა, გამჭვირვალება და შესაძლებლობების ურთიერთშეთანხმებულად განვითარება. ამავე დეკლარაციით ნატომ დაადასტურა ევროკავშირისთვის ნატოს დაგეგმვის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა, ხოლო ევროპამ პირობა დადო, რომ უზრუნველყოფდა ევროკავშირის არაწევრი ნატოს სახელმწიფოების მონაწილეობას ეუთპ-ის ოპერაციებში.

ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობას ასევე ზურგს უმაგრებს 2001 წლიდან დაწყებული კონსულტაციები ევროკავშირის პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტსა (PSC) და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (NAC) შორის. ასევე, 2003 წლის მაისში შეიქმნა ე.წ. ევროკავშირ-ნატოს შესაძლებლობების ჯგუფი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთუერთმხარდაჭერა PCC და ECAP შორის.

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი და სსუპ/ეუთპ

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს შემოაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც სრულიად შეცვლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სახეს. კონსტიტუციას სხვადასხვა ცვლილებების გარდა შემოაქვს შემდეგი სიახლეები:

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი – ინსტიტუციური თვალსაზრისით, არის კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე. კონსტიტუციის მიხედვით, ერთიანდება საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და საგარეო ურთიერთობების კომისრის პოსტები და წარმოიქმნება ახალი - საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. საგარეო საქმეთა მინისტრი დარჩება წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობების სფეროში, მაგრამ ასევე ექნება ევროკომისრის ფუნქციები ანუ იქნება კომისიაშიც და საბჭოში. მინისტრს ასევე ექნება საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც დასაქმებული იქნებიან ევროკავშირის დიპლომატები. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დანიშნავს ევროპის საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობით და არჩევისთანავე გახდება ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და კომისართა კოლეგიის სრულუფლებიანი წევრი. მისი სხვა მოვალეობები, როგორცაა ევროკავშირში უკვე მოქმედი პროგრამებისა და ინსტიტუტების კოორდინაცია, პოლიტიკის ინიცირება, კრიზისის მენეჯმენტის იმპლემენტაცია, საგარეო წარმომადგენლობა, საგარეო საქმეთა მინისტრის საბჭოს თავმჯდომარეობა და პოკოს თავმჯდომარეობა საგანგებო წარმომადგენლის მეშვეობით, ისევე დარჩება ძალაში, როგორც დღესაა.

პრეზიდენტობის კონცეფციის შეცვლა: კონსტიტუცია ასევე ცვლის ევროკავშირის პრეზიდენტის არჩევის წესს. თუ დღეს პრეზიდენტობა ქვეყანას აქვს და ექვსთვიანი როტაციული პრინციპით იცვლება, კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ეს პრინციპის შეიცვლება. პირველ რიგში, მოხდება პრეზიდენტობის პრინციპის დაშორიშორება ევროპულ საბჭოსა და მინისტრთა საბჭოში. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი იქნება არა ქვეყანა, არამედ პირი, რომელიც არჩეული იქნება 2.5 წლით. მინისტრთა საბჭოში შემოღებული იქნება პრეზიდენტობის 18-თვიანი ვადა, თუმცა ერთის ნაცვლად იქნება 3 თანაპრეზიდენტი ქვეყანა.

ურთიერთდაცვა და სოლიდარობა: კონსტიტუციამ წარადგინა ორი ახალი წინადადება, რომლის მიზანია გაზარდოს შიდა სიმტკიცე და ხელი შეუწყოს შემდგომ

ინტეგრაციას. ურთიერთთავდაცვის წინადადება გულისხმობს ძალისხმევების გაერთიანებას ისეთი სახელმწიფოს დასაცავად, რომელიც აგრესიის მსხვერპლი გახდება. ეს თანამშრომლობა ღიაა ყველა ქვეყნისთვის და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თანამშრომლობაში იგულისხმება დახმარების აღმოჩენა, იქნება ეს სამხედრო თუ სხვა ტიპისა. კონსტიტუციაში ასეთი იდეის ასახვამ გამოიწვია უკმაყოფილება და შიში, რომ ეს გამოიწვევდა ევროპის ქვეყნების მიერ ამერიკისა და სხვა არაევროკავშირელი ნატოს წევრების ევროპის თავდაცვის საკითხებისგან ჩამოშორებას და გაუცხოებას. ასეთი შიშის არსებობის გამო ეს წინადადება ჩასწორდა და შემოტანილ იქნა დახმარების გაწევის ნებაყოფლობითობის იდეა. ასევე, კონკრეტულად განისაზღვრა ნატოსა და ამერიკის ფუნქციები, რაც აისახა კონსტიტუციაში.

კონსტიტუციაში ჩაიდო წინადადება სოლიდარობის შესახებ, რომელიც ამოქმედდება, თუ რომელიმე ქვეყანა გახდება ტერორიზმის ან ბუნებრივი, თუ ტექნოგენური კატასტროფის მსხვერპლი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ განმარტავს ამ წინადადებების შესრულებისთვის აუცილებელ ოპერაციულ და ინსტიტუციურ გზებს.

კონსტიტუცია ასევე საგრძნობლად ცვლის არსებულ ხელშეკრულებას ახალი მუხლით: „გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ“ სსუპ და ეუთპ სფეროში მხოლოდ ყველა ქვეყნის თანხმობის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა ღიაა ყველასათვის, მაგრამ უნდა მოიცავდეს ქვეყნების 1/3-ს მაინც. ამ პრინციპით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისთვის. თუ არამონაწილე ქვეყანა ჩათვლის საჭიროდ, შეუერთდეს ამა თუ იმ ინიციატივას, ამისათვის არ უნდა არსებობდეს რამე დამატებითი ინსტიტუციური ბერკეტი. ეს ინიციატივა მოქნილი ინსტიტუციური ბერკეტია მნიშვნელოვანი დაბლოკვების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტილებათა უმრავლესობა დღესაც კონსენსუსით მიიღება.

ერთიანი ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

ევროკავშირის გლობალური სტრატეგია „გაზიარებული ხედვა, ერთობლივი მოქმედება - ძლიერი ევროპა“, 2016 წლის 28 ივნისს ევროსაბჭომ დაამტკიცა.

დოკუმენტი ერთწლიანი მუშაობის შედეგად საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის ხელმძღვანელობითა და წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების მონაწილეობით შემუშავდა.

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი ევროკავშირის შიგნით და სამეზობლოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს დაემთხვა, რამაც დოკუმენტის შინაარსს შესამჩნევი კვალი დააჩნია. უკრაინასა და სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, ჯერ მიგრაციის კრიზისი დაერთო, შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის მოულოდნელი შედეგები. ამ უკანასკნელმა, მთლიანად გადაფარა სტრატეგიული დოკუმენტის გამოქვეყნება და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დოკუმენტის ისედაც მოკრძალებული გეგმების განხორციელების შესაძლებლობა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირის გლობალური სტრატეგია მაინც რჩება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად, რომელიც სულ მცირე, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავს საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის მოქმედების სტრატეგიულ მიმართულებებს. დოკუმენტი განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციას ესწრაფვის. სტრატეგია საქართველოსთან დაკავშირებულ რამდენიმე ისეთ პუნქტს შეიცავს, რომელიც უსათუოდ იქონიებს გავლენას ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობაზე. ამრიგად, დოკუმენტის სიღრმისეული ანალიზი, საქართველოსთვის საჭირო და დროული საქმეა.

ჩვენი ანალიზიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. დოკუმენტი მიმოიხილავს ევროკავშირის გლობალური სტრატეგიის შექმნის პროცესს, კონტექსტს, ზოგად შინაარსს და ყურადღებას ამახვილებს საქართველოსთან დაკავშირებულ პუნქტებზე. შედარების მიზნით, კვლევის პროცესში გაანალიზდა 2003 წლის ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაც.

ევროპის გლობალურ სტრატეგიაზე მუშაობა ორ ეტაპად განხორციელდა. ევროსაბჭოს 2013 წლის 20 დეკემბრის დასკვნის მიხედვით, უმაღლეს წარმომადგენელს დაევალა გლობალური ვითარების ცვლილების შეფასება კომისიასთან თანამშრომლობით და 2015 წლის განმავლობაში წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ, ევროკავშირისთვის ამ

ცვლილებებიდან გამომდინარე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ანგარიშის მომზადება. აღნიშნული დოკუმენტი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ 2015 წლის 26 ივნისს ევროსაბჭოს წარუდგინა. თავის მხრივ, ევროსაბჭომ უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ ევროკავშირის გლობალური სტრატეგიის შემუშავება და 2016 წლის ივნისში წარდგენა დაავალა. დოკუმენტი, მინიჭებული მანდატისამებრ, ფედერიკა მოგერინიმ ერთი წლის შემდეგ წარადგინა.

2016 წელს შემუშავებული გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რიგით მეორე სტრატეგიული დოკუმენტია. მისი წინამორბედი - ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია - საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჰავეერ სოლანას ხელმძღვანელობით, 2003 წელს შეიქმნა. მომდევნო წლებში მომხდარი დრამატული ცვლილებების მიუხედავად, მსგავსი დოკუმენტის შეთანხმება 2016 წლამდე ვერ მოხერხდა.

მოქმედის მსგავსად, წინა სტრატეგიაზე მუშაობაც, საგარეო პოლიტიკური სირთულეების ფონზე მიმდინარეობდა. 2003 წელს ჯორჯ ბუშის მიერ ერაყში დაწყებულმა საომარმა კამპანიამ, ევროპული სახელმწიფოები ამერიკის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკებად დაყო. სწორედ ამიტომ, ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის უმთავრესი დანიშნულება ევროპული ქვეყნების ერთიანობის დადასტურება იყო. ევროკავშირისგან კონცეპტუალურ პასუხს მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების 2002 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც, რომლითაც ვაშინგტონი ტერორიზმთან “წინმსწრებად“ და „საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად“ ბრძოლის მზადყოფნას გამოთქვამდა.

წინამორბედი დოკუმენტის მსგავსად, ახალ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესიც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის გამოქვეყნებას დაემთხვა. იგივე დარჩა დოკუმენტის მთავარი დანიშნულებაც; მიგრაციის კრიზისის და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე საჭირო გახდა საერთო ევროპული პოზიციების შეჯერება და საჯაროდ დაფიქსირება. თუმცა, საგრძნობლად განსხვავებულია დოკუმენტების შინაარსი და მასშტაბი.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ახალი სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება თვისებრივად განსხვავებულ ინსტიტუციურ გარემოში განხორციელდა. ლისაბონის ხელშეკრულებით, 2009 წელს, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი (HIGH REPRESENTATIVE OF THE EUROPEAN UNION FOR FOREIGN AFFAIRS AND SECURITY POLICY) შეიქმნა, რამაც მანამდე არსებული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის (HIGH REPRESENTATIVE FOR COMMON FOREIGN AND SECURITY POLICY) პოსტი ჩაანაცვლა. 2010 წელს შეიქმნა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურიც (EUROPEAN EXTERNAL ACTION SERVICE), რომელიც ევროკავშირის დიპლომატიურ კორპუსს წარმოადგენს და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (COMMON FOREIGN AND SECURITY POLICY) განხორციელებაში ეხმარება. ლისაბონის ხელშეკრულებით, უმაღლესმა წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის (FOREIGN AFFAIRS COUNCIL) პოსტთან ერთად, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელიც დაიკავა.

ამ ცვლილებების შედეგად, უმაღლესი ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო წარმომადგენელი გაცილებით უფრო გავლენიანი გახდა, როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ უსაფრთხოების სტრატეგიის გადახედვის ნაცვლად, დოკუმენტი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა ყველა სფეროს მოიცავდა. მართლაც, წინამორბედთან შედარებით, 2016 წლის სტრატეგია უფრო ფართო და ყოვლისმომცველია, რასაც, მისი სახელიც ნათლად ადასტურებს.

ამის მიუხედავად, დოკუმენტებში ასახული პოზიცია ერთმანეთისგან ერთიორად განსხვავებულია. მაშინ, როცა ჰავიერ სოლანას ევროპა „არასოდეს ყოფილა ისეთი ეკონომიკურად განვითარებული, უსაფრთხო და თავისუფალი“, როგორც იმხანად, მოგერინის სამყარო „ურთიერთდაკავშირებული, კონკურენტული და კომპლექსურია“. სწორედ ამის ხაზგასმით იწყება სტრატეგიის წინასიტყვაობა - დოკუმენტის თანახმად, „კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ევროკავშირის მიზანიც და არსებობაც“. ევროპული უსაფრთხოება და საერთაშორისო წესრიგი, ევროკავშირის

უსაფრთხოების უზრუნველყოფაში „სტრატეგიული ავტონომიურობის“ მოპოვების სურვილი, დოკუმენტის უმთავრესი გზავნილია. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის „უმთავრეს ჩარჩოდ“ რჩება,

ევროპელებს უნდა ჰქონდეთ „ზნადაყოფნა და უნარი შეაკაონ, უპასუხონ და თავი დაიცვან საგარეო საფრთხეებისგან“, იყვნენ „უკეთ აღჭურვილნი, გაწვრთნილნი და ორგანიზებულნი, რათა შეძლონ კოლექტიურ ძალისხმევებში წვლილის შეტანა და საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მოქმედება“.

„ევროპელებს უნდა შეეძლოთ ევროპის დაცვა, საგარეო კრიზისებისათვის პასუხის გაცემა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში“. ამისათვის, „თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა, ნორმად უნდა იქცეს“. ევროკავშირი უნდა ისწრაფვოდეს ძლიერი თავდაცვის მრეწველობის შექმისკენაც, რაც „გადაწყვეტილებებში და მოქმედებებში ევროპის ავტონომიურობისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია“.

უცვლელი რჩება ევროკავშირის სურვილი - განამტკიცოს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წერსიგი, რომლის „მთავარი პრინციპი მულტილათერალიზმია“, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – მისი ძირითადი მოთამაშე. ევროკავშირი პირობას დებს, რომ მოქმედი სისტემის შენარჩუნების მაგივრად, მის გარდაქმნას შეეცდება. სტრატეგიის თანახმად, რეფორმა უნდა შეეხოს გაეროს (უსაფრთხოების საბჭოს ჩათვლით) და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს.

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა

სტრატეგიაში მსჯელობაა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაზეც. დოკუმენტში აღნიშნავს, რომ „გაფართოების პოლიტიკა ევროპის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში ჩადებულ სტრატეგიულ ინვესტიციას“ წარმოადგენს და დასძენს, რომ ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს „ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, რომელიც პატივს სცემს და ხელს უწყობს ხელშეკრულებებში ასახულ ღირებულებებს“. ამ განცხადების მიუხედავად, დოკუმენტი არაფერს ამბობს შემდგომი გაფართოების შესაძლებლობაზე. სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი კანდიდატი ქვეყნების მიღების საკითხზეც. მეტიც, დოკუმენტის თანახმად,

კანდიდატი ქვეყნების მიღების წინაპირობები მკაცრად იქნება დაცული, და ის მოიცავს როგორც წევრობის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, ისე ევროკომისიისა და წევრი ქვეყნების, აგრეთვე, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებების უკუკავშირს.

სტრატეგია სამეზობლოსა და მსოფლიოში

საგულისხმოა, რომ მოქმედი სტრატეგია სამეზობლოსა და მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას, ადრინდელ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. თუ 2003 წლის სტრატეგია ავტორიტარული ქვეყნების „უსაფრთხო, სტაბილურ და დინამიკურ დემოკრატიადა“ გადაქცევას კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის „თანმიმდევრულ გავრცელებას“ უკავშირებდა, მოქმედი სტრატეგიის თანახმად, სხვა ქვეყნების საქმეების გადაწყვეტის უნიკალური მეთოდი არ არსებობს.

2003 წლის სტრატეგია, ევროპული უსაფრთხოების მთავარ გარანტიად „კარგი მმართველობის მქონე დემოკრატიული სახელმწიფოებისგან შემდგარ სამყაროს“ ასახელებდა და ევროკავშირის გაფართოებას „გაერთიანებული და მშვიდობიანი კონტინენტის იდეის“ ხორცშესხმადაც მოიხსენიებდა. ახალი სტრატეგია კი, სამეზობლოსთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას, „პრინციპულ პრაგმატიზმზე“, როგორც იზოლაციონიზმისა და ინტერვენციონიზმის ორ უკიდურესობას შორის არსებულ ერთადერთ სწორ შუალედზე, ალაპარაკდა. სტრატეგიის მიხედვით, „პრინციპული პრაგმატიზმი“ თანაბრად არის განმსჭვალული, როგორც „უკეთესი სამყაროს შექმნის იდეალისტური მისრწაფებით, ისე სტრატეგიული გარემოს რეალისტური შეფასებით“. მთავარ ბერკეტად, სტრატეგია, დიპლომატიასთან ერთად, შემზღუდავ ზომებსაც (სანქციებს) ასახელებს.

სტრატეგიის თანახმად, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ურთიერთობა გაძლიერდება „აღმოსავლეთთან პარტნიორობისა“ და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოიჩენენ. ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი დაეხმარება ასოცირების ხელშეკრულებებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) განხორციელებაში. დაიწყება „ქვეყნებზე მორგებული“ (TAILOR-MADE) პარტნიორობის გაღრმავებაზე ფიქრიც. ამ მხრივ, შესაძლებელია DCFTA-ში ჩართული ქვეყნებისგან შემდგარი „ეკონომიკური ზონის შექმნა, ტრანსევროპული

ქსელებისა (TRANS-EUROPEAN NET-WORKS) და ენერგეტიკური საზოგადოების (EN-ERGY COMMUNITY) გაფართოება, აგრეთვე, ფიზიკური და ელექტრონული კავშირების მშენებლობა”. „მიმოსვლის გახშირებით, კულტურული და საგანმანათლებლო გაცვლებით, კვლევებში თანამშრომლობითა და სამოქალაქო საზოგადოებების პლატფორმებით”, გამყარდება საზოგადოებებს შორის კავშირი. ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP) ამ ქვეყნების ჩართულობის გაზრდის მიზნით, „სტრატეგიულ დიალოგთან ერთად, მოხდება ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში მათი სრული მონაწილეობის უზრუნველყოფა”.

სტრატეგია რუსეთის მიმართ

საგულისხმოა, რომ მოქმედი სტრატეგია, 2003 წლის სტრატეგიასთან შედარებით, რუსეთისადმი გაცილებით უფრო კრიტიკულია. სოლანას სტრატეგია რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელებაზე საუბრობდა და მას ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის „მთავარ ფაქტორად“ ასახელებდა. დოკუმენტის თანახმად, „საერთო ღირებულებების პატივისცემა“ რუსეთისა და ევროკავშირის „სტრატეგიულ პარტნიორობას“ განამტკიცებდა. ეს დამოკიდებულება რადიკალურად არ შეცვლილა არც საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ - უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების 2008 წლის ანგარიშში რუსეთი კვლავაც „საერთაშორისო საკითხებში მნიშვნელოვან პარტნიორად“ გვევლინება.

გლობალური სტრატეგიის მიხედვით კი, რუსეთთან ურთიერთობის „მართვა“ ევროკავშირისთვის მთავარი სტრატეგიული გამოწვევაა“. ამ მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკის ქვაკუთხედად „თანმიმდევრული და ერთიანი მიდგომა უნდა დარჩეს“. არსებითი ცვლილებების მიღწევის წინაპირობა კი, რუსეთის მიერ „საერთაშორისო სამართლისა და ევროპის უსაფრთხოების წესრიგის პრინციპების სრული პატივისცემაა, მათ შორის - ჰელსინკის აქტისა და პარიზის ქარტიის. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი არ აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიასა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციას. დოკუმენტის თანახმად, მოხდება ევროკავშირის გაძლიერება, აღმოსავლეთით მდებარე მეზობლების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება და მათი უფლების დაცვა, თავად აარჩიონ ურთიერთობის ფორმა ევროკავშირთან.

სტრატეგიის მიხედვით, „სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების ხელშეუხებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა“ ევროპის უსაფრთხოების წესრიგის უმთავრესი ელემენტებია და ეს ეხება ყველა სახელმწიფოს, „ევროკავშირის შიგნით, და გარეთ“. ასევე აღნიშნულია, რომ მშვიდობა და სტაბილურობა ევროპაში მოცემულობა აღარ არის და „რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევა და უკრაინის დესტაბილიზაცია, შავი ზღვის ფართო რეგიონის კონფლიქტებთან ერთად“, ევროპის უსაფრთხოების წესრიგისთვის ძირეული გამოწვევაა. რუსეთის ქმედებების პასუხად, ევროპის კავშირი კვლავაც გააგრძელებს „საერთაშორისო სამართლის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, თანამშრომლობისა და თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი არჩევანის უფლების“ დაცვას.

ამავდროულად, სტრატეგია არ გამორიცხავს რუსეთთან თანამშრომლობას. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი და რუსეთი ურთიერთდამოკიდებულნი არიან. ამიტომ, თანამშრომლობა შედგება მაშინ, როცა „ინტერესები გადაიკვეთება“. „შერჩევითი თანამშრომლობა“ შესაძლებელია ისეთ საკითხებზე, როგორცაა კლიმატი, არქტიკა, საზღვაო უსაფრთხოება, განათლება, კვლევა და სასაზღვრო თანამშრომლობა. სოციალური კავშირების გაფართოების მიზნით, მოხდება ევროკავშირში გადაადგილების გამარტივება რუსი სტუდენტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესმენებისთვის.

სტრატეგია თურქეთთან მიმართებაში

სტრატეგია ეხება თურქეთთან ურთიერთობის საკითხსაც. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი გააგრძელებს თურქეთთან „დარგობრივ თანამშრომლობას“ და „დემოკრატიის განმტკიცებას“. ევროკავშირში თურქეთის მიღების პროცესი „მკაცრი და სამართლიანი პირობითობის“ პრინციპის დაცვით გაგრძელდება. ამ პროცესის კვალდაკვალ, დიალოგი შედგება ტერორიზმის საწინააღმდეგო ზომების, რეგიონული უსაფრთხოებისა და ლტოლვილების საკითხების თაობაზე. მუშაობა გაგრძელდება საბაჟო კავშირის მოდერნიზებასა და ვიზის ლიბერალიზაციაზე. გაფართოვდება განათლების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობაც.

სტრატეგიის განხორციელება და გადახედვა

დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიის განხორციელებისა და გადახედვის საკითხსაც. ამ მხრივ, იგეგმება არსებული დარგობრივი ქვესტრატეგიების გადახედვა და ახალი თემატური და გეოგრაფიული სტრატეგიების შემუშავება, გლობალური სტრატეგიის პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით. საბჭოს, კომისიისა და ევროპარლამენტის მონაწილეობით მოხდება სტრატეგიის პერიოდული განხილვაც.

დასკვნა

მსოფლიოსა და ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრები ევროპის გლობალურ სტრატეგიაზეც ნათლად აისახა. უკრაინასა და სირიაში მიმდინარე სამარმა მოქმედებებმა, მიგრაციის კრიზისმა და მზარდმა ევროსკეპტიციზმმა, დოკუმენტის შინაარსზე წარუშლელი კვალი დატოვა. ამიტომ დოკუმენტი არსებული ინიციატივების შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე უფრო კონცენტრირებული გამოვიდა, ვიდრე საგარეო პოლიტიკური სიახლეების შეთავაზებაზე. ამის მიუხედავად, სტრატეგია საყურადღებოა საქართველოსთვის - დოკუმენტი ქვეყანასთან დაკავშირე- ბულ რამდენიმე ისეთ პუნქტს შეიცავს, რომელიც გავლენას იქონიებს ევროკავშირ- საქართველოს ურთიერთობაზე და ზოგადად, საქართველოს მდგომარეობაზე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ევროკავშირის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობაზე. სტრატეგია ნაკლებად ამბიციურია უშუალო სამეზობლოზე საუბრისასაც. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სტრატეგიაში საქართველო ერთ-ერთ წარმატებულ პარტნიორად არის დასახელებული. ცალსახად დადებითია, რომ ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს ასოცირების ხელშეკრულებებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) განხორციელების მხარდაჭერას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირი „ქვეყნებზე მორგებული“ პარტნიორობის გაღრმავებაზე ამახვილებს ყურადღებას. სტრატეგიის თანახმად, ურთიერთობა გაძლიერდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოიჩენენ. ამგვარი მიდგომა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური სიახლეა. თუ მანამდე ევროკავშირი ერთი რეგიონული ქოლგის ქვეშ აერთიანებდა

სხვადასხვა ინტერესისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნებს, ევროპის გლობალური სტრატეგია, მეტ შესაძლებლობას უხსნის ისეთ ქვეყნებს, როგორც საქართველო. მნიშვნელოვანი სიახლეა DCFTA-ში ჩართული ქვეყნების მიერ ეკონომიკური ზონის შექმნისა და ტრანს-ევროპული ქსელებისა და ენერგეტიკური საზოგადოების გაფართოების საკითხიც.

ნიშანდობლივია, რომ სტრატეგია დემოკრატიის გავრცელებას წინანდელ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. მის ნაცვლად, სტრატეგიულ პრიორიტეტადაა დასახელებული მეზობელი სახელმწიფოებისა და საზოგადოებების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, რაც ერთგვარ შუალედად შეიძლება მივიჩნიოთ დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის. მიუხედავად იმისა, რომ წინამორბედთან შედარებით, მოქმედი სტრატეგიის ეს კომპონენტი საკმაოდ მინიმალისტურია, ეს საკითხი საქართველოსთვის მაინც მნიშვნელოვანია - სტრატეგიის მიხედვით, ევროკავშირის ძალისხმევა მიმართული იქნება იმ ქვეყნებისკენ, სადაც არსებითი ცვლილების მიღწევა იქნება შესაძლებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ 2016 წლის სტრატეგია მნიშვნელოვან დროს უთმობს მეზობელი და მიმდებარე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებთან ურთიერთობების გაღრმავებასა და მათი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას, რაც სტრატეგიაში სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოების უმთავრეს წინაპირობად დასახელდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ევროპის დაცვასა და საგარეო კრიზისებზე პასუხის გაცემასთან ერთად, ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში მხარდაჭერასაც ერთ-ერთ ამოცანად მიიჩნევს. დადებითია, რომ ევროკავშირი კვლავაც გვევლინება წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის დამცველად. სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპებზე ევროპის უსაფრთხოების წესრიგის ფუძემდებლურ ელემენტებად მიჩნევა, საქართველოსთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტია.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ქმედებებს ევროკავშირი ევროპის უსაფრთხოების წესრიგისთვის ძირეულ გამოწვევად მიიჩნევს და მას საერთაშორისო სამართლის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი არჩევანის უფლების დაცვითა და „თანმიმდევრული და

ერთიანი მიდგომით“ უპასუხებს. დადებითია, რომ სტრატეგიის თანახმად, ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს „აღმოსავლეთთან პარტნიორობის“ ქვეყნებში არსებულ კონფლიქტებში მშვიდობის ეგიდით ჩართულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირი რუსული პროპაგანდის სწრაფ და ფაქტობრივ გაბათილებას მოახდენს და მისი პრინციპებისა და ქმედებების შესახებ წევრი და პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისთვის კომუნიკაციას გააუმჯობესებს.

კითხვები:

1. ვის ჰქონდა პირველი მცდელობა, რომ შეექმნათ ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა?
2. როდის და რომელ სამიტზე იქნა წარდგენილი „დავნიონის მოხსენება“?
3. რას წარმოადგენდა დავნიონის მოხსენება ევროგაერთიანების ქვეყნებისთვის?
4. როგორ ხდება გადაწყვეტილებები მიიღება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში?
5. როგორია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპარლამენტის როლი?

თავი XV. რეალობა და მითები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი შტეფან ფულე 2014 წლის 3 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქმა მიიღო. შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია იყო. შეხვედრაზე პატრიარქმა აღნიშნა, რომ “ჩვენ მეტად კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი, ევროპული სტრუქტურებისკენ მიემართება. ეს არის სივრცე, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ. თქვენ ყველაფერს აკეთებთ, რათა საქართველო ამ დიდი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაციაა გავრცელებული, თითქოს ჩვენი ეკლესია ამ პროცესს აბრკოლებს. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ეს იდეა განხორციელდეს. როგორც ჩემთვის დღეს გახდა ცნობილი, თქვენ გითქვამთ, თითქოს, დამარწმუნებთ იმაში, რომ საქართველოს შეუძლია თავისი ტრადიციებით, ფასეულობით გახდეს ევროკავშირის წევრი. მინდა გითხრათ, რომ დარწმუნება არ მჭირდება. ამაში დიდი ხანია, დარწმუნებული ვარ.”

მითი 1: „ასოცირების შესახებ შეთანხმება ქართულ კულტურასა და ტრადიციულ ფასეულობებს საფრთხეს უქმნის”.

რეალობა: პირიქით, ევროკავშირი იღვწის ევროპის კულტურათა მრავალფეროვნების დაცვისათვის. ის ყველანაირად მხარს უჭერს მრავალფეროვნებას. ამის დასტურია ევროკავშირის დევიზი: „ერთიანობა-მრავალფეროვნებაშია”. აქედან გამომდინარე ევროკავშირი პატივს სცემს ყველა ქვეყნის კულტურულ ფასეულობებს და ასოცირების შესახებ შეთანხმებაც ხელს შეუწყობს ამ ფასეულობათა დაცვას.

მითი 2: „ასოცირების შესახებ შეთანხმება აიძულებს საქართველოს, დააკანონოს ჰომოსექსუალთა ქორწინება.”

რეალობა: ევროკავშირის არც ერთ წევრ ქვეყანას არ მოეთხოვება ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების დაკანონება, რამდენიმე მათგანი კი საერთოდ არ აღიარებს ამგვარ ქორწინებას.

მითი 3: „ევროკავშირი აიძულებს საქართველოს, შემოიღოს დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, რომელიც გზას გაუკაფავს ჰომოსექსუალთა ქორწინებას.“

რეალობა: სულაც არა! საქართველო ახორციელებს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც მის მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან დაიცავს. ევროკავშირი მიესალმება ამ ინიციატივას, რომელიც ასევე ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მოთხოვნაა. დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორ მოპყრობას, მათ შორის იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც უმცირესობებს განეკუთვნებიან. ასეთი კანონმდებლობა იცავს მოქალაქეთა უფლებებს, მაგალითად, მოქალაქეთა უფლებას, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე.

მითი 4: „ასოცირების შესახებ შეთანხმება კიდევ უფრო გაართულებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას. და შესაძლოა მეტი დაძაბულობა გამოიწვიოს სეპარატისტულ რეგიონებში.“

რეალობა: შეთანხმება არანაირად არ აქეზებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და თანამშრომლობას რეგიონში. საქართველო, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება გამეფებული, რუსეთის ინტერესებშიც არის.

მითი 5: „ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შესაძლოა მეტი დაძაბულობა გამოიწვიოს სეპარატისტულ რეგიონებში.“

რეალობა: პირიქით, ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას და ყველა ის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, ისარგებლებს იმ უპირატესობებით, რომლებსაც მოიტანს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მეშვეობით ამაღლებული ცხოვრების დონე.

მითი 6: „ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაცია და უბიძგოს მათ სეპარატიზმისკენ.“

რეალობა: შეთანხმება ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგია და მაქსიმალურად ხელს უწყობს უმცირესობათა უფლებების დაცვას, რაც თავის წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

მითი 7: „ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს“.

რეალობა: ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში მისი მნიშვნელოვანი როლისადმი. 2014 წლის მარტში ევროკომისარი შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქ ილია II-ს, მათ ისაუბრეს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. პატრიარქმა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანისადმი თავისი უპირობო მხარდაჭერა.

მითი 8: „შეთანხმების ხელმოწერა ზიანს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას“.

რეალობა: პირიქით, საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის – მსოფლიოში უდიდესი ბაზრის – მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების მეშვეობით, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს ხანგრძლივ

გარდამავალ პერიოდში ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ. ეს შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ ადაპტაციას.

მითი 9: „ევროკავშირი ჩაბმულია გეოპოლიტიკურ კონკურენციაში რუსეთის ფედერაციასთან“.

რეალობა: არა. ეს შეხედულება არის მედიაში ზოგიერთი ელემენტის მიერ გავრცელებული მითი, მაგრამ ის არ ასახავს რეალობას ან ევროკავშირის განზრახვებს. საქართველო ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორი არა რაღაც გამოგონილი გეოპოლიტიკური მეტოქეობის გამოა, არამედ იმიტომ, რომ საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობისა და კეთილდღეობის მისაღწევად. სწორედ ამიტომ მოახდინა ევროკავშირმა სერიოზული პოლიტიკური კაპიტალის, ფინანსური დახმარებისა და ტექნიკური გამოცდილების ინვესტირება საქართველოსთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად.

მითი 10: „ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს ხელ-ფეხს უბოჭავს და ზღუდავს მის სუვერენულობას“.

რეალობა: ასოცირების შესახებ შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გულისხმობს სრულ პატივისცემას საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი პოლიტიკური არჩევანის მიმართ, მათ შორის სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის უფლების მიმართ. გარდა ამისა, ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების დაურღვევლობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობას, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს 1945 წლის ქარტიაში და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში საქართველოს რჩება თავისუფალი არჩევანი – მიიღოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, განსხვავებით

საქართველოს მონაწილეობისგან ნებისმიერ საბაჟო კავშირში. რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას საბაჟო კავშირში, ეს შეამცირებს საქართველოს სუვერენიტეტს, ვინაიდან გამოიწვევს საქართველოს მიერ საკუთარი სავაჭრო პოლიტიკის გადაცემას გარეშე, ზესახელმწიფოებრივი უწყებისათვის.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს ინტერესებშია – ამჟამად ევროკავშირი, მსოფლიოში უდიდესი ბაზარი, საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია და საქართველოს მთელი ვაჭრობის 26% ევროკავშირთან ვაჭრობაზე მოდის. საქართველო დაინტერესებულია ვაჭრობის და მისი ხარჯების შემცირებით გაფართოებით. ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის გაზრდა ნიშნავს მეტი შემოსავლის მიღებას და, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის ზრდას.

მითი 11: „საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რამდენიმე შეთანხმება აქვს გაფორმებული დსთ-ის წევრებთან, რომლებიც ევროკავშირს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან შეუთავსებლად მიაჩნია”.

რეალობა: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა, ნაკლებ ფასად მოახდინოს საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს საფრთხეს მისთვის ან სხვა ქვეყნებთან მისი ურთიერთობებისთვის. საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

მითი 12: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ვაჭრობის სფეროში სავარაუდოდ გაუარესდება მას შემდეგ, რაც საქართველოსთვის მისაწვდომი გახდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე”.

რეალობა: ეს ასე არ არის. ევროკავშირისა და რუსეთის ბაზრები სხვადასხვაა, ევროკავშირთან ვაჭრობა არ ხდება რუსეთთან ვაჭრობის ხარჯზე. ბიზნესკავშირები ყველაზე კარგად სტაბილურ და პროგნოზირებად სამართლებრივ გარემოში ვითარდება და სწორედ ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი საწარმოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას იმასთან დაკავშირებით, სად აწარმოოს ვაჭრობა. არ არსებობს სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი, როდესაც დაცულია შესაბამისი წესები.

მითი 13: „ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში საქართველოს ტრადიციულ ექსპორტს რუსეთში ძირი გამოეთხრება ევროპული სტანდარტების მიღების გამო“.

რეალობა: ევროკავშირის სტანდარტები არასოდეს ყოფილა რუსეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ექსპორტის ხელის შემშლელი ფაქტორი, როგორც ამას ადასტურებს ევროკავშირის კომპანიებისა და იმ სხვა მწარმოებლების გამოცდილება, რომლებიც ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს იცავენ. ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტებმა ქართული კომპანიებისთვის წარმოქმნას პრობლემები. იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ახდენენ პროდუქციის ექსპორტირებას რუსულ ბაზარზე, შეუძლიათ განაგრძონ ეს საქმიანობა, მას შემდეგაც კი, რაც განხორციელდება ასოცირების შესახებ შეთანხმება – თუ მათ ამაში პოლიტიკურად მოტივირებული აკრძალვები და შეზღუდვები არ შეუშლის ხელს.

მითი 14: „ევროკავშირი მეტ სარგებელს ნახავს საბაჟო გადასახადების გაუქმების შედეგად, ვიდრე საქართველო“.

ფაქტი: არ არის ასე. საქართველო მეტად არის დამოკიდებული ევროკავშირთან ვაჭრობაზე, ვიდრე პირიქით. ასე რომ, ტარიფების გაუქმების გამო საქონელბრუნვის გაზრდის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, საქართველო ნახავს სარგებელს. რაც შეეხება საქონელს, იმპორტზე გადასახადი ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ ყველა საქონელზე ან პირიქით, დაუყოვნებლივ იქნება გაუქმებული. ამის შედეგად მოსალოდნელია საქართველოში ვაჭრობის 12%-

ით ზრდა ექსპორტის კუთხით და 7.5%-ით-იმპორტის კუთხით. ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, ევროპელი იმპორტიორები დაზოგავენ 10.8 მილიონ ევროს გადასახადების შემცირების შედეგად, ქართველი იმპორტიორები კი ყოველწლიურად დამატებით 84.2 მილიონ ევროს დაზოგავენ საბაჟო გადასახადის გაუქმების შედეგად.

მითი 15: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ეკონომიკური სარგებელი უმნიშვნელოა, რეფორმის გატარებას კი სერიოზული ხარჯები სჭირდება“.

რეალობა: მოსალოდნელია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გაზრდის ვაჭრობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის 12%-ით საქართველოდან ევროკავშირი საქონლის ექსპორტით და 7.5%-ით ევროკავშირიდან იმპორტის კუთხით. პროგნოზირებულია, რომ ამ სივრცის წყალობით მშპ ყოველწლიურად 4.3%-ით გაიზრდება (292 მილიონი ევრო ქვეყნის შემოსავლის სახით) იმ პირობით, თუ რეფორმების განხორციელება დასრულდება. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს და მის ეკონომიკურ აგენტებს აღნიშნული რეფორმების შემუშავებაში და განხორციელებითაა გარდამავალ პერიოდებში, რომლებიც ასოცირების შესახებ შეთანხმებაშია გათვალისწინებული.

მითი 16: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შედეგად მხოლოდ ევროკავშირი მიიღებს სარგებელს. საქართველო დაკარგავს სამუშაო ადგილებს, კომპანიებსა და ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც სამუშაოდ ევროპაში წავლენ“.

რეალობა: არ არის ასე. შეთანხმება უზრუნველყოფს ფართო ჩარჩოს საქართველოს წარმოების სტიმულირებისთვის, ბიზნესის გაძლიერებისა და დასაქმების ზრდისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. შეთანხმება ითვალისწინებს ზოგ დაუყოვნებელ სარგებელს საქართველოსთვის, რაიმე რეფორმების გარეშე:

➤ ევროკავშირი გააუქმებს ყველა საიმპორტო მოსაკრებელს ქართულ იმპორტზე იმ დღიდან, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ძალაში შევა. ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ექსპორტი

დაუყოვნებელ სარგებელს მიიღებს.

➤ ასევე დაუყოვნებელი სარგებელი შეიძლება მიიღონ კომპანიებმაც ევროკავშირში ან საქართველოში დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღების წყალობით. ეს გაზრდის ინვესტიციებს და შექმნის სამუშაო ადგილებს საქართველოში.

➤ კომპანიები შეძლებენ მომსახურების უფრო ფართო მასშტაბით გაწევას, ვიდრე ადრე, რაც ასევე გააფართოებს მათ საქმიანობას და შექმნის სამუშაო ადგილებს.

მითი 17: „ახლა არ არის ხელსაყრელი დრო რეფორმების წამოსაწყებად. საქართველოში ეკონომიკის ზრდა აღარ მიმდინარეობს სწრაფი ტემპით, ჩვენ ახლა არა გვაქვს ამის საშუალება. ბიზნესს გაკოტრება ემუქრება, ვინაიდან უკვე კრიზისის წინაშე დგას.”

რეალობა: მართალია, რომ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში შეფერხება აღინიშნა. ეს შეფერხება სხვადასხვა ბიზნესმა ნამდვილად იგრძნო. მაგრამ მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს დროებითი ვარდნა იყო, მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიკა ისევ დაიწყებს ზრდას. ამგვარი ზრდა უკავშირდება სიტუაციის გაუმჯობესებას ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მომავალ წლებში ამ პროგნოზის გამართლებასთან ერთად რეფორმებიც თანდათანობით წინ წავა. ქართულ ბიზნესს არ უნდა ეშინოდეს ამ თვალსაზრისით რაიმე მოულოდნელი ნეგატიური შედეგებისა. გარდა ამისა, რეფორმები განამტკიცებს დემოკრატias და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას საქართველოში და ქვეყანას ინვესტორებისთვის უფრო პროგნოზირებად და მიმზიდველ ადგილად აქცევს.

მითი 18: „ქართველი ფერმერები დაზარალებიან რეფორმების შედეგად”.

რეალობა: საქართველოს სოფლის მეურნეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი მოდერნიზება და უფრო ეფექტიანად წარმართვა. მას ესაჭიროება ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების მეტი პროფესიონალიზმი და თანამედროვე უნარ-ჩვევები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. მაგრამ

ნებისმიერი რესტრუქტურისზაცია გულისხმობს, რომ ზოგიერთი ფერმერისთვის შეიძლება აღარ იყოს მომგებიანი ფერმერული საქმიანობა და მათთვის უმჯობესი იყოს გადამზადება და სამუშაოს შეცვლა. ასეთ მოქალაქეებს დასჭირდებათ ახალი უნარ-ჩვევების შეძენა და ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ამ თვალსაზრისით შესატყვისი პროექტების შემუშავებაში. ასე მოხდა ბევრ ქვეყანაში, რომელთაც გადაწყვიტეს, გაეუმჯობესებინათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო სექტორი, რათა მას მეტი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკაში.

მითი 19: „რეფორმები ძირს გამოუთხრის იმ სექტორებს, რომლებიც საქართველოში დღემდე ახერხებენ არსებობას“.

რეალობა: საქართველო დაადგა განვითარებული საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალ გზას. რეფორმები მიზნად ისახავს ქვეყნის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორების, ასევე მომსახურებათა ბაზრის უფრო ეფექტიანად და უფრო თანამედროვედ გარდაქმნას, ევროკავშირის სტანდარტებთან მეტად დაახლოებას. რეფორმები მხოლოდ იმ სფეროებზე ვრცელდება, რომელთაც რეგულირება სჭირდება, მაგალითად, მომხმარებელთა დაცვისა და უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების კუთხით. ეს რეფორმები მიზნად ისახავს შესაბამისი სექტორების უფრო კონკურენტუნარიანად ქცევას. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანი კომპანიები უკვე ეყრდნობიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და არაფერი აქვთ საწუხარი რეფორმებთან დაკავშირებით.

მითი 20: „ევროპული იმპორტული სურსათი ძირს გამოუთხრის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქართველ მწარმოებლებს“.

რეალობა: სოფლის მეურნეობის სექტორში ევროკავშირი უკვე აწარმოებს ექსპორტს საქართველოში და ეს არ ცვლის ადგილობრივი წარმოების პროდუქციას, როგორც არის ქართული ღვინო, ყველი, ხილი ან ბოსტნეული. გარდა იმისა, რომ მომხმარებლებს სხვადასხვა პრეფერენცია აქვს (მაგალითად, გემოვნება), ევროკავშირში საკვები პროდუქტების წარმოება ძალიან ძვირია, ამიტომ საქართველოს ბაზრისადმი არ არის მაინცდამაინც დიდი ინტერესი. მით უმეტეს, თუ იმპორტირებულმა საქონელმა კონკურენცია უნდა გაუწიოს ადგილობრივად წარმოებულ უფრო იაფ პროდუქციას, რომელიც უფრო მეტად შეესატყვისება

ადგილობრივი ადამიანების გემოვნებას. ასე რომ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის დაწყება ავტომატურად არ მოიტანს ევროპიდან შემოტანილი საქონლის შემოდინების რისკს.

ამჟამად ევროკავშირიდან საქართველოში ხორციელდება უმნიშვნელო რაოდენობის ბოსტნეულის, ხილის, ყავისა და მარცვლეულის ექსპორტი. ევროკავშირს საქართველოში შემოაქვს მინიმალური რაოდენობით ხორცი და ცოცხალი ცხოველები, ასევე, დამზადებული პროდუქტები, როგორც არის კაკაო, შაქარი და დამუშავებული მარცვლეულიდან წარმოებული საკვები (სულ დაახლოებით 22 მილიონი ევროს ოდენობის) ან ღვინო და სპირტიანი სასმელები (36 მილიონი ევრო).

მითი 21: „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შესვლის შედეგად საკვები გაძვირდება“.

რეალობა: არ არსებობს პირდაპირი კავშირი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესა და საკვების ფასების ზრდას შორის – ფასები შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა მიზეზით, როგორც არის მარცვლეულის ცუდი მოსავალი უამინდობის ან დაავადების გამო რომელიმე კონკრეტულ წელს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აუცილებელი რეფორმები, განსაკუთრებით კი სურსათის უვნებლობის სფეროში, მიზნად ისახავს უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლებისათვის საკვები პროდუქტების აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადად უნდა გაუმჯობესდეს ის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული პირობები, რომლებშიც საკვები მზადდება. ეს გამოიწვევს გარკვეულ ხარჯებს, რომლებიც მწარმოებლებმა შეიძლება მომხმარებლებს დააკისრონ; ამას შედეგად მოჰყვება მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ნაკლები ხარჯები ჯანდაცვაზე. გარდა ამისა, დამოუკიდებელი კვლევის შედეგების თანახმად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ხელფასებზე.

მითი 22: „ბევრ მცირე ფერმერს მოუწევს ბიზნესიდან წასვლა სურსათის უსაფრთხოების სტანდარტების იძულებით გაზრდის შედეგად“.

რეალობა: მცირე ფერმერებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი ვაჭრობაში ან სხვა კომერციულ საქმიანობაში, არ უნდა ეშინოდეთ რეფორმებისა. მათ კი, ვინც ფერმერულ საქმიანობას ეწევა იმისათვის, რომ გაყიდოს საკუთარი პროდუქცია საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, მოუწევთ თვალის გასწორება იმ ფაქტისთვის, რომ მათ კონკრეტულ სექტორში თანდათანობით გაიზრდება ფერმერული საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული მოლოდინი. დროთა განმავლობაში საქართველოში თანდათანობით შემოღებული იქნება საკვების წარმოების, ისევე, როგორც მეცხოველეობის წარმოების წესები. ეს მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის საკვების უვნებლობისა და ხარისხის გაზრდას და ჯანმრთელობისთვის არსებული რისკების შემცირებას. საკვების მწარმოებლების წინაშე მდგომი ამოცანაა საკუთარი შემოსავლის გაზრდა ფერმერული საქმიანობის პროდუქტიულობის გაუმჯობესების მეშვეობით.

მითი 23: “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში მოხდება პომიდვრის ზომებისა და გარეგანი სახის რეგულირება, ხოლო ქათმების ზრდა სპეციალურ გალიებში მოხდება.”

რეალობა: ასეთი წესები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში არ არსებობს. სოფლის მეურნეობისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიულ სფეროებში განსახორციელებელი შეთანხმებული რეფორმების ფარგლებში არსებული წესები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად შემოღებული და არ არეგულირებს იმაზე მეტს, რაც ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო. ევროკავშირში არ არსებობს პომიდვრის ზომებისა და გარეგანი სახის რეგულირების წესები.

მითი 24: “ევროკავშირი გააგრძელებს თავისი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის დაცვას, მაშინ, როდესაც საქართველო კი სრულად გახსნის თავისას.”

რეალობა: ევროკავშირი და საქართველო ერთდროულად და სრულად გახსნიან თავიანთ ბაზრებს. ევროკავშირი არ დააწესებს საქართველოსთვის არავითარ რაოდენობრივ შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

ექსპორტზე. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც ძალაში დარჩება, ვაჭრობის მოცულობის მონიტორინგია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი მართლაც საქართველოშია დამზადებული და არ არის იმის რისკი, რომ სხვა ქვეყნის პროდუქტია ევროკავშირში ისე შეაღწევს, თითქოს ქართული პროდუქტია.

მითი 25: “რეფორმები ქართველ მწარმოებლებს დააზარალებს.”

რეალობა: მოლაპარაკებების პროცესში სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმები ღრმად იყო განხილული. ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში – განსაკუთრებით ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების კუთხით – საქართველომ ძალზე ფრთხილი და თანდათანობითი მიდგომა აირჩია. ქვეყანამ გაითვალისწინა, რომ ცვლილებები აუცილებელია, თუმცა არსებობს გამოწვევებიც, რაც ნიშნავს, რომ რეფორმები ქვეყნის საჭიროებებს მოერგება, თანდათანობით, დროთა განმავლობაში განხორციელდება და ძირითადად ბაზარზე არსებული საქონლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაზე იქნება ორიენტირებული. საქართველოში მწარმოებლებს მოუწევთ გარკვეული, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა, მაგრამ რეალურად ეს იქნება ინვესტიცია, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს მათი ბიზნესის განვითარებას. ევროკავშირი საქართველოს ამ რეფორმების პროცესში დაეხმარება და განაგრძობს თანამშრომლობას ბიზნესთან.

მითი 26: “ევროკავშირიდან შემოსული საქონელი ქართულ კომპანიებს ბაზრიდან გააძევებს.”

რეალობა: მას, ვინც ამას ამბობს, ავიწყდება, რომ ხშირად, წარმოების გასაგრძელებლად ბიზნესს დახმარება უცხოეთიდან სჭირდება და ევროკავშირიდან საქართველოში შემოსული საქონლის ნაირსახეობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულისა. მაგალითად, ევროკავშირიდან მანქანა-დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების იზრდება. ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, განმტკიცდება, რადგან საქართველოს თანამედროვე ტექნიკა (არა მარტო ევროკავშირიდან) ესაჭიროება იმისთვის, რომ მოხდეს მისი სოფლის მეურნეობისა და წარმოების მოდერნიზება. ასე რომ, გლობალიზებულ ეკონომიკაში,

რომლის ნაწილი, რასაკვირველია, საქართველოც არის, არ არის ასეთი მკაცრი, შავ-თეთრი დაყოფა იმპორტსა და ექსპორტს შორის.

მითი 27: “საქართველომ გადაწყვიტა, სრულად გაუხსნას ბაზარი ევროპიდან იმპორტს, ამიტომ ვერ დაიცავს ბაზარს ევროპული საქონლის შემოდინებისგან.”

რეალობა: „აღმოსავლეთ პარტნიორების“ ქვეყნების მთავრობებმა თავიანთი ბაზრების გახსნის შესახებ გააზრებული გადაწყვეტილება მიიღეს. საქართველომ, რომლის ბაზარი საკმაოდ გახსნილია, მიიღო გადაწყვეტილება, შეთანხმების ძალაში შესვლისას სრულად გახსნას თავისი ბაზარი. ლიბერალიზებით გამოწვეული პრობლემების გაჩენის შემთხვევაში ევროკავშირი მზადაა, განხორციელების ეტაპზე საქართველოსთან ერთად განიხილოს ისინი.

მითი 28: “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან სარგებელს მხოლოდ ბიზნესი მიიღებს და არა საქართველოს მოსახლეობა.”

რეალობა: შეთანხმებიდან უშუალო სარგებელს მართლაც ექსპორტიორები მიიღებენ, თუმცა შეთანხმებით მოსახლეობის ფართო ფენებიც ისარგებლებენ, რადგან ევროკავშირიდან შეტანილი საქონელი უფრო იაფი იქნება. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ შეთანხმება გაზრდის ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების შექმნას და ეკონომიკის რამდენიმე სექტორის მოდერნიზებას რეფორმების საშუალებით, რაშიც საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება.

სურსათის უვნებლობის სტანდარტები და სამომხმარებლო საქონელი უსაფრთხო იქნება. ინვეტიციების მოსალოდნელი ზრდის ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. და ბოლოს, წესების შემუშავება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მეტად გამჭვირვალე გახდება და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობისგან.

მითი 29: “საქართველომ უნდა წამოიწყოს სრულმასშტაბიანი რეფორმები, ისეთივე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მაგრამ მას არ აქვს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა.”

რეალობა: ევროკავშირი და საქართველო განახორციელებენ რეფორმებს იმისთვის, რომ ქვეყნის მმართველობის სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვდეს. თუმცა ეს არ არის გაწევრიანების პროცესი, ხოლო შეთანხმებული რეფორმები არ არის იმავე მასშტაბისა, რაც სხვა ქვეყნებში გაწევრიანების წინა პროცესი, თვით ასოცირების შესახებ შეთანხმება „ღიად ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პროგრესულ განვითარებას მომავალში.“

მითი 30: “საქართველომ ყველა რეფორმა უფრო ნაკლები დროის განმავლობაში უნდა განახორციელოს, ვიდრე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა.”

რეალობა: ეს არ არის მართალი და ამგვარი მოლოდინი არარეალური იქნებოდა. რეფორმები დროში უნდა იყოს გაწერილი, რადგან ისინი ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეეხება; გარდამავალი პერიოდი საუკეთესო საშუალებაა მათ თანდათანობით განსახორციელებლად. ამ მიდგომას ევროკავშირი მაშინაც იყენებს, როდესაც წევრ ქვეყნებში ახალი კანონებია მისაღები. საქართველოს შემთხვევაში ასეთი მიდგომა ლოგიკურია, რადგან თვითონ გადაწყვიტა, რა დრო დასჭირდება ქვეყანას პროცესის დასასრულებლად. საქართველომ გამართა მოლაპარაკებები რამდენიმე გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ქვეყნის კანონმდებლობაზე, მის შინაარსსა და ბაზრის განვითარებაზე. კერძოდ, რეფორმები საწარმოო პროდუქტების, საჯარო შესყიდვების და მომსახურების რეგულირების სფეროში შეთანხმების ძალაში შესვლიდან რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს.

მითი 31: “რეფორმების ხარჯი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.”

რეალობა: არ არსებობს ე.წ. „ხარჯი“ – ეს არის ინვესტირება ქვეყნის მომავალში. ამ მიზნით ევროკავშირმა უკვე გამოყო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში რეფორმების განსახორციელების პროცესს დაეხმარება. მხოლოდ 2011–13 წლებში ეს დახმარება მოიცავს 180 მლნ ევროს, რაც

საქართველოს მშპ-ს 1.5%-ს შეადგენს. ბოლო წლების განმავლობაში ეს ოდენობა გაიზარდა კიდევ.

მითი 32: “ევროკავშირის დახმარება არ არის საკმარისი რეფორმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად.”

რეალობა: ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია ეხმარება საქართველოს რეფორმების პროცესში. ვაჭრობის სფეროს რეფორმირება ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ვაჭრობის სფეროში რეფორმები 31 მლნ ევროს (2011–2013) ღირებულების სპეციალური „ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. ეს დახმარება არის ნაწილი „ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის“ სახელწოდებით ცნობილი დახმარების დიდი პაკეტისა, რომელიც 180 მლნ ევროს შეადგენს (2011–2013). ეს დახმარება მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე ტრენინგებითა და კონსულტირებით დახმარებას (დამმობილება Twinning, TAIEX და ა.შ.). წვერი ქვეყნების ორმხრივი დახმარება კოორდინირებულია ევროკავშირის მიერ გაწეულ სხვა დახმარებასთან. ახალი „ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის“ (2014–20) ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარებაა გათვალისწინებული სამომავლოდაც, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელებაში.

მითი 33: “რა სახის დახმარება გაუწია ევროკავშირმა საქართველოს რეფორმების პროცესში?”

რეალობა: ევროკავშირმა საქართველოს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ესაა: კონსულტაციები კანონმდებლობის მომზადებასა და შემუშავებაში, ტექნიკური რჩევები კანონის აღსრულებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ზრდის საკითხებში, ტრენინგი სამთავრობო სტრუქტურებში, რეფორმების პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა და შედეგების შეფასება. ამ მიზნების მიღწევის მთავარი ინსტრუმენტი არის „დამმობილება“ (Twinning -წვერი ქვეყნების ექსპერტების დახმარება უფრო ხანგრძლივადიანი პროგრამების ფარგლებში) და TAIEX (მოკლევადიანი საკონსულტაციო და ვერიფიკაციის მისიები). გათვალისწინებულია ასევე პირდაპირი

საბიუჯეტო დახმარება 2015–17 წლებში. ამასთან, TAIEX ინსტრუმენტის ფარგლებში რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა სემინარები, „მრგვალი მაგიდები“, სასწავლო ვიზიტები და ა.შ.

მითი 34: “შეთანხმებიდან სარგებელს მხოლოდ ევროკავშირი მიიღებს, რადგან ქართულ ბაზარზე შესასვლელად მას ძვირადღირებული რეფორმების განხორციელება არ დასჭირდება.”

რეალობა: ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა ეკონომიკურად ნაკლებმნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნ ევროს ანუ მშპ-ის 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული.

მითი 35: “ევროკავშირი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრციდან სარგებელს დაუყოვნებლივ მიიღებს, როდესაც საქართველოს კი ამისთვის რეფორმების განხორციელება დასჭირდება.”

რეალობა: არ არის ასე. სავაჭრო პირობები საქონლისა და მომსახურებისთვის, ისევე, როგორც კომპანიის დაფუძნების პირობები, შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირისთვის გაუმჯობესდება. ეს კი დაეხმარება ვაჭრობასა და ინვესტირებას, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ქვეყანას მეტი საგარეო ინვესტიციები ესაჭიროება. ქართულ საწარმოებს ევროკავშირის ბაზარზე შესვლა გარდამავალი პერიოდის დაწესების გარეშე შეეძლება. თუმცა ისიც მართალია, რომ დამატებითი სარგებლის გარკვეული

სახეობები, რომელსაც საქართველო შეთანხმებიდან მიიღებს, რეფორმების დასრულებაზეა დამოკიდებული.

მითი 36: “გაუგებარია, რისი რეფორმირება უნდა მოახდინოს საქართველომ.”

რეალობა: ყველა ის სფერო, რომელიც არეგულირებს ვაჭრობას, ან შეეხება ქვეყნის უნარს განახორციელოს ვაჭრობა, გარკვეულ რეფორმირებას საჭიროებს. რეფორმები განსაზღვრულია ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართებში; მათი შემუშავება მოხდა საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და მოიცავს რეფორმებს ისეთ სფეროებში, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვები (საჯარო ხელისუფლების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, საზღვარგარეთიდან შესყიდვის ჩათვლით), სურსათის უვნებლობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეჟიმები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის), საბაჟო და სავაჭრო რეჟიმების გამარტივება, საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების წესების შესრულების ჩათვლით (ვაჭრობაში საქონლის იმპორტის და ექსპორტის პროცედურები); მომსახურების, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების/საწარმოო სტანდარტების (დამზადებული საქონლის შემთხვევაში) მარეგულირებელი ჩარჩოები, ასევე, გამჭვირვალობა (შესაბამისი კანონებისა და წესებისა იმისთვის, რომ ისინი ხელმისაწვდომი იყოს ბიზნესისთვის) . ევროკავშირის ბაზარზე დამატებითი ან/და უკეთესი წვდომა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ რეფორმების დასრულებაზე.

უფრო მეტიც, შეთანხმების თავებში პოლიტიკური და სამართლებრივი, თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრულია კონკრეტული პოლიტიკური და რეფორმის მიზნები. მე-4 თავი დეტალურად შეეხება შიდა რეფორმების მოთხოვნებს და ადგენს, რომ საქართველომ და ევროკავშირმა უნდა ითანამშრომლონ ისეთ სფეროებში, როგორცაა

- დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება, სტაბილურობისა და ეფექტიანობის გაზრდა;
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- შემდგომი წინსვლა სამართლებრივი და მართლმსაჯულების

რეფორმირების პროცესში იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა;

- სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განმტკიცება, მათი მიუკერძოებულობისა და ეფექტიანობის გარანტირება;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის სფეროს შემდგომი რეფორმირება;
- ანგარიშვალდებულების მქონე, ეფექტური, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო სამსახურის ჩამოყალიბება;
- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება.

მითი 37: “თუკი საქართველო რეფორმების ვადებს არ დაიცავს, მას სანქციები დაემუქრება, ხოლო ქართული პროდუქტები აიკრძალება.”

რეალობა: რეფორმების განხორციელება და მათთან დაკავშირებული ვადები რეგულარულად იქნება განხილული ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში შექმნილ სხვადასხვა ორგანოებთან. ვადების დარღვევებთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემებიც სწორედ ამ ფორმატში იქნება განხილული და მოიძებნება შესაფერისი გადაწყვეტილება. თუმცა მოლაპარაკებების პროცესში ვადები ქართული მხარის მიერ გულდასმით იყო განხილული და, სხვადასხვა შიდა სირთულეების გათვალისწინებით, რეალისტურად იყო მიჩნეული.

მითი 38: “ევროკავშირმა რამე უნდა იღონოს მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად, რადგან რეფორმების პროცესში ყველაზე მეტად სწორედ მცირე ბიზნესი დაზარალებულია.”

რეალობა: ევროკავშირი სულ უფრო მზარდ ინტრესს იჩენს მცირე და საშუალო საწარმოებისა და, საერთოდ, ბიზნესის მიმართ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი რეფორმებით დაინტერესება და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლო უარყოფითი შედეგის შემსუბუქება. ეს მიდგომა ასახულია პროექტში, რომელიც აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტულობის გაზრდისკენაა მიმართული. პროექტი East Invest უშუალოდ მცირე ბიზნესის ხელშემწყობ ორგანიზაციებსა და უშუალოდ მცირე და საშუალო

ბიზნესისთვისაა გამიზნული; სწორედ მათ აქვს ევროკავშირის ბიზნესწრებთან თანამშრომლობისა და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების პოტენციალი. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას ასევე ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსირების მექანიზმი, რომელიც გასცემს სესხს ისეთი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებსაც საქმიანობისთვის კომერციული ბანკებიდან დაფინანსების მიღება გაუჭირდებოდათ.

მითი 39: “ის, რომ შეთანხმების განხორციელება შეუძლებელი იქნება სეპარატისტულ რეგიონებში, ნიშნავს, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასა და სეპარატისტულ ტერიტორიებს შორის ეკონომიკური უთანაბრობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამ გზით ევროკავშირი პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.”

რეალობა: ევროკავშირის მიზანია, მოხდეს საქართველოსთან დადებული შეთანხმების განხორციელება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საქართველოს საზღვრებში. ევროკავშირი მზადაა, განიხილოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის განხორციელება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მიზანი ისეთი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაა, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას მოუტანს სარგებელს.

მითი 40: “საქართველოსთვის საბაჟო კავშირის წევრობა სჯობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს.”

რეალობა: ეს ასე არ არის ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთში უფრო იოლად ვაჭრობენ (ტარიფების გაუქმებისა და შესაბამისი კანონმდებლობის დაახლოების წყალობით). საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტნიორებისგან საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ. თავისუფალი

სავაჭრო სივრცის შემთხვევაში საქართველო და ევროკავშირი სხვა სავაჭრო პოლიტიკის მიმართ თავიანთ სუვერენულ არჩევანს ინარჩუნებენ. საბაჟო კავშირის შემთხვევაში კი ეს სუვერენული უფლება გადაეცემა საბაჟო კავშირის ორგანოს, რომელიც საბაჟო კავშირის შესახებ შეთანხმებას ახორციელებს. ამ შემთხვევაში კავშირის ცალკეულ წევრს აღარ აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის შესახებ.

მეორე ისაა, რომ ეკონომიკური სუვერენობის შენარჩუნებასთან ერთად მსოფლიოს ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ანალიზი ადასტურებს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრციდან საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირიდან.

დასკვნა

ამდენად, ბოლო დროს, როგორც საქართველოში, ისე ევროპის ზოგ ქვეყანაში, შეინიშნება ანტიდასავლური კამპანიის გამლიერება. მისი მიზანია საზოგადოების კეთილგანწყობის შეცვლა ევროპული ინტეგრაციისადმი. ანტიდასავლური კამპანია მთლიანად მითებზეა აგებული. ის მიზანმიმართული ცრუ ინფორმაციაა, რითაც ხდება რეალური ფაქტების დამახინჯება.

კითხვები:

1. როდის შეხვდა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი შტეფან ფულე სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქს?
2. რა იყო პატრიარქთან შეხვედრის მთავარი თემა?
3. რაზე ისაუბრა შეხვედრაზე პატრიარქმა?
4. რომელი სახელმწიფო მოიაზრება ანტიდასავლური კამპანიის უკან?
5. რა არის ანტიდასავლური კამპანიის მიზანია?

ტერმინთა განმარტებები

EAP /აპ – აღმოსავლეთის პარტნიორობა (EAP – Eastern Partnership)

EUMM/ესმ – ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM – European Union Monitoring Mission)

ENP/ესპ – ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (ENP – European Neighbourhood Policy)

ესპი – ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი (ENPI – European Neighborhood Policy).

ესდპ – ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP – European Security and Defense Policy)

კორეპერი - მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER – Committee of Permanent Representatives)

სსს – საგარეო საქმეთა სამინისტრო (MFA – Ministry of Foreign Affairs)

სსუპ – საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP – Common Foreign and Security Policy)

ცაე – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა (CEE – Central and Eastern Europe)

ECPRD – საპარლამენტო კვლევის და დემოკრატიის ევროპული ცენტრი. (ECPRD – European Center for Parliamentary Research and Democracy).

(EIB) ევროპული საინვესტიციო ბანკი

(EBRD) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

GAERC - საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო (ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობების საბჭო. GAERC – General Affairs and External Relations Council)

GEPLAC – სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. The Georgian European Policy and Legal Advice პოლიტიკისა და

MEDA – დახმარების პროგრამა ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისთვის. MEDA – Mediterranean Assistance

OECD – Organization for Economic Co-operation and Development (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია)

საერთო სასოფლო მეურნეობის პოლიტიკით (CAP)

TACIS - ევროკავშირის დსთ-ის ტექნიკური დახმარების პროგრამა "Technical Assistance to the Commonwealth of Independent States"

ENPARD (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის)

CIB (Comprehensive Institutional Building- ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება)

(DCFTA) Deep and Comprehensive Free Trade Area. ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

GSP შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი-

მნიშვნელოვანი თარიღები ევროკავშირის ისტორიაში

- 1950 9 მაისი** ჟან მონეს იდეებით შთაგონებულ სიტყვაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა წინადადება, რომ საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც სურს მათთან შემოერთება, გააერთიანონ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები ახალ ორგანიზაციაში.
- 1951 18 აპრილი** პარიზში ექვსმა სახელმწიფომ – ბელგიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა – ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. ხელშეკრულება 1952 წლის 23 ივლისს შევიდა ძალაში 50 წლიანი პერიოდით.
- 1955 1-2 ივნისი** ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს მესინაში და გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის გავრცელება ეკონომიკის ყველა სფეროზე.
- 1957 25 მარტი** რომში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის თანამეგობრობა („ევროატომი“). ეს ხელშეკრულებები 1958 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.
- 1960 4 იანვარი** გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით ხელმოწერილი იქნა სტოკჰოლმის კონვენცია, რომლის საფუძველზე დაარსდა ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ამ ასოციაციაში შევიდნენ ის ქვეყნებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრებს.
- 1963 20 ივლისი** იაუნდეში ხელმოწერილი იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროგაერთიანებასა და აფრიკის 18 სახელმწიფოს შორის.
- 1965 8 აპრილი** ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოხდა სამი თანამეგობრობის (ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ატომური ენერჯის თანამეგობრობის) აღმასრულებელ ორგანოთა შერწყმა და ერთი საბჭოსა და ერთი

კომისიის ჩამოყალიბება. ეს ხელშეკრულება ძალაში 1967 წლის 1 ივლისს შევიდა.

- 1966 29 იანვარი** მიღწეულია „ლუქსემბურგის კომპრომისი“: პოლიტიკური კრიზისის შემდეგ საფრანგეთმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი საბჭოში, სანაცვლოდ კი შენარჩუნებული იქნა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურა, როდესაც საფრთხე ემუქრება „სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნულ ინტერესებს“.
- 1968 1 ივლისი** განრიგით გათვალისწინებულზე 18 თვით ადრე გაუქმდა შემორჩენილი საბაჟო გადასახადები წევრ სახელმწიფოებს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში და შემოდებული იქნა საერთო ტარიფი გარე საზღვრებზე.
- 1969 1-2 დეკემბერი** ჰააგის სამიტზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება და მისი პირველი გაფართოება.
- 1970 22 აპრილი** ლუქსემბურგში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ევროპულ გაერთიანებებს თანდათანობით უნდა შემოეღოთ „საკუთარი რესურსების“ სისტემა. გარდა ამისა, ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროპარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება.
- 1973 1 იანვარი** დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო უერთდებიან ევროგაერთიანებებს, რომლებშიც ახლა უკვე ცხრა წევრი სახელმწიფო შედის. რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგიამ უარი თქვა გაწევრიანებაზე.
- 1974 -10 დეკემბერი** პარიზის სამიტზე ცხრა წევრი სახელმწიფოს პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, ევროპული საბჭოს სახით შეიკრიბონ წელიწადში სამჯერ; გარდა ამისა, მათ დაადგინეს ევროპის პარლამენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება საყოველთაო კენჭისყრის საშუალებით და შეთანხმდნენ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის დაარსებაზე.
- 1975 28 თებერვალი** ლომეში ხელმოწერილი იქნა პირველი კონვენცია ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და აფრიკის, კარიბისზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 46 სახელმწიფოს შორის.
- 1975 22 ივლისი** ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპარლამენტს უფრო ფართო საბიუჯეტო უფლებამოსილება მიენიჭა და დაარსდა აუდიტორთა სასამართლო. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1977 წლის 1 ივნისს.
- 1979 7-10 ივნისი** ჩატარდა 410 ადგილიანი ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.
- 1981 1 იანვარი** ევროგაერთიანებას უერთდება საბერძნეთი და გაერთიანებაში ახლა უკვე ათი წევრი სახელმწიფო შედის.
- 1984 14-17 ივნისი** მეორედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

- 1985 7 იანვარი** ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა ჟაკ დელორი (1985-95).
- 1985 14 ივნისი** ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროგაერთიანებათა წევრ სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო შემოწმებების გაუქმებას.
- 1986 1 იანვარი** ევროგაერთიანებას უერთდებიან ესპანეთი და პორტუგალია. წევრთა რაოდენობა 12 ხდება.
- 1986 17-28 თებერვალი** ლუქსემბურგში და ჰააგაში ხელმოწერილი იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელიც ძალაში შედის 1987 წლის 1 ივლისს.
- 1989 15 და 18 ივნისი** მესამედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.
- 1989 9 ნოემბერი** ბერლინის კედლის დანგრევა.
- 1990 3 ოქტომბერი** გერმანიის გაერთიანება.
- 1991 9-10 დეკემბერი** ევროპული საბჭოს მასტრიხტის სხდომაზე მოწონებული იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკას, უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მართლმსაჯულებასა და შინაურ საქმეებში და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის, მათ შორის საერთო ფულადი ერთეულის, შექმნას.
- 1992 7 თებერვალი** მასტრიხტში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 ნოემბერს შევიდა.
- 1993 1 იანვარი** დაარსდა ერთიანი ბაზარი.
- 1994 9 და 12 ივნისი** მეოთხედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.
- 1995 1 იანვარი** ევროკავშირს უერთდებიან ავსტრია, ფინეთი და შვეცია. წევრთა რაოდენობა 15 ხდება. რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგია კვლავ უარს ამბობს გაწევრიანებაზე.
- 1995 23 იანვარი** მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ჟაკ სანტერი (1995-99).
- 1995 27-28 ნოემბერი** ბარსელონაში ჩატარდა ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კონფერენცია, რომელზეც სათავე დაედო ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე განლაგებულ ქვეყნებს შორის პარტნიორობას.
- 1997 2 ოქტომბერი** ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა.
- 1998 30 მარტი** იწყება ახალი კანდიდატი ქვეყნების გაწევრიანების პროცესი, რომელშიც ჩაერთვებიან კვიპროსი, მალტა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა.
- 1999 1 იანვარი** ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ მიიღო ევრო, რომელმაც შეცვალა მათ ფულადი ერთეულები უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ფინანსურ

ბაზრებზე. ევროპის ცენტრალურ ბანკს ეკისრება პასუხისმგებლობა მონეტარულ პოლიტიკაზე. 2001 წლის 1 იანვარს საბერძნეთი ხდება მე-12 ქვეყანა, რომელმაც მიიღო ევრო.

1999 10 და 13 ივნისი ევროპარლამენტის წევრთა მეხუთე პირდაპირი არჩევნები.

15 სექტემბერი მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება რომანო პროდი (1999-2004).

1999 15-16 ოქტომბერი ევროპული საბჭოს ტამპერეში გამართულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირის თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცედ გადაქცევის შესახებ.

2000 23-24 მარტი ევროპული საბჭოს ლისაბონში გამართულ სხდომაზე შემუშავდა ახალი სტრატეგია ევროკავშირში დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკის მოდერნიზებისა და სოციალური ერთობის განმტკიცების შესახებ ცოდნაზე დამყარებულ ევროპაში.

2000 7-8 დეკემბერი ნიცაში ევროპულმა საბჭომ მიაღწია შეთანხმებას ახალი ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება ცვლის ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების სისტემას საიმისოდ, რომ კავშირი მზად იყოს გაფართოებისათვის. ევროპარლამენტის, ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტებმა საზეიმოდ გამოაქვეყნეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია.

2001 26 თებერვალი ხელი მოეწერა ნიცის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 2003 წლის 1 თებერვალს შევიდა.

2001 14-15 დეკემბერი ევროპული საბჭოს ლიკენის სხდომა: შეთანხმებული იქნა დეკლარაცია ევროკავშირის მომავლის თაობაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის მომავალ მნიშვნელოვან რეფორმირებას და კონვენტის ჩამოყალიბებას (რომლის თავმჯდომარე ვალერი ჟისკარ დესტენი გახდა) ევროპის კონსტიტუციის ტექსტის მოსამზადებლად.

2002 1 იანვარი ევროს სივრცეში შემავალ 12 ქვეყანაში ბრუნვას იწყებენ ევროს მონეტები და ბანკნოტები.

2003 10 ივლისი ევროპის მომავლის კონვენტი ასრულებს ევროპის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობას.

2004 1 მაისი ევროკავშირს შეუერთდნენ ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

2004 10-13 ივნისი ევროპარლამენტის წევრთა მეექვსე პირდაპირი არჩევნები.

29 ოქტომბერი რომში 25 წევრი ქვეყნის სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონსტიტუციას.

2004 22 ნოემბერი მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ხოსე მანუელ ბაროზო.

- 2005 29 მაისი-1 ივნისი** საფრანგეთის ამომრჩევლებმა რეფერენდუმზე კონსტიტუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, სამი დღის შემდეგ კი იგივე გააკეთეს ნიდერლანდების ამომრჩევლებმა.
- 2005 3 ოქტომბერი** დაიწყო გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკება თურქეთსა და ხორვატიასთან.
- 2007 1 იანვარი** ევროკავშირს ბულგარეთი და რუმინეთი უერთდებიან. სლოვენია ხდება მე-13 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.
- 2007 13 დეკემბერი** ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას.
- 2008 1 იანვარი** კვიპროსი და მალტა ხდებიან მე-14 და მე-15 ქვეყანა, რომლებშიც შემოღებულია ევრო.
- 2009 1 იანვარი** სლოვაკეთი ხდება მე-16 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.
- 2009 4-7 ივნისი** ევროპარლამენტის წევრთა მეშვიდე პირდაპირი არჩევნები.
- 2009 2 ოქტომბერი** ირლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოწონებულია ლისაბონის ხელშეკრულება.
- 2009 1 დეკემბერი** ძალაში შედის ლისაბონის ხელშეკრულება. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპუი ხდება. საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი ხდება.
- 2010 9 თებერვალი** ევროპარლამენტი თანხმობას გასცემს ახალი ევროკომისიის შემადგენლობაზე, რომლის პრეზიდენტი მეორე ვადით ხოსე მანუელ ბაროზო ხდება.
- 2010 9 მაისი** ყალიბდება „ევროპის სტაბილურობის მექანიზმის“ წინამორბედი 750 მილიარდი ევროს თანხით. ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ ნაბიჯთაგან, რომელთა მიზანი იყო ევროპისთვის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაძლევაში დახმარების გაწევა.
- 2011 1 იანვარი** ესტონეთი ხდება მე-17 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.
- 2012 2 მარტი** ევროკავშირის 25 წევრი ქვეყანა ხელს აწერს ხელშეკრულებას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ. ეს ხელშეკრულება 2013 წლის 1 იანვარს შედის ძალაში.
- 2013 1 ივლისი** ევროკავშირის წევრი ხორვატია ხდება.
- 2014 1 იანვარი** ლატვია ხდება მე-18 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.
- 2014 22-25 მაისი** ევროპარლამენტის წევრთა მერვე პირდაპირი არჩევნები.
- 2015 1 იანვარი** ლიტვა ხდება მე-19 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

მნიშვნელოვანი თარიღები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში

1991-92 წლები საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობების დაწყება, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფო გახდა.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციითა და განზოგადებული სისტემით (GSP). 2005 წელს, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის. 2014 წლის იანვარში ძალაში შევიდა განახლებული GSP+, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა.

1996 წლის 22 აპრილი ლუქსემბურგში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA).

1999 წლიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ძალაში შესვლის შემდეგ, შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანია PCA-ს განხორციელების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. ეს ინსტიტუტებია:

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები.

აღნიშნული სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ, ასევე, მინიმუმ წელიწადში ერთხელ იმართება შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) „ტროიკას“ ფორმატით.

2003 წლის 7 ივლისი ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ (EU Special Representative for the South Caucasus). ეს თანამდებობა 2003 წლიდან 2006 წლამდე ეკავა ჰეიკი ტალვიტის, ხოლო 2006 წლიდან 2011 წლამდე პიტერ სემნების. 2011 წლის 25 აგვისტოს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობები. ამ პოზიციაზე დაინიშნა ფილიპ ლეფორი, რომლის მანდატი 2014 წლის 31 იანვარს ამოიწურა. 2014 წლის 8 ივლისს აღნიშნულ თანამდებობაზე ჰერბერტ ზალბერი დაინიშნა.

2004 წლის 17 თებერვალი საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

2004 წელი ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS).

2004 წლის 14 ივნისი ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში.

2006 წლის 14 ნოემბერი მიღებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის პასუხად, 2008 წლის 1 სექტემბერს გაიმართა ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა;

2008 წლის 15 სექტემბერი ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM), რომელიც საქართველოში მოვლენილ იქნა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან; 2008 წლის 25 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომელიც 2011 წლამდე ეკავა პიერ მორელის.

2008 წლის 22 ოქტომბერი, ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი - ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). შეხვედრები აღნიშნული ფორმატის ფარგლებში იმართება ყოველწლიურად.

2009 წლის 7 მაისი, ქ. პრაღაში გაიმართა პირველი „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი“.

2009 წელი საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ჩაეყარა. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ინიციატივის, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

2009 წლის 30 ნოემბერი, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

2010 წლის 17 ივნისი ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისი დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“, (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც“ (DC FTA).

2010 წლის 22 ნოემბერი ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. ორივე შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2010 წლის 15 ივლისი დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“, (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ (DC FTA)

2010 წლის 2 დეკემბერი ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ“ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისი ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა“.

2011 წლის 14 ივლისი ხელი მოეწერა და 2012 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ.

2012 წლის 28 თებერვალი ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DC FTA).

2012 წლის 4 ივნისი გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2012 წლის 5 ივნისი, ქ. კიშინოვში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის პირველი, საინაუგურაციო შეხვედრა.

2011 წლის 29-30 სექტემბერი, ქ. ვარშავში გაიმართა მეორე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი“.

2013 წლის 12-13 თებერვალი თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა, რომელიც პირველად მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრასაც ტრანსპორტის დარგში;

2013 წლის 25 თებერვალი საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 27-28 ივნისი თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი მინისტრიალი კულტურის დარგში;

2013 წლის 31 სექტემბერი - 1 ოქტომბერი შედგა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩების ვიზიტი საქართველოში.

2013 წლის 12-13 სექტემბერი, ქ. ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მესამე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს განათლების საკითხებზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერი ქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი. სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით (ქართულ ენაზე; ინგლისურ ენაზე). „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს (იხილეთ გზამკვლევი).

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

ასევე, 29 ნოემბერი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ხელი მოეწერა „ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას“.

2013 წლის 12 დეკემბერი ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

2014 წლის 20 თებერვალი ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე.

2014 წლის 26 ივნისი საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას.

2014 წლის 27 ივნისი ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DC FTA) ჩათვლით.

2014 წლის 9 სექტემბერი ქ. ბაქოში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეოთხე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრას ენერგეტიკის საკითხებზე;

2014 წლის 17 ნოემბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ამოქმედდა ახალი ინსტიტუციური ჩარჩო - ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები, რომელსაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს. სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2014 წლის 21 მაისი, ქ. ბრიუსელში ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების კუთხით, გაიმართა შეხვედრა ევროკომისიის კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებიც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება.

2015 წლის 20 აპრილი ქალაქ ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეექვსე შეხვედრა.

2015 წლის 21-22 მაისი, ქ. რიგაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეოთხე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2015 წლის 2 ივნისი, ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა.

2015 წლის 29 ივნისი, ქ. მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეხუთე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს გარემოს დაცვის საკითხებზე.

2015 წლის 16 ნოემბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2015 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის რიგით მეექვსე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჯანდაცვის საკითხებზე.

30 ნოემბერი - 2 დეკემბერი საქართველოში იმყოფებოდნენ ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის (COEST) წარმომადგენლები.

2015 წლის 18 დეკემბერი ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულების რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.

2016 წლის 9 მარტი, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო მეოთხე ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისიის მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო პროცედურები და ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

2016 წლის 23 მაისი, ქ. ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეშვიდე შეხვედრა.

2016 წლის 23 მაისი, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირმა დაასრულა საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

2016 წლის 16 ივნისი, ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომა.

2016 წლის 23 ივნისი, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმებას.

2016 წლის 1 ივლისი, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, ძალაში შევიდა.

2016 წლის 11-12 ივლისი, ქ. კიევში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხზე.

2016 წლის 17 ნოემბერი, ქ. ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მერვე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს კვლევის, მეცნიერების და ინოვაციის განვითარების საკითხებს.

2016 წლის, 2 დეკემბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა ასოცირების საბჭოს რიგით მესამე სხდომა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2017 წლის 28 მარტი საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა.

2017 წლის 19 ივნისი, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა მერვე შეხვედრა.

2017 წლის 22 ივნისი, ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა.

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი (2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ ოქმს, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივლისს).

2017 წლის 10 ივლისი, ქ. კიშინეუში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეცხრე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ენერგეტიკის საკითხებზე.

2017 წლის 5-6 ოქტომბერი შედგა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩების ვიზიტი საქართველოში.

2017 წლის 11 ოქტომბერი, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის პირველი შეხვედრა.

2017 წლის 20 ნოემბერი, საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის დაამტკიცეს. ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს.

2017 წლის 24 ნოემბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეხუთე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2018 წლის 5 თებერვალი, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-4 სხდომა. სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2018 წლის 21-22 ივნისი, ქ. მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეათე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჰარმონიზაციისა და ციფრული ბაზრის საკითხებზე.

2018 წლის 26 ივნისი, ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა.

2018 წლის 15 ოქტომბერი, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრიალის მეცხრე შეხვედრა.

2018 წლის 23 ოქტომბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეორე შეხვედრა.

2018 წლის 21 ნოემბერი, ქ. ბრიუსელში გაიმართა ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის მაღალი დონის პირველი შეხვედრა.

2018 წლის 10-12 დეკემბერი, ქ. თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-10 ყოველწლიური ასამბლეა.

2019 წლის 5 მარტი, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომა. სხდომის შემდგომ მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

1. ბელგია  1957
2. გერმანია  1957
3. იტალია  1957
4. ლუქსემბურგი  , 1957
5. ნიდერლანდი  1957
6. საფრანგეთი  1957
7. დანია  1973
8. ირლანდია  1973
9. გაერთიანებული სამეფო  1973. 2020 წელი დატოვა ევროკავშირი
10. საბერძნეთი  1981
11. პორტუგალია  1986
12. ესპანეთი  1986
13. ავსტრია  1995
14. ფინეთი  1995
15. შვედეთი  1995
16. უნგრეთი  2004
17. კვიპროსი  2004
18. ლატვია  2004
19. ლიეტუვა  2004
20. მალტა  2004
21. პოლონეთი  2004
22. სლოვაკეთი  2004
23. სლოვენია  2004
24. ჩეხეთი  2004
25. ესტონეთი  2004
26. ბულგარეთი  2007
27. რუმინეთი  2007
28. ხორვატია  2013

1. კაპანაძე ს., ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
2. კაპანაძე ს., “პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში” დისერტაცია თბ, 2009 წ.
3. გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, ანტიკური სამყაროს კულტურები 5 წიგნად, ნაკვეთი პირველი, თბ., 1988 წ.
4. ჩიქოვანი გ. „ევროპული იდენტობა“. კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის პუბლიცისტური წერილების კრებული. თბ, 2014 წ
5. ნადარეიშვილი ე. ჭეიშვილი თ. „ევროპული იდენტობა ანტიკურ კონტექსტში“. კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ მასალები, თბ, 2014 წ.
6. ანჩაბაძე ზ. „ევროპული საქართველო“, თბ, 2015 წ.
7. გორდეზიანი რ, ტონია ნ. “ანტიკური ლიტერატურა საუნივერსიტეტო კურსი.“ თბ, 2007 წ.
8. გამსახურდია ზ. „წერილები ესეები“, საქართველოს სულიერი მისია,“ თბ, 1991.
9. ჯანაშია ს. ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისთვის,“ შრომები. ტ. III. თბ, 1959 წ.
10. ურუშაძე ა. „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბ, 1964 წ.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტომი I. თბ, 1970 წ.
12. ჰომეროსი. ილიადა. თბ, 1979 წ.
13. ჰეროდოტე. ისტორია. წიგნი I. თბ, 2008.
14. დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი „ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“ თბ, 2016.
15. ც. ძოწენიძე „საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები“, ქუთაისი, 2013.
16. „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ საერთაშორისო ინტერ დისციპლინარული კონფერენცია, მოხსენებები, თბ, 2014.

17. . ზურაბაშვილი თ, „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ანალიზი, 2016 წ.
18. ფაჟავა ე. “საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან”, სამეცნ. შრ. კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. #1, თბ. 2019 წ.
19. ფაჟავა ე. „საერთაშორისო ფაქტორი თურქეთის სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში“ თბილისი 2017 წ.
20. მეგრელიშვილი ი, „ევროპული გაერთიანებების ისტორია ანტიკური სამყაროდან ევროკავშირამდე“, სალექციო კურსი, თბილისი 2017 წ.
21. ვიშნევსკი ი, რობაქიძე გ. „ევროპული ინტეგრაციის პროცესში საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის ადაპტაცია“. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2>
22. გოგოლაშვილი კ. „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები“, თბილისი, 2017 წ. [http://gcsd.org.ge/storage/files/doc/EU-Georgia-Relations-and-Future-Perspectives-Geo-3\(1\).pdf](http://gcsd.org.ge/storage/files/doc/EU-Georgia-Relations-and-Future-Perspectives-Geo-3(1).pdf)
23. ჭელიძე გ., ევროკავშირის ისტორიული განვითარება, თბილისი, 2014, გვ 15-28.
24. რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბილისი. 1990 წ. გვ 295.
25. ტაბალუა ი, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ I, გვ. 176. თბ. 1984 წ.
26. პაპაშვილი მ, საქართველო - რომის ურთიერთობა, გამომც. აღმაშენებელი, გვ. 100. თბ. 1995 წ].
27. გურული ვ, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1483-1801“, თბ., 2009 წ.
28. ბარამიძე ც. „კავკასიური და ევროპული იდენტობა კომპარატიულ ჭრილში“. საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, თბ. 2014 წ.
29. გაზეთი „საქართველო“, №7, 1, IX, 1903 წ.
30. ჯაფარიძე ე. „ევროინტეგრაციის სათავეებთან“. თბ. 2019 წ.
31. . შუბითიძე ვ. „ევროპა და ქართული პოლიტიკური აზროვნება“ (საქართველოს ევროპული იდენტობა), თბ. 2013 წ.
32. ჟურნ. ბედი ქართლისა #15 1953 წ.
33. გაზეთი “ფიგარო” 2.03.1965 წ.
34. ფაჟავა ე. “საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან”, სამეცნ. შრ. კრებ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. #1, თბ. 2019 წ.

35. სერგი მაკალათია „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ, 1992 წ.
36. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ. II, თბ, 1908 წ.
37. ქართლის ცხოვრება, თბ, 1906 წ.
38. საქართველოს ისტორია ტ 3. თბ, 2012 წ.
39. „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები“ (პოლიტიკის დოკუმენტი). თბ, 2017 წ.
40. „საქართველოს ევროპული არჩევანი“. თბ, 2018 წ. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15088.pdf>
41. „საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ“ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), თბ, 2016 წ. http://cdd.ge/uploads/files/2019-08/1566895541_saqarthvelo-da-evrokavshiriganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf
42. ფონტენი პ, „როგორ მუშაობს ევროკავშირი“, ევროკავშირი, 2014 წ.
43. მაკვარლეინი ს. ნ., „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“ თბ, 2012 წ.
44. ჯანდიერ ი, „როგორ ეყრებოდა საფუძველი ევროკავშირს“ ჟურნალი „გზა“ 2014წ. <http://gza.kvirispalitra.ge/politika/423-rogor-eyreboda-safudzveli-evrokavshirs.html>
45. Meier Chr., A Culture of Freedom: Ancient Greece and the Origins of Europe, New York 2012.
46. Pagden A., Europe: Conceptualizing a Continent, 33 in: Pagden A. (ed.), The Idea of Europe from Antiquity to the European Union“, Cambridge 2002.
47. Rosamund B. Theories of European Integration. N>Y>., 2000
48. Mikkeli, H., Europe as an Idea and an Identity, Basingstoke, Palgrave Publishers, 1998.
49. <https://www.britannica.com/biography/Pierre-Dubois>
50. Schiff M and Winters „ L. A., Regional Integration and Development“. 2003 The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.
51. European Union: A Global Strategy on Foreign and Security Policy for the European Union, June 2016, available at https://eeas.europa.eu/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf
52. European Union: European Security Strategy, December 2003, available at <https://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsupload/78367.pdf>
53. Мифы о ЕС и реальность в странах Восточного партнерства С. Капанадзе, Л. Калитеня, С. Григорян, А. Гасанов, И. Сушко, К. Чуря, 2014.

54. Геродот. История в девяти книгах. — М., 1972.
55. Фукидид. История. — М., 1981.
56. Аристотель. Политика. — М., 1911.
57. Страбон. География. — Л., 1967.
58. European Union: A Global Strategy on Foreign and Security Policy for the European Union, June 2016, available at https://eeas.europa.eu/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf
59. European Union: High Representative for Common Foreign and Security Policy, Report on the Implementation of the European Security Strategy, December 2008, available at https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/reports/104630.pdf
60. <http://socium.ge/index.php/articles/student-articles/89-2015-02-01-09-18-04>
61. https://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/features/659/?year=2008&month=12
62. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4---4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH06714895eb79201aa1d4df.8&x=1>
63. http://www.euoline.ge/?page_id=275
64. <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/saqarthvelos-evropis-energetikuli-gaerthiane bashi-gatsevrianebis-shedegebis-analizi.pdf>
65. <http://infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/#1>
66. http://www.weg.ge/sites/default/files/sakartvelo_da_evropis_energetikuli_gertianeba-1.pdf
67. <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/events-2014>
68. <https://mfa.gov.ge/>
69. <http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/>